


153 322.7  
ქ-327  
ლინ ქერხული

# გაგზავთა აბრესია



ლია ქურხული

# ბავშვთა აგრესია



თბილისი  
გამომცემლობა „საარი“  
2006

წიგნი ეხება ფსიქოლოგიის უადრესად აქტუალურ და ამავე დროს ბოლო დრომდე ნაკლებად შესწავლილ საკითხს – ბავშვთა აგრესიას, შესაბამის ქცევას. აგრეთვე მათში ფსიქიკური დარღვევების (აუტისმის, მიჰურაქტურობა, შფითიულობა) ვამოვლენის რისკ-ფაქტორების ანალიზს. მოცემულია მათი დაძლევის თანამედროვე საკონრექციო მეთოდები და საშუალებანი.

ნაშრომი განკუთვნილია ბავშვთა და სამედიცინო ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის სპეციალიზის სტუდენტების, აგრეთვე სკოლის ფსიქოლოგების, პედაგოგების, მეცნიერების, ბავშვთა ფსიქოლოგიური აღზრდის პრაქტიკებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

- © ლია ქურხული
- © Лия Курхули
- © Lia Qurkhuli

რედაქტორი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა იმედაძე

რეგენზენტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იათამაშე კოტეტიშვილი

მხატვარი: თინათინ მღებრიშვილი



ბათუმის გამომცემლობა „საანი“

ISBN 99940-0-959-1

## სარჩევი

წინასიტყვაობა.....	6
შესავალი.....	10

### თავი I. აგრესია ემოციათა სახეობების სისტემაში

ემოციის არსი და მეცნიერული თეორიები .....	15
აგრესიის არსი და მეცნიერული თეორიები.....	22
აგრესიისა და ფრუსტრაციის კავშირი.....	28
აგრესიის წანამძღვრები.....	36
ემოციური და კოგნიტური პროცესები.....	37

### თავი II. ფსიქოანალიტიკური თეორია აგრესიის შესახებ

აგრესია როგორც ეგოს ფუნქცია ფრუსტრაციის თეორია.....	40
აგრესია, როგორც დესტრუქციული ინსტინქტის გამოვლენა. სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტის თეორია.....	41
აგრესიის დათრგუნვა. რეაქტიული წარმონაქმნები და შეფერხება.....	42
პროექცია და აგრესიის განდევნა.....	43
აგრესიის მიმართვა შიგნით.....	44
აგრესიის სუბლიმაცია. პრაქტიკული დამატება.....	44
აგრესიის ტრანსფორმაცია.....	46
აგრესიის კლინიკური კვლევა.....	46
აგრესიის შესწავლა პატარა ბავშვებზე დაკვირვებით.....	48
აგრესიულობის შესწავლა თამაშისას.....	49
საკუთარი სხეულის წინააღმდეგ მიმართული ბავშვის აგრესიული განზრახვები.....	49
გარე სამყაროზე მიმართული აგრესიული განზრახვები.....	50

რაოდენობრივი ფაქტორის მნიშვნელობა.....	52
პათოლოგიური აგრესია ბავშვებში.....	52

### თავი III. ბავშვთა აგრესიული ქცევის რისკ-ფაქტორები

აგრესიული ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები.....	54
ცენტრალური ნერვული სისტემა.....	58
ოჯახური ძალადობის არსი. ფიზიკური დასჯა.....	63
არასრული ოჯახები.....	72
ოჯახური ურთიერთობის სტილი და ბავშვის ემოციური მდგომარეობა.....	75
და-ძმას შორის ურთიერთობა.....	81
თანატოლთა ურთიერთობა.....	84
თანატოლთა აგრესიულობის გადაღება.....	87
გენდერული განსხვავება.....	91
აგრესიის მოდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.....	95

### თავი IV. პიროვნების საკვლევი ტესტები.

აგრესიის დაძლევის საკორექციო საშუალებები ბავშვთა აგრესიის კვლევის მეთოდები.....	110
პროექციის მეთოდები, ტესტები.....	114
რენე ჟილიეს ტესტი.....	116
ტესტი არარსებული ცხოველი.....	136
როზენცვეიგის ტესტის მოდიფიცირებული ვარიანტი სტიმულირების მასალა.....	141
ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვების კერბალური პასუხები.....	154
ბავშვთა აგრესიულობის გამოვლენა.....	161
ბავშვთა აგრესიულობის გამოხატულების ინდივიდუალური ფორმები.....	166
აგრესიულობის კრიტერიუმები ( ბავშვებზე	

დაკვირვების სქემა).....	172
ბავშვთა აგრესიულობის კრიტერიუმი (კითხვარი).....	173
აგრესიის დაძლევის საკორექციო საშუალებები.....	174
ბრაზის გამოხატვა სწავლების ფორმით.....	181
ემპათიის უნარის ფორმირება.....	184

**თავი V. სასწავლო-სააღმზრდელო  
დაწესებულებებისა და მშობლების როლი  
ბავშვთა პიროვნებად ფორმირებაში.**

პრობლემური ბავშვები.....	186
აუტისტი ბავშვები.....	192
აუტისტის ბავშვის პორტრეტი.....	194
როგორ გამოვავლინოთ აუტისტი ბავშვი.....	197
როგორ დავეხმაროთ აუტისტ ბავშვებს.....	198
აუტისტი ბავშვების მშობლებთან მუშაობა.....	200
აუტისტ ბავშვებთან მუშაობის წესები.....	204
ჰიპერაქტიური ბავშვები.....	205
ჰიპერაქტიური ბავშვის პორტრეტი.....	206
ჰიპერაქტიურობის კრიტერიუმი (ბავშვზე დაკვირვების სქემა).....	207
იმპულსურობის ნიშნების ანკეტა.....	209
როგორ დავეხმაროთ ჰიპერაქტიურ ბავშვს.....	210
ჰიპერაქტიური ბავშვის მშობლებთან მუშაობა.....	213
ჰიპერაქტიურ ბავშვებთან მუშაობის წესები.....	214
შფოთვიანი ბავშვები.....	215
როგორ გამოვავლინოთ შფოთვიანი ბავშვი.....	218
შფოთვიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.....	219
შფოთვიანი ბავშვის თვისებები.....	219
დაშორების შიშების განსაზღვრის კრიტერიუმები.....	221
როგორ დავეხმაროთ შფოთვიან ბავშვს.....	221
შფოთვიანი ბავშვების მშობლებთან მუშაობა.....	224
გამოყენებული ლიტერატურა.....	227

## წინასიტყვაობა

ბავშვთა ქცევის, მათი ოჯახისა და საზოგადოების წევრებთან დამოკიდებულების შესწავლა მრავალი სამეცნიერო ასპექტით (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პედაგოგიკა...) ხორციელდება. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი, რომელსაც საქართველოში თან ახლავს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სირთულეები, თავისებურებები, წინააღმდეგობანი, სერიოზულად აისახება საზოგადოების წევრთა განწყობაზე, მათი ქმედების ხასიათსა და მოტივაციაზე. აღნიშნული ქმედებები ხშირად ღებულობს მძაფრი ინსტრუმენტული ვერბალური და ფიზიკური აგრესიის ფორმას. ამასთან, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ გავუქცევით იმ გარემოებას, რომ მოზრდილთა აგრესიის ობიექტები ხშირად ხდებიან ბავშვები, რაც შემდგომში, ჯაჭვური რეაქციის „წყალობით“, ზრდის თვით ამ უკანასკნელთა აგრესიულობას.

წინამდებარე წიგნში ვრცლადაა განხილული საზოგადოებაში მთლიანი სოციალური ფონის დაძაბულობის პირობებში ბავშვებში ფიზიკური, ვერბალური, სიმბოლური აგრესიის გამოშვები მიზეზები და რიგი ფაქტორები. მათში კონფლიქტური სიტუაციების განცდის მიხედვით სიტუაციური და „სიღრმისეული“ აგრესიის გამოვლენა ჩვენის აზრით, ეს ნამდვილად წარმოადგენს ქართული გამოყენებითი ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან სამეცნიერო სახელეს.

როგორი იქნება საზოგადოების ზვალინდელი დღე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ბავშვების, მოზარდის თაობის ფსიქოემოციურ ფონზე. მოზრდილთა ბევრი კანონსაწინააღმდეგო, ანტი-სოციალურ ქმედებას საფუძველი ეყრება სწორედ მათ ბავშვობაში, ადრეულ ასაკში და რომ მათ მიმართ თავის დროზე მშობლებს, უფროსებს სათანადო ყურადღება გამოეჩინათ, ისინი გაცილებით ჰუმანური, სასარგებლონი იქნებოდნენ საკუთარი თავის, ოჯახისა და, მთლიანად, საზოგადოებისათვის.

მოუხედავად ცალკეული სამეცნიერო შრომებისა და ჩატარებული კვლევებისა, ბავშვთა აგრესიული ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები საქართველოში კომპლექსურად ბოლო დრომდე არასდროს ყოფილა შესწავლილი. ამიტომ ორმაგად მისასაღებელია ავტორის ძალისხმევა, რომელმაც შესძლო ამ ხარვეზის მნიშვნელოვანწილად აღმოფხვრა და პრობლემა არა მარტო კომპლექსურად განიხილა, არამედ სამეცნიერო და ემპირიული შედეგების შეჯერებით მას მაღალი გამოყენებითი ღირებულება შესძინა.

ქვემოთ წიგნში, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნას დასახელებულ თემაზე შესრულებულ ფუნდამენტურ სამეცნიერო მონოგრაფიად, ავტორი სრულად ახასიათებს აგრესიას ემოციათა სახეობათა სისტემაში, აკუთვნებს რა მას ძირითად ემოციათა რიგს, განიხილავს მისი წარმოშობის სოციო-ეკონომიკურ და ბიო-ფიზიოლოგიურ საფუძვლებს, ფაქტორებს, რომლებიც ახდენენ ასეთ აგრესიულ ქცევაზე ზეგავლენას, ხელს უწყობენ ბავშვის აგრესიულ, მოძალადე პიროვნებად ჩამოყალიბებას.

ბავშვები ადრეული ასაკიდან ავლენენ სუბიექტურ დამოკიდებულებას აგრესიის ობიექტის მიმართ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ცივილიზაციისა და თანამედროვე ტექნიკური მიღწევების (ტელევიზორი, კომპიუტერი) თანმდევი გავლენა ბავშვთა ფსიქიკისა და ქცევის ფორმირებაზე, მათ შორის აგრესიულობის გამოვლენის მხრივ და მოცემულია ავტორისეული რეკომენდაციები მათი ნეგატიური ზეგავლენის დასაძლევად.

დეტალურადაა აღწერილი პრობლემური, ჰიპერაქტიური, შვოთვიანი, აუტისტი ბავშვების ქცევის თავისებურებები და მათი გამოსწორების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური წინამძებრები. ავტორი ავლენს ფსიქონალიტიკური თეორიის სიღრმისეულ ცოდნას და იყენებს მათ ბავშვთა აგრესიის შესწავლისა და დაძლევის რეკომენდაციებში. მის მიერ ასევე მოცემულია რორშახის, როზენცვეიგის, მიურის, რენე ჟილიეს მიერ შემუშავებული პიროვნების საკვლევი ტეს-

ტების აღწერილობა, რომლებიც კარგი საშუალებაა ბავშვის პიროვნული ურთიერთობისა და შიდაოჯახური დამოკიდებულების აღქმის გამოხატვისა და ბავშვის სოციალური შეგუებისა და გარემომყოფებთან მისი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა-შესწავლისათვის.

ავტორი თეორიული და ემპირიული მასალის ანალიზით და შეჯერებით ასკვნის, რომ ბოლო წლებში გამოიკვეთა აგრესიულობის ორივე სახის – *პიროვნულ-სიღრმისეულისა* და *სიტუაციური* მიხედვით – ბავშვთა აგრესიულობის დონის ზრდა. *ბავშვთა სოციალიზაციის* გაძლიერება, მათი ჩართვა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ახდენს მათში აგრესიის გამოვლენის წაძევა-გადადების სტიმულირებას. აღმზრდელ-პედაგოგთა დამოკიდებულება ბავშვებისადმი აღნიშნულ დაწესებულებებში ვერ ხსნის აღნიშნულ პრობლემას: „იგი მხოლოდ აჩქარებს, ანელებს ან გადაყავს ლატენტურ ფორმაში ბავშვთა აგრესიის გამოვლინებები“.

ავტორისეულ ერთერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო სახელზე უნდა მივიჩნიოთ მეთოდისა, რომელიც მან შეიმუშავა აგრესიის გამოვლენის საპროექციოდ, *კრძოდ*, *პიროვნული აგრესიის გამოვლენის სტიმულირების მასალა*, *როზენცვეიგის ტესტის მოდიფიცირებული ვარიანტი*, *რომელიც შედგება ათი სიუჟეტური მასაის სურათისაგან. ხუთი სურათი გამოხატავს ბავშვის-ბავშვთან, დანარჩენი ხუთი, ბავშვის-უფროსთან კონფლიქტური დამოკიდებულების ვარიანტებს. იგი კარგი საშუალება აღმოჩნდა ბავშვების მიერ კონფლიქტური სიტუაციების განცდის მიხედვით სიტუაციური და პიროვნული აგრესიის გამოვლენისათვის. ბავშვთა აგრესიულობის შემცირებისათვის ხელშეწყობის ღონისძიებები ავტორის მიერ მოცემულია არა მარტო ზოგადად, არამედ კონკრეტული ინსტიტუციური ერთეულებისა (ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა...) და შესაბამისი კატეგორიის უფროსების როლის აღწერილობითაც.*

წინამდებარე ნაშრომი, თავისი შემეცნებითი და გამოყენებითი ღირებულებით გაცილებით მეტია, ვიდრე სახელმძღვანელო და მკვლევარ კარგ სამსახურს გაუწევს ბავშვთა ფსიქოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს, მეცნიერ-მკვლევარებით დაწყებული და „რიგითი შშობლებით“ დამთავრებული. მით უფრო, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერება და პრაქტიკული ფსიქოლოგია არაა განუხილველი ასეთი ტიპის ფუნდამენტური შრომებით ბავშვთა ფსიქოლოგიაში, ხოლო ბავშვთა აგრესიის შესწავლის მიზრივ, იმის გათვალისწინებითაც, რომ მასში ფართოდ და, ამავე დროს, შემოქმედებითადაა გამოყენებული ფსიქოლოგიის შესაბამისი სფეროს აღიარებული მკვლევარების, მათ შორის თანამედროვე საზღვარგარეთელ ავტორთა ბავშვთა აგრესიაზე ჩამოყალიბებული შეხედულებები, იგი ფართო მასშტაბიანი ერთერთი სერიოზული ნაშრომია. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნაშრომის გამოქვეყნებით არსებითი გარდატეხა მოხდება თვითონ ბავშვთა ფსიქოლოგიური პრობლემების შესწავლის საქმეში და ბოლო მოსულია ამ პრობლემებისადმი „მონარჩენი პრინციპით“ დამოკიდებულებას, რითაც ასე სცოდავდა ჩვენი (და არა მხოლოდ ჩვენი) სამეცნიერო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საზოგადოება ბოლო ათწლეულების მანძილზე...

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ნათელა იმედაძე

თბილისი,  
15.01.2006 წ.

## შესავალი

აგრესიის ბუნებისა და გამოვლენის ფორმების კვლევა განსაკუთრებით აქტუალური ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პირობებში, როდესაც არსებითად იცვლება საზოგადოებრივ ღირებულებათა იერარქიული სისტემა და თავად ეს ურთიერთობები, ყალიბდება ახალი ტიპის ინსტიტუციური ერთეულები და დამოკიდებულება საზოგადოების წევრებს შორის. ამ დროს ცვლილებების დინამიკა, როგორც წესი, წინ უსწრებს ცვალებადი მოვლენებისა და პროცესების აღქმისა და თეორიული განზოგადების პროცესს, ადგილი აქვს გაურკვეველობისა და, შესაბამისად, დაძაბულობის მომენტის ზრდას საზოგადოების თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფში. არამდგრადი განვითარება, გაურკვეველობა - დაძაბულობა და სტრესი ზრდიან აგრესიის აღბათობას მთელს საზოგადოებაში, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოზრდილთა, მშობლების, უფროსების დამოკიდებულებაზე პატარებისადმი, ახდენს მათში პოტენციური აგრესიული მუხტის გაძლიერებას. ასეთ პირობებში იზრდება ოჯახის, სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, მთლიანად საზოგადოების პასუხისმგებლობა პატარების ნორმალური სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს ფორმირებისა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით აგრესია, ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნილებაა, როგორც თავდაცვის საშუალება; მაგრამ როგორც მეცნიერული კვლევებით ირკვევა, ბავშვებში მოჭარბებულმა აგრესიამ შესაძლოა მომავალში სავალალო შედეგები მოგვცეს. რადგან აღნიშნული სახის ქმედებები, როგორც ეს მრავალი სამეცნიერო შრომიდან ჩანს, შებდგომში უფრო ვითარდება, ტრანსფორმირდება, მყარად იბუდებს მათში და სოციალური ურთიერთობის პროცესში სხვადასხვა

მოხატულების ფორმით, კერძოდ, ინსტრუმენტული მძაფრი ურბალური და ფიზიკური აგრესიით ვლინდება. ამგვარი ბავშვე-  
ნი შექნილი უნარ-ჩვევების არასრულფასოვნების გამო, ვერ ახერხე-  
ბენ თანატოლებთან და უფროსებთან სათანადო ურთიერთობას  
— ჯახში, სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში. დეფორმირ-  
ება მათი პიროვნული თვისებების განვითარება. აგრესიული  
ბავშვი პრობლემაა არა მხოლოდ გარშემომყოფთათვის, არამედ  
კვი საკუთარ თავსაც აყენებს ზიანს.

მიუხედავდ იმისა, რომ საქართველოში ყოველთვის ძლიერი იყო  
წარადიციული ოჯახის ინსტიტუტი, ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში  
კატრიკულუმმა დრამატულმა მოვლენებმა, დაღი დააჩნიეს როგორც  
მათ, ასევე სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებსაც.

როგორც მსოფლიო თანამედროვე კვლევები ადასტურებს,  
გ.წ. „სანიშნო მშობლების“ ოჯახებში და ასევე პედაგოგების  
მიერ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მშვიდი ახსნა-  
განმარტებების და საუბრების ნაცვლად, მიღებული აღზრდის  
სტილი — ფიზიკური დასჯა, ბავშვებს უყალიბებს მათდა-  
მი მოპყრობით გამოწვეულ წყენას, გაბოროტებას, შურისძიებას.  
ეს კი ნოყიერ ნიადაგს ქმნის მათ აგრესიულ პიროვნებად ფორმირე-  
ბისათვის.

თანამედროვე პირობებში, როდესაც პრიორიტეტად ითვლება  
განათლების სისტემის რეფორმა, სასწავლო-სააღმზრდელო დაწე-  
სებულებების შინაარსის ძირფესვიანი შეცვლა, პირველ რიგში  
კვათვალისწინებულ უნდა იქნას აღსაზრდელო და მოსწავლეთა  
ქოციური გარემოს მოწესრიგება, რაც გულისხმობს ბავშვებთან  
ურთიერთობის სტილის შეცვლას. კერძოდ, ავტორიტარული  
დამოკიდებულების, ფასეულით შეცვლას, მათთან ინდივიდუალურ  
და ჯგუფურ მუშაობას. ეს უზრუნველყოფს მათ წარმატებას  
სკოლაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში, მომავალში კი საკუ-  
თარი ღირსებით გამორჩეული თავისუფალი ადამიანების ჩამოყა-

ლიბებს, რომლებიც პატივს სცემენ სხვათა აზრს და დამკვიდრდებიან ნორმალური სამოქალაქო საზოგადოების წევრებად. მოკლედ, პრობლემის გადაჭრა გულისხმობს, სრულფასოვან, საკუთარი ღირსების შეგრძნებით და ახლობლების მიმართ პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მატარებელი პიროვნების აღზრდას, რომელიც სკოლაში გამოირჩევა დამოუკიდებლობით, არ უჭირს თანაკლასელებთან ურთიერთობა, ინარჩუნებს პირად ღირსებებს და ადვილად ეწვევა დისციპლინას.

სკოლაშდელ და სასკოლო დაწესებულებებში ბავშვთა ემოციებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ გამოკვეთა ნაშრომის შექმნის მიზანი. კრძოდ, აქტუალურად მივიჩნით გვეკვლია ბავშვთა აგრესიულობის ბუნება, ასაკობრივი დინამიკა. აგრეთვე, მზარდი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების პირობებში ოჯახის წევრების, ასევე პედაგოგების მკვეთრი გაღიზიანება რამდენად პროეცირდება პატარებისადმი მათ დამოკიდებულებაზე, როგორია თანატოლებთან ურთიერთობები, მათი აგრესიული ფონი სოციალური ურთიერთობის პროცესში და რა სახის აგრესია დომინირებს მათში. ნაშრომის მიზანია აგრეთვე იმ ფაქტორების გაშუქება, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის აგრესიულ, მოძალადე პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.

აგრესია ბავშვის ემოციათა კატეგორიას მიეკუთვნება და ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ამ სისტემაში. მისი გამოვლენის ფორმების მრავალფეროვნება, ისევე როგორც გამოშვებულ მიზეზთა მრავალმხრივი (ბიო-ფსიქიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.) ხასიათი, მისდამი ყოველთვის იწვევდა მეცნიერების, პრაქტიკოსი სპეციალისტების, საზოგადოების სხვადასხვა ფენის, განათლებისა და ასაკის პირთა შეუწელებელ ინტერესს.

ბავშვთა აგრესიის სხვადასხვა მიმართულებით კვლევის შესახებ მრავალი ფსიქოლოგი იყო დაინტერესებული. მათგან აღსანიშნავია: ლეონარდ ბერკოვიცი, რობერტ ბერონი, დებორა რიჩარდსონი, ბარბარა კრეიზი, ბასი, ფრომი და სხვები. აგრესიის საკითხები

განხილულია ქართველი მეცნიერების, შ. ნადირაშვილის ნ. ლმედაძისა და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის სხვა წარმომადგენლების შრომებში, მაგრამ სპეციალური კვლევები ამ საკითხვის ირგვლივ საქართველოში არ ჩატარებულა.

ზოგადად, ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული სამუშაოებისა და კვლევების მიხედვით შეიძლება დავადგინოთ ბავშვთა აგრესიული ქმედების დონე და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. აგრესიულობის გამომწვევ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია: ბიოლოგიური საფუძვლები, ოჯახური აღზრდის ტიპი, აგრესიული ქცევების მაგალითები, რომელსაც ბავშვი შესაძლებელია აკვირდებოდეს ტელეეკრანიდან, ოჯახური ურთიერთობის დროს დამოკიდებულება მშობელთა შორის, თანატოლების მხრიდან განცდილი ემოციური დაძაბულობა, ფრუსტრაცია (იმედგაცრუება, განაწყენება, მარცხი). და-ძმის დამოკიდებულება, არასრული ოჯახები.

დასახელებული ფაქტორები ცალსახად ყველა ბავშვში არ მოწვევს აგრესიულ ქმედებას. აღზრდის ერთი და იმავე პირობებში მყოფი ბავშვები შესაძლოა აგრესიის ხარისხის მიხედვით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სხვადასხვა მეცნიერების მიერ ბავშვებზე ჩატარებული მრავალწლიანი კვლევები და ასევე მათზე დაკვირვებები მოწმობს, რომ აგრესიულობა, რომელიც ადრეულ ბავშვობაში შეიძენილი, მის მყარ თვისებად რჩება და მთელი ცხოვრების მანძილზე მოჰყვება. იგი პრობლემური ხდება განურჩევლად ყველას მიმართ, რაც შესაძლებელია აისახოს როგორც ოჯახთან, ასევე სკოლაში შედეგოვებთან თავისებურ დამოკიდებულებასა და სწავლის ხარისხში.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოს ფსიქოლოგიური სკოლის განვითარების მიღწეული დონე მნიშვნელოვნადაა განპირობებული აღნიშნული პრობლემის სისტემური და სიღრმისეული კვლევის შედეგზე. უფრო მეტიც, მისი გამოვ-

ლენის კუმულატური ეფექტი კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში თავს იჩენდა საზოგადოებრივ ძალთა ქმედებაში, სოციალურ გამოსვლებში, ომებსა და რევოლუციებში. აგრესია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფონს და საზოგადოების წვერთა ურთიერთმიმართების ხასიათსა და ფორმას.

აგრესია ადამიანთა ერთ-ერთი იმანენტური თვისებაა და შესაბამისად, იგი ახასიათებთ მათ აბსოლუტურად ყველა ასაკში, მათ შორის ბავშვობის ასაკში. ამასთან, ბავშვის ბუნება, შინაგანი კონსტიტუცია შესაბამის ასაკში ჩამოყალიბების სტადიაშია, იგი ფაქტობრივად არაა „დამძიმებული“ იურიდიული, ეთიკური და სხვა ფაქტორებით, მისი რეაქცია ბუნებრივი და უშუალოა და შესაბამისად, მისი რეაქცია, აგრესია წარმოადგენს სამყაროს აღქმის, მისი სიცოცხლისა და ინტერესებისადმი საფრთხის, საშიშროების მისეული შეფასების გამოვლინებას. ამ მხრივ საზოგადოებაში მიმდინარე მასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები, ახდენენ რა არსებით გავლენას მოზრდილების, მშობლების მდგომარეობაზე, გუნება-განწყობილებაზე, არ შეიძლება რომ შესაბამისი ზეგავლენა ასევე არ მოახდინონ ბავშვთა ემოციურ ფონზე, ამ უკანასკნელთა აგრესიულობაზე და გამოვლენის ფორმებზე.

## თავი I. აგრესია ემოციათა სახეობების სისტემაში

ემოციის არსი და მეცნიერული თეორიები

შეუძლებელია აგრესიის არსის, ბუნების, მისი ადგილისა და როლის სრული წარმოჩენა ფსიქოლოგიაში, თუ არ იქნა განხილული ემოციური სფეროს მთელი სისტემა. სწორედ და მხოლოდ ამის საფუძველზეა შესაძლებელი აგრესიის ადგილის, როლისა და ფუნქციების განსაზღვრა.

ემოცია -- ეს არის (ფრ. emotion; ლათ. emovere -- აღვზნება, მღელვარება) -- ფსიქიკური, სულიერი განცდა, გრძნობა, მღელვარება (ბრაზი, შიში, აგრესია, სიხარული, წყენა და ა.შ.), რომელიც წარმოიშობა ადამიანში განსაზღვრულ მომენტსა და კონკრეტულ საიტუაციაში შინაგანი და გარეგანი გამღიზიანებლების ზემოქმედების შედეგად. იგი ტერმინის ზოგადი საყოველთაო განმარტებაა.

ტერმინი „ემოცია“ როგორც აღნიშნავს გოლდსმიტი, გამოიყენება რეაქციის, მდგომარეობის, ხასიათის, თვისების, გრძნობის, განწყობის აღწერისათვის.

ყოველი ემოცია, როგორც ემოციური განცდა, მარტივი გრძნობების მონაწილეობას გულისხმობს კერძოდ: სიამოვნება - უსიამოვნებას და აღვზნება -- დამშვიდებას, აღნიშნავს დ. უზნაძე და ზოგადად ემოციებს ოთხ ჯგუფად ყოფს. ესენია: სასიამოვნო ემოციების ორი ჯგუფი, აღვზნებისა და დამშვიდების სასიამოვნო ემოციები, და უსიამოვნო ემოციების ორი ჯგუფი - აღვზნებისა და დამშვიდების უსიამოვნო ემოციები (დ. უზნაძე, 2003).

მაკ-დაუგოლი ემოციების კლასიფიკაციის საფუძველად ინსტინქტებს მიიჩნევს და იმდენ ემოციათა ჯგუფს გამოყოფს, რამდენი განსხვავებული ინსტინქტიც არსებობს. მისი აზრით, ემოცია ინსტინქტური პროცესის აფექტური გამოვლენაა.

ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა *სიამოვნება-უსიამოვნების* განსხვავებული ბიოლოგიური ფესვების შესახებ. *სიამოვნება*, მისი აზრით, ცოცხალი არსების წარმატების, ხოლო *უსიამოვნება*, პირიქით, წარუმატებლობის ნიშანია.

სპენსერის აზრით, *უსიამოვნების გრძობები ორგანიზმისათვის მავნებელი პროცესების კორელატს წარმოადგენენ*, *სიამოვნება კი სასარგებლო პროცესების კორელატს*. ე.ი. სიამოვნების განცდა მაშინ აქვს ორგანიზმს, როდესაც მის ორგანიზმში რაიმე სასარგებლო პროცესი მიმდინარეობს. უსიამოვნების დროს კი, პირიქით.

ჩ. დარვინი, თავისი ექსპერიმენტული მუშაობიდან გამომდინარე, მიუთითებდა ემოციის ბუნების გამომხატველ მოძრაობათა თავისებურებებზე და აღნიშნავდა, რომ მოძრაობები, რომელთაც ინდივიდები ემოციების შემთხვევაში ავლენენ, წინანდელი მიზანშეწონილი მოძრაობების რუდიმენტები არიან, მისი აზრით, ემოცია და ინსტინქტი ერთმანეთისაგან განუყოფელია, რაზედაც მაკ-დაუგოლიც მიანიშნებს.

აღნიშნული მოსაზრებები კიდევ უფრო განავითარეს ჯემსმა და ლანგემ, რომელთა თეორიაც დაფუძნებულია გამომხატველ მოძრაობათა როლის მნიშვნელობაზე. მათი აზრით, *ემოცია სხეულებრივი პროცესების ცნობიერებაში ანარეკლი და შინაშეგრძნებების კომპლექსია*.

ცნობილი ფიზიოლოგების კენონის, შერინგტონის, ლიპერისა და სხვათა აზრით, ვისცერალური პროცესები ემოციის არსს არ წარმოადგენენ. ემოციური განცდა ფიზიკური შეგრძნებების გარეშე ჩნდება, იგი ადამიანისათვის გარემოსთან შეგუების იარაღს წარმოადგენს, ენერგიასა და აქტიობას კმატებს მას ზიფათის დაძლევისას; მათ საწინააღმდეგო პოზიციას ავითარებს და ემოციას ვისცერალურ ფუნქციას ანიჭებს ვენგერი.

მეცნიერები კლასპარედი და ჟანე აღნიშნავენ, რომ ემოცია პიროვნების რეაქციაა ისეთ სიტუაციაზე, რომელსაც იგი ვერ

ეგუება. იგი პიროვნებაში ჩნდება გარემოსთან მისი ვერშეგუების პერიოდში.

შტერნი აღნიშნავდა, რომ ვისცერალური და ვაზომოტორული რეაქციები ემოციური პროცესების „დამატებით ფაქტორს“ წარმოადგენენ. როგორც ჩანს, ნერვიული სისტემა და ენდოკრინული აპარატი ჩართულია ემოციური განცდების გენეზისში და ადამიანის ემოციური განცდები აღმოცენდებიან ცენტრალური ნერვიული სისტემის მონაწილეობით, აღნიშნავდა იგი.

60-70-იანი წლების ფსიქოლოგების აზრით, ემოცია ასახავს ადამიანის პირველად მოტივაციურ სისტემას. ზოგიერთი მეცნიერი ემოციას მოკლევადიან, წარმავალ მდგომარეობად განიხილავს. განსხვავებით მათგან ფსიქოლოგი შახტენი აღნიშნავს, რომ ადამიანები სისტემატურად ამა თუ იმ ემოციის გავლენის ქვეშ არიან და ქცევა და აფექტი ერთმანეთისაგან განუყოფელია.

მეცნიერები არნოლდი, ლაზარუსი, იანგი თელიან, რომ ემოციას დეზორგანიზაცია შეაქვს და აზღვევს ადამიანის ქცევას, იგი ფსიქოსომატური დაავადების ძირითადი წყაროა. სხვა ავტორები, პირიქით, მოუთხოვენ პიროვნების ქცევის მოტივაციასა და ორგანიზაციაზე, ასევე მის განმტკიცებაში ემოციის პოზიტიურ როლზე.

მრავალი ფსიქიატრი და ფსიქოკლინიცისტი სხვადასხვა სახის ფსიქო-პათოლოგიურ და ადაპტაციურ დარღვევებს განიხილავს, როგორც „ემოციური სფეროს დაავადებას“. მათი მოსაზრების საწინააღდეგოს ამტკიცებს მაუერი, რომელიც აღნიშნავს, რომ ფსიქოპათოლოგია და დეზადაპტაცია იწვევს არა ემოციურ დარღვევებს, არამედ დარღვევებს აზროვნებასა და ქცევაში. სხვა მეცნიერები ემოციას გამშვები მექანიზმის როლს ანიჭებენ კოგნიტურ პროცესებში, რომლებიც წარმოშობენ და მართავენ მათ.

მეცნიერთა შორის არსებობს აზრი, რომ ადამიანს შეუძლია თავი აარიდოს, გაექცეს ფსიქოპათოლოგიურ დარღვევებს, გადაწყვიტოს მრავალი პიროვნული პრობლემა, თუ შექმნის იტყვიან არაღქ-

სსსრკ-ის იტყვიან არაღქ-  
საბავთბოზო-მედიკინის ინსტიტუტი  
ბიბლიოთეკა  
17

ვატურ ემოციურ რეაქციებზე, კერძოდ, ემოცია ცნობიერების მკაცრ კონტროლს დაუმორჩილოს. ამისათვის კარგი საშუალებაა ემოციების გამოთავისუფლება მათთვის ჩვეული ურთიერთობქმედების პროცესებიდან (პომპოსტატური, კოგნიტური პროცესები, დრაივები, მოძრაობითი აქტები).

როგორც ცნობილია, ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს გარემოში, რომელიც მუდმივად ზემოქმედებს მასზე. მას ესმის ხმაური, მეტყველების ბგერები, ხედავს გარშემო მყოფ ადამიანებს, სავნებს. სწვდება მათ შორის მიმართებებს, იმახსოვრებს მომხდარ ამბებს, ე.ი. იმეცნებს ობიექტურ სინამდვილეს. მაგრამ ყოველივე სარკესავით კი არ აირეკლება მასში, არამედ იგი გარკვეული აზრით აფასებს მათ. ზოგიერთი საგანი აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს, ზოგიერთი, პირიქით, ხელს უშლის ამაში. „სწორედ გარემოში მყოფი ადამიანების, სავნების, მომხდარი მოვლენების მიმართ ინდივიდის დამოკიდებულების განცდა ფსიქოლოგიაში ემოციური პროცესების სახელით აღინიშნება.“ (რევაზ ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1977).

6. იმედამე, თავის ნაშრომში „ემოციური აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები“, ემოციის გენეტიკური ბუნების განხილვისას გამოყოფს ორ ძირითად ტენდენციას: 1. ემოციის დიფერენციაცია, 2. სოციალიზაცია (თბილისი, 1973, გვ.5).

ადამიანის ქცევაში ემოციის ერთ-ერთი მთავარი როლის შესახებ მოუთითებდნენ სწავლების ფსიქოლოგიის გამოჩენილი სპეციალისტები ლიპერი და მაუერი. მაუერი ასაბუთებდა, რომ ემოცია ითვლება ერთ-ერთ ძირითად, შეუცვლელ ფაქტორად ქცევაში მიმდინარე იმ ცვლილებებისა, რომელთაც „დასწავლას“ ვეძახით. მაუერმა გონებასა და ლოგიკასთან შედარებით წინ წამოსწია ემოციის ფუნქცია და ცოცხალი ორგანიზმისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიანიჭა.

ჟ. პიაჟეს კონცეფციის ამოსავალ წერტილს ინდივიდის გარემოსთან შეგუება, ანუ ადაპტაცია წარმოადგენს. რომელიც გამო-

სახავს წონასწორობის მდგომარეობას ორგანიზმსა და გარემოს შორის. ბავშვის ევოლუციის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს ემოციური, სოციალური და კოგნიტური პროცესების ერთიანობით. ემოციურობა წარმოშობს ქცევის სხვადასხვა ფორმის ენერგეტიკას, რომელთა სტრუქტურა შეესატყვისება შემეცნებით ფუნქციას; ენერგეტიკა არკვევს სტრუქტურალიზაციას, სტრუქტურალიზაცია – ენერგეტიკას, სხვა შემთხვევაში ისინი ვერ შესძლებდნენ ერთმანეთის გარეშე ფუნქციობას.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, ფსიქოლოგებს, ფილოსოფოსებს და პედაგოგებს სხვადასხვა პერიოდში და ეპოქაში განსხვავებული აზრი და შეხედულებები ჰქონდათ ადამიანის ორგანიზმისა და მისი ცხოვრებისათვის ემოციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

თანამედროვე მკვლევარი იზარდი ახდენს ემოციების დიფერენციაციას და აღნიშნავს, რომ *სიხარული*, *სიყვარული*, *ბრაზი*, *აგრესია*, *გაკვირვება*, *შიში*, *ზიზჯი*, *წყენა*, ითვლება ბაზისურ ემოციად, რადგან მათი განცდა ყველა ადამიანს შეუძლია. თითოეული ამ ემოციათაგანი სამი ელემენტისაგან შედგება, ესენია: სუბიექტური განცდა, ფიზიოლოგიური ცვლილება და გარეგნული ქცევითი რეაქცია. გარდა ბაზისური ემოციებისა, ადამიანები განიცდიან კომპლექსურ (რთულ, მეორად) ემოციებსაც, როგორიცაა: *სიამაფე*, *სირცხვილი*, *დაძნეულობა*. ბაზისური ემოციებისაგან განსხვავებით კომპლექსურ ემოციებს შეფარდებითი კომპონენტები აქვთ. ამგვარი სახის ემოციები სხვადასხვა ეთნო - სოციალურ კულტურაში სხვადასხვანაირად განიცდება.

შეცნიერთა კვლევები ადასტურებს, რომ ბაზისურ ემოციას მსოფლიოში მცხოვრები ყველა ადამიანი პრაქტიკულად ერთნაირად გამოხატავს (Izard, 2000), რაც ბიოლოგიურად და გენეტიკურად კოდირებულ ფაქტორებზე მიგვანიშნებს.

არსებობს დადებითი და უარყოფითი ემოციები: *სიხარული* - კმაყოფილების გამოხატველი დადებითი ემოციაა. *შიში*, *ბრაზი*,

წყენა - უკმაყოფილების გამომხატველი უარყოფითი ემოცია. მათ შორის არსებობს გარკვეული მიმართება.

რაც უფრო ძლიერია ბავშვის არასასურველი ემოციური გუნება - განწყობა, მით უფრო გაძნელებულია მისი გარესამყაროსთან შეგუება. რიგ შემთხვევებში, ტრავმატული სიტუაციების დროს დაგროვილმა უარყოფითმა რეაქციებმა შეიძლება გამოიწვიოს აგრესიული ქმედებები. რეალურ სიტუაციაში დაძაბულობა და ემოციური განტვირთვისათვის არარსებული ოპტიმალური პირობები, აგრესიის ამოფრქვევის დიდ საშიშროებას ქმნის. ყოველივე ეს მჟღავნდება უფროსებისა და თანატოლების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებებში. აგრესიის შედარებით იოლი ფორმაა მისი სიტყვიერი გამოხატვა, გაცილებით უფრო რთულდება საქმე ფიზიკური აგრესიის დროს (ჩხუბი, ფსიქიკური აშლილობა, საკუთარი თავისა და სხვისთვის ზიანის მიყენება), რაც საშიშია როგორც ბავშვის, ასევე მის გარშემომყოფთათვისაც.

ნებისმიერ ბავშვს მეტ-ნაკლებად აქვს შიშების განცდის ინტენსივობა. მაგრამ თუ იგი მოჭარბებულად ვლინდება, საქმე ეხება შფოთვას. შფოთვა ინდივიდის ფსიქოლოგიური თავისებურება არ არის. იგი პიროვნებაში ცხოვრებისეული სიტუაციების შედეგად მოჭარბებული მღელვარებისას წარმოიშობა, თუნდაც ამის საბაზი არ არსებობდეს. შფოთვა არაადაპტური სინდრომის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია, იგი გულისხმობს პიროვნებაში დომინირებულ მოჭარბებულ შიშებს და ამით გამოწვეულ ფსიქიკურ, კერძოდ, „პანიკურ“, „ფობიურ“ მოშლილობასა და „პოსტტრავმატულ სტრესს“.

ფსიქოლოგი კ. იზარდი შიშისა და შფოთვის განმასხვავებელ ნიშნებზე მიუთითებს და აღნიშნავს: „შფოთვა არის სხვადასხვა ემოციის კომბინაცია, შიში კი ერთ-ერთი იმათგანია“.

თანამედროვე მეცნიერები შფოთვის წარმოშობის მიზეზებად მიიჩნევენ მშობლისა და ბავშვის ურთიერთდამოკიდებულებაში

არსებულ შეუსაბამობებს, რაც გამოიხატება ბავშვისადმი მშობლების არაადექვატურ, ხშირ შემთხვევაში, ბავშვის დამორცხველ მოთხოვნებში. ეს გარკვეულწილად საბავშვო ბაღსა და სკოლას უკავშირდება. არსებობს მოსაზრება, რომ სწავლის მიმართ შფოთვიანობა ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ყალიბდება. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც პედაგოგისა და მშობლის მუშაობის სტილით, ისე ბავშვის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნებით, თანატოლების მხრიდან დაცინვის შიშით და სხვა. შფოთვის ასევე შეიძლება დაერთოს ნევროზი და სხვა ფსიქიკური დარღვევები.

ადამიანები ცდილობენ მეტ-ნაკლებად მართონ თავიანთი ემოციები და აკონტროლონ იგი გარშემომყოფებთან ურთიერთობისას, კერძოდ: *ძიძის დაძლევათ, ბრაზის შეკავებით, სიზარულის დაფარვით*. უმცროსი სასკოლო და უფროსი ასაკის ბავშვები ხშირად ცდილობენ კოგნიტური საშუალებებით მოახდინონ ემოციების რეგულირება. ისინი საკუთარ თავს აიძულებენ იფიქრონ არასასურველი სიტუაციების დადებით ასპექტებზე, ან საკუთარი თავი აიძულონ ყურადღება არ მიაქციონ იმას, რაც მათ გაანაწყენებთ.

ბავშვებს, რომლებიც ვერ ახერხებენ საკუთარი ემოციების რეგულირებას, ხშირად პრობლემები აქვთ თანატოლებთან ურთიერთობაში. ისინი ვერ აკონტროლებენ ბრაზს, აგრესიას, წყენას, განსაკუთრებულ სირთულეებს განიცდიან კონფლიქტების მოგვარებისას, რაც თანატოლებთან მათი ურთიერთობისას აისახება.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ერთ-ერთი დამახასიათებელი სპეციფიური ნიშანია ის, რომ მათთვის რთულია სხვა ადამიანების ემოციების გაგება. პიაჟემ ამ ფენომენს *ეგოცენტრიზმი* უწოდა. სწორედ ხასიათის ეს ფაქტორია ბავშვის წინაოპერაციული სტადიის განმსაზღვრელი. სხვა ადამიანების ემოციების შემჩნევისას, მათში ასევე იღვიძებს თანაგრძნობის, დახმარების გრძნობა. ყოველივე ეს მათ ეხმარებათ უკონფლიქტოდ ითამაშონ თანატოლებთან. ისინი იგებენ საკუთარი საქციელით სხვაზე ზემოქმედების უპი-

რატესობას, ასევე უჩნდებათ ემპათია სხვების მიმართ და საკუთარი ემოციის უკეთ რეგულირების უნარი.

### აგრესია არსი და მეცნიერული თეორია

ტერმინი „აგრესია“ (ლათ *Aggressio*) აღნიშნავს სხვადასხვა ქმედებას, კერძოდ: თავდასხმას, მტრობას და სხვა. ეს ტერმინი ასევე გამოიყენება მოტივირებული მოქმედების აღნიშვნისას, მაგალითად: ფრუსტრაცია, შიშ, შფოთვა, სხვების დაშინება, მოგერიება, საკუთარი იდეის აღიარებისაკენ და საკუთარი ინტერესების განხორციელებისაკენ სწრაფვა. ეს არის ტერმინის ზოგადი განსაზღვრება, თუმცა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, იგი სრულად არ ასახავს მისი გამოყენების ნიუანსებს. ამ ტერმინის კონკრეტული გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თეორიულ მიმართულებას ავითარებს ავტორი, მაგ., ეტოლოგები აგრესიას განიხილავენ როგორც ევოლუციური ცვლილებების (ინსტინქტური) რეაქციების ნიმუშს განსაზღვრულ სტიმულებზე, რაც გულისხმობს ტერიტორიაში შეჭრას, თავდასხმას შთამომავლობაზე, და ა. შ. ფროიდის მიმდევრები აგრესიას განიხილავენ, როგორც ტანატოსის გამოვლენას ცნობიერებაში (სიკვდილის ჰიპოტეტური ინსტინქტი). ადლერის მიმდევრები აგრესიას აფასებენ, როგორც სწრაფვას ძალაუფლებისაკენ, სხვათა კონტროლის სურვილს და სხვა.

ის მეცნიერები, რომლებიც აგრესიას და ფრუსტრაციას ერთმანეთთან კავშირში განიხილავენ, ამ ცნებაში გულისხმობენ ფრუსტრაციის სიტუაციაზე ნებისმიერ რეაქციას (ფრუსტრაცია-აგრესიის ჰიპოთეზა). არსებობს რამდენიმე მიდგომა:

სოციალური დასწავლის მეცნიერების თეორიის მიმდევრები აგრესიის აქტს განიხილავენ როგორც სხვებზე დაკვირვების შედეგად განმტკიცებულ ქმედებას.

აგრესიის ცნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია მრავალი თეორეტიკოსის კონცეფციაში და, როგორც ხშირად ხდებოდა, სოციალურ მეცნიერებაში ტერმინის გამოყენება დამოკიდებული

იყო იმაზე, თუ რომელ თეორიას ეყრდნობოდა პრობლემის კვლევა. ამიტომაც მეცნიერებს უჭირდათ ცნების ერთგვაროვანი, ზუსტი განსაზღვრების ჩამოყალიბება.

ალტრუისტული აგრესიის განსაზღვრისას მეცნიერები მას თავდაცვით ფუნქციას ანიჭებენ, მაგ., „დელობრივი აგრესიის ინსტინქტი“, რომელიც, როგორც წესი, დამახასიათებელია მდედრობითი სქესის ინდივიდისათვის, როდესაც მის მონაგარს რაიმე საფრთხე ეპყრება.

*ინდუცირებული აგრესიის* ცნებას მეცნიერები იყენებენ აგრესიულ რეაქციებზე ექსპერიმენტული პროცედურების ჩატარებისას, კერძოდ, საექსპერიმენტო ცხოველს იძულებით ამყოფებენ სტრესის ზემოქმედების ქვეშ (მაგ., დენის დარტყმა) სხვა ცხოველის ან ნეიტრალური ობიექტის თანდასწრებით. ამ მდგომარეობაში მყოფი ცხოველი აგრესიული ხდება სხვა ობიექტის მიმართ.

*შიშით გამოწვეულ აგრესიას* მეცნიერები ამგვარად ხსნიან: იგი შიშით გამოწვეული თავდაცვის ინსტინქტის ამოქმედების შედეგია, რაც ვლინდება ძლიერი სტრესის შედეგად. მაგ., თვინიერ ცხოველს, რომელიც მტაცებლის მიერ არის მომწყვდეული და გასაქანს არ აძლევს, სწრაფად ეუფლება აგრესია და თვითონ უტევს მტაცებელს.

მტაცებლურ აგრესიას მეცნიერები განსაზღვრავენ, როგორც ნადავლისათვის ბრძოლას. მრავალი ეტოლოგი ამგვარ ქცევას არ განიხილავს, როგორც ჭეშმარიტ აგრესიას და მიუთითებს მის ბუნებრივ, აუცილებლობიდან გამომდინარე ძალადობრივ რეაქციაზე, მაგ., არდრეი (Ardrey, 1970), და მუნგერი (Munger, 1971), თავიანთ შრომებში, ავითარებენ ევოლუციური თეორიის პოპულარულ ვერსიას. კერძოდ, არდრეი ამტკიცებს, რომ ბუნებრივი შერჩევის შედეგად გაჩნდა ახალი სახეობები — მონადირეები, რომლებიც თავს ესხმოდნენ მსხვერპლს, იმისათვის, რომ არ ემიმშილათ ისინი არ ურიდებოდნენ ხიფათს. სხვა შემთხვევა-

ში მათ არსებობას საფრთხე დაემუქრებოდა. ისინი ნადირობისას ანატომიურ და ფიზიოლოგიურ ადაპტაციას განიცდიდნენ. კაცობრიობას ნადირობისაკენ სწრაფვის აგრესიის საფუძველს ბუნება უყალიბებს, აღნიშნავდა არდრი.

როგორც მეცნიერული კვლევებიდან ჩანს, ტერმინი აგრესია გულისხმობს მიზანმიმართულ მოქმედებას, სხვისთვის განზრახ ზიანის მიყენების თვალსაზრისით. აგრესორი თავისი ნებით შეურაცხყოფს მსხვერპლს, რაც მრავალრიცხოვან კითხვებს წარმოშობს მეცნიერ-ფილოსოფოსებში.

მეორეს მხრივ, როგორც კარგადაა ცნობილი ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, განზრახვა შეიძლება იყოს პირადული, დაფარული და აგრესიის აქტის განხილვისას მათ ჩანაფიქრზე დაკვირვება სხვებისათვის შესაძლოა მიუწვდომელი აღმოჩნდეს. ეს ქმედება შეიძლება განსჯის საგანი გახდეს არსებულ პირობებში. კერძოდ, რა იყო აგრესიის წინაპირობა. დასკვნების მოცემა შეუძლიათ როგორც აგრესიულ ქმედებებში უშუალო მონაწილეებს, ასევე დამკვირვებელ მხარეს, რომლებიც შეეცდებიან მოცემული განზრახვის ახსნას.

აგრესიის განსაზღვრებაში განზრახვის ჩართვამ აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა იმის გაგებაში, თუ ქცევის რა და როგორი ფორმა შეიძლება ჩათვლილიყო აგრესიის აქტად.

ბერონმა და რიჩარდსონმა მოგვცეს „აგრესიის“ ტერმინის განსაზღვრება: „აგრესიის მიზანს წარმოადგენს ზიანი ან შეურაცხყოფა მიაყენოს სხვა ცოცხალ არსებას, რომელიც ცდილობს გაექცეს ამგვარ დამოკიდებულებას“. ისინი აგრეთვე განმარტავდნენ აგრესიის კვლევის საშუალებას.

როგორც გამოიკვეთა, აგრესია, როგორც ქცევის ფორმა, მიზანმიმართულია, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენოს ვიდაცას. მიუხედავად იმისა, რომ ამ განსაზღვრებას მრავალი მკვლევარი იყენებს თავის შრომებში, იგი მაინც არ ითვლება საყოველთაოდ აღიარებულად.

დღესდღეობით ტერმინი „აგრესია“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება როგორც სამეცნიერო შრომებში, ასევე ყოველდღიურ მეტყველებაში, როდესაც ინდივიდი ხასიათდება, როგორც „აგრესიული“, ან ქცევა განიხილება, როგორც „ძალადობრივი“. სიტყვა „აგრესია“ აღნიშნავს სხვათა უფლების ძალადობრივ დარღვევას და შეურაცხყოფელ მოქმედებას, თანაბრად ყველას მიმართ გამოხატულ უტიფარ ქცევას.

ზოგიერთ შემთხვევაში აგრესია განიხილება ფართო მნიშვნელობით. მაგ., მრავალი ფსიქოანალიტიკოსი აგრესიას განიხილავს, როგორც არამოტივირებულ თავდასხმას სხვა ადამიანზე, ასევე თავისუფლებისაკენ სწრაფვას. აგრესია გაცნობიერებული მოქმედებაა, რომელიც გულისხმობს განზრახ ზიანის მიყენებას ცალკეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის ან ცხოველისადმი. ე. ფრომი აგრესიას განსაზღვრავს უფრო ფართოდ — ზიანის მიყენებას არა მხოლოდ ადამიანის ან ცხოველისადმი, არამედ საერთოდ ნებისმიერი ობიექტისადმი.

აგრესიის ფორმებს შორის მკვეთრი საზღვრები არ არსებობს. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ სხვა ადამიანისადმი განზრახ ზიანის მიყენებას, არამედ მისი საფუძველი შესაძლოა გახდეს პიროვნების ინტელექტუალური მიღწევების აღიარება, დამოუკიდებლობის დამტკიცება. ასევე პირადი ღირსების დაცვა, რაც უპირველესად ადამიანებს შორის საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას გულისხმობს.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მტრული და ინსტრუმენტული აგრესია. ამ შემთხვევაში აგრესიის ძირითადი მოტივი შესაძლოა იყოს სხვისთვის ზიანის მიყენების სურვილი (უარყოფითი ემოციის გამოვლენა — მტრული აგრესია); ან სწრაფვა, აგრესიული ქმედების საშუალებით მიაღწიოს დასახულ მიზანს (ინსტრუმენტული აგრესია). აგრესიის მოტივაციის ეს ორივე სახე ხშირად ერთმანეთის ანალოგიურია.

როგორც აკადემიკოსი შ. ნადირაშვილი აღნიშნავს, ინსტრუმენტული აგრესიის მოთხოვნილება ინდივიდის თანდაყოლილი ტენდენციაა. იგი მას ეხმარება სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში. მისი დახმარებით ინდივიდს შეუძლია თავიდან ჩამოიცილოს მეტოქე, რომელიც ეცილება მას სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. სოციალური ურთიერთობები აძლიერებენ და აფართოვებენ აგრესიას. შ. ნადირაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა კულტურაში აგრესიის ხარისხის დონე სხვადასხვანაირია. კერძოდ, განსხვავებულია, და თავისებური სახით ვლინდება. მას მოყავს ჰორსტინის მაგალითი, მშვიდობისმოყვარე იროკუზების ტომში აგრესიის დაბალი დონის შესახებ მანამ, ვიდრე მათ ქვეყანაში თურქანანი დამპყრობლები შეიჭრებოდნენ. შეჭრის შემდეგ, მათი მშვიდობისმოყვარეობიდან აღარაფერი დარჩა. შემდეგში იგი აგრესიულ ტომად იქცა და აგრესიის ტენდენციას ამჟღავნებდნენ მაშინაც, როდესაც ამისათვის არავითარი პირობა არ არსებობდა (შობუტანი, 1969). (შ. ნადირაშვილი, 2001).

ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ დამაბული ურთიერთობა აძლიერებს აგრესიულობის ხარისხს.

მეცნიერები აგრესიას განიხილავენ *ღიზიანების სახით, რომელსაც სხვადასხვა საფუძვლები გააჩნია: ფიზიკური-ვერბალური, აქტიური-პასიური, პირდაპირი-ირიბი, კთილთვისებიანი-ავთვისებიანი.*

ბასმა მოგვცა აგრესიის გამოხატულების სახეების ფორმისა და აგრესიული ქცევის ტიპოლოგია, ესენია:

- ფიზიკური – აქტიური – პირდაპირი;
- ფიზიკური – აქტიური – ირიბი;
- ფიზიკური – პასიური – პირდაპირი;
- ფიზიკური – პასიური – ირიბი;
- ვერბალური – აქტიური – პირდაპირი;
- ვერბალური – აქტიური – ირიბი;
- ვერბალური – პასიური – პირდაპირი;
- ვერბალური – პასიური – ირიბი.

## აგრესიის ტიპების მაპროვოცირებელი ფაქტორები

რეაქციის მოდალურობა	ვერბალური, ფიზიკური
რეაქციების ხასიათი წაქეზება, მიზანმიმართულობა	ქმედება – უმოქმედობა უშუალო – გაშუალებული ღია – ფარული არაპროვოცირებული –
ზიანის მიყენების სახე	შურისმაძიებლური მტრული – ინსტრუმენტული
შედეგის ხანგრძლივობა სოციალური ერთეული	მოკლევადიანი – ხანგრძლივი ინდივიდუალური – ჯგუფური

პატარა ბავშვებში აგრესიულ ქცევას გამოხატულების სხვადასხვა ფორმა ახასიათებს, როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ფსიქოლოგიაში ცნობილია ვერბალური (სიტყვიერი) და ფიზიკური აგრესია. თითოეულ მათგანს აქვს პირდაპირი და ირიბი ფორმა. შევსწრდეთ მათ მოკლე დახასიათებაზე:

ვერბალური აგრესია:

1. პირდაპირი ვერბალური აგრესია წარმოადგენს ვერბალური ფორმით სხვის შეურაცხყოფას და დამცირებას. ვერბალური აგრესიის გამოხატულების ტრადიციულ „საბავშვო“ ფორმას წარმოადგენს სხვისი გაღიზიანება – შეურაცხყოფა დამამცირებელი გამონათქვამებით.

2. ირიბი ვერბალური აგრესია მიმართულია თანატოლის მიმართ მუქარისა და უხეში სიტყვიერი მოპყრობისაკენ.

ფიზიკური აგრესია:

პირდაპირი ფიზიკური აგრესია გამოიხატება თანატოლზე უშუალო თავდასხმით, მისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენებისა და დამცირების მიზნით. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია აგრესიის ორი ფორმა: სიმბოლური და რეალური.

ირიბ ფიზიკურ აგრესიას ბავშვები გამოხატავენ სხვების მიმართ არაუშუალო ფიზიკური ზიანის მიყენებით, არამედ გადატანითი მნიშვნელობით. (მაგ; სხვისი ნამუშევრის განადგურება და სხვა).

ნებისმიერი ქცევის განმსაზღვრელი კრიტერიუმია სოციალურად დამკვიდრებული ნორმა და იგი კოლექტივის მიერ ფასდება მიღებულ ან მიუღებელ ქცევის ფორმად. ამიტომაც ქცევა იმ შემთხვევაში განიხილება აგრესიულად, თუ იგი გულისხმობს სოციალური ნორმების დარღვევას. სოციალურად მიუღებელ ქმედებებს.

ქცევის ნორმატიულ შეფასებაზეც აზრთა სხვადასხვაობაა, მაგ., საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ფიზიკური დასჯა აღზრდის მიღებულ და ეფექტურ მეთოდად არის მიჩნეული, მაშინ როდესაც მეორე ნაწილისათვის იგი მიუღებელ ფორმად ითვლება.

## აგრესიისა და ფრუსტრაციის კავშირი

თანამედროვე ფსიქოლოგიაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანები აგრესიულები ხდებიან *ფრუსტრირების* შედეგად. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მოსალოდნელი გასამრჯელოს მოლოდინში ხელს უშლიან მიზნის მიღწევაში. თუმცა ზოგიერთი მეცნიერ-ფსიქოლოგი ჯერ კიდევ ადრეულ წლებში აღნიშნავდა, რომ ფრუსტრაცია ხშირ შემთხვევაში იწვევს აგრესიულ რეაქციებს. ამ საყოველთაოდ აღიარებული იდეის მომხრეები იყვნენ იელის უნივერსიტეტის ფსიქოლოგები, კერძოდ: დოლარდი, მილერი, დუბი, მაურერი და სირსი. მათ შექმნეს კლასიკური მონოგრაფია „ფრუსტრაცია და აგრესია“ (Frustration and Aggression), რომელიც პირველად 1939 წელს გამოქვეყნდა. მასში მოცემულია ტერმინ „ფრუსტრაციის“ ზუსტი განსაზღვრება და რიგი ფაქტორები, რომელებიც მათი აზრით ზეგავლენას ახდენენ აგრესიული ქცევის ინტენსივობაზე.

„აგრესიის“ მსგავსად, ტერმინი „ფრუსტრაცია“ სხვადასხვა

მნიშვნელობით იხმარება. ფსიქოლოგებს შორის არ არის საერთო აზრი, თუ რა არის ფრუსტრაცია. ზოგიერთ ფსიქოლოგს, რომელიც ფრუსტრაციის შესახებ საუბრობს, მხედველობაში აქვს ბარიერი, რაც ხელს უშლის პიროვნებას მიზნის მიღწევაში. სხვები ამ ტერმინში გულისხმობენ შინაგან ემოციურ რეაქციას, რომელიც წარმოიშობა გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვის შეფერხებისას (ვამბობთ ასე – თავს ვგრძნობთ „ფრუსტრირებულად“). ჯ. დოლარდი და მისი თანამშრომლები ამ ტერმინს ხმარობდნენ ზემოთ მითითებული მნიშვნელობით. ისინი ფრუსტრაციის აღწერისას აღნიშნავდნენ, რომ იგი მოსალოდნელი სიამოვნების, კმაყოფილების მიღების შემაფერხებელი გარე-პირობაა.

ფრუსტრაციისა და აგრესიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ჯ.დოლარდი და მისი კოლეგები ფიქრობდნენ, რომ ნებისმიერი აგრესიული ქმედება ფრუსტრაციის დეტერმინირებული წინაპირობაა. ბერკოვიცის ადრინდელ შრომებში, საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული ეს კონცეფცია და ისეთი ძირითადი ცნებების დიფერენცირების საშუალებას იძლევა, როგორცაა *ემოციური და ინსტრუმენტული აგრესია*.

*ინსტრუმენტული აგრესია*, ისევე როგორც სხვა ინსტრუმენტული ქმედებები, შედეგის მომცემია დასწავლისას. ამ შემთხვევაში ადამიანი აკვირდება სხვებს, რომელთათვისაც აგრესიულ ქცევას სარგებლობა მოაქვს. იგი კარგად ეუფლება ამგვარ ქცევას და საკუთარი აგრესიული ქმედებისას მისთვის აღარ არის აუცილებელი შეიქმნას ფრუსტრაციის წინაპირობა. მიზნისაკენ სწრაფვის გზაზე შექმნილი ბარიერი გენერირებას ახდენს ემოციური აგრესიის სტიმულაციაზე. სხვისთვის ზიანის მიყენების ტენდენცია მისი თვითმიზანი ხდება.

ძირითადი პოსტულატის ფორმულირებისას, იელის უნივერსიტეტის თეორეტიკოსებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფრუსტრაციის ინტენსივობის მოქმედებას აგრესიის განზრახვაზე.

ჯ. დოლარდისა და მისი თანამშრომლების აზრით, წარმოქმნილი ფრუსტრაციისა და აგრესიის სტიმულაცია პირდაპირპროპორციულია სურვილის დაკმაყოფილების ხარისხისა, რომელსაც ვარაუდობს ფრუსტრირებული ინდივიდი. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანებს, რომლებიც დასახული მიზნის გზაზე მოულოდნელად აწყდებიან დაბრკოლებებს, სხვისთვის ზიანის მიყენების უფრო მეტი სტიმული უჩნდებათ.

ღია აგრესია არ ითვლება გარდაუვალ, აუცილებელ ალტერნატიულ რეაქციად ფრუსტრაციაზე. დოლარდსა და მის კოლეგებს ესმოდათ, რომ ნებისმიერ ფრუსტრაციას არ სდევს აგრესიული ქმედება. ადრე გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ისინი ცდილობდნენ აეხსნათ დასჯის მუქარით გამოწვეული დათრგუნული აგრესიული ლტოლვები. ჩვენ აუცილებლად მოვითმენთ და ნებისმიერ რაღაცაზე შეტევას არ დავიწყებთ, თუ გვჯერა, რომ ჩვენი აგრესიული ქმედება სერიოზულ უსიამოვნებას მოგვიტანს. ერთი მხრივ, არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც აგრესია შესაძლოა ღიად არ გამოვლინდეს. მონოგრაფიის გამოქვეყნებიდან 2 წლის შემდეგ ნილ მილერი მიუთითებდა ფაქტორზე, რომელსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა აგრესიული რეაქციის გამოწვევაზე. ეს ფაქტორი უკავშირდება იმას, თუ რამდენად არის ინდივიდში ფორმირებული ფრუსტრაციაზე რეაგირების ხერხები. 1939 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მილერი ამტკიცებს, რომ ფრუსტრაცია წარმოშობს მთელ რიგ სხვადასხვა ტენდენციებს, რომელთა შორის მხოლოდ ერთი „მიუშვებს“ აგრესიულ ქცევას. ვარაუდობდნენ, რომ ფრუსტრაციას ყოველთვის თან სდევს აგრესიის რაღაც ფორმა, აგრესია ყოველთვის ფრუსტრაციის შედეგია. ეს ჰიპოთეზა, როგორც აღვნიშნეთ, ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა ფრუსტრაციას ყოველთვის არ მოსდევს აგრესიული ქმედება. ფსიქოლოგები ჯ. დოლარდი და მისი კოლეგები წლების განმავლობაში თვლიდნენ, რომ ფრუსტრაციის მიზეზი იყო ნებისმიერი

აგრესიული ქცევის გამოვლენა. ეს მოსაზრება უშუალოდ ბავშვებზე დაკვირვების შედეგებს უკავშირდებოდა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც მათ მიზნისაკენ სწრაფვაში ხელს უშლიდნენ, ისინი ფრუსტრირებულები ხდებოდნენ და ავლენდნენ აგრესიას. ფრუსტრაციამ ბავშვი შეიძლება მწვავე აგრესიამდე მიიყვანოს, ასევე იხილეს ისინი.

თეზისი იმის შესახებ, რომ ფრუსტრაცია აძლიერებს აგრესიას, ფსიქოლოგიურ კვლევებში იმდენად არგუმენტირებულია, რომ ძნელია მასში დაეჭვება. მრავალი ექსპერიმენტი ჩატარდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ისინი მოწმობდნენ, რომ ფრუსტრაცია, მართლაც ითვლება აგრესიის წინაპირობად. ამ კვლევებში ცდის პირები, რომელთა მიმართაც იყენებდნენ ფრუსტრაციის ამ თუ იმ ფორმას. ხშირად, მოჭარბებული აგრესიის დემონსტრირებას ახდენდნენ ფრუსტრაციის წყაროს ან მასში მონაწილე სხვა ადამიანების მიმართ, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული ჰიპოთეზა კრიტიკისაგან ვერ გათავისუფლდა.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ ბასის, ტეილორის, პიზანოს და სხვების მიერ მეთოდის გულდასმითი ანალიზისას დაიბადა მრავალი შეკითხვა. კერძოდ, შესაძლებელი იყო ფრუსტრაციასთან ერთად სხვა ფაქტორებს ან გარემოებას ემოქმედა ცდის პირის მდგომარეობაზე. ცნობილია მალიკოსა და მაკენდლესის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი. აღნიშნულ ექსპერიმენტში ბავშვების ჯგუფს (ფრუსტრაციის ვარიანტი) უცნობი ბავშვი (რომელიც მოცემულ სიტუაციაში ექსპერიმენტატორის დამხმარე იყო) საშუალებას არ აძლევდა დაემთავრებინა მარტივი დავალებების სერია და მიეღო შეპირებული გასამრჯელო; II ჯგუფის ბავშვებს (არაფრუსტრაციის ვარიანტი) იგი არ ეხებოდა და ხელს არ უშლიდა. ბავშვები, რომლებსაც იგი ხელს უშლიდა და აღიზიანებდა, იყვნენ უფრო აგრესიულები, ვიდრე ისინი, ვისაც მუშაობის

დასრულების საშუალება ჰქონდათ. აღნიშნული მონაცემებიდან ნათლად ჩანს ფრუსტრაციის ნიადაგზე მომატებული აგრესიულობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ინტერპრეტაციისას აღმოჩნდა, რომ მოცემული შედეგები ნათელს ზდიან ერთ გარემოებას: როდესაც ექსპერიმენტატორის პატარა ასისტენტი ცდის პირს უშლიდა, მას მთელ რიგ სარკასტულ შენიშვნებს აძლევდა, ეს აუცილებლად გამოიწვევდა კრახს. ამ შემთხვევაში უნდა გარკვეულიყო რა მიზეზები იყო უმთავრესი პირველი ჯგუფის ბავშვებში მაღალი დონის აგრესიულობის გამოწვევისათვის. ის, რაც უშუალოდ უშლიდა მას - გესლიანი შენიშვნები, თუ ორივე ეს ფაქტორი?

ფრუსტრაციის ამგვარი შერწყმა, აგრესიის სხვა შესაძლებელი წინაპირობები არცთუ ისე იშვიათად იყო წარმოდგენილი პირვანდელ ექსპერიმენტებში, რომელთა დროსაც მიმდინარეობდა სხვა ფაქტორების კვლევა. ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობილ მტკიცებულებას, რომ ფრუსტრაცია აგრესიის მთავარ წინაპირობად ითვლება, არც თუ ისე დამაჯერებელი აღმოჩნდა და შემდგომ კრიტიკის საგნად იქცა.

შემორჩა რამდენიმე საგულისხმო ექსპერიმენტი, რომელთა შედეგებიც ამართლებენ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ფრუსტრაცია ზოგჯერ აძლიერებს აგრესიას.

ერთმანეთისაგან დაწოუკიდებელმა, საკმაოდ მრავალრიცხოვანმა კვლევებმა ვერ ახსნა „ფრუსტრაცია - აგრესიის“ თეორიის მტკიცებულება. ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ ბასის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელშიც ცდის პირები თამაშობდნენ მასწავლებლის როლს მოდელირებულ სისტემაში „მასწავლებელი-მოსწავლე“. როდესაც მოსწავლე (ექსპერიმენტატორის დამხმარე) შეცდომას უშვებდა, ცდის პირებს უნდა დაესაჯათ ისინი ელექტროდენით, რომლის ძაბვა, მათი თქმით მნიშვნელოვნად იცვლებოდა სუსტიდან საკმაოდ ძლიერით.

ექსპერიმენტის ერთ-ერთ ვარიანტში ცდის პირს (ჯგუფი „ნოუ-ჰაუ“) აცნობებდნენ, რომ თუ მონიღომებდნენ, ისინი მათ შეასწავლიდნენ ექსპერიმენტულ მასალას 30 ცდის შემდეგ. მეორე ჯგუფს (ვარიანტი - „შეფასება“) ეუბნებოდნენ იგივეს და ამატებდნენ, რომ სწავლებისას მათი წარმატებების შესახებ ეცნობებოდა კოლეჯის ადმინისტრაციას, რაც გავლენას მოახდენდა მათ ატესტატზე. და ბოლოს, საკონტროლო ჯგუფს არ აცნობდნენ აუცილებელი საექსპერიმენტო მასალის დაუფლებისათვის საჭირო ცდის რაოდენობასა და წლიურ შეფასებაზე შესაძლო გავლენის მოხდენის შესახებ.

ექსპერიმენტისას „მოსწავლე“ პასუხობდა წინასწარ მომზადებული ნიმუშის მიხედვით და ითვისებდა მასალას 70 ცდის შემდეგ. „ნოუ-ჰაუს“ და „შეფასების“ ჯგუფის ცდის პირები მოულოდნენ, რომ ისინი ასწავლიდნენ თავიანთი მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვს 30 ცდით. მათ ვერ შეძლეს ამ მიზნის მიღწევა, ნიჭიერი პედაგოგის სახელის დამსახურება და მოსწავლის საქციელთ ისინი ფრუსტრირებულები უნდა გამხდარიყვნენ. გარდა ამისა, წარუმატებლობას შესაძლოა ცუდად ემოქმედა მათ პირად შეფასებაზე. ჯგუფ „შეფასების“ ცდის პირებს უნდა განეცადათ დიდი ფრუსტრაცია, ვიდრე ჯგუფს „ნოუ-ჰაუ“. საკონტროლო ჯგუფის მონაწილეები, რომელთაც არ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია, თუ რა რაოდენობის ცდა შეესატყვისებოდა ცნებას „წარმატებული სწავლება“, არ უნდა განეცადათ ფრუსტრაცია ექსპერიმენტის პერიოდში, რადგან ყველა შემთხვევაში მათ ეუბნებოდნენ, რომ იყვნენ კარგი მასწავლებლები.

როგორც ხშირად ამტკიცებდნენ, ფრუსტრაცია აგრესიის მკვეთრ გამოვლენას იწვევს. შესაძლოა მოსალოდნელი ყოფილიყო, რომ ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის ცდის პირები („შეფასება“ და „ნოუ-ჰაუ“) უფრო ძლიერი ძაბვის დენს აირჩევდნენ

მოსწავლის დასასჯელად, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ცდის პირები.

თუ ვივარაუდებთ, რომ რაც უფრო ძლიერია ფრუსტრაცია, მით უფრო მაღალია აგრესიის შედეგის დონე, შეიძლება პროგნოზის გაკეთება, რომ დენის ძაბვა, რომელიც ცდის პირმა დასასჯელად აირჩია ჯგუფიდან „შეფასება“, უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე ჯგუფ „ნოუ-ჰაუ“-ს მიერ, მაგრამ ეს ჰიპოთეზები არ დამტკიცდა. სამივე ჯგუფის მონაწილეები მოსწავლისათვის ირჩევდნენ ერთი და იგივე სიმძლავრის დენს. ფრუსტრაცია არ მოქმედებდა ცდის პირის აგრესიულობაზე. ამ მონაცემებით მიღებული შედეგები, უფრო დამაჯერებლად მოგვეჩვენებოდა, თუ ექსპერიმენტის პერიოდში მხედველობაში მივიღებდით სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ: ექსპერიმენტატორის დამხმარის სქესი, მიმიკა, ფესტი, შეტყობინებები, რამდენად მტკივნეული იყო დარტყმა, ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად იმოქმედებდა ცდის პირის ქცევაზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ფრუსტრაცია არ მოქმედებდა ძაბვის შერჩევაზე. ბასის ექსპერიმენტი არ არის ერთადერთი კონკრეტული მაგალითი ფრუსტრაციისა, რომელიც არ იწვევს აგრესიას.

კუნმა და სხვებმა ცნობილ ექსპერიმენტში შექმნეს სიტუაცია, რომლის დროსაც ბავშვებს, პატარა ფილმის ნახვის შემდეგ, პირდებოდნენ კანფეტს ჯილდოს სახით.

სეანსის დასრულების შემდეგ ერთი ჯგუფის ბავშვებს არ აძლევდნენ დაპირებულ საჩუქარს, მეორე ჯგუფის ბავშვებთან ფრუსტრირებულ ზემოქმედებას არ იყენებდნენ. შემდგომ, უნიფიცირებულ სიტუაციაში, აკვირდებოდნენ ორივე ჯგუფის ბავშვთა სათამაშო სიტუაციას. მათ შორის შესამჩნევი განსხვავება არ დაფიქსირებულა. ფრუსტრირებული პატარები არ იქცეოდნენ უფრო აგრესიულად, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ბავშვები, რომლებიც არ იყვნენ ფრუსტრირებულები (როგორც ამის მოლოდინი იყო, ექს-

პერიმენტის ბოლოს დაპირებული კანფექტი მიიღეს ორივე ჯგუფის ბავშვებმა). ამ და სხვა ექსპერიმენტების შედეგებმა ბზარი გააჩინა იმის მტკიცებულებაში, რომ ფრუსტრაცია, როგორც წესი, იწვევს პირდაპირ აგრესიას.

ზემოთ აღწერილი და სხვა ანალოგიური ექსპერიმენტების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფრუსტრაცია არ ითვლება აგრესიის არც ძირითად და არც არსებით წინაპირობად. მათ უკუაგდეს „ფრუსტრაცია-აგრესიის“ ფორმულირებული კიპოთეზა, რომელიც ამტკიცებდა, რომ აგრესიულობაში სოციალურ დეტერმინანტებს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვადასხვა უსიამოვნო დამოკიდებულებებს. შეიძლება დასკვნის სახით მოვიტანოთ ბასის სიტყვები (Buss, 1966), რომ მხოლოდ ფრუსტრაციას არ მივყავართ ფიზიკურ აგრესიამდე. მაგრამ, ცხადია, რომ ფრუსტრაცია თავისი პირველადი სახით არის ფიზიკური აგრესიის გამოწვევის წინაპირობა.

მოდერნიზებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფრუსტრაცია მართლაც მოქმედებს აგრესიაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ რამდენიმე ფაქტორს. ეს ფაქტორებია: 1) ფრუსტრაციის დონე, რომელსაც ინდივიდი განიცდის პოტენციური აგრესორისაგან; 2) აგრესიის წინაპირობა; 3) ხარისხი, რომელიც ფრუსტრატორისათვის მოულოდნელია; 4) აგრესორის ემოციური და კოგნიტური პროცესები.

დოლარდისა და სხვების იმ მტკიცებულებების მიუხედავად, რომ მოცემული ფაქტორი მნიშვნელოვანია კვლევებში, სადაც ფრუსტრატორი ადამიანი იყო, ხშირად ყურადღების მიღმა რჩებოდა. ძრავალი მკვლევარი იყენებდა ყველაზე უბრალო პროცედურას. ცდის პირთა ერთი ჯგუფის ფრუსტრირებას ახდენდნენ, სხვების მიმართ კი იყვნენ ნეიტრალურები, რის შემდეგაც ხდებოდა აგრესიულობის დონის შედარება ვინმე „მსხვერპლთან“ დამოკიდებულებაში. თითოეული ექსპერიმენტატორი ხელმძღვანელობ-

და საკუთარი ინტუიციით და შემუშავებული ჰქონდა ფრუსტრაციების პროცედურა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფრუსტრაციი დონე შეიცვლებოდა ექსპერიმენტიდან ექსპერიმენტამდე ფართო საზღვრებში, ამიტომ არაერთგვაროვანი შედეგები გასაკვირი არ იყო. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს ისეთი კვლევები აუცილებლობაზე, რომლებშიც ფრუსტრაციის დონე თავის მნიშვნელობას შეიცვლიდა განსაზღვრული სისტემის შესაბამისად მაგ., ბლოკირებული რეაქციების რაოდენობის, მიზნის მიმზიდველობის დონის შესაბამისად და ა. შ.

მიუხედავად ამგვარი კვლევების არარსებობისა, მოცემული მონაცემების დაწვრილებითი ანალიზი მოწმობს, რომ აგრესიული რეაქციების „ფრუსტრაცია-აგრესიის“ მიზეზ-შედეგობრივი წყვილის ინტენსივობა დამოკიდებულია ფრუსტრაციის დონეზე.

მკვლევართა უმრავლესობა, რომელთაც მიიღეს მონაცემები ფრუსტრაციის აგრესიაზე გავლენის დაუდასტურებლობის შესახებ, ფრუსტრატორის სახით არჩევდნენ უმნიშვნელო უსიამოვნებებს.

იმავდროულად მეცნიერები, რომლებმაც მიიღეს ჰიპოთეზის დადასტურება, იმგვარ ექსპერიმენტულ პირობას ქმნიდნენ, რომლის დროსაც ფრუსტრაციის დონე იმატებდა.

### აგრესიის წანამძღვრები

ბერკოვიცი თავისი წიგნის „აგრესია, მიზეზები, შედეგი, კონტროლი“ პირველ თავში ვარაუდობდა, რომ ფრუსტრაცია იწვევდა მხოლოდ აგრესიული ქცევისათვის მზაობას. აგრესიის წანამძღვრებია სტიმულები, რომლებიც ბრაზისა და აგრესიულობის გამოვლენის პროვოცირებას ახდენენ და მისი გაზრდის შესაძლებლობას იძლევიან. „მიზნის მიღწევის შეფერხებისას,“ (Berkowitz, 1989) მკვეთრად გამოხატული აგრესია, შესაძლებელია გამოწვეულ

იქნეს არცთუ ისე მაღალი დონის ფრუსტრაციით, მაგრამ შეიძლება მასში მონაწილეობდეს საკმაოდ ინტენსიური წანამძღვრები.

„ფრუსტრაცია-აგრესიის“ ჯაჭვის კიდევ ერთი შუალედური რგოლია ხარისხი, რომელშიც ადამიანი მარცხს შემთხვევითობას, მოულოდნელობას მიაწერს. მრავალი მკვლევარი აცხადებს, რომ ადამიანებისათვის დამახასიათებელია გაცილებით მაღალი დონის გაღიზიანება, აგრესია იმ შემთხვევაში, თუ ფრუსტრაცია მოულოდნელი და გაუთვალისწინებელია.

სხვა მხრივ, პროგნოზირებადი და მოსალოდნელი ფრუსტრაცია არ იწვევს ფიზიოლოგიურ გაღიზიანებას. იგივე დასტურდება უორჩელის ექსპერიმენტებში.

## ემოციური და კოგნიტური პროცესები

ბერკოვიცმა ივარაუდა, რომ პოტენციური აგრესორის ფსიქიკური პროცესები განსაზღვრავენ მის რეაქციას ფრუსტრაციაზეც.

იმისათვის, რომ ადამიანი გახდეს აგრესიული, ფრუსტრირებული სიტუაციის აგრესიულობის ხარისხი საკმარისი უნდა იყოს უარყოფითი ემოციების აქტუალიზაციისათვის. თუ ფრუსტრაცია არ იწვევს უარყოფით გრძნობას, აგრესია არ იქნება. მაგ., ბერკოვიცი აღნიშნავდა, რომ სასურველი შედეგის მიუღწევლობა თავისთავად არ ითვლება აგრესიის წანამძღვრად. თუ ადამიანი წინასწარ ტკბება და სიამოვნებას განიცდის რაიმე მიზნის მიღწევამდე, დაბრკოლებებმა, რომელიც ამ პერიოდში წარმოიშობა, შეიძლება იმ დონემდე გააბრაზოს, რომ მწვავე აგრესიული ქმედებისაკენ უბიძგოს.

ბერკოვიცი ამტკიცებს, რომ, როდესაც ფრუსტრაცია ნამდვილად იწვევს უარყოფით ემოციას, სხვა ფსიქოლოგიურმა პროცესებმა, მათ შორის განცდილის გაანალიზებამ (კოგნიტური პრო-

ცესი), შესაძლოა გავლენა მოახდინოს რეალურ ქცევაზე. ადამიანს შეუძლია ახსნა მოუძებნოს განცდილ ემოციებს, საკუთარი გრძნობების ანალიზი გააკეთოს და ასევე ეცადოს აკონტროლოს ემოციები და ქცევები. მაგ: თუ ნეგატიურ ემოციად ითვლება შიში, სწორ რეაქცია იქნება, გაექცეს ან თავი აარიდოს სიტუაციას. თუ განცდილ ინტერპრეტირდება როგორც ბრაზი, ცხადია, წარმოიშობა აგრესიის ტენდენცია.

თუ რომელიმე კულტურულ ტრადიციაში მიღებულია, რომ ფრუსტრაციამ უნდა გამოიწვიოს შიში და არა ბრაზი, მაშინ მიზნის მიღწევის გზაზე წარმოშობილი დაბრკოლებები არ იქნება აგრესიის წინაშეღვრები.

პარკერმა და როჯერსმა, თავის ექსპერიმენტებში შეისწავლეს ფრუსტრაციის ზემოქმედება ყურადღების შერჩევითობაზე და აგრესიული ქცევების მაგალითების დამახსოვრება, ასევე აგრესიული ქმედებების რეპროდუქცია გონებაში.

დაწყებითი კლასების ბავშვები წინასწარ ირჩევდნენ სათამაშოს. რომელსაც ისინი მიიღებდნენ, როგორც ჯილდოს თამაშში გამარჯვების შემთხვევაში. ვარიანტ „ფრუსტრაციაში“ ბავშვებს მოგების საშუალებას არ აძლევდნენ. (ექსპერიმენტის შემდეგ მას კიდევ აძლევდნენ საშუალებას მოგებისათვის და ისინი „იგებდნენ“ დაპირებულ ჯილდოს). სხვა შემთხვევებში ცდის პირები იგებდნენ და იღებდნენ ჯილდოს.

შემდეგ ბავშვები, ერთმანეთის მიყოლებით, ორ ფილმს უყურებდნენ, მათში ორი ბიჭი თამაშობდა საბავშვო კონსტრუქტორებით. პირველ ფილმში ისინი თანამშრომლობდნენ, ეხმარებოდნენ ნაწილების შეგროვებაში; მეორე ფილმში ბიჭები აგრესიულად იქცეოდნენ და ხელს უშლიდნენ ერთმანეთს. ექსპერიმენტატორი აფიქსირებდა დროს, რომლის განმავლობაშიც ბავშვები აკვირდებოდნენ აგრესიისა და თანამშრომლობის მაგალითებს. პარკერისა და როჯერსის დაკვირვებით წინასწარ ფრუსტრირებული ბავშვები

უფრო დიდხანს უყურებდნენ აგრესიის, ზოლო ბავშვები, რომლებიც არაფრუსტრირებული ჯგუფიდან იყვნენ — თანამშრომლობის მაგალითს.

რეალური აგრესიული ქცევის შესწავლისათვის მკვლევარები ვიდეოზე იწერდნენ, თუ როგორ თამაშობდა კონსტრუქტიური ცდის პირი უცნობ ბიჭთან ერთად (ექსპერიმენტატორის თანამშემწე). თამაშის დაწყებიდან 2 წთ-ის შემდეგ ექსპერიმენტატორი ბრუნდებოდა, სთხოვდა ცდის პირებს მოეთხროთ, რა დამახსოვრდათ ნანახი ფილმებიდან. ვიდეოჩანაწერების ანალიზმა ცხადყო, რომ წინასწარ ფრუსტრირებული ბიჭები მეტ აგრესიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ (მაგ., ხელს უშლიდნენ ექსპერიმენტატორის თანამშემწეს), ვიდრე ისინი, რომლებიც ფრუსტრირებულნი არ იყვნენ. ფრუსტრირებული ბავშვები, არაფრუსტრირებულებთან შედარებით, უკეთ იმახსოვრებდნენ ფილმებში აგრესიულ ქმედებებს.

ფრუსტრაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ აგრესიულ ქმედებაზე, არამედ, აგრეთვე, ყურადღებისა და ფიქსაციის პროცესებზე. კვლევებით დადგინდა, რომ ბავშვებში აგრესიული ქმედების წარმოშობის პირობა იყო ფილმებში აგრესიული ქმედების დამახსოვრება.

შესაბამისად, აღნიშნული ექსპერიმენტი ადასტურებს თეზისს, რომ კოგნიტური პროცესები წარმოადგენენ მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლს დამოკიდებულებაში — „ფრუსტრაცია—აგრესია“.

## თავი II. ფსიქოანალიტიკური თეორია აგრესიის შესახებ

ორთოდოქსურ ფსიქოანალიზში ბავშვთა აგრესიული ქმედება დაკავშირებული იყო სექსუალურ ქცევასთან. პატარა ბავშვები, პრეგენიტალური სექსუალური მიზნების მიმდევრები, ხშირად ახდენენ სხვების მიმართ უყურადღებობის, მტრობის, საღიზმის, აგრესიისა და დესტრუქციულობის დემონსტრირებას. ეს თვისება ანალიტიკური მუშაობისას ყველაზე მეტად თვალში საცემი ხდება სექსუალური განვითარების ფალოურ სტადიაში, რომელიც უკავშირდება ოიდიპოსის კომპლექსს. კერძოდ, იგი წარმოადგენს საწინააღმდეგო სქესის მშობლის მიმართ ბავშვის ძლიერ სიყვარულს; ეს უკანასკნელი მათ უღვივებს მტრობასა და იმავე სქესის კონკურენტი მშობლის სიკვდილის სურვილს. საღისტური და აგრესიული მიდრეკილებების შემთხვევები ასევე აღწერილია ორალური ფაზის ბოლო ეტაპზე (კბილების ამოსვლის შემდეგ). აგრესიულობა ძირითად პიკს აღწევს სექსუალური განვითარების ანალურ სტადიაში. ბავშვს ინსტინქტური განვითარების ამ დონეზე უჩნდება სურვილი ზიანი მიაყენოს ადამიანებს და გააფუჭოს საგნები, ნებისმიერ პიროვნებაზე ამოანთხიოს საღისტური იმპულსები.

აგრესიული ტენდენციის ასეთ დონეზე გამწვავებას, ამ სტადიის ანალურ-საღისტური ფაზის სახელწოდებამდე მივყავართ.

აგრესია როგორც *ვგოს* ფუნქცია.  
ფრუსტრაციის თეორია.

*ვგოს* ფუნქციის წვდომას და მის როლს სურვილების შესრულებაში აგრესიის, როგორც „ეგო-ინსტიქტის“ ექსპერიმენტულ აღქმამდე მივყავართ. იგი გულისხმობს, რომ *ვგოს* აქვს აგრესიული იმპულსები, რომელიც აუცილებელია სიცოცხლის შენარჩუნებისა

და ინსტინქტური დაკმაყოფილებისათვის. დადგენილია, რომ ბავშვი ავლენს აგრესიას მაშინ, როდესაც იგი თვითონ ვერ იკმაყოფილებს ინსტინქტურ სურვილს, ან მაშინ, როდესაც მის გარემოცვაში რაიმე განზრახ აბრკოლებს სურვილის შესრულებას. მსგავსი სიტუაციები სისტემატურად წარმოიშობა და მათ ვერ გავექცევით პრევენტიული განვითარების ფაზის პერიოდში, რადგან ამ ფაზაში სექსუალური სურვილები თავისი პრიმიტიული, ფანტასტიკური და არარეალური ხასიათით, პრაქტიკულად დაუკმაყოფილებლობისთვისაა განწირულნი. ეს არის ეგრეთწოდებული *ფრუსტრაციის თეორია*, რომელსაც მრავალი ფსიქოანალიტიკოსი იზიარებს.

აგრესია, როგორც დესტრუქციული ინსტინქტის გამოვლენა. სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტის თეორია.

ინსტინქტის თეორიის განვითარების საფუძველზე, ფროიდმა (1920) უარყო ცნება „ეგო-ინსტინქტი“, გადაწყვიტა აგრესიულობის გამოვლენის ინსტინქტური ბუნება და წარმოშობა ელიარებინა და მას თავის შეფასებაში სექსუალურობის გამოვლენის ანალოგიური სტატუსი მიანიჭა. ეს დებულება, რომელიც ცნობილია როგორც „*სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტის თეორია*“, ყველა ინსტინქტურ განზრახვას ძირითადად ორი ძალის გარშემო აჯგუფებს: *სიცოცხლის ძალა*, რომლის მიზანია თავდაცვა, გამრავლება, საზოგადოებისათვის მიღებული ცხოვრებისეული უსუსულობების მიღწევა და *სიკვდილის ინსტინქტი*, დესტრუქციული ძალა, რომელიც ურთიერთ საპირისპირო მიზანს ისახავს, ცხოვრების დანგრევასა და კავშირის გაწყვეტას.

*სექსუალურობა* - სიცოცხლის ძალის გამოვლენაა, აგრესია - დესტრუქციული ძალა. კლინიკურ შემთხვევაში *სექსუალურობისა და აგრესიის* წმინდა სახით შესწავლა არ შეიძლება. ორი

ფუნდამენტური ინსტინქტი ურთიერთზემოქმედებს ან აერთიანებს თავიანთ ძალებს. ასეთი კომბინაციების შედეგად სიცოცხლის ფენომენს ვლენობთ. აგრესიის განვითარება დამოკიდებულია ინფანტილური სექსუალურობის განვითარების ფაზაზე. აგრესიული მიდრეკილება, სექსუალური განვითარების თითოეულ დონეზე (ორალური, ანალური, ფალური) საკუთარ თავს სხვადასხვაგვარად ავლენს; ეს გამოვლინებები ბავშვის სიყვარულის გამოხატულებას აძლიერებს. სექსუალური იმპულსების დამატების გარეშე აგრესიისათვის შეუძლებელია რაიმე მიზნის მიღწევა.

სექსუალური ინსტინქტების გავლენით აგრესიას შეუძლია სიყვარულის ობიექტის დაუფლება, მეტოქესთან შეჯიბრი, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, საკუთარი სხეულის, ან შესაძლებლობების დემონსტრირება. საკვების მიღება და ჭამის შემკვობით მისი განადგურება ამგვარი გაერთიანების შედეგია. ანალოგიურად, ნორმალურ, მოზრდილ სექსუალურ ცხოვრებაში, სექსუალური აქტი ხორციელდება მამაკაცი აგრესიის განსაზღვრული ოდენობით, რათა სექსუალურ პარტნიორთან ბატონობას მიაღწიოს. ანორმალურობის, აგრესიის დათრგუნვის ან შესუსტებისას სექსუალური გამოვლინებანი არაეფექტურნი ხდებიან. ამის შედეგია, მოზრდილთა გენიტალურ ცხოვრებაში ჩამოყალიბებული იმპოტენცია.

### აგრესიის დათრგუნვა, რეაქტიული წარმონაქმნები და შეფერხება

აგრესიული და დესტრუქციული მისწრაფების დათრგუნვა ბავშვის ცნობიერებაში, ახდენს საყვარელი მშობლების მიმართ მტრული განზრახვისა და მისი სიკვდილის სურვილის არაცნობიერში ჩანაცვლებას, ამ განზრახვაში რაიმე არსებითი ცვლილებების გარეშე. არაცნობიერიდან მათი დაბრუნების საფრთხის შესამ-

ცირებლად, ცნობიერებაში ძლიერდება საპირისპირო პოზიტიური, სიყვარულზე დაფუძნებული მისწრაფებანი. ბავშვს უძლიერდება რეაქტიული ტენდენციები: *მეტისმეტი თავაზიანობის, ძალადობის, ზიზღის, მზრუნველობის, შეოთვის, საყვარელი ადამიანის ჯანმრთელობის* და ა.შ. მიმართ. აგრესიის სასიცოცხლო მნიშვნელობა, ფუნქციების დარღვევების მავნე შედეგები, გამოიხატება ბავშვის მიერ შეყვარებულობის გრძნობის განცდის ზემოქმედების ეფექტიანობის შემცირებაში.

### პროექცია და აგრესიის განდევნა

აგრესია სხვა მეთოდებით აისახება, როდესაც ფსიქიკის არაცნობიერ და ცნობიერ ნაწილებს შორის მკვეთრი გამიჯვნა ხდება, აგრესიულ-დესტრუქციული იმპულსები პროექცირდებიან გარეთ, ანუ ისინი აღარ აღიქმებიან როგორც ბავშვის შიდა სამყაროს ნაწილი და ნამდვილად მიეწერებიან გარე სამყაროს ადამიანებს. როგორც წესი, მათზე, რომლებზეც პირველადი მტრობა მიემართება, ბავშვს მისთვის ადრე საყვარელი ადამიანების მიმართ შიშს უყალიბებს და აგრესორისა და მდევრის როლს მიაწერს.

აგრესიული ლტოლვა, ბოლოს, შესაძლოა მიმართული იყოს ბავშვის (შშობლების) სიყვარულის ძირითადი ობიექტიდან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან ობიექტზე. ეს ინტიმურ ოჯახურ ურთიერთობებს ნეგატიური ზეგავლენისაგან ათავისუფლებს, მაგრამ შესაძლებელია მისი სარგებლიანობა ნულზე დავიდეს და განსაკუთრებული ნეგატიური და მტრული განწყობის საშიშროება წარმოიშვას ოჯახური წრის მიღმა მყოფი ადამიანების (მაგ., უცნობების, შემთხვევითი ნაცნობების, მომსახურე პერსონალის) მიმართ.

პროექცია და აგრესიის განდევნა, როგორც ადამიანთა, ისე ეროვნებებს შორის დაძაბულობის, ეჭვიანობისა და მოუთმენლობის ხშირი გამოვლენის მიზეზს წარმოადგენს.

## აგრესიის მიმართვა შიგნით

ზოგჯერ დესტრუქციული მისწრაფებები შეიძლება „მე“-ს წინააღმდეგ იყოს მიმართული. მათი ზემოქმედების ნორმაში, მსგავსი თვისებებით, ეროტიული განზრახვის კომპენსაცია ხდება, რომელიც „მე“-ში ინახება. თუ პირიქით, გარე სამყაროში, დესტრუქციულობის განზრახვა მეტისმეტად ძლიერად შეაკავდა, შიგნით შეიძლება დიდი რაოდენობით აგრესია დაგროვდეს. აგრესიული ენერგიის ჩვეული განაწილება ვლინდება სხეულებრივ სფეროზე ორგანული დაავადებების გაზრდაში, ფსიქიკური სფეროს თვითკონტროლის დაკარგვაში, მეტისმეტად მკაცრ სუპერევოში, რომელიც გამოიხატება დეპრესიული მდგომარეობით, თვითდამანგრეველ და სუიციდიალურ (თვითმკვლელობის) ტენდენციებში.

### აგრესიის სუბლიმაცია. პრაქტიკული დამატება

აგრესიის მიდრეკილება, რომელიც ეროტიულ იმპულსებთანაა შერეული, ამცირებს თავის დესტრუქციულ ხასიათს, თავისუფლდება და არსებითი წვლილი შეაქვს ცხოვრების მიზნის მიღწევაში.

შშობლებს, პედაგოგებს და ბავშვის თერაპიის სფეროში მომუშავეებს ხშირად აინტერესებთ პასუხი შემდეგ ორ კითხვაზე: განისაზღვრება თუ არა აგრესიული მიდრეკილების გარემო შინაგანი ფაქტორებით (*მემკვიდრული, თანდაყოლილი დესტრუქციული ძალა და ეროტიული მიდრეკილება, რომელიც სხეულებრივი კონსტიტუციის უნარზეა დამოკიდებული, გაუძლოს აგრესიის ფსიქიკაში გამოვლენას*) და რამდენად დიდი გავლენა აქვთ გარე ფაქტორებს (შშობლების განწყობა, დეპრეზიაციის და ფრუსტრაციის ზრდა ან შემცირება, მკაცრი ან რბილი აღზრდის მეთოდები).

1. ფრუსტრაციის გაძლიერება არსებითი ლიბიდოზორული

სურვილი (აღმოცენებითი, მაგ., უსიყვარულობიდან, აკრძალვებიდან, მშობლის უარყოფითი დამოკიდებულებებიდან), ბავშვთა აგრესიულ რეაქციებს, რომელსაც ბავშვი შეიძლება დაბადებამდე შეხვდეს, არანორმალურად აძლიერებს;

2. როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორებით

გამოწვეული სიყვარულის უკმარისობა ადრეულ ბავშვობაში (მშობლების ან მშობლების შემცვლელი ადამიანების დაკარგვა, ძეძუდან ტრავმირებულად მოცილება და ა.შ.). ეს ყველაფერი ემოციური შიმშილის მდგომარეობას, ბავშვის ეროტიული განვითარების შეფერხებას ან შემდგომში მის სრულ შეჩერებას იწვევს. ამ შემთხვევაში არ შეიძლება ეროტიულ და დესტრუქციულ მიდრეკილებებს შორის ნორმალური დამოკიდებულება წარმოიშვას, აგრესია წმინდა დესტრუქციული სახით ვლინდება. მსგავს შემთხვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩვეული ოჯახური ცხოვრებისას, მაგრამ ძირითადად გვხვდება მზრუნველობამოკლებულ, დაობლებულ ბავშვებში, რომელთა ბავშვობას იძი დაუმთხვა, ან ინტერნატში გაიზარდნენ.

3. ბავშვთა დესტრუქციულობა, კანონდარღვევები და

დანაშაულობანი, რომელიც მათი ლიბიდური განვითარების შეფერხებითაა გამოწვეული, არ ექვემდებარებიან ისეთ პედაგოგიურ ზემოქმედებას, როგორიცაა: მკაცრი კონტროლი, დასჯა, შეკისება და ა.შ. შესაბამისი თერაპია ისე უნდა იქნას მიმართული ემოციური განვითარების შეღავათად, დევექტურ მხარეზე, რომ ეროტიულ და დესტრუქციულ იმპულსებს შორის ნორმალური ურთიერთშემოქმედება გამოიწვიოს და აგრესია ბავშვის სასიყვარულო განცდების სასარგებლო, შემამსუბუქებელ გავლენაში მოაქციოს.

4. ბავშვის აგრესიული მიდრეკილებებისადმი შინაგან,

სპონტანურ კონფლიქტებზე, რომელიც საყვარელი მშობლების წინააღმდეგაა მიმართული, ძლიერ ზეგავლენას ახდენს მოთმინება და მოუთმენლობა, რომელსაც მშობლები კონკრეტულ შემთხვევაში ავლენენ.

## აგრესიის ტრანსფორმაცია

ყველა ფსიქოანალიტიკოსი იზიარებს მოსაზრებას, რომ პატარა ბავშვის განვითარების ამ თუ იმ ეტაპზე აგრესიული მიდრეკილებები შეუთავსებელია სხვა მისწრაფებებთან ან ინდივიდუალური ფსიქიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორებთან. აგრესია დაუშვებელი ხდება; საშიშია მისი იდეები, ფანტაზიები და სურვილები., ისინი შფოთვის გაძლიერებას იწვევენ და ამიტომ ცნობიერებიდან განიდევენბიან. ამისათვის საჭირო მეთოდებად გვინდამცავი მექანიზმები გვევლინება, რომლებიც საშიში პრეგენიტალური სექსუალური მისწრაფებების უკუგდებისა და ტრანსფორმაციისთვისაა აუცილებელი.

## აგრესიის კლინიკური კვლევა

ანა ფროიდის მოსაზრებით, თუ დავუშვებთ, რომ ნევროზის გადატანის მოქმედი დამცავი მექანიზმები ხარისხობრივად ისეთებია, როგორც ნორმალური განვითარებისას და მხოლოდ რაოდენობრივადაა მომატებული, ფსიქოანალიზის სენსების ჩატარებისას ბევრი სასარგებლო ინფორმაციის მიღება შეიძლება. ჩვენ შეგვიძლია მავნე ბავშვის სიმპტომის პრიზმაში შევხედოთ, როგორც ქცევის შედეგი, როდესაც იგი თავისი დანაშაულის მონანიებას ცდილობს. კერძოდ, მან „გამოასწოროს“ რაღაც, რომელიც დაანგრია ან დააზიანა ცუდი ქცევის შედეგად. რიტუალების მეშვეობით, ბავშვს უყალიბდება უკვლელობისაკენ, როგორც უსაფრთხოების საშუალებისაკენ, სწრაფვა, რაც მასში წარმოშობს უნარს, აგრესიულ სურვილებს დაუპირისპირდეს. ბავშვის შესუსტებულ, მავნებლის სიმპტომით შეპყრობილ ქცევაში ვლინდება მისი განვითარების უნარი, იმპულსსა და ქცევას შორის განათავსოს აზრი,

ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ, „დათვალოს ათამდე, ვიდრე ბრაზს ამოაფრქვევს“.

სასკოლო ფობიის ანალიზისას, შეიძლება ბევრი გავიგოთ ვგოს თანდაყოლილ სურვილებთან ბრძოლაზე, განსაკუთრებით, საკუთარი დედის სიკვდილის სურვილთან, რაც ბავშვის აგრესიის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს.

სასკოლო ფობიის მქონე ბავშვისათვის, ეს ბრძოლა ესაზღვრება დედასთან განშორების უუნარობას - სიმპტომი, რომელიც ისეთ დედასთან მიჯაჭვულობას ზრდის, როგორც მას სკოლამდელ ასაკში წარმოუდგენია; ხდება ორივე სახის ბრძოლის ამბივალენტობა. უკანასკნელი წარმოადგენს აგრესიისაგან დაცვის ნორმალურ რეაქციას.

სინამდვილეში, ყველა დამცავი მექანიზმი, რომელიც აგრესიულ სწრაფვას აკონტროლებს, განვითარებისას როგორც პათოგენური კლექტები ნევროზში ვლინდება და შეიძლება ანალიტიკური მკურნალობის პროცესების პარალელურად იქნას შესწავლილი..

აგრესიის შესწავლაში, ნევროზების სფეროს მიღმა, ანალიტიკური მკურნალობა შეიძლება განსაკუთრებით შედეგიანი იყოს. აქ ანა ფროიდი ერთი და იგივე ადამიანის სურვილების მკვეთარ ცვლილებებს - *მკვლელობიდან თვითმკვლელობამდე* - გულისხმობს, ანუ აგრესიის საკუთარ თავზე ან განსაზღვრულ ობიექტზე მიმართვას, მოზრდილების მიერ საკუთარი სხეულის დაზიანებას და თვითმკვლელობის მცდელობას, რომლებიც წარმოაჩენენ აგრესიის, როგორც ბოროტების წყაროს ობიექტიდან საკუთარ თავზე და საკუთარ სხეულზე მიმართულების ცვლილებას.

ფსიქოანალიზის სიანსებზე ბავშვები მრავალ მიზეზთა გამო, შეიძლება აგრესიულები, უხეშები, უარმყოფელები, შემტყვები იყვნენ. ამ თვისებათაგან მხოლოდ ერთი მათგანი იქნება მათი აგრესიული ფანტაზიისა და იმპულსების ნამდვილი განმუხტვის საშუალება; დანარჩენი გამოხატავენ აგრესიულ ქცევას, მართულ ვგოს, ანუ ემსახურებიან თავდაცვის მიზნებს:

როგორც შფოთვაზე რეაქცია და შფოთვის ეფექტური დაფარვა;

როგორც ეგოს წინააღმდეგობა დამცავი მექანიზმების დასუსტებისათვის;

როგორც წინაცნობიერი და არაცნობიერი მასალის ვერბალიზაციის წინააღმდეგობა;

როგორც სუპერეგოს რეაქცია, სექსუალურ და აგრესიულ სფეროში *ადის* გამოვლენის გაცნობიერებული აღიარება;

როგორც ფსიქო-ანალიტიკოსთა რაიმე პოზიტიური ლიბიდოზორული მიჯაჭვულობის უარყოფა;

როგორც პასიურ-ფემინური მიდრეკილებებისაგან დაცვა.

მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს აგრესიულობების გამოვლენის ზემოთ დასახელებულ მნიშვნელობასა და გაგებას შორის, და ასევე მეტისმეტ სიმკაცრეს აგრესიულ შეტევებს შორის, თუმცა არსობრივად ისინი ერთნაირია.

ბავშვთა ფსიქოანალიზისათვის მნიშვნელოვანია განვასხვავოთ სურვილის ნამდვილი გამოხატულება და ის აგრესიული ქცევა, რომელიც რომელიმე გარე ფაქტორზე რეაქციაა, რადგან ბევრ სხვასთან ერთად ეს საშუალებას იძლევა, მკაფიოდ განვასხვავოთ აგრესიული, შეშინებული, პასიური ან თავდაცვაზე მეტისმეტად ორიენტირებული ბავშვები.

### აგრესიის შესწავლა პატარა ბავშვებზე დაკვირვებით

მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია ფართო დიაპაზონი განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში; თავის უმნიშვნელო ტრაუმებიდან დაწყებული, თავის რაიმეზე დარტყმით, ჭრილობების გამოწვევის სურვილით დამთავრებული. ფრჩხილების კვნეტით და თმების მოწინწკნით დაწყებული (რომლებიც შეიძლება შეფასდეს, როგორც მასტურბაციის ეკვივალენტი),

დამთავრებული კბენის მეშვეობით, საკუთარი სხეულისათვის მკაცრი და უმართავი ზიანის მიყენებით — როგორც ადგილი აქვს ღუფექტურ, ფსიქოტიკურ ბავშვებში.

## აგრესიულობის შესწავლა თამაშისას

შობლებსა და საბავშვო ბაღის თანამშრომლებს, რომლებიც მოთამაშე ბავშვებს აკვირდებიან, ფართო შესაძლებლობები აქვთ იმის გასაცნობიერებლად, რომ თანაარსებობენ კონსტრუქციული და დესტრუქციული სურვილები. მაგ., ბავშვი ერთნაირ სიამოვნებას განიცდის კუბიკებით თამაშისას - მათი ერთიმეორეზე დაწყობით, ვიდრე მალა ჯოშკს არ მიიღებს, ასევე, აშენებულის დანგრევით და კუბიკების მიმოფანტვით. შეჯდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პირველ მათგანს აკეთებს კარგი განწყობის, მეორეს კი - გაღიზიანებული, გაწბილებული ან ფსიქიკური მოშლილობის შემთხვევაში. პირიქით, ბავშვი ნებისმიერი ამ ქსელებით სისარულს განიცდის. მის ცნობიერებაში წარმოიქმნება ერთნაირი სიამაყე, რომ იგი სიტუაციას ფლობს და ავლენს საჭირო უნარს.

ბავშვის სიამოვნება შშენებლობის დროს უკავშირდება ლიბიდოს, ზოლო სიამოვნება დანგრევისას — აგრესიას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორივე სიამოვნება უნდა თანაარსებობდნენ ერთდროულად, ან სწრაფი მონაცვლეობით. არცერთი მათგანი ერთმანეთს არ ერწყმის და ორივე პირველადი ტენდენციისგანაა წარმოებული.

## საკუთარი სხეულის წინააღმდეგ მიმართული ბავშვის აგრესიული განზრახვები

აგრესიული ენერგია, ყველაზე ადრეულ სტადიაში, ბავშვის სხეულში ისევე უნდა ნახულობდეს გამოსავალს, როგორც სექსუალური ენერგია (ლიბიდო). იგი შეიძლება გამოვლინდეს აუტო-

ეროტიულ ქმედებებში. მაგალითად, თავის დარტყმას და რიტმულ ღი ქანაობას ბავშვების აუტოეროტიული მოქმედებების თვითდესტრუქციულობის ეკვივალენტია.

ბავშვები თავს ნაკლები სიხშირით ურტყამენ, ვიდრე ქანაობენ, რადგან ეს უკანასკნელი აქტივობა მდებარეობს ნორმალური და ანორმალური ქცევის ზღვარზე და ზოგჯერ იგი შეიძლება ნამდვილად გახდეს დაზიანების მიზეზი. ასევე, იგი მართებულია სხვა, უფრო იშვიათ თვითდესტრუქციულ ქმედებებთან; საკუთარი თმების დაგლეჯვა ძუძუთა და მცირე ასაკის ბავშვების მიერ.

ცხოვრების პირველი წლის განმავლობაში დიდი თითის ან ხელის სხვა ნაწილის წოვა, ნორმალური აუტოეროტიული გამოვლენაა. კბენა, როგორც თვითდესტრუქციული ქმედება, არანორმალურია და ვლინდება მხოლოდ დეფექტურ ფსიქოზურ ბავშვებში. ამ სტადიიდან დაწყებული ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვის აგრესიული ზრახვები საკუთარი სხეულიდან გარესამყაროს ცოცხალ ან არაცოცხალ ობიექტზეა გადასროლილი.

აგრესია, უფრო გვიან სტადიაში, შეიძლება დესტრუქციულ ფორმაში გამოვლინდეს, მაგრამ თავდაპირველად სუპერეგოშია ჩართული და მიმართულია ეგოს და არა საკუთარი თავის წინააღმდეგ.

### გარე სამყაროზე მიმართული აგრესიული განზრახვები

ბავშვის ურთიერთობებში, გარე სამყაროს ობიექტებიდან ეროტიული და დესტრუქციული ელემენტები ერთმანეთთან ისე მჭიდროდაა დაკავშირებულნი, რომ ძნელია კონკრეტულად გამოიყოს ამ ინსტინქტებიდან რომელი მონაწილეობს ცალკეულ რეაქციებში.

პრეგენიტალური განვითარების თითოეულ ფაზაში აგრესიული ენერგია წარმოადგენს სექსუალური (ლიბიდოზურ) განზრახვების აუცილებელ დანამატს. ჩვენთვის ნაცნობი ბავშვის ქცევის სურათები ორივე ამ ელემენტს მოიცავენ. ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ძუძუთა ბავშვის დედის მკერდისადმი თავდაპირველი, შემდეგ კი უშუალოდ დედისადმი ემოციური მიჯაჭვულობა, იგივე აგრესიული დაუკმაყოფილებლობისა და სიზარბის მახასიათებელი თვისებების დემონსტრირებაა, რასაც მისი კვებისადმი დამოკიდებულებისას ვაშინვით. ორალურ სტადიაში ბავშვი ანგრევს იმას, რასაც ითვისებს (წუწნის შშრალ საგნებს, ცდილობს ყველაფერი თავის შიგნით „მოიქციოს“. საპირისპირო, ანალურ დონეზე ეროტიული და აგრესიული ტენდენციების შერწყმა გამოუცდელი დამკვირვებლისთვისაც თვალსაჩინოა.

ნებისმიერ პიროვნებას. ვისაც ერთი წლის ასაკის ბავშვთან შეხება პიონია, შეამჩნევდა დედისადმი მიჯაჭვულ, განსაკუთრებულ შესაკუთრულ, შემალინებულ, მომქანცველ სიყვარულის ფორმას; ისეთ მომთხოვნ ურთიერთობებს, რომლებსაც ბევრი ანალგაზრდა დედა თითქმის ავადმყოფობამდე მიყავს. ასევე ვიცით, რომ განსაკუთრებული სექსუალური ჯიბრით ხდება ყველა უსულო საგნების განადგურება: ისინი, როგორც წესი, ცუდად ეპყრობიან საყვარელ სათამაშოებს, საგნებს; შინაური ცხოველები საჭიროებენ მათი აგრესიისაგან დაცვას. იგი ერწყმის პატარა მუპატრონეების მათი დაიმა სიყვარულს. გვესმის, რომ პრეგენიტალურ სტადიაში ეს სიმულვილი კი არა, ისეთი აგრესიული სიყვარულია, რომელიც საკუთარი ობიექტის განადგურებისაკენ მიისწრაფვის.

ფაღური სტადიის განმავლობაში, სექსუალურობის განვითარება. სექსუალურობისა და აგრესიულობის თანაფარდობა, მოზრდილების ასაკს ჩამოგავს. ბიჭები განვითარების ამ დონეზე დომინირებისაკენ ისწრაფვიან და საკუთარ დედას, ან მიჯაჭვულობის სხვა ობიექტებს იცავენ; აგრესიული ელემენტები აქ

ექსკიბიციონურ ტენდენციებს უკავშირდება. თანამდევ მიზნად ყალიბდება სიყვარულის ობიექტისადმი ყურადღების მიპყრობა და მისი საბოლოო დამორჩილება.

## რაოდენობრივი ფაქტორის მნიშვნელობა

სექსუალურ და აგრესიულ განზრახვათა კავშირი ნორმალური და ტიპურია. ინსტინქტური ტენდენციების თითოეული ჯგუფისაგან მიღებული ენერგ.ის რაოდენობრივი განსხვავება, ინდივიდუალურ განზრახვათა დიდ განთესვას ახდენს. ანალურ სტადიაში აგრესიის დიდი რაოდენობა სადისტური გაუკუღმართების სურათს ქნის: ფალსურ სტადიაში აგრესიის წვლილის შემცირება ქალური თვისებების განვითარებასა და მასკულიზური ნიშნების დაკარგვას განაპირობებს. რამდენადაც ვიცნობთ ბავშვების აღზრდას, სწორედ მმართველსა და მართულს შორის, კარგ და ცუდ ბავშვებს შორის რაოდენობრივი გადახრები აღნიშნავენ განსხვავებებს. ამ ვარიაციით უმრავლესობა ნორმის ფარგლებშია.

## პათოლოგიური აგრესია ბავშვებში

პატარა ბავშვებში პათოლოგიური აგრესიის არსებობა, რომელიც ზოგჯერ ოჯახში მცხოვრებ ბავშვებშიც შეიძლება გამოვლინდეს, შესწავლის განსაკუთრებული ინტერესის საგანია. იგი განსაკუთრებით ხშირად ვლინდება ობლებსა და არასრულ ოჯახებში გაზრდილ, ასევე ბავშვებში, რომლებმაც დედობილ-მამობილი გამოიცვალეს, ცხოვრობენ საბავშვო სახლებში ან სხვა საბავშვო დაწესებულებებში. ეს ბავშვები არ არიან ჭკუასუსტები, თუმცა ასასიათებთ გონებრივად ჩამორჩენილი, უკონტროლო, აშკარად

უშინაარსო, დესტრუქციული მონაცემები, განიცდიან სიამოვნებას ან სრულ გულგრილობას მათ მიერ დამტკრეული ნივთებისადმი. ისინი აფუჭებენ ტანსაცმელს, სათამაშოებს, ავეჯს, დაუნდობლნი არიან ცხოველებისა და სხვა ბავშვების მიმართ, უფროსებისადმი კი გულგრილნი, არ ემორჩილებიან მათ. ასეთ ბავშვებთან ურთიერთობა, აღმზრდელთათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს; მათი მდგომარეობის ასსნა საბავშვო ფსიქოლოგიის პრობლემაა. უფრო ზედმიწევნით განხილვისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პათოლოგიური ფაქტორები არსებობენ არა აგრესიულ გამოვლინებებში, არამედ მათი ლიბიდოზური (ეროტიული) განზრახვებისადმი კავშირების არარსებობაში. პათოლოგიური ფაქტორი ვლინდება ეროტიული, ემოციური განვითარების სფეროში, რომელაც დამახინჯებელია ისეთი შიდა და გარე პირობების გავლენით, როგორცაა *სიჯარულის ობიექტის არარსებობა, გარშემოწყოფ უფროსისაგან ემოციური პასუხის ვერ მიღება, ემოციურა კავშირების სწრაფი და მტკიცეული გაწყვეტა*. ემოციური განვითარების ნაკლოვანებების გამო აგრესიული განზრახვები არ ერთიანდებიან ლიბიდოსურებას და, როგორც შედეგი, არ ნეიტრალდებიან, თავისუფალი რსებიან და ცდილობენ ცხეერებაში წმინდა უკონტროლო დესტრუქციულობაში გამოვლინდნენ. ბავშვთა აგრესიულობის პათოლოგიური გამოვლინებების ძაღდატანებით გაკონტროლება და მკვდლება, *აპქელის ბავშვი ცეცხლანარი საშუალებებით აკონტროლის საკუთარი დესტრუქციულობა*, ჩასაფუქმადაა განწირული. შესაბამისი თერაპია უნდა იქნას მიმართული მამუებელ, განუვითარებელ მზარტებს, კერძოდ, *ემოციურ ლიბიდოზურ განვითარებაზე*; სადაც განვითარებაში ჩამორჩენილი ან რაიმე სხვა მიზეზით დარღვეული ლიბიდოსური იმპულსების ნორმასთან დაახლოებაა შესაძლებელი, ეროტიულ და დესტრუქციულ იმპულსებს შორის კავშირი ავტოსურჯერად განხორციელდება და აგრესია ეროტიულ განზრახულობათა კეთილისმყოფელი გავლენით გარდაიქმნება.

### თავი III. ბავშვთა აგრესიული ქცევის რისკ-ფაქტორები აგრესიული ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები

ბავშვთა აგრესიის განხილვისას მნიშვნელოვანია ბიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აგრესიის გამოვლენის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური პირობები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ერთ-ერთი არგუმენტი იმის მტკიცებულებისა, რომ ადამიანთა ქცევის საფუძველი მათ ბიოლოგიურ ფაქტორშია, ე. ი. ადამიანებს, რომლებსაც მსგავსი გენეტიკა, ანალოგიური ბიოლოგიური ხასიათი აქვთ, მოქმედებაშიც ერთნაირები არიან. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ახლობელ ნათესავეებში, მაგ., ტყუპებში. მათ უფრო მეტად გამოკვეთილი მსგავსი მემკვიდრული თვისებები გააჩნიათ, ვიდრე ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს. ერთი კვრცხუჯრედის ტყუპები უფრო მსგავსნი არიან, ვიდრე სხვადასხვა კვრცხუჯრედისა. აგრესიის ხარისხის მემკვიდრული ბუნების განსაზღვრისას მეცნიერთა მიერ შემუშავებულ იქნა რამდენიმე საკვლევო პროგრამა, რომლის მიხედვითაც შესწავლილ იქნა აგრესიის მსგავსების ხარისხის გამოვლენის ასპექტები ერთკვრცხუჯრედიანი და სხვადასხვა კვრცხუჯრედიანი ტყუპების შესწავლისას. მეცნიერთა ერთმა ნაწილმა პრაქტიკულად ვერ დაადგინა აგრესიულობის მემკვიდრული თვისების მსგავსება.

განსხვავებით მათგან, სხვა მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გენი გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრესიული ქცევის ფორმირებაში, ვიდრე გარემოპირობა. ტყუპების მაგალითზე აგრესიის ბიოლოგიური ფაქტორის შესწავლას სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა, მაგ., ბიოლოგიურად მსგავს ერთი კვრცხუჯ-

რჯის ტყუპებს შეიძლება მსგავსი ცხოვრების პირობები ჰქონ-  
ოდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ორ ადამიანს იდენტური ხასიათი  
აქვს (ერთკვერცხუჯრედიანი ტყუპების მაგალითზე), ადამიანებს  
მათ მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება უყალიბდებათ. ფიზი-  
კურად და სქესით განსხვავებული ტყუპების მიმართ ახლოებულ  
და უცხო ადამიანებს განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ.  
მედნიკი და მისი კოლეგები შეეცადნენ ამ პრობლემის ახსნას.  
შეისწავლეს ბავშვებში ხასიათის მემკვიდრეობითობის ხარისხი,  
მათ ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ მშობლებთან მიმართებაში.  
თუ ნაშვილები ბავშვი უფრო მეტად ჰგავს თავის ბიოლოგიურ  
მშობლებს, მაშინ დომინირებს ბიოლოგიური დეტერმინანტი, დე-  
დობილთან და მამობილთან მეტი მსგავსება კი გარეფაქტორების  
შედეგია (მაგ., დასწავლა). კვლევები ჩატარდა საბავშვო სასამარ-  
თლო არქივებში არსებული იმ პირთა სამართალდარღვევების  
მასალების შესწავლის საფუძველზე, რომლებიც ბავშვობაში შეილად  
აყვანილები იყვნენ (1924-1947). გარდა ამისა, მათ შეისწავლეს  
როგორც ბიოლოგიური მშობლის, ასევე დედობილ-მამობილის  
სასამართლო საქმეები. მეცნიერების მოსაზრებით, თუ შეილად  
აყვანილი განსასჯელი ბავშვების ბიოლოგიური მშობლებიც გასამარ-  
თლებულები იყვნენ, ეს მნიშვნებს გენეტიკის როლზე დანაშაულებ-  
რივი ქცევის ფორმირებაში. იმ ბიჭების ბიოლოგიური მამები,  
რომლებიც გასამართლებულნი იყვნენ, თვითონაც იხდიდნენ სასჯელს  
კანონის დარღვევისათვის.

მსგავსი ფაქტები მოწმობს იმას, რომ აგრესიული ქცევისადმი  
მიდრეკილება მემკვიდრეობით გადადის. ერთის მხრივ, მემკვიდ-  
რეობაში არსებული დანაშაულისაკენ მიდრეკილება არ ნიშნავს  
აგრესიისადმი მიდრეკილებას. კვლევებისას შესწავლილი პი-  
როვნების უმრავლესობა, ხშირ შემთხვევაში, არ ჩადიოდა ძალა-  
დობრივ დანაშაულს. მედნიკი და მისი კოლეგები მივიდნენ დასკვნამ-  
დე, რომ, როგორც წესი, მემკვიდრეობით მიღებული დანაშაულისაკენ

მოდრეკილება მიმართულია საკუთრებისაკენ და არა პიროვნებისად მი. სხვა მკვლევარები მნიშვნელოვნად თელიან შემკვიდრებით როლს აგრესიული ქცევის ფორმირებაში. ისინი აღნიშნავენ, რომ შემკვიდრებით მიღებულია არა აგრესიისაკენ მოდრეკილება, არამედ პიროვნული ხასიათის თვისებები (მაგ., იმპულსურობა, ლიდერობა საკენ სწრაფვა და სხვა), რაც მთავარი პირობაა აგრესიის გამოვლენისათვის.

მოცემული მონაცემები ადასტურებს შემკვიდრებითობის როლს კრიმინალურ ქცევაში. ბიჭების მოდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ პირდაპირ კავშირშია მათ ბიოლოგიურ მშობლებთან. აგრესიული ქცევის ფორმირებაში ბიოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობა არ გამოირიცხავს გარემო-პირობების როლსაც. მაიერს მოჰყავს სიტუაციური მაგალითები, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს ინდივიდში ქრონიკული აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებაში. იგი მიუთითებს პიროვნების როგორც შინაგან ბუნებაზე. ასევე გარემო პირობების როლზე და მნიშვნელობაზე მის ფორმირებაში და აღნიშნავს, რომ ადამიანს, რომელსაც შემკვიდრებით სუსტი ნერვიული სისტემა აქვს და გამოირჩევა აღზნებადობითა და აგრესიული რეაქციით, დეპრივაციულ, ფრუსტრაციულ და სტრესულ სიტუაციაში ბრაზისა და მტრობის გამოვლენის მოდრეკილება უნდა იქნება. სხვა შემთხვევაში, თუ იგივე ადამიანი იზრდება სიყვარულისა და სითბოს ატმოსფეროში, დაცულია სისასტიკისა და ძალადობისაგან, ნაკლებად არის პროვოცირებული აგრესიით. მას არ ექნება აგრესიული ქცევისადმი მოდრეკილება.

ფსიქოანალიტიკური პოზიციის თანახმად ადამიანში არსებობს ბაზისური აგრესია. იგი ითვლება ინდივიდუალობის გამოვლენად და კონსტრუქციულ როლს თამაშობს პიროვნების აქტიურობის დაკმაყოფილებაში. მეცნიერების დაკვირვებით ახალდაბადებულ ბავშვში უკვე შეინიშნება ბრაზის რეაქცია და მათი აზრით, ეს უკვე წარმოადგენს აგრესიის გამოხატულების პრიმიტიულ

ფორმას. მრავალი სპეციალისტი ავითარებს აზრს, რომ ბრაზის გამშვებ მექანიზმად (მოჭარბებული ტკივილისა და სტრესის განცდა.) აგრესია ითვლება. ჩვეულებრივ, პირველი თვეების ახალშობილ ბავშვებში ბრაზის გამოწვევისას, მათ სურვილი არა აქვთ ზიანი მიაყენონ ვინმეს. ამიტომაც ამ ასაკის ბავშვის აგრესიულობაზე შეიძლება პირობითად ვისაუბროთ, რაც, როგორც აგრესიის ზოგადი განსაზღვრება გულისხმობს, განზრახ ზიანის მიყენებას ან ზიანის მიყენების მცდელობას გამოიხატავს.

ერთის მხრივ, ერთი წლის მიღწეულ ბავშვთა ბრაზის რეაქციაზე დაკვირვებისას მეცნიერებმა შენიშნეს, რომ ამ დროს ბავშვი განიცდის მტრობის გრძნობას და ხშირ შემთხვევაში სხვისთვის ზიანის მიყენების სურვილი უჩნდება, რაც ვლინდება რაიმე ობიექტის აგრესიით ჩანაცვლებაში, მაგ., აგრესიული მოქმედების გადატანა ახლობელ და მათთვის მნიშვნელოვან ადამიანზე.

ბიპკვიორი'ხმის თეორიის ერთ-ერთმა მამამთავარმა ჯონ უოტსონმა ივარაუდა, რომ ბრაზი ითვლება შეზღუდვაზე თანდაყოლილ რეაქციად. უოტსონი და ბ. მორგანი ახალდაბადებული ბავშვის სამოძრაო აქტიურობას აფერხებდნენ, წელზე ხელს უჭერდნენ და უშლიდნენ ფეხების მოძრაობას. ამ დროს მათ მიერ გამოხატულ ბრაზსა და აგრესიას მეცნიერებმა „გააფთრება“ უწოდეს. სხვა ექსპერიმენტებმა აღნიშნული შედეგები არ დაადასტურა და ბევრ მეცნიერს ეჭვი გაუჩინა, მართლა რეაგირებენ თუ არა პატარები აქტიურობის შეზღუდვაზე.

ამ პრობლემათ დაინტერესდნენ ფსიქოლოგები სტენბერგი და კელსონი, რომლებმაც გამოიკვლიეს დაბადებიდან ორ წლამდე ბავშვთა შეზღუდვებით გამოწვეული სახის გამომეტყველება და გაფანტეს სხვა მეცნიერთა ეჭვი ამ საკითხის ირგვლივ.

უფრო ადრე, ბავშვთა ემოციური მდგომარეობა გამოიკვლიეს ფსიქოლოგმა ექმანმა და მისმა თანამშრომლებმა და დაადასტურეს, რომ სახის სპეციფიკური გამომეტყველება თანდაყოლილია

და არა შექმნილი. ისინი აღნიშნავენ, რომ ბრაზის მდგომარეობაში მყოფ ყველა ადამიანს, იქნება ის მაღალი თუ დაბალი საზოგადოების წარმომადგენელი, ერთნაირი გამომეტყველება აქვთ: „წარბები ეჭმუნებათ, ქუთუთოები ეძაბებათ, თვალის გუგები უფართოდებათ“ და ა. შ. მათ მიერ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სტენბერგმა და კემპოსმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლის დროსაც ექსპერიმენტატორი ჩვილ ბავშვებს გვერდებში ხელს უჭერდა და დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში, ვიდრე ისინი ბრაზით რეაგირებას არ იწყებდნენ, არ უშვებდა. ვიდეოკამერა აფიქსირებდა მათი სახის ექსპრესიას, სხეულის რეაქციას და მიღებულ მონაცემებს გულდასმით აანალიზებდნენ. ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვთა რეაქციების სიმძაფრე მათ ასაკზეა დამოკიდებული. სახის ექსპრესიის მიხედვით, ერთი თვის ახალშობილებს გამოეხატებათ წუხილი და დისტრესი. იმავდროულად ოთხიდან შვიდ თვემდე ასაკის ბავშვები შეზღუდვაზე ბრაზის მძაფრი რეაქციით რეაგირებენ.

აღნიშნულ კვლევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრაზისა და ფრუსტრაციის შემკვიდრული კავშირის არსებობის მტკიცებულება.

## ცენტრალური ნერვული სისტემა

ადამიანის ტვინის ქერქი გაცილებით დიდი მოცულობისაა. ვიდრე ცხოველის. თავის ტვინის ქერქის სფეროები დაკავშირებულია სოციალურ დასწავლასთან, შედეგის პროგნოზთან და რეაქციის არჩევანთან - აღნიშნავს ვეიგერი. თავის ტვინის სტრუქტურაში შუბლის ნაწილი, ნეოკორტექსი გარეგანი სენსორული ინფორმაციის მიღების მთავარი წყაროა. ლიმბური სისტემა შუბლის ნაწილს აწვდის დამატებით ინფორმაციას თავის ტვინის სხვა სისტემების მდგომარეობის შესახებ. ლიმბურ სისტემაში ცირ-

კულირებული აგრესიული ქცევის ფორმირებაზე ზემოქმედებას ახდენენ ნეირომედიატორები. ეს ნივთიერებები პასუხს აგებენ თავის ტვინის ქერქსა და სხვადასხვა ლიმბურ სტრუქტურას შორის ინფორმაციის გაცვლაზე. მაგ., ნეირომედიატორების დაბალი დონის შემთხვევაში, რაც აგრესიის დათრგუნვას უკავშირდება, ამგვარი შეკავების არსებობის შესახებ ინფორმაცია ვეღარ აღწევს თავის ტვინის ქერქამდე, რის გამოც აგრესიის გამოვლენის ალბათობა იზრდება.

კოკარო აღნიშნავდა: ნეირომედიატორების ფუნქციების შემცირება აფექტში მყოფ პიროვნებას არაქმედუნარიანს ხდის, უსიამოვნო გამლიზიანებელზე ადეკვატურად მოახდინოს რეაგირება. სავსებით შესაძლებელია, რომ თავის ტვინის ქერქის შუბლის ნაწილის დაზიანება იწვევდეს ადამიანების გამძაფრებულ აგრესიულ რეაქციებს გარე გამლიზიანებლებზე. თუ ნეოკორტეკსი არ არის დაზიანებული, ამ შემთხვევაში ადამიანები ადეკვატურად (დროის, ადგილის მიხედვით სტრატეგიული მოქმედება) რეაგირებენ შემოთავაზებულ პროვოკაციაზე. დაზიანების შემთხვევაში კი პროვოკაციაზე მათი რეაგირება და გამოხატულების ფორმა იმპულსური, აგრესიული და სულელურია.

მეცნიერებმა კვლევების მეშვეობით დაადგინეს თავის ტვინის ქსოვილის განსაზღვრულ დაზიანებასთან დაკავშირებული დარღვევები. ნეიროფსიქოლოგიური მეთოდის დიაგნოსტიკაში შედის მთელი რიგი სერიული ტესტები, რომელთა მიხედვითაც ხდება თავის ტვინის შუბლის ნაწილთან დაკავშირებული კოგნიტური ფუნქციის გამოხატულების ხარისხის დადგენა. მაგ., მებსიურებასთან, შემეცნებით პროცესებთან, მოტორიკასთან დაკავშირებული სირთულეები. ქერქის დისფუნქციის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს აგრეთვე არანორმალურ აგრესიაში გამოვლენილი დისფუნქციაც, რაც ასევე მიუთითებს ქერქის ფუნქციის დარღვევასა და აგრესიული ქცევის ფორმირებას შორის კავშირზე. თავის ტვინის მარცხენა

ნახევარსფეროს ორგანულ დაავადებასა და ადამიანის აგრესი-  
საკენ მიდრეკილებას ყურადღება მიაქციეს მეცნიერებმა ალენმა,  
კოლსონმა და კოინმა, მათ ნეიროფსიქოლოგიური კვლევებით  
დაამტკიცეს, რომ ტვინის ორგანული დაზიანების მქონე ადამი-  
ანებს, ასევე პრობლემები ჰქონდათ აგრესიულობაში. მეცნიერებმა  
ბრაიუნმა, ვოლენმა, სკოტმა, თორიმ, გამოიკვლიეს, რომ პაციენტები,  
რომლებსაც თავის ტვინის დაზიანების დიაგნოზი ჰქონდათ, მიდ-  
რეკილნი იყვნენ ძალადობისაკენ, განსხვავებით იმ პაციენტებისაგან,  
ვისაც ამგვარი დაზიანება არ აღენიშნებოდათ.

სპელასმა, ჩაატარა ორი ნეიროფსიქოლოგიური კვლევა.  
რომლის მიზანი იყო, ძალადობის ჩადენისას იმპულსების წარ-  
მოშობასა და თავის ტვინის ქერქის ფუნქციის დაზიანებას შორის  
კავშირის დადგენა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ძალა-  
დობისაკენ მიდრეკილ პირებს, უარყოფითი ტესტური მანევრებლებ-  
აღმოაჩნდათ კოგნიტური, მოტორული, პერცეპტული შესაძლე-  
ბლობების თვალსაზრისით, განსხვავებით იმ დამნაშავეებისაგან,  
რომლებსაც ამგვარი დაზიანება არ ჰქონდათ.

გორენშტეინი ლურივესკის დეფიციტის თეორიის გამოყენებით  
შეეცადა ამოეხსნა შუბლის ტვინის ნაწილის პრეფრონტალური  
განყოფილება, რათა შეემოწმებინა ნეიროფსიქოლოგების პოზიცია  
არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ. პირველ რიგში მან  
ყურადღება მიაქცია იმ არასრულწლოვანი დამნაშავეებისა და  
ლაბორატორიული ცხოველების ქცევების მსგავსებას, რომლებსაც  
დაზიანებული ჰქონდათ თავის ტვინის ქერქის შუბლის ნაწი-  
ლი და ლიმბური სისტემა. მან ასევე შეისწავლა არასრულწლოვანი  
დამნაშავეების ნეიროფსიქოლოგიური ფუნქციონირება. თავის  
ტვინის ქერქის შუბლის ნაწილის პრეფრონტალური განყოფილე-  
ბის დეფიციტის თეორიის მიხედვით, ინდივიდში პრეფრონტალური  
ქერქის დაზიანება იწვევს გარკვეულ შინაგან პროცესებს, რომლის  
გამოც „ადამიანი უწვეულოდ სუსტი ხდება და მძაფრად განიც-

დის დამანგრეველ ზეგავლენას“. როგორც ჩანს, მხოლოდ შუბლის ქერქის ნაწილი, რომელიც გეგმისა და კონტროლირების სუბსტრატს წარმოადგენს, არ არის განმსაზღვრელი. არანაკლებ მნიშვნელოვანია დაზიანებული პრეფრონტალური ქერქის მქონე ადამიანების ჩვეულებრივი ან სტერეოტიპული რეაქციებისადმი მიდრეკილებები. ანტიისოციალური პირობებიდან გამომდინარე, ქერქის ამგვარი დაზიანებები შესაძლოა გამოიხატოს დასჯისადმი მათ გულგრილობაში ან თავდაცვისა და მისი მოგერიების სურვილის არქონაში. თავის ტვინის შუბლის ნაწილი თრგუნავს აგრესიას. არსებული პროვოკაციის შემთხვევაში, „მოჭარბებული“ რეაქციისაგან ჩვენ გვაკავებს თავის ტვინის დაზიანება, ან მისი დისფუნქცია, რამაც შესაძლოა მწყობრიდან გამოიყვანოს აგრესიის წარმოშობის კონტროლის მექანიზმი. მარკმა და ერვინმა დაასაბუთეს, რომ ასეთი მექანიზმები მწყობრიდან გამოდის ლიმბური სისტემის დაზიანების შემთხვევაში და რომ მსგავსი სიგნალები ითვლება დასწავლის პროდუქტად. „ეს არის პროცესი, რომელიც დაბადების შემდეგ ტვინს ამარაგებს წარსულის გამოცდილებით (კულტურული, ოჯახური ქცევის მოდელი). მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ დასწავლისა და ინტენსიური განმეორების დროს, მაგალითად, ხშირი მუქარისა და დაშინების შემთხვევაში, ლიმბური სისტემა სწრაფად და ხშირად მოდის მოქმედებაში. მრავალი სოციოლოგი აღნიშნავს, რომ საუკეთესო საშუალებაა გაიგო ნებისმიერი ადამიანის ქცევა – თუ განიხილავ მას ბიოლოგიურ და სწავლების პროცესებთან კავშირში.

მეცნიერებმა ლუისმა და მისმა კოლეგებმა გამოიკვლიეს ფაქტორები, რაც პროვოცირებას ახდენს, მოსალოდნელი საშიშროების შემთხვევაში ბავშვების მიერ ძალადობრივი აქტის განხორციელებაზე. მათ დაასკვნეს, რომ მსგავსი ქცევების მიზეზი არის როგორც პირობები, ასევე ბიოლოგიური დეტერმინანტი. მათ მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ ბოლო კვლევაში დასაბუთებულია, რომ

მართალია, ქვეყნის პროგნოზირებისათვის ერთ-ერთ ბიოლოგიურ ფაქტორად ნერვიული სისტემა ითვლება, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობისა ისეთი პირობითი, მათი არსებობისათვის საშიში მოვლენები, როგორიცაა მამის მხრიდან დედასთან მიმართებაში გამოხატული ძალადობრივი ქმედებები, დედის ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობა და სხვა მსგავსი მკვლე ფაქტორები. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ როგორც ცენტრალური ნერვიული სისტემა მოქმედებს ქცევაზე, ასევე გამოცდილება გარკვეულწილად განსაზღვრავს ტვინის მოქმედებას.

აგრესიის თეორიის თანახმად, აგრესია და ალგზნება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ალგზნება ნოყიერ ნიადაგს ქმნიან აგრესიულობის განვითარებისათვის. მოუხედავად იმისა, რომ მეცნიერები პიროვნების ფსიქიკაზე სიტუაციური ალგზნების გავლენას არ უარყოფენ, ისინი თვლიან, რომ აგრესია გარკვეულწილად მოქმედებს ალგზნებაზე. მაგ, კათარზისის თეორიის თანახმად, აღამიანები, აგრესიის ამოფრქვევის შემდეგ, განიცდიან ფსიქიკური დაძაბულობის მოხსნას. (ალგზნებულობის დონის დაწვევა).

ზილმანმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს რიგი კვლევები აგრესიის ფორმირებაზე ალგზნების გავლენის შესახებ, რომლის შედეგებმაც ასევე დაადასტურეს აგრესიისა და ფიზიოლოგიური ალგზნების ურთიერთკავშირი.

აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ნილმა, მაკლონალდმა, ხორნი და მაკლინტონმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც ბავშვები უყურებდნენ აგრესიულ და არააგრესიულ ფილმებს, რომლის დასრულების შემდეგ მათ სთავაზობდნენ ხმაურიან და წყნარ თამაშობებს. მეცნიერების დაკვირვებით ხმაურიან თამაშში ჩართული ბავშვები გააქტიურებული ნერვიული სისტემის გამო, მთელი თამაშის განმავლობაში ბაძავდნენ აგრესიული ფილმის გმირებს განსხვავებით იმ ბავშვებისაგან, რომლებსაც ალგზნება არ განუცდიათ და წყნარ თამაშს ამჯობინებდნენ. ბავშვების ქცევისას მათ სახეზე დომინირებული რეაქცია (ალგზნება, სიმშვიდე) მიაჩნებდა ბავშვ-

ვის მდგომარეობაზე. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ აღვზნება ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია დომინირებული რეაქციის გამოვლენისა და აგრესიის ფორმირებისათვის..

### ოჯახური ძალადობის არსი. ფიზიკური დასჯა

მრავალი მეცნიერის კვლევაში საფუძვლიანადაა დასაბუთებული ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი შედეგები სისტემაში „მშობელი - ბავშვი,“ ოჯახში ემოციური დეპრივაცია და ბავშვთა აგრესიულობა.

კვლევებით დადგენილია, რომ როდესაც ბავშვს უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება ერთი ან ორივე მშობლის მიმართ, მათი პოზიციური თვითშეფასების ტენდენციას და მე - კონცეფციას მშობლის შეფასებაში დასაყრდენი არა აქვს. თუ ბავშვი არ გრძნობს მშობლის თანადგომასა და მეურვეობას, მასში გაუცხოების ნიადაგზე აღმოცენდება სხვადასხვა უარყოფითი თვისებები, სულ უფრო ძნელდება მათი დამოკიდებულება თანატოლებთან და უფროსებთან და მკვეთრი აგრესიული რეაქციები ვლინდება მათთან დამოკიდებულებაში.

ოჯახის ინსტიტუტი ბავშვთა აგრესიული ქცევის პირველი სამეცადინო მოედანია. მშობელი და სიბლინგი (და-ძმა) წამყვან როლს თამაშობენ კულტივირებული აგრესიული ქცევების ჩამოყალიბებაში. პატარასთან მიმართებაში იყენებენ ფიზიკურ დასჯას ან მუქარას, რათა შეწყვიტონ მის მიერ გამოხატული აგრესიული ქცევები. მართალია, მოცემული მეთოდი პატარებთან მიმართებაში მეტის-მეტად მოკლევადიან (მყისიერ) ეფექტს იძლევა, მაგრამ ზოგადად ფიზიკური დასჯის მოდელი, ახდენს რა ფიზიკური ძალის თვალსაჩინო დემონსტრირებას, წარმოადგენს მათ ქცევაზე

ზემოქმედების, ცალკეული ქმედებების წახალისების, შეზღუდვის თუ ტაბუირების ანუ ფაქტობრივად მათი მართვლ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. გასაკვირი არ არის, რომ ე.წ. „სანიმუშო მშობლების“ ოჯახებში მიღებულია აღზრდის „მკაცრი“ სტილი – ფიზიკური დასჯა, რაც ბავშვებს უყალიბებთ მათდამი უსამართლო (მათი შეხედულებით) მოპყრობით გამოწვეულ წყენას, გაბოროტებას, აიძულებს, იფიქრონ შურისძიებაზე, ეკი ნოყიერ ნიადაგს უქმნის მათ აგრესიულ პიროვნებად ფორმირებისათვის. აგრესიული ბავშვები, როგორც წესი, იზრდებიან ისე ოჯახებში, სადაც ნაკლებად არიან დაინტერესებული ბავშვთა აღზრდა-განვითარებით, ბავშვები ვერ გრძნობენ სითბოსა და მოფერებას მშობლების მხრიდან. წყნარი ახსნა-განმარტებების ნაცვლად მშობლები უპირატესობას ძალადობრივ მეთოდებს ანიჭებებენ. პირველად სოციალიზაციას ბავშვი სწორედ ოჯახურ წიაღში გადის. ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის მაგალითზე ის სწავლობს, როგორ იმოქმედოს სხვა ადამიანზე, ითვისებს მათ ქცევას და ურთიერთობების ფორმას. ყოველივე ეს კი მყარად იბუდებს მათში მთელი ცხოვრების მანძილზე. ბავშვები უყურებენ, როგორ გადიან ფიზიკური ძალადობის „პრაქტიკას“ მათი მშობლები ერთმანეთთან და სხვებთან მიმართებაში და მათაც ანალოგიური სიტუაციის განხორციელების მიდრეკილება უჩნდებათ..

კამინგსმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს ექსპერიმენტები ფონური ჩხუბით გამოწვეულ ბავშვთა რეაქციაზე. ბავშვებს სთავაზობდნენ ჩაწერილ ბგერებს ან გამოსახულებებს, რომლებიც უფროსების ჩხუბთან ასოცირდებოდა, ისინი ცდილობდნენ დაედგინათ ოჯახური პრობლემების გავლენა ბავშვთა ქცევაზე. კერძოდ, იგი გულისხმობდა ბავშვებში აგრესიაზე დაკვირვების ზემოქმედებით გამოწვეულ მომავალი აგრესიულობის გამოვლენას. ბავშვები უსმენდნენ ორი მოზრდილი ადამიანის მშვიდი და ბრაზიანი ურთიერთობის ჩანაწერს. ბრაზიანი გამონათქვამების მოსმენისას

ბავშვებთან დაფიქსირდა მეტი ვერბალური აგრესია, ვიდრე მშვიდი საუბრის მოსმენისას. ექსპერიმენტმა დაადგინა, რომ კონფლიქტის მოწმე ბავშვები თავადაც უკიდურესად გაღიზიანებული, დაძაბულები და კონფლიქტურები ხდებიან.

იმ ოჯახის ბავშვები, სადაც მშობლებს შორის ურთიერთობაში ხშირია ფიზიკური და ვერბალური აგრესიის გამოვლენა, მძაფრად რეაგირებენ მშობლებისა და სხვა უფროსების ბრაზიან ინტონაციებზე, ვიდრე მშვიდი, უკონფლიქტო ოჯახის ბავშვები. ასე, რომ ლაბორატორიულ და საველე პირობებში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ ბავშვებს, რომლებიც აკვირდებიან უფროსების აგრესიას, მიდრეკილება უჩნდებათ გარშემომყოფთა მიმართებაში იყვნენ აგრესიულები.

ხშირად მსხვერპლი თვითონ იწყებს აგრესიული ქცევის მოდელირებას. არსებობს ოჯახური „ძალადობის ციკლის“ კვლევების ექსპერიმენტების შედეგები, რომლის მიხედვითაც შესწავლილია აგრესიული ქცევის გადაცემის მექანიზმი. მასში დასაბუთებულია, რომ მოჩუბარი მშობლების ბავშვები, თავადაც მოჩუბრები არიან. შთეინმეთხმა და ჯელესმა იკვლიეს ადამიანები, რომელთა ოჯახებშიც ბავშვობაში ხშირი იყო ძალადობრივი აქტები, ისინი გაცილებით მეტ აგრესიულობას ავლენდნენ საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული ექსპერიმენტების შედეგად, რომლის მიზანს წარმოადგენდა იმ ბავშვების შედარებითი ანალიზი, რომლებიც განიცდიდნენ ან არ განიცდიდნენ მშობლებისაგან მკაცრ მოპყრობას. პატარას, რომელსაც ოჯახში ხშირად ეჩხუბებიან, როგორც თანატოლთან, ასევე უფროსებისადმი აგრესიის გამოხატვის მეტი მიდრეკილება აქვს. დასჯამ შესაძლოა პროვოცირება გაუკეთოს ბავშვთა მომავალ აგრესიულობას. სხვა შემთხვევაში ბავშვები, რომლებსაც უფროსები ხშირად სჯიან, ცდილობენ გაექცნენ თავიანთ მშობლებს ან მსგავსი მეთოდებით უპასუხონ მათ. მშობლების ავერსიულმა (საზიანო

სტიმულებით ზემოქმედება) დამოკიდებულებებმა ბავშვი შეს-  
ძლოა მიიყვანოს იმ ადამიანთა „კომპანიაში“, სადაც დემონსტრ-  
რება ხდება მეტიმსებტად სარისკო ქცევისა, რომელიც ყოველ  
წუთს შეიძლება დაისაჯოს .

როდესაც ფიზიკური დასჯა ძალიან ალაგზნებს და გაანაწყენებ-  
ბავშვს, ტკივილის გამო მას შეიძლება დაავიწყდეს, რისთვის დაისა-  
ჯა. ფაქტობრივად, სოციალიზაციის სტრატეგია მას ხელს უშლი  
შექნილი მოქმედების წესების დაუფლებაში. ასევე, ბავშვები, რომელნიც  
ხშირად იბულებულები არიან, ძლიერი გარეგანი ზემოქმედების შე-  
დეგად, შეცვალონ თავიანთი ქცევა, ვეღარ ახერხებენ საზოგადოებო-  
სათვის მიღებული ნორმებით მოქმედებას. ისინი ემორჩილებიან  
მშობლებს, მანამ, სანამ მათ ქცევას აკვირდებიან, დასჯის შიში აიბუ-  
ლებს მათ დაფარონ არასასურველი ქცევის გამოვლინებები, მაგრამ  
ეს შეიძლება მხოლოდ დროებითი ღონისძიება იყოს.

არათანმიმდევრული დასჯა ბავშვებში წარმოშობს აგრესიუ-  
ლობას. მშობლები, რომლებიც ემუქრებიან ბავშვებს დასჯით, მაგ-  
რამ არ ახორციელებენ მას, უყალიბებენ მათ გულგრილობას  
მშობლების გამონათქვამებისადმი.

დასჯამ შეიძლება შედეგი გამოიღოს იმ შემთხვევაში, თუ მას  
ლოგიკურად გამოიყენებენ. ერთი და იგივე საქციელისათვის მშო-  
ბელმა შეიძლება და უნდა გამოიყენოს ერთი და იგივე სანქცია.  
არ შეიძლება ერთ შემთხვევაში დაისაჯოს ცუდი საქციელისათ-  
ვის, სხვა შემთხვევაში კი იგნორირება გაუკეთდეს ან არაადექ-  
ვატურად აღიქმებოდეს იგივე საქციელი.

რატომ ეპყრობიან მშობლები ბავშვებს სასტიკად? შეიძლება  
ვიფიქროთ, რომ ამგვარი ბავშვების მშობლები სერიოზულ ფსიქიკურ  
პრობლემებს განიცდიან, რადგან თავიანთი უხეში დამოკიდებულებით  
ტრავმას აყენებენ საკუთარ სისხლსა და ხორცს, მაგრამ ხშირ  
შემთხვევაში, ეს ასე არ არის. მშობელთა უმრავლესობა მკაცრად  
ეპყრობა საკუთარ შვილებს, მაგრამ არ შეიძლება სტანდარტული

ფსიქიატრიული კატეგორიების მიხედვით მოვახდინოთ დაყოფა წყნარ და გაუწონასწორებელ მშობლებად. *საკუთარი შვილების მიმართ მკაცრი დამოკიდებულებით გამორჩეული მშობლების უმრავლესობა არ უჩივის რაიმე კონკრეტული სახის ფსიქიკურ ან ფსიქოლოგიურ დარღვევებს.*

არსებობს ექსპერიმენტული კვლევების სერია მშობელთა მიერ სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის დასჯისა და მისგან გამომდინარე, ბავშვთა აგრესიულ ქცევაზე, რომელშიც 800 მესამე კლასელი ბავშვი მონაწილეობდა. დასჯის სიმძაფრე იზომებოდა მშობლების მიერ 24 კითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით. კერძოდ, როგორ რეაგირებდნენ ისინი თავიანთი შვილების აგრესიულ ქცევაზე. პირველი დონის რეაგირებას მიეკუთვნებოდა თხოვნა, შეეცვალა ბავშვს ქცევა, ქცევის შეცვლისას იგი მშობლისაგან იმსახურებდა შექებას; მეორე დონეს - ზომიერი დასჯა - სიტყვიერი გაკიცხვა - მითითება. მესამე დონეს - მკაცრი დასჯა - ფიზიკური ზემოქმედება: გატყუპვა, მუჯლუგუნი... კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვები, რომლებიც მშობლების მხრიდან განიცდიდნენ მკაცრ დასჯას, ქცევაში ავლენდნენ დიდ აგრესიას და შესაბამისად თანაკლასელების მიერ ხასიათდებოდნენ, როგორც აგრესიული ბავშვები.

თანამედროვე მეცნიერების მონაცემებით, ბავშვებზე ძალადობა შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ფაქტორით. გამოიყოფა სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც ბავშვი ძალადობის მსხვერპლი ხდება: *კულტურული კონტექსტი, მშობელი და თვითონ ბავშვი.*

ნებისმიერი ქვეყნის კულტურაში გაბატონებული შეხედულებები ფიზიკური დასჯის შესახებ ასახვას პოულობს ბავშვების მიმართ დამოკიდებულებაში. უმრავლეს ევროპულ და აზიურ ქვეყნებში არსებობს მკაცრი კულტურული კანონი ფიზიკური დასჯის წინააღმდეგ. ბავშვებს უბრალოდ, არ სჯიან.

ფსიქოლოგებმა დოდჯმა, ბეთსმა და პეთითმა შეისწავლეს იმ ოჯახის ბავშვები, რომლებსაც მშობლები ფიზიკურად სჯიდნენ იმ დონეზე, რომ დასჭირდათ სამედიცინო ჩარევა. ამ ბავშვებს მასწავლებლები და თანატოლები ახასიათებდნენ როგორც სხვა ბავშვებისაგან გამორჩეულ აგრესიულებად. არა მხოლოდ ფიზიკური დასჯა აყალიბებს ბავშვებს აგრესიულებად, არამედ ბავშვის ემოციებისადმი მშობლების უსულგულო, ცივი დამოკიდებულებაც პროვოცირებას უკეთებს მათ აგრესიულობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრები, ბავშვს შეარქმევენ აგრესიულს, მუდმივად ადანაშაულებენ აგრესიაში და სჯიან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი კორექტულად იქცევიან. რთულია იმაზე საუბარი, რამდენად ხშირია ბავშვებისადმი მშობლების უხეში დამოკიდებულება, ვინაიდან, უმრავლეს შემთხვევაში, ძალადობის შესახებ ინფორმაცია ძნელად მოსაპოვებელია. ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებით, აშშ-ში დაახლოებით 1 მილიონი ბავშვი განიცდის უხეშ, აგდებულ დამოკიდებულებას მშობლების მხრიდან. ამ ბავშვების 50% ფაქტობრივად მშობლებისაგან მიტოვებული არიან, 25% განიცდის ფიზიკურ ძალადობას და 15% - სექსუალურ ძალადობას, მაშინ, როდესაც *შეუდეთში ბავშვის გატყუებას კანონი კრძალავს*. ირღვევა ამ ბავშვების სოციალური და ემოციური განვითარების პირობები. ამგვარ ბავშვებს თავიანთი თანატოლების მიმართ უყალიბდებათ ასევე მტრული, უხეში დამოკიდებულება, ისინი გამოირჩევიან მეტი აგრესიულობით. სასკოლო ასაკში მათი კოგნიტური განვითარება, აკადემიური მოსწრება ასევე წარუმატებელია და მათი მაჩვენებლები ძირითად შემთხვევაში, ერთ დონეზეა.

რა სოციალური ფაქტორები პროვოცირებენ ბავშვებსა და მშობლებს შორის უხეშ დამოკიდებულებას?

კულტონისა და მისი კოლეგების მოსაზრებით, პირველ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის დაბალი ეკონომიკური დონე. ბავშვე-

ბის მიმართ უხეში დამოკიდებულებით გამოირჩევიან ის ოჯახები, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, ხშირად უწევთ ფიქრი – როგორ გადაიხადონ გადასახადები, როგორ მოიპოვონ საკვები. გაღიზიანებული მშობლები ვერ ახერხებენ გაუმკლავდნენ ყოველდღიურ პრობლემებს და ნებისმიერი ანცობის თუ მათთვის მიუღებელი ქცევის გამოვლენისას ხშირად სჯიან შვილებს. მშობლები ნებისმიერი ქცევით მოდელები არიან საკუთარი შეილებ-ისათვის. როდესაც ნორმალურ ოჯახებში ბავშვები სისტემატურად უყურებენ და აკვირდებიან, როგორი შეწუხებულები არიან გარშემოყოფი ადამიანების ეკონომიური მდგომარეობით, მათაც ეუფლებათ ემპათიის გრძნობა.

შემდეგი ფაქტორია *სოციალური იზოლაცია*. ძალადობის სიხშირე იზრდება, როდესაც ოჯახი სოციალურად იზოლირებულია ახლობლებისა და ნათესავებისაგან. იზოლაცია მშობელს არსივეს თანადგომის იმედს, რომელიც დაეხმარებოდა მას ცხოვრებისეული სტრესის გადატანაში. მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და სოციალური იზოლაცია ბავშვების მიმართ უხეში დამოკიდებულების გამოხატვის ნაყოფიერ პირობებს ქმნის, ვინაიდან ამ შემთხვევაში მშობელს ბავშვი ფინანსურ და ფსიქოლოგიურ ტვირთად აწევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპერიმენტული მონაცემები მოწმობენ, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვობის ასაკში მათ მიმართ მშობლების დამოკიდებულებას სწორედ ისინი აკრიტიკებენ, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით ეყრობიან თავიანთ შვილებს. ასევე დადგენილია კვლევებით, რომ *შეკარ მამას ან დედას უძრავლეს შემთხვევაში აუტანელი ბავშვობა ჰქონდათ და ფლობენ განუსაზღვრელ „მთოდებსა“ და წარმოადგენებს ბავშვთა „ეფექტური“ აღზრდის შესახებ.*

უფროსები, რომლებმაც ბავშვობის ასაკში გადაიტანეს ძალადობა, ხშირად განიცდიან ემოციურ პრობლემებს, როგორიცაა:

დებრესია, წუხილი, ძრისხანება. მათ მიდრეკილება აქვთ სუიცი-  
ლის ანუ თვითმკვლელობისადმი. ასეთი უფროსები ხშირ შემთხ-  
ვევაში შეურაცხყოფენ საკუთარ მეუღლეებს და სასტიკად ეპყ-  
რობიან საკუთარ ბავშვებს. ბავშვებისადმი უხეში მოპყრობა და  
ძალადობის შედეგები გონებაში მყარად ილექება და ხანგრძლივი  
დროის განმავლობაში რჩება.

ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვი კიდევ უფრო  
ხშირად განიცდის ძალადობას უფროსების მხრიდან. ისმის კითხვა:  
რატომ? პატარების გაბრაზება იოლია, მათი ქცევა იმპულსურია,  
არა აქვთ საკუთარი თავის ფლობის უნარი. ისინი, როგორც წესი,  
ხშირად ტირიან და სლუკუნებენ, რაც გარშემოშეყოფების მხრიდან  
გალიზიანებას იწვევს და ასეთი ბავშვები ადვილად ხდებიან ძალა-  
დობის მსხვერპლნი.

თითქმის ამავე მიზეზით განიცდის უფროსების მხრიდან ძალ-  
ადობას ბავშვი, რომელიც ხშირად ავადმყოფობს. ხშირად მოავა-  
დე ბავშვი უმრავლეს შემთხვევაში ცუდ ხასიათზეა და ტირის,  
აგზნებულია და წონასწორობას აკარგვინებს მშობლებს. ასეთ  
ბავშვებს ესაჭიროებათ ხშირი სამედიცინო მომსახურება. ეს ნიშ-  
ნავს ოჯახის დამატებით ფინანსურ ხარჯებს. ამ ბავშვებს არ  
შეუძლიათ ასევე სკოლაში სიარული. მშობლებმა უნდა იზრუნონ  
მათ ალტერნატიულ განათლებაზე. ამ ფაქტორების გამო ოჯახში  
სტრესი ძლიერდება და ბავშვი უნებურად ხდება ძალადობის  
მსხვერპლი.

ოჯახში გერები ქმნიან ძალადობის კიდევ ერთი რისკის  
ჯგუფს. გავიხსენოთ ზღაპარი „კონკია“. კონკიას დედინაცვალს  
მზე და მთვარე ამოსდიოდა საკუთარ გოგონებზე, მაგრამ განსა-  
კუთრებით მკაცრად ეპყრობოდა მას, როგორც გერს. ანალოგიური  
დატვირთვა აქვს ქართული ზღაპრის „წიქარას“ სიუჟეტს. მშობლე-  
ბში „ემოციური მარაგის“ უკმარისობა იწვევს სხვისი შვილის  
მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორებიდან რომელიმეს არარსებობის შემთხვევაში ნაკლებად შესაძლებელია ძალადობის შემთხვევები. მაგ., ავადმყოფი ბავშვი, რომელიც ხშირად ტირის, არ შეიძლება დასჯის საგანი გახდეს იმ ქვეყანაში, სადაც კულტურა არ იძლევა ამის უფლებას.

შექმნილი პრობლემიდან გამოსავალის მოძებნა დიდ ძალისხმევას მოითხოვს იმისათვის, რომ ბავშვების მიმართ უხეში დამოკიდებულების რისკს თუ მთლიანად ვერ გამოვრიცხავთ, შევამციროთ მინც. მშობლებმა უნდა გამოიყენონ დაგროვილი ცოდნა ბავშვთა აღზრდის საუკეთესო სტილისა და ეფექტური საშუალებების გამოყენებით.

ბავშვებს უნდა შეეთავაზოთ ქცევის ალტერნატიული ფორმა. აკუსხნათ, როგორი საქციელი იმსახურებს დასჯას და როგორი შეიძლება იყოს ალტერნატიული ქცევა. მაგალითად, ბავშვი ხშირად აწყვეტინებს უფროსებს ერთმანეთთან საუბარს. თუ მშობლები დასჯიან პატარას შესაბამისი ახსნა-განმარტებების გარეშე, მან შეიძლება იფიქროს, რომ ვერძალეა ლაპარაკი და გახდეს მორცხვი, გაუბედავი. თუ მშობელი შესაბამის განმარტებას გამოიყენებს ბავშვთან ურთიერთობისას, ამით პატარას განუვითარებს ანალოგიურ სიტუაციაში ქცევის ადექვატურ ჩვევებს.

გარდაუვალი ფიზიკური დასჯის კარგი საშუალებაა ბავშვთა დროებითი იზოლაცია. აღნიშნული პროცედურა ეფექტურია გაუგონარი და აგრესიული ბავშვებისათვის. ცუდი საქციელის გამო პატარას განმარტობით ამყოფებენ ცალკე ოთახში. ვიდრე არ ისწავლის, როგორ მოიქცეს, არა აქვს სხვებთან ურთიერთობის უფლება.

ეფექტურია ასევე ოჯახებისადმი სოციალური თანადგომა, როდესაც მშობლებმა იციან, რომ რჩევისა და დახმარებისათვის შეუძლით მიმართონ შესაბამისი პროფილის მქონე, კომპეტენტურ ორგანიზაციებს, ბავშვთა დახმარების ცენტრებს და ა.შ., ისინი უკეთ უმკლავდებიან ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებულ სტრესებს.

## არასრული ოჯახები

ოჯახის შემადგენლობა და მშობლის ემოციური განწყობა პირდაპირ კავშირშია ბავშვის სულიერ მდგომარეობასთან და მასში გამოხატულებას პოულობს მოჭარბებული აგრესიისა და სხვა ემოციური დარღვევების სახით. გოითინგი ამტკიცებდა, რომ მცირეწლოვანი მკვლევები ხშირ შემთხვევაში კონფლიქტურ ან არასრულ ოჯახში აღზრდილი ბავშვები არიან. იგივეს ადასტურებდა მაკ-კარტი. როგორც წესი, მცირეწლოვანი დამნაშავეები, ძირითად შემთხვევაში, ის ბავშვები არიან, რომელთა ოჯახებში სრული უწყესრიგობა, ქაოსი და დაუნდობლობა სუფევს, ანგარიშს არ უწევენ ბავშვის გრძნობებს და მისი ბედ-იღბალი არ ანაღვლებთ. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს უხეში დამოკიდებულება აქვს რომელიმე მშობელთან, აკლია მშობლის მხრიდან ყურადღება და თანადგომა, ადვილი შესაძლებელია, იგი დანაშაულებრივ სამყაროს დაუახლოვდეს. შტაინმეტცი, აღნიშნავდა, რომ დაქირავებული პოლიტიკური მკვლევები, ძირითადად არასრული ოჯახებიდან არიან. დედის ყურადღების მიღმა დარჩენილი ბავშვი ადვილად ხვდება ცუდ წრეში და მასში აქტიურ პოზიციასაც იკავებს. ქალებს, რომლებსაც ბავშვობაში საკუთარი დედებისაგან აკლდათ სითბო, ალერსი და თანადგომა, მომავალში სერიოზული ემოციური პრობლემები ჰქონდათ საკუთარ შვილებთან დამოკიდებულებაში. ისინი აღზრდაში ხშირად იყენებდნენ სადამსჯელო ღონისძიებებს (გატყუპვა, ყვირილი, თმების მოქაჩვა...).

არასრულ ოჯახებთან დაკავშირებით შედარებით მეტი ექსპერიმენტული მონაცემი არსებობს მარტოხელა დედების შესახებ. მეცნიერთა მიერ ნაკლებად არის შესწავლილი მარტოხელა მამების ოჯახები. არასრული ოჯახების კვლევების შედეგად საინტერესო მონაცემები მიიღო მეივის პეტერნიგტონმა, რომლის არსი იყო სრული და არასრული ოჯახების შესწავლის შედეგების შედარ-

ებითი ანალიზი. აღნიშნული კვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ოჯახის დაშლის პირველ თვეებში დედების უარყოფითი ემოციური მდგომარეობა შვილების მიმართ უხეშ დამოკიდებულებაში ვლინდება. ოჯახური ტრაგედიის გამო დედა და შვილი - ორივე ერთად განიცდიან დისტრესს, რაც მათი ცხოვრების მკვეთრი შეცვლითაა გამოწვეული. ოჯახის დაშლიდან ორი წლის შემდეგ, დედისა და შვილის ურთიერთობა უმჯობესდება გოგონებთან მიმართებაში. ვაჟთან დამოკიდებულება კი პირიქით, უფრო მწვავე ხასიათს იღებს, რადგან ვაჟები ოჯახში მამის უკმარისობას განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიან.

მეივის ჰეტერინგტონმა შეისწავლა სხვადასხვა ოჯახური მდგომარეობის მქონე 13-17 წლის გოგონები. კერძოდ: 24 გოგონა სრული, 24-ოთხილი, 24- დაშლილი ოჯახიდან. აღნიშნული კვლევა კორელაციური ხასიათისა იყო. კვლევის ძირითადი მიზანი იყო იმის დადგენა, რამდენად ახდენდა გავლენას მამის არსებობა და არარსებობა გოგონების ქცევაზე. ტესტირებამ გამოავლინა, რომ გაფრა სხვადასხვანაირად მოქმედებდა გოგონების ცხოვრებაზე. სრულყოფილ ოჯახში მცხოვრები გოგონები, უფრო თავდაჯერებულები, ემოციურად გაწონასწორებულები და ბიჭების მიმართ მეტი ნდობით განმსჭვალულები იყვნენ, ვიდრე არასრული ოჯახის გოგონები.

აღნიშნულ პრობლემას ასამდე კვლევა მიუძღვნა კეიტმა. მასში მონაწილეობდა 13000 ბავშვი, დაწყებული სკოლამდელი ასაკიდან, კალეჯის მოსწავლეებით დამთავრებული. ტესტირების შინაარსში შედიოდა: სწავლაში წარმატება, ქცევა, მე-ჯონცეფცია, მშობელსა და ბავშვს შორის დამოკიდებულება, შემგუებლობა. მიღებული მონაცემების მახტებით, არასრული ოჯახის ბავშვები, განსხვავებით სრულყოფილისაგან, ყველა პარამეტრში უარყოფითად შეფასდნენ.

მამის არყოლის გამო გოგონებს არ ეძლევათ მამაკაცთან ურთიერთობის ხერხების სწავლების საშუალება. ისინი, ხშირ

შემთხვევაში, ადრეულ ასაკში ზღებიან მშობლები და, სამწუხაროდ ოჯახშიც მალე ერღვევათ, რაც უარყოფითად აისახება მათ ფსიქიკაზე: ეუფლებათ დეპრესია, ემოციური გაუწონასწორობლობა, აგრესი-საკუთარი შვილების მიმართ.

ამატოსა და კეიტის მიერ ჩატარებული მსგავსი კვლევებით მიღებული სტატისტიკური ანალიზის შედეგების მიხედვით არასრული ოჯახის ბავშვების II პროცენტს ჰქონდათ სერიოზული ფსიქიკური პრობლემები მოზრდილობის ასაკში, ამგვარი პრობლემები აღნიშნებოდათ სრულყოფილი ოჯახის ბავშვების მხოლოდ 8%-ს. ერთის მხრივ, განსხვავება თითქოს დიდი არ არის, მაგრამ აღნიშნული ფაქტორი მოზრდილობის ასაკში ემოციური დარღვევების დიდი რისკის პირობას იძლევა. ზოგიერთი ბავშვისათვის მშობლების გაყრა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება. ამატოსა და კეიტის ექსპერიმენტის ანალიზმა აჩვენა, რომ გაყრა გაცილებით რთული გადასატანია სკოლისა და მოზრდილობის ასაკში, ვიდრე სკოლამდელების ან კოლეჯის მოსწავლეებისათვის. აოვილად აღზნებადი და ემოციური ბავშვებისათვის ეს პროცესი კიდევ უფრო რთულად მიმდინარეობს. ბავშვებისათვის შეიძლება არანაკლებ მძიმე ტრავმა და მათი განვითარების შემაფერხებელი პირობა გახდეს მშობლების გაყრა და ახალი ქორწინება.

ოჯახის დაშლის შემდეგ, როდესაც მშობლები კონტაქტს არ წყვეტენ, და ერთად აგვარებენ ბავშვთან დაკავშირებულ პრობლემებს, ბავშვი შედარებით იოლად ეგუება აღნიშნულ სიტუაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ფაქტი ბიჭებისათვის, რადგან, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მათთვის ემოციური კავშირის დამყარება თავისი სქესის მშობელთან უფრო იოლია, ვიდრე განსხვავებულთან, კერძოდ, დედასთან. იგივე შეიძლება ითქვას გოგონებზეც.

## ოჯახური ურთიერთობის სტილი და ბავშვის ემოციური მდგომარეობა

ბავშვები აგრესიული ქცევის მოდელების შესახებ ცოდნას სამი ძირითადი წყაროს საშუალებით იღებენ. ესენია: ოჯახი, რომელსაც შეუძლია აგრესიული ქცევის მოდელის დემონსტრირება და განმტკიცება, თანატოლებთან და და-ძმასთან ურთიერთობა და, ბოლოს, აგრესიული ქცევის მოდელებს ისინი კარგად ეცნობიან შემოთავაზებული მას-მედის საშუალებით. განვიხილოთ აგრესიული ქცევის შექმნის ათითოეული წყარო.

ცალკეულ ოჯახებში და სასწავლო დაწესებულებებში დამკვიდრებულ ურთიერთობათა მიხედვით შეიძლება მოვახდინოთ მისი სტილის კლასიფიკაცია.

*ავტორიტარული სტილი* – გულისხმობს მკაცრ ხელმძღვანელობას, ინიციატივის ჩახშობასა და ძალის გამოყენებას, რასაც ამართლებენ სასწავლო დისციპლინისა და ნებისმიერი საკითხის მიმართ უცილობელი მორჩილებით, ყვირილითა და ფიზიკური დასჯის მუქარით (ამ მუქარის შესრულებით). ბავშვზე ძალაუფლების დემონსტრირება ამ ოჯახის სტილის ტიპური ფორმაა. უფროსები ხელმძღვანელობენ შემდეგი პრინციპით: *ყველაზე საუკეთესი საშუალებაა, აიხლო ადამიანები, მოიქცნენ ისე, როგორც შენ ვინდა ან შეაწყვეტინო ქმედება, როცა შენ არ გსურს. ამისათვის საკმარისია. ძლიერად გააწნა მათ.*

მშობლის ამგვარი დამოკიდებულება ბავშვის მიმართ, მკაცრად დასჯა და გაუთავებელი კონტროლი მათში მაღალი დონის აგრესიულობის ჩამოყალიბების პროვოცირებას ახდენს. ამგვარ ოჯახებში იზრდებიან ან საკუთარ შესაძლებლობებში ურწმუნო, ნევროტული ბავშვები, ან აგრესიული, თავისი მშობლების მსგავსი ავტორიტარები. აღნიშნული თვისებების პროვოცირებას, გადატანას ხშირად პატარები თანატოლებთან ურთიერთობაში ავლენენ.

დემოკრატიული ურთიერთობის სტილი - ბავშვ-  
აღზრდის შედარებით ევექტური სტილია. იგი გამოირჩევა ბავშვთ-  
დამოკიდებულებაში მრავალფეროვანი რეფლექსებითა და პასუხი-  
მგებლობით. ამგვარ ოჯახებში იგრძნობა ბავშვის მიმართ გამოხატ-  
ული სიყვარული და კეთილგანწყობა ზომიერების ფარგლებში.  
უფროსები მასთან ერთად თამაშობენ, ესაუბრებიან მისთვის საინტე-  
რესო თემებზე, ეხმარებიან დაბრკოლებათა გადალახვაში, ზედ-  
მეტად არ ანებივრებენ და შეახსენებენ, რომ ანგარიში გაუწიო-  
სხვებს. მას კარგად ესმის სიტყვა „უნდა“ და შეუძლია თავი  
შეკავება. ასეთ ოჯახში იზრდება სრულფასოვანი, საკუთარ-  
ღირსებების შეგრძნებითა და ახლობლების მიმართ პატივისცე-  
მისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მატარებელი ბავშვი, რომელიც  
სკოლაში გამოირჩევა დამოუკიდებლობით, არ უჭირს თანაკლასე-  
ლებთან ურთიერთობა, ინარჩუნებს პირად ღირსებებს და აღვი-  
ლად ეჩვევა დისციპლინას. იგი უზრუნველყოფს ბავშვის აქტი-  
ური პოზიციის თავისუფლად გამოხატვას. ამ შემთხვევაში, სასწავ-  
ლო დაწესებულებაში მასწავლებელი ცდილობს სასწავლო ამოცა-  
ნის გადაწყვეტისას ურთიერთანამშრომლობითი დამოკიდებულებით  
მიაღწიოს წარმატებას; მისი მიზანია ორიენტაცია აიღოს არა  
ბავშვთა დისციპლინირებულ, მკაცრად რეგლამენტირებულ ქცევაზე,  
არამედ სწორედ მოწესრიგებული ქცევა გამოიყენოს სასწავლო  
მუშაობაში წარმატების მიღწევის საშუალებად. მასწავლებელი  
კლასში ქმნის მეგობრულ, ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოს-  
ფეროს. ურთიერთობის ამგვარი სტილი ბავშვებში იწვევს დადებით  
ემოციებს, ასწავლის ურთიერთთანამშრომლობის ფასს, საამაოვნების  
შეგრძნებას, და, წარმატების მიღწევის შემთხვევაში, მისით ტკბო-  
ბას. ამავდროულად მუშაობის ეს სტილი მნიშვნელოვანია იმითაც,  
რომ ბავშვს ათავისუფლებს ზედმეტი დამაბულობისა და შეზღუდ-  
ვისაგან და მასწავლებელთან ურთიერთობაში თვითონ იჩენს ინი-  
ციაციას. ამგვარი ურთიერთობის სტილი ბავშვებს სძენს თვით-

მართვის გამოცდილებას. მასწავლებლის ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი ურთიერთობის დემოკრატიული სტილი განაპირობებს იმას, რომ ბავშვები თვითონ იცავენ დისციპლინას, ითვალისწინებენ და ანგარიშს უწყვენ მასწავლებლის პროფესიონალიზმს, მის პოზიტიურ ზნეობრივ თვისებებს და ბავშვებისადმი დიდ სიყვარულს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ურთიერთობის ამგვარი სტილი ხელს უწყობს ბავშვებში პასუხისმგებლობის გრძობის ამაღლებას.

დემოკრატიული ურთიერთობის სტილი შედგება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კეთილგანწყობილება და თანამშრომლობა. კლასში ბავშვი მოწესრიგებული და დისციპლინირებულია, ვინაიდან თავმოყვარეობის გრძობა უკრძალავს მას წესრიგის დარღვევას. იგი სამარცხვინოდ მიიჩნევს შენიშვნას. ცდილობს, რაც შეიძლება თავი ძლიერ შეეყვაროს მასწავლებელს და ასიამოვნოს მშობელს. ამ შესთხვევაში თვითონ ბავშვიც განიცდის ემოციურ კმაყოფილებას. იგი ცდილობს დაიცვას მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული წესები, რადგან მის შემეცნებაში წამყვან ადვილს იკავენს ზრდილობაში ქცევის მოთხოვნილება. პრაქტიკამ ცხადყო, რომ დემოკრატიული სტილით ურთიერთობისას გამორიცხულია მასწავლებლის მბრძანებლური ტონი, მაგალითად, „*ადეჰი, შენ ცუდად იქცევი!*“ მასწავლებელი მიმართავს კლასს ისეთი სიტყვებით, რომელიც არ შეურაცხყოფს მათ თავმოყვარეობას. მაგალითად, „*ვინ უშლის კლასს შეშაობაში ხელს?*“ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ქცევის შეფასებაზე კეთდება აქცენტი, რაც ზრდის მის პასუხისმგებლობას მთელი კლასის მდგომარეობაზე.

ურთიერთობის დემოკრატიული სტილი მოწოდებულია ურთიერთთანამშრომლობისა და შემეცნებითი აქტიურობისაკენ. როდესაც ბავშვი სუბილერ კომფორტს განიცდის, იგი სიამოვნებით ასრულებს მასწავლებლის ნებისმიერ დავალებას, გონებრივ სავარჯიშოებს, თავისუფლდება ყოველგვარი დაძაბულობისა და სტრე-

სული ზემოქმედებისაგან, რაც სასწავლო პროცესის წარმატების საწინდარია.

*ლიბერალურ-მიშვებული სტილი* – ბავშვებთან დამოკიდებულება ეფუძნება შემდეგ პრინციპს: მისთვის ყველაფერი დასაშვებია, არაფრის აკრძალვა არ შეიძლება. ამგვარ ოჯახში აღზრდილ ბავშვს მბრძანებლური დამოკიდებულება აქვს ყველასა და ყველაფრის მიმართ, რომელსაც გამოხატვის ერთმნიშვნელოვანი ფორმა ახასიათებს: „მომე!“ „მინდა!“ „ეს ჩემია!“ ხშირ შემთხვევაში იგი ჯიუტი და ჭირვეული ხდება. ზედმეტ ლიბერალობას საქმე იქამდე მიჰყავს, რომ არ ხდება ბავშვის პოზიტიური განვითარება და სოციალური მომწიფება. მას აკლია სოციალური განვითარებისათვის აუცილებელი რამ – სიტყვა „მინდა“-ს სწორი გაგება. მსგავს ოჯახებში ფორმირდება გარშემომყოფების მიმართ მუდმივად უკმაყოფილო, ეგოისტი ბავშვი, რომელიც ვერ ამყარებს ურთიერთობებს სხვებთან – ის რთული და კონფლიქტურია. ამ ოჯახიდან გამოსული ბავშვი განწირულია თავის თანატოლებთან და უფროსებთან დაძაბული, კრიზისული ურთიერთობებისათვის. იგი მიჩვეული არ არის დათმობას, თავისი სურვილის საერთო ინტერესებისადმი დამორჩილებას. სოციალური ეგოცენტრიზმი ბავშვს არ აძლევს შესაძლებლობას დაეუფლოს ნორმალურ, ადამიანურ ურთიერთობებს და ხშირ შემთხვევაში ამგვარ ოჯახში აღზრდილი ბავშვიც აგრესიული ხდება.

*კიპერმეურვეობითი სტილი* – დასაწყისიდანვე უსპობს ბავშვს დამოუკიდებლობას; აფერხებს მის ფიზიკურ, ფსიქიკურ, სოციალურ განვითარებას. ამ შემთხვევაში ოჯახს მთელი ყურადღება გადააქვს ბავშვზე. შესაძლოა ეს გამოწვეული იყოს შიშის, უბედური შემთხვევის ან რაიმე მძიმე ავადმყოფობიდან გამომდინარე. მშობელი ისწრაფვის თავისი წარუმატებლობის კომპენსირება მოახდინოს ბავშვის მომავალი წარმატებისაკენ სწრაფვით; საკუთარი შვილის მიმართ იყენებს შეფასების უმაღლეს კრიტე-

რიუმებს: „პატარა ვუნდერკინდი“, „პატარა გენიოსი“ და ა. შ. მსგავს ოჯახებში მშობლები მთლიანად ბავშვის ცხოვრებით ცხოვრობენ. შეიძლება ითქვას, რომ მას სწირავენ მთელ თავის ცხოვრებას. მიუხედავად ასეთი ნებაყოფლობითი „მსხვერპლთ-შეწირვისა“, მშობელი შეიძლება ნევროზით დაავადდეს. როგორც წესი, ამგვარი მშობლები იმედს ამყარებენ თავიანთი შვილის მადლიერებაზე და არა მარტო მომავალში, არამედ უკვე „ხვალე.“ როდესაც ასეთი მშობლები ვეღარ იღებენ მადლიერებას, სწუხან და არ ესმით, რომ ისინი ზრდიან ინფანტილურ, თავის თავში დაურწმუნებელ, ნევროტულ ადამიანს, რომელსაც მთლიანად აქვს გამოცლილი დამოუკიდებლობის შეგრძნება. ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვი მთლიანად ემორჩილება თავის განცდებს. შესაძლებელია იგი თანატოლების მხრიდან ხშირი დაცინვის ობიექტიც გახდეს. ინფანტილურ და დამოუკიდებლობაგამოცლილ ბავშვს არ გამოისდის ურთიერთობები და იგი მათშიც მფარველს და მუერვეს ეძებს.

*გაუცხოების სტილი* გულისხმობს უფროსების გულგრილ დამოკიდებულებას ბავშვის პიროვნების მიმართ. მსგავს ოჯახებში მშობლები ან კერ „ხედავენ“ საკუთარ შვილს ან ფაქტობრივად გაურბიან მათთან ურთიერთობას და ურჩევნიათ მათგან მოშორებით ყოფნა (ფსიქოლოგიური დისტანცირება).

მშობლების მხრიდან შვილის განვითარების მიმართ გამოხატული გულგრილი დამოკიდებულება ბავშვს გადააქცევს მარტოსულად, უბედურად. შედეგად ვიღებთ აგრესიულ, თანატოლების მიმართ გაუცხოებულ ბავშვს. ამგვარი ბავშვები არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულნი, არიან ნევროტულები.

ოჯახური დამოკიდებულების ზემოაღნიშნული სტილები თვალნათლივ გვიჩვენებს, რამდენად მძიმე და რთულია ბავშვის პიროვნების განვითარების გზა. ყოველივე კიდევ უფრო რთულია რეალურ ცხოვრებაში, ვიდრე ნებისმიერი კლასიფიკაციის შეთხვევაში.

ბავშვებთან დამოკიდებულების აღნიშნული კლასიფიკაციებიდან ოჯახში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთდროულად რამოდენიმე სტილი. ოჯახის წევრები (მამა, დედა, ბებია, ბაბუა... შეიძლება კონფლიქტში იყვნენ ერთმანეთთან იმის გამო, რომ თითოეულს გააჩნდეს ბავშვთან ურთიერთობაში საკუთარი სტილი. გატარების სურვილი. ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ოჯახის წევრების ურთიერთდამოკიდებულების სტილი, რომელიც ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის პიროვნებად ფორმირებას. ოჯახში დამკვიდრებული სერიოზული სოციალური პრობლემებით გამოწვეული აგრესიული ურთიერთდამოკიდებულებები, უფროსების გაუწონასწორებლობა, ცხოვრების პირობებით უკმაყოფილება, სამსახურებრივი სტატუსის არქონა, მეუღლეთა ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის დეფიციტი, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ლალატი და ჩვეულებრივ უკულტურობა, გამოხატულებას პოულობს გაუთავებელ დავასა და ჩხუბში, ბავშვისაკენ მიმართულ სადამსჯელო ღონისძიებებში. ოჯახის ცხოვრების ასეთი - „ჩვეული წესი“ ბავშვს აყალიბებს აგრესიულ პიროვნებად. ანალოგიურად თავისი ოჯახის წევრებისა, ისიც ცდილობს მსგავსი მეთოდებით მოიპოვოს და დაიმკვიდროს ადგილი „შვის ქვეშ“. კერძოდ: უცენზურო სიტყვებით, მუშტებით, აგრესიული თავდასხმებით; ასეთ ბავშვს არ შეუძლია დაემორჩილოს ნორმატიულ მოთხოვნებს, არ შეუძლია იმოქმედოს საზოგადოებაში მიღებული წესების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულ ოჯახურ და პედაგოგიურ ურთიერთობათა ყველა სტილს ერთი საერთო რამ აქვთ - მშობლებს უყვართ თავიანთი შვილები, მაგრამ თითოეულ ოჯახში დამკვიდრებული (მემკვიდრეობით მიღებული, თუ უშუალოდ მშობლების მიერ „გამომუშავებული“) ურთიერთობის სტილი აძნელებს „ტრადიციული“ გზიდან გადახვევას.

## და-ძმას შორის ურთიერთობა

და-ძმას შორის ურთიერთობა ადრეული ასაკიდანვე ძმის ან დის დაბადებისას, უკვე დაძაბული ხდება. ეს პროცესი შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებში ხშირ შემთხვევაში დისტრესს წარმოშობს, რაც თავისთავად ვლინდება ბავშვთა ემოციებში. ისინი ან ითრგუნებიან და საკუთარ თავში იკეტებიან, ან პირიქით, ზომაზე მეტად ჭირვეულები და აგრესიულები ხდებიან, ვინაიდან მშობლის აღერსსა და ყურადღებაში მათ „ვიღაც სხვა“ ეცილება

დროთა განმავლობაში და-ძმას შორის ურთიერთობა მშვიდდება, ისინი ახლო მეგობრები ხდებიან ან პირიქით, ხშირად ჩხუბობენ, ეჯიბრებიან, ან უბრალოდ, ვერ თავსდებათ ერთმანეთთან.

დანმა, სლომკოვსკიმ და ბერსელმა დედების შვილებთან ურთიერთობის შესახებ ჩაატარეს გამოკითხვა ორ ეტაპად. პირველად, როდესაც მათი შვილები 3 და 5 წლის ასაკისანი იყვნენ და მეორედ – 7 წლის შემდეგ, როდესაც მათ შვილებს შესაბამისად 10 და 12 წელი შეუსრულდათ. დანმა და მისმა კოლეგებმა დაასაბუთეს, რომ სიბლინგებს, რომლებსაც სკოლის ასაკამდე კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან, მოზრდილობის ასაკშიც ინარჩუნებდნენ ამგვარ დამოკიდებულებას, ხოლო სკოლამდელ ასაკში ხშირად მოჩხუბარი სიბლინგები, ასევე ხშირად ჩხუბობდნენ მოზრდილობისას.

რა ფაქტორები განსაზღვრავენ სიბლინგებს შორის ურთიერთობებს? ეს ფაქტორები, პირველ რიგში, არის ბავშვთა სქესი და ტემპერამენტი. ერთი სქესის სიბლინგებს შორის ურთიერთობა უფრო მშვიდი და ჰარმონიულია, ვიდრე სხვადასხვა სქესის დედამამიშვილთა შორის, ასევე მნიშვნელოვანია ის, როდესაც არც ერთი მათგანი არ არის ემოციურად გაუწონასწორებელი. სიბლინგებს შორის დამოკიდებულებაში, აგრეთვე, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ასაკი. როდესაც ისინი მოზრდილობის ასაკს

აღწევენ, მათ შორის ასაკობრივი ზღვარი იშლება და თანასწორობა მყარდება.

მშობლები როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ფორმით მოქმედებენ და-ძმის ურთიერთობაზე. პირდაპირი ზემოქმედება ნიშნავს მშობლის დამოკიდებულებას ბავშვისადმი. როგორც წესი, სიბლინგები ერთმანეთთან პარმონიულ დამოკიდებულებაში არიან იმ შემთხვევაში, როდესაც სჯერათ, რომ მათი მშობლებისათვის გამორჩეული შვილი არ არსებობს და თითოეულ მათგანისადმი თანაბარი დამოკიდებულება აქვთ. თუ მშობლები ერთი ბავშვის წარმატებებზე აქტიურად რეაგირებენ, მეორისაზე კი ნაკლებად, ბავშვები გრძნობენ ამ განსხვავებას და მათში უარყოფითი ემოცია იბუდებს.

სიბლინგებს (და-ძმა) შორის დამოკიდებულებაზე მშობლების არაპირდაპირი ზემოქმედება ნიშნავს - მშობლებს შორის არსებულ დამოკიდებულებებს. კერძოდ, ოჯახში მშობლების ერთმანეთის მიმართ თბილი, პარმონიული ურთიერთობა ზეგავლენას ახდენს ოჯახის სხვა წევრების ურთიერთობებზეც. მშობლებს შორის განვითარებული კონფლიქტური სიტუაციები პირდაპირ კავშირშია სიბლინგებს შორის არსებულ კონფლიქტებთან.

დადგენილია, რომ სიბლინგებს შორის არსებულ აგრესიასა და კონფლიქტებში მშობელთა ჩარევამ შესაძლოა მათში უკურეაქცია გამოიწვიოს და აგრესიის სტიმულირების მეტი პირობა შექმნას.

ზოგიერთი ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ როდესაც პატარა დები ან ძმები ჩხუბობენ, მშობლები აუცილებლად უნდა ჩაერიონ მათ შორის წარმოქმნილ კონფლიქტში და დაეხმარონ შეთანხმების მიღწევაში. ამით მშობელი ბავშვებს ურთიერთშეთანხმების ხერხებს ასწავლის, რაც შემდგომ, ცხოვრებაში დაეხმარება მათ კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდების გამოუყენებლად მოგვარებაში.

მშობლის ყველაზე არაეფექტური სტრატეგიაა - დამსჯელობითი ღონისძიებების ჩატარება უფროს სიბლინგთან მიმართება-

ში. ამ შემთხვევაში მსხვერპლის ვერბალური და ფიზიკური აგრესიის დონე გაცილებით უფრო ძლიერდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სიბლინგებს შორის განვითარებული აგრესიისადმი მშობელმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. რიგ შემთხვევებში, როდესაც მათ შორის აგრესიული კონფლიქტები ხშირია, მშობლის ნეიტრალურმა პოზიციამ შესაძლოა სტიმული მისცეს აგრესიის შემდგომ ესკალაციას და აგრესიის სოციალური დასწავლისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნას.

არსებობს ექსპერიმენტული კვლევები და-ძმის აგრესიულ დამოკიდებულებაში მშობელთა აქტიური ჩარევის შესახებ. ფელსონი და რუსო ასაბუთებენ, რომ მშობლების ამგვარმა ქმედებებმა შესაძლოა კიდევ უფრო გააღვივოს მათ შორის აგრესია, ვინაიდან მშობელი, თითქმის ყველა შემთხვევაში, უმცროსის პოზიციას ითვალისწინებს, გამომდინარე მათი სისუსტიდან. ამ შემთხვევებში უმცროსი ბავშვები ფიქრობენ, რომ მშობლები ყოველთვის მათი მხარდამჭერები იქნებიან და ისინი გაბედულად შედიან კონფლიქტში ძლიერ მოწინააღმდეგესთან. მშობელთა ამგვარი ჩარევების შემთხვევაში უმცროსები უფრო ხშირად არიან ჩხუბის წამომწყებნი და ჩაგრავენ თავიანთ უფროს დას ან ძმას.

გამოკითხვა ჩაუტარდა 3000-ზე მეტ დაწყებითი კლასის მოსწავლეს, (რომლებსაც ერთი ძმა ან და ჰყავდათ) და მათ მშობლებს. კითხვები შეეხებოდა მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ პრობლემურ სიტუაციებს, კერძოდ, რა სახის სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართავდნენ მშობლები ბავშვების ჩხუბის შემთხვევაში, რა სიხშირით იყო მათ ოჯახში ვერბალური და ფიზიკური აგრესიის შემთხვევები და რომელი ბავშვი იყო ჩხუბის წამომწყები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ჩხუბისთავი უმცროსი და ან ძმაა. გარდა ამისა, გაირკვა, რომ ბავშვები ნაკლებად აგრესიულები არიან იმ შემთხ-

ვევაში, თუ მშობელი არ სჯის არც ერთ მათგანს, დასჯოს შემთხვევებში ბავშვები უფრო ხშირად ავლენდნენ აგრესიას. აღნიშნულმა მონაცემებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დასჯა ალვივებს ბავშვთა აგრესიულობას.

პატერსონმა, ორეგონის სოციალური დასწავლის თეორიის სპეციალისტებთან ერთად, ჩაატარა კვლევები, რომლის დროსაც მშობლებს სთავაზობდა, სიბსებს შორის აგრესიულ ქმედებებზე გამოეჩინათ შემდეგი სახის დამოკიდებულება: „თუ შეგიძლიათ, იგნორირება მოახდინეთ მათ საქციელზე, თუ არ შეგიძლიათ იგნორირება, მაშინ გამოიყენეთ ეფექტური დასჯის ფორმა: დატოვეთ ბრძოლის ველი, ეს ხელს შეუწყობს მათი აგრესიული ქმედების განმუხტვას.“ პატერსონი, ასევე, აცხადებდა, რომ „ძმები და დებო მასწავლებლები არიან იმ პროცესებისა, რომლებიც მათ ცხოვრებას უნადგურებს.“ მან დაასაბუთა, რომ აგრესიული ბავშვების დებს ან ძმებს მეტი მიდრეკილება უჩნდებათ მათ თავდასხმას კონტრ-შეტევით უპასუხონ, ვიდრე ნორმალური ქცევის ბავშვების ძმებს და დებს, რაც ძალადობრივი დაპირისპირების გაგრძელების, მისი ესკალაციის საფუძველია.

### თანატოლთა ურთიერთობა

მრავალრიცხოვანი კვლევებით დადასტურებულია, რომ თანატოლებს აგრესიული ბავშვები არ უყვართ და მათ აფასებენ, როგორც „მეტისმეტად უხეშებს“.

კომი და კუპერშმიდტმა გამოიკვლიეს აგრესიულობისა და სოციალური სტატუსის დამოკიდებულება ნაცნობ და უცნობ ბავშვებს შორის. კვლევა ჩატარდა მეთხუთასეულ ნაცნობ თანაკლასელ და უცნობ, სხვა სკოლის ბიჭებთან. მათ მეცადინეობის შემდეგ მონაწილეობა უნდა მიეღოთ გუნდურ თამაშში. მოსწავ-

ლუბი, რომლებიც თავიანთი თანატოლების მიერ ხასიათდებოდნენ, როგორც „ძალიან უხეშები“, მათთან ურთიერთობისას ხშირად ავლენდნენ როგორც ვერბალურ (დამინება, ყვირილი), ასევე ფიზიკურ (დარტყმა, წიხლის ამორტყმა) აგრესიული ქცევის დემონსტრირებას, გუნდის წევრების ცნობით ყველაზე უფრო უხეში და მოჩხუბარე ბავშვის სოციალური სტატუსი სათამაშო ჯგუფში იმის მიუხედავად, იგი ნაცნობ თუ უცნობ ბავშვებთან თამაშობდა, ისეთივე იყო, როგორც კლასში. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ მიუღებელი აგრესიულობა შენარჩუნებულია სხვადასხვა სიტუაციაში, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ბავშვი აგრესიულია და არ უყვართ კლასში, იგი სხვა პირობებშიც ინარჩუნებს აგრესიულობას და პიროვნულად არ მოსწონთ თანატოლებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ექსპერიმენტი ყოველთვის არ ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ ფაქტს. კერძოდ, თუ ბავშვის მიმართ არასასიამოვნო დამოკიდებულება შეინიშნება ზოგიერთი მისი თანატოლის მხრიდან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის იგნორირებულია ყველა მათგანის მიერ. ფაქტობრივად ბავშვი, რომელიც მიუღებელია ერთი სოციალური ჯგუფისათვის, შესაძლოა საკმაოდ მიღებული აღმოჩნდეს სხვა ჯგუფის წევრებისათვის და მათ შორის მთავარი მოქმედი გვირის ადგილიც დაიკავოს. კვირსი და მისი კოლეგები ამტკიცებენ, რომ აგრესიული ბავშვები სოციალურ ჯგუფებში ისევე მყარად გრძნობენ თავს, როგორც მათი არააგრესიული თანატოლები, მხოლოდ განსხვავებით მათგან, ისინი ხვდებიან თავისნაირ აგრესიულ ბავშვთა ჯგუფში. მათ გამოიკვლიეს 600-ზე მეტი მეოთხე და მეშვიდე კლასის მოსწავლე. ტესტირების შედეგად დადასტურდა, რომ აგრესიულ ბავშვებს მიდრეკილება აქვთ გაერთიანდნენ აგრესიულ თანატოლებთან.

თანატოლებთან ურთიერთობისას ბავშვები ქცევის სხვადასხვა მოდელს ითვისებენ (სოციალურად მიღებულს და მიუღებელს). მათთან თამაშისას ისინი სწავლობენ აგრესიულ რეაქციებს, კერ-

ძოდ, მუშტის გამოყენება, შურსაცხყოფა და. ა.შ. ხმაურიან თამაშებში ბავშვები ერთმანეთს ხელს ჰკრავენ, აპანდურებენ, ჭიდაობენ და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ ერთმანეთს. ყოველივე ეს ფაქტობრივად ნიშნავს „უსაფრთხო“ ხერხებით აგრესიულობის დასწავლას. ბავშვები აღნიშნავენ, რომ მათ მოსწონთ თავიანთ პარტნიორებთან ერთად მონაწილეობა ამგვარ ხმაურიან თამაშებში და რომ ამ დროს ისინი იშვიათად იღებენ ტრავმას.

არსებობს ბავშვებზე დაკვირვების შედეგად მიღებული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ თანატოლებთან სისტემატური ურთიერთობა შეიძლება უკავშირდებოდეს მათ მომავალ აგრესიულობას. ჰასკინსი აღნიშნავს, რომ ბავშვებს, რომლებიც სკოლამდელ ასაკში ხუთი წლის განმავლობაში რეგულარულად დადიოდნენ საბავშვო ბაღში, სკოლაში პედაგოგები აფასებდნენ გაცილებით აგრესიულებად, ვიდრე იმ ბავშვებს, რომლებიც შედარებით იშვიათად დადიოდნენ საბავშვო ბაღში. აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვები, რომლებიც თანატოლებთან ურთიერთობის ხშირი აგრესიული ქცევის „პრაქტიკას“ გადიოდნენ საბავშვო ბაღში, მსგავს რეაქციებს წარმატებით ითვისებდნენ და იყენებდნენ სხვა პირობებში, მაგ., სკოლაში. ეს მონაცემები ჩვეულებრივ ინტერპრეტირდება სოციალური დასწავლის თეორიასთან. ამ ფაქტს შესაძლოა სხვა ინტერპრეტაციაც მივცეთ, კერძოდ: შედარებით უფროს ასაკში მკვეთრად გამოხატული აგრესიული ქცევა იმ ბავშვებისა, რომლებიც ხუთი წლის განმავლობაში რეგულარულად დადიოდნენ საბავშვო ბაღში, შეიძლება უკავშირდებოდეს მათ ემოციურ დეპრივაციას, დედასთან დაშორებით გამოწვეულ აგრესიას, რასაც *მიჩვევის თეორია* ასაბუთებს.

ცნობილია, ჯონსის მიერ ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული დაკვირვება ბავშვთა აგრესიულობაზე. მკვლევარები აკვირდებოდნენ 15, 21 და 39 თვის ბავშვთა ურთიერთობებს საკუთარ მშობლებთან და სხვა ბავშვებთან მიმართებაში. სხვა მრავალ

პარამეტრთან ერთად იზომებოდა ღროის მონაკვეთი, როდესაც დედას აყავდა შვილი ხელში, შემდეგ, როდესაც ის ტიროდა და დაყინებით იშვერდა მისკენ ხელს. ხდებოდა სხვადასხვა აგრესიული რეაქციების ფიქსირება კერძოდ: *დარტყმა, კბენა, ხელის კრა, რაიმე საგნის წართმევის მცდელობა.*

ბავშვები, რომელთა მშობლები არ ჩქარობდნენ მათთან მისვლას, გამოირჩეოდნენ მეტი აგრესიულობით, ვიდრე ისინი, რომელთა მშობლებიც სწრაფად რეაგირებდნენ მათ ტირილზე. მიჩვევის თეორიის თანახმად, პატარა ბავშვები გამოირჩევიან დაუცველობის განცდის ხარისხით საკუთარ დედასთან დამოკიდებულებაში. წარსულში საიმედოდ მიჩვეული ბავშვი ასევე საიმედო მტკიცე და გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს მშობლის მიმართ და ასევე ნდობით ეპყრობა სხვა ადამიანებს, კარგად აქვს განვითარებული სოციალური ჩვევები.

არასაკმარის მიჩვეული ბავშვი უკარება, შფოთვიანი და ჯიუტია. იგი კონტროლს არ ექვემდებარება და გაურბის აღმზრდელს. ამგვარი ბავშვები ავლენენ ფიზიკურ აგრესიას, არიან იმპულსურები, მათთვის დამახასიათებელია სწრაფი ფეთქებადობა. კონი აღნიშნავს, რომ არასაკმარის მიჩვეული ბავშვები განსხვავებით კარგად მიჩვეული მათი თანატოლებისგან, თავიანთ წრეში ხასიათდებიან, როგორც მოჩხუბარი და აგრესიულები.

## თანატოლთა აგრესიულობის გადადება

სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვები ხშირად იქცევიან აგრესიულად, რაც აბნელებს პედაგოგის მათთან ურთიერთობას. მრავალი მეცნიერი ამტკიცებს, რომ სამი წლის ასაკში ბავშვთა აგრესიული ქცევისაკენ მიდრეკილება, შესაძლოა სამომავლო აგრესიულობის ხარისხის მაჩვენებელი იქნეს. აგრესიულობის განმტკი-

ცება დამოკიდებულია როგორც მშობლების რეაქციაზე, ასევე მათ თანატოლთა კოლექტივზე. ამ სფეროში ჩატარებული კვლევები მოწმობენ, რომ მსხვერპლი თავისი ქმედებით ან უმოქმედობით ხშირად ამტკიცებს აგრესიას. მაგ., თუ ბავშვი წარმატებით ეწინააღმდეგება სხვის მიერ გამოხატულ აგრესიულ რეაქციას, მაშინ იგი უფრო აგრესიული ხდება. ექსპერიმენტული კვლევები ჩატარდა საბავშვო ბაღის პირობებში აგრესიულობის სხვებზე გადადების შესახებ. შემოწმდა ქალაქში მცხოვრები 147 ბავშვი დაბალი ეკონომიკური დონის ოჯახიდან (72 გოგონა და 75 ბიჭი) და 20 პედაგოგი. ბავშვთა რაოდენობა ჯგუფში 13-დან 22-მდე იყო. მეცნიერებს აინტერესებდათ ვარაუდის განმტკიცება, იყო თუ არა ჯგუფში ვინმეს მიმართ განხორციელებული აგრესიული ქმედება აგრესიულობის გაღვივების პირობა. აღნიშნული ჰიპოთეზის შემოწმებისათვის შემუშავდა სპეციალური დაკვირვების პროცედურა. ჰიპოთეზა დადასტურდა. ნამდვილად ხდებოდა აგრესიულობის სხვაზე გადადება, აგრესიული ქმედების განხორციელება ჯგუფში აგრესიულობის დონეს ზრდიდა. ასევე დადასტურდა, რომ თუ აგრესორისათვის აგრესია დადებით შედეგს იძლეოდა, გადადების ხარისხი მატულობდა. იმ შემთხვევაში, როდესაც აგრესია კონკრეტულად არავისკენ იყო მიმართული, გადადების ხარისხი კლებულობდა. ჯგუფში პედაგოგი ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი იყო აგრესიის გავრცელებისათვის.

არსებობს კვლევა, რომლის მიხედვით დაადგინეს სკოლამდელი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა პოპულარული და არაპოპულარული ქცევის ფორმები.

მოცემული სქემის მიხედვით წარმოდგენილი  
ბავშვთა ქცევის ფორმები.

(პასუხები თანატოლთა თხოვნაზე, პროცენტობით)

ბავშვთა ჯგუფი	უარი	შეთანხმება (კომპრომისი)	საჩუქარი (დათმობა)
პოპულარული	0	35	65
არაპოპულარული	70	30	0

პოპულარული ბავშვების ქცევის ყველაზე გავრცელებული ვარიანტი, პრობლემის უკონფლიქტო გადაწყვეტაა. იგი დაკავშირებული იყო თანატოლის თხოვნასთან (მაგ., გაყონ ან დათმონ სათამაშო, მორიგდნენ რაიმეზე), აღნიშნული ქმედება ფასდებოდა არა როგორც სიტუაციიდან გასვლა, არამედ პრობლემის დამოუკიდებლად, თანატოლთა მიმართ გაგზავნილი აგრესიული რეაქციების გარეშე მოგკარების მცდელობა („სხვა სათამაშოს ავიღებ“, „დავიცდი“ და ა.შ.).

პოპულარული ბავშვებისაგან განსხვავებით თანატოლთა თხოვნაზე - „გავიყოთ სათამაშო“ - არაპოპულარული ბავშვები პასუხობდნენ პირდაპირი ან არაპირდაპირი აგრესიით („ყველას გცემთ“, „ჯოხს ავიღებ და დაგარტყამთ“, „გცემ და წაგართმევ ბურთს“ და ა.შ.). განრისხება შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ არაპოპულარული ბავშვების აგრესიულმა ქცევამ, არამედ პოპულარულების არააგრესიულობამაც. მოცემული მონაცემების მიხედვით, არაპოპულარული ბავშვები საერთოდ არ იყენებენ ქცევის ისეთ ფორმას, როგორცაა „საჩუქარი“, ანუ, თანატოლთა პირველსავე თხოვნაზე დათმოს ყოყმანის გარეშე. პოპულარულები კი ურთიერთობის ფორმის სახით საერთოდ არ იყენებენ „უარს“, მათთვის „საჩუქარი“ ითვლება დომინირებულ ფორმად. მოცემული შედეგი მოწ-

მობს, რომ აღნიშნული ქცევები წარმოადგენს სოციალური დასწავლის ცდას ადრეულ ასაკში.

შედარებით კონსტრუქციულ ქცევაზე მეტყველებს იმ ბავშვებზე დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები, რომლებიც ექსპერიმენტალურ, სოციომეტრიულ ჯგუფებს არ მოეკუთვნებოდნენ. ეს ბავშვები არ მოხვდნენ განსაკუთრებულ პოპულარულ ან უკიდურესად არაპოპულარულებში. მათში უარი, შეთანხმება და დათმობა თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი (ოდნავ მეტია „საჩუქარი“). ამგვარი სტრატეგია უფრო კონსტრუქციული და ადაპტურია; გამოირჩევა კონკრეტულ სიტუაციაზე ადეკვატური რეაგირებით.

ცნობილი ფაქტია, რომ შეჯიბრის მომენტი მოწინააღმდეგეებს შორის მკვეთრი აგრესიული გამოხატულების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

შეჯიბრთან დაკავშირებით, მეცნიერებმა ლაბორატორიულ პირობებში ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლის შედეგად დადგინდა, რომ კონკურენციის შედეგებმა შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივირებული შეჯიბრის ინტენსივობასა და აგრესიულობის გავლენაზე. მოცემულ ექსპერიმენტში პირველი კლასის მოსწავლეები წყვილ-წყვილად თამაშობდნენ სხვადასხვა სახის თამაშებს. პირველი ჯგუფის ბავშვთა თამაშები კავშირში იყო შეჯიბრთან. მეორე ჯგუფის ბავშვები, ჩვეულებრივ, შეჯიბრის ელემენტების გარეშე თამაშობდნენ. ექსპერიმენტატორი შეჯიბრთან დაკავშირებულ ბავშვთა თამაშებში შედეგების მანიპულირებას იმდაგვარად ახერხებდა, რომ თითოეული წყვილის ერთ-ერთი მონაწილე ხშირ შემთხვევაში იგებდა, მეორე მონაწილე კი, შესაბამისად, სისტემატურად აგებდა. ამ პროცესის დამთავრების შემდეგ ბავშვებს უფლებას აძლევდნენ უთამაშო სათამაშოებით, რომლის დროსაც ხდებოდა მათი ქცევების შეუმჩნეველი დაფიქსირება.

ბავშვები, რომლებიც დასაწყისში შეჯიბრთან დაკავშირებულ თამაშობებში იყვნენ ჩართულები, განსხვავებით მეორე

ჯგუფისაგან, ჩვეულებრივი თამაშის დროს მნიშვნელოვნად მეტ აგრესიულობას ავლენდნენ. ბავშვები, რომლებიც შეჯიბრის დროს თამაშის დიდ ნაწილს აგებდნენ, კიდევ უფრო აგრესიულები ხდებოდნენ, ხშირად მოგებულ სიტუაციაში მყოფი ბავშვებიც კი ამჟღავნებდნენ აგრესიისადმი მიდრეკილებას, განსხვავებით ჩვეულებრივი მოთამაშებისაგან. აღნიშნული მონაცემები მტკიცებულებაა იმისა, რომ შეჯიბრიც მკვეთრად ააქტიურებს ბავშვებში აგრესიულ ტენდენციას.

### გენდერული განსხვავება

მეცნიერული კვლევებით დადგენილია, რომ გოგონები უფრო ადვილად ექცევიან სხვა ადამიანების გავლენის ქვეშ, ვიდრე ბიჭები და მათი დაყოლიება, სხვათა მოთხოვნების მიმართ მორჩილება, შესაბამისად გაადვილებულია. აღნიშნული გენდერული განსხვავების მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ თანატოლებთან მიმართებაში გოგონები უფრო აფასებენ ჰარმონიულ დამოკიდებულებას, ვიდრე ბიჭები მაგ., სასკოლო ღონისძიების დაგეგმვისათვის შეკრებილ ბავშვებში ბიჭებიც და გოგონებიც თანაბარი რეაქციებით მიუთითებენ შემოთავაზებული იდეის ნაკლოვანებებზე, მაგრამ გოგონები იოლად თმობენ პოზიციებს, იმიტომ, რომ არ სურთ კონფლიქტის გაღვივება.

მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ ბიჭები უფრო აგრესიულები არიან, ვიდრე გოგონები. სხვათა კვლევები კი მოწმობენ, რომ ბიჭები ყველა შემთხვევაში არ არიან აგრესიულები. მაგ., ისინი ფიზიკურ აგრესიას ძირითადად თანატოლი ბიჭებისაკენ მიმართავენ, იშვიათად არიან აგრესიულები გოგონების მიმართ და არ ცდილობენ მათთან ჩხუბში ჩაბმას. გოგონები იმ შემთხვევაში ავლენენ ფიზიკურ აგრესიას, როდესაც მათ პროვოცირებას ახდენენ.

აგრესიულობის დონის მიხედვით გენდერული განსხვავების შესახებ ყველა კულტურაში დამკვიდრებული შეხედულების საფუძველზე მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ აღნიშნული პრობლემა უკავშირდება მათ ბიოლოგიურ მდგომარეობას. ბიჭების აგრესიული ქცევა დაკავშირებულია ანდროგენთან, ჰორმონებთან, რომელიც გამოიშვება მათ სათესლე ჯირკვლებში. ამ ჰორმონების წყალობით ბიჭები ადვილად აღიგზნებიან და ბრაზდებიან, იგი ასევე გავლენას ახდენს მათ ფიზიკურ სიძლიერეზეც. მშობლები ფიზიკური დასჯის მეთოდებს მეტი სიხშირით იყენებენ ბიჭების მიმართ, ვიდრე გოგონებისადმი და ბიჭები უფრო ამტანები არიან, ვიდრე გოგონები.

არსებობს კვლევები, რომლის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გოგონები ბიჭებზე არანაკლებ აგრესიულები არიან. ისინი მხოლოდ გამოხატულების ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, გოგონები ფიზიკური ძალადობის ნაცვლად, აგრესიას ვერბალური, უხეში გამონათქვამების ფორმით გამოხატავენ.

ნიკი კრიკმა და ჯენიფერ გროტპიტერმა ჩაატარეს გამოკვლევა, რათა შეემოწმებინათ ჰიპოთეზა, რომ, მართალია, ფიზიკური აგრესია გავრცელებულია ბიჭებში, მაგრამ გოგონებში ამავე სიხშირითაა წარმოდგენილი რელატიური აგრესია. კვლევაში მონაწილეობდა 491 სხვადასხვა ასაკის ამერიკელი ბავშვი. მეცნიერებს აინტერესებდათ აგრესიის გამოვლენის ფორმების კავშირი გენდერთან. კვლევა კორელაციური ხასიათის იყო. მასში არ ფიქსირდებოდა ასაკობრივი სხვაობები.

აღნიშნული ექსპერიმენტი გულისხმობდა ბავშვების მიერ კითხვარების შევსებას. უნდა დაესახელებინათ თანატოლები, რომლებიც მათი აზრით შეესაბამებოდნენ ისეთ ხასიათს, როგორიცაა: „ხელს კრავს“, „წიხლს ურტყამს“, „ჩხუბს იწყებს“. რელატიური აგრესიის გასაზომად მათ უნდა დაესახელებინათ თანატოლები, რომელთაც შეესაბამებოდათ ისეთი თვისებები, როგორიცაა: „რო-

დესაც ვინმეს გაუბრაზდება, შემდეგში თითქოს ველარ ამჩნევს მას, არ ულაპარაკება“, ან „როცა ბავშვზე გაბრაზებულია, მას თავისი ჯგუფის ბავშვებთან თამაშს უკრძალავს.“ ასევე, წარმოდგენილი იყო სხვა სახის შეკითხვები, რომლებიც უკავშირდებოდა თანატოლებთან დამოკიდებულებაში განრისხებას, ღპრესიას და ა. შ. მშობლების ნებართვით ბავშვები კითხვარებს ავსებდნენ ანონიმურად. ისინი ვერ გაიგებდნენ, რას წერდნენ მათ შესახებ თანატოლები.

კრიკმა და გროტპიტერმა თითოეული ბავშვი მიაკუთვნეს ოთხი კატეგორიიდან. ერთ-ერთს: *არააგრესიული, ფიზიკური აგრესიის, რელატიური აგრესიისა და რელატიური და ფიზიკური აგრესიისაკენ მიდრეკილები*. კვლევის შედეგების მიხედვით ბავშვების უმრავლესობა მოხვდა აგრესიულ ბავშვთა კატეგორიაში. ბავშვების 3/4 (ბიჭიც და გოგოც) მოხვდა აღნიშნულ კატეგორიაში. ისინი ახორციელებდნენ როგორც ფიზიკურ, ისე რელატიურ აგრესიას. მეცნიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დადასტურება ჰიპოთეზისა, რომ ბიჭების უმრავლესობა მოხვდებოდა ფიზიკური აგრესიისაკენ მიდრეკილების კატეგორიაში, გოგონების დიდი ნაწილი კი რელატიურ აგრესორთა ჯგუფში, რაც მოცემული კვლევით მართლაც დადასტურდა. თუმცა ასევე ნაწილი გოგონებისა მოხვდა ფიზიკური აგრესიის, ხოლო ბიჭების ნაწილი რელატიური აგრესიის კატეგორიაში.

კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ბიჭები და გოგონები თანაბრად აგრესიულები არიან; აგრესია მათში მათთვის უპირატესი ფორმით ვლინდება. ბიჭები მიისწრაფიან ფიზიკური ზიანის მიყენებისაკენ, გოგონები ბავშვებს შორის კარგი ურთიერთობების ჩაშლისაკენ.

გენდრული განსხვავების შესახებ აგრესიასთან დამოკიდებულებაში მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს 9-11 წლის ასაკის ბავშვებთან. გაირკვა, რომ ჯგუფის შიგნით გოგონებს აშკარად გამოხატუ-

ლი აგრესიული რეაქციები ჰქონდათ, ვიდრე ბიჭებს. არააგრესიული გოგონები, ასეთივე ბიჭებისა და აგრესიული გოგონებისაგან განსხვავებით, უფრო კარგად ფლობდნენ სიტუაციების გადაწყვეტის კონსტრუქციულ ხერხებს.

გენდერულ განსხვავებასთან დაკავშირებულ შემდეგ კვლევაში, რომელიც 7-8 წლის ბავშვებთან ჩაატარა სიროტკინმა (Sirotkin .S. F. 1996), დადგინდა, რომ ბიჭებში აგრესიულობის გამოვლენა ხშირად დაკავშირებულია არასრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაციასთან, გოგონებთან კი სოციალურ შეგუებასთან. სქესობრივი განსხვავება დაკავშირებულია მოტივაციის დონეზე. კერძოდ, ბიჭებში შეინიშნება მოჭარბებული პირდაპირი ფორმით გამოხატული სადომაზოხისტური აგრესიულობა, გოგონებში ტრანსფორმირებული აგრესიულობის გამოვლენა, დემონსტრაციულ-ვეოცენტრული ფორმის ტენდენცია.

მეცნიერებმა შეისწავლეს პატარა გოგონების ქცევები, რომლებიც თირკმელზედა ჯირკვლის ცუდად ფუნქციონირებისათვის დაბადებამდე დიდი დოზით იღებდნენ მამაკაცის ჰორმონებს. ეს ბავშვები, რომლებსაც ქირურგიული ჩარევით მამრის მსგავსი გენიტალიებიც ამოკვეთეს, თამაშისას უფრო ხშირად ჩხუბობდნენ, მიმართავდნენ ძალადობას, ვიდრე მათი დები. ბავშვების მიერ დაბადებამდე მიღებული დიდი დოზის მამაკაცის ჰორმონი, მათ მომავალში მამაკაცური თვისებების გამოუმჟღავნების სტიმულს აძლევდათ.

ჯენ რეინიშმა ჩაატარა კვლევა ქალების მიერ ორსულობის პერიოდში სინთეტური ჰორმონის - პროგესტინის (Progestin) ბავშვთა შემდგომ განვითარებაზე გავლენის შესახებ. აღნიშნულ პრეპარატს ქალებს უნიშნავდნენ ორსულობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ჯენ რეინიშს აინტერესებდა ამ ჰორმონის გავლენა ბავშვის მომავალ აგრესიულობაზე, რომელსაც ნაყოფი ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის დროს იღებდა. ამ საკითხის გასარკვე-

ვად მან ჩაატარა ფსიქოლოგიური ტესტირება, რომელშიც მონაწილეობდა 25 სკოლამდელი ასაკის ბავშვი (მათ შორის 17 გოგონა და 8 ბიჭი), რომელთა დედებიც ორსულობის განმავლობაში იღებდნენ პროგესტინს. გამოკითხვა ჩაუტარდათ, აგრეთვე, ამ ბავშვების დებსა და ძმებს, რომელთაც ეს პრეპარატი არ მიუღიათ. ექსპერიმენტში მონაწილეებს უნდა ეჩვენებინათ - რა სახის რეაგირება ექნებოდათ მათ ექვსი სხვადასხვა სახის კონფლიქტური სიტუაციის შემთხვევაში. შედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე - სქესი და პროგესტინი - თანაბრად მოქმედებდა კონფლიქტურ სიტუაციებში ბავშვთა რეაქციების გამოვლენაზე. ვერბალურთან შედარებით განსაკუთრებით დიდი იყო ფიზიკური აგრესიის მაჩვენებელი. ჯგუფის შიგნით ორივე სქესის ბავშვები, რომლებსაც სინთეტიური ჰორმონი მიღებული ჰქონდათ (მათში გოგონებთან შედარებით, ბიჭების ფიზიკური აგრესიის მაჩვენებელი მეტი იყო). უფრო ხშირად ირჩევდნენ ფიზიკურ აგრესიას, განსხვავებით მათი ძმის ან დისგან, რომლებიც ამ პრეპარატის გარეშე განვითარდნენ. ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ ჯერ კიდევ ბავშვის ტვინის ჩამოყალიბების პერიოდში, პროგესტინი - მამრის ჰორმონის შემცველი პრეპარატი, მომავალში მათში ფიზიკური აგრესიის გაღვივების პირობას ქმნიდა.

### აგრესიის მოდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით

თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულმა საკომუნიკაციო საშუალებებმა არსებითი ცვლილებები მოახდინა ინფორმაციის მიღებისა და აღქმის თვალსაზრისით. რეალური გლობალიზაცია ფაქტობრივად ინფორმაციის საშუალებებმა განახორციელა. აღნიშნული თანაბრად ეხება დედამიწის ყველა რეგიონს, მოსახლეობის ყველა კატეგორიას, მიუხედავად მათი სოციალ-

ური, ეკონომიკური თუ ასაკობრივი ცენზისა. ამ ფაქტის მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარენი აღმოჩნდნენ ადრეული ასაკის ბავშვები. ისინი, ფაქტობრივად, ცივილიზაციის ამ უმნიშვნელოვანესი მოპოვრის უნებლიე მძველბად მოგვევლინენ. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ უმრავლეს ოჯახში, ბავშვი ჯდომას ისწავლის თუ არა, მოხერხებულად მოათავსებენ ტელევიზორის ეკრანთან და დღის მნიშვნელოვანი მონაკვეთის განმავლობაში მასთან ურთიერთობისაგან თავისუფლდებიან; იგი სულ უფრო და უფრო აქტიურად ცვლის ბებიის ზღაპრებს, დედის იავნანას, მამის საუბარს... და ბავშვის მთავარ აღმზრდელ „საშუალებად“ გვევლინება.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამერიკაში უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი კვირაში 25 საათს ე.ი. ყოველდღიურად 3 საათზე მეტს ატარებს ტელეეკრანთან, ტელევიზორის „საზოგადოებაში.“ ამის გამო, უფროსებთან მათი ურთიერთობა იზღუდება. ამგვარი საშუალებით „დროის მოკვლა“ სავსებით აკმაყოფილებს მრავალი მშობლის მოთხოვნილებას. ამ დროს ბავშვის მოთხოვნები მინიმიზებული და ერთსახოვანია, ყურადღება კი – კონცენტრირებული. მშობლების, უფროსების მიერ „არასანქცირებულ“ ქმედებებს ფაქტობრივად ადგილი არა აქვს. ჩვილობიდან გამოსვლის ასაკში, როდესაც თითქმის ყველა ბავშვს დაძლეული აქვს რეზინის „სატყუარასადმი“ მიდრეკილება, პირველ რიგში, მშობლების სურვილითა და ძალისხმევით, ეს უკანასკნელნი თავიანთ პირშმოს სთავაზობენ ისეთ „სატყუარას“, რომლისადმი მიდრეკილებაც მას შემდგომ, მოზრდილ ცხოვრებაშიც მიჰყვება და, არცთუ იშვიათად, *სინდრომატულ დატვირთვას* იძენს. საქმე ისაა, რომ ტელეეკრანთან *პირისპირ* დატოვებული ბავშვი არ საჭიროებს (მშობლის აზრით) განსაკუთრებულ, აქტიურ ყურადღებას. ასეთ სიტუაციაში ჩაყენებული პატარა კი იძულებულია „დამოუკიდებლად“ დაიწყოს „გარე სამყაროს“ შეცნობა და ურთიერთობების დამყარება, და რადგან ეს ურთიერთობები *გაშუალებული*, ანუ სუბ-

სტიტული, სუროგატულია, აღნიშნული ურთიერთობების დამყარების უნარ-ჩვევებიც ასევე არასრული, არაჯანსაღი და ფაქტობრივად სუროგატულია. ტელევიზორის ყურებისას ბავშვის მიერ სამყაროს ასეთი გაშუალებული შეცნობისას მისი მგრძობელობითი ორგანოებიდან „აქტიურად მუშაობს“ მხოლოდ ორი - *სმენა* და *მხედველობა*, ამიტომ, ერთი შეხედვით ამ თითქოსდა სრულიად უწყინარმა „*მეცადინეობამ*“, შესაძლოა უახლოეს მომავალში სავალალო შედეგი მოგვეცეს არა მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ (სმენადობის დარღვევა, მოძრაობის დეფიციტი, ტანადობის დეფორმაცია...), არამედ მისი ფსიქიკის განვითარების თვალსაზრისითაც. იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვები მასმედიის საშუალებით ხშირად ხდებიან ძალადობის დემონსტრირების მოწმეები, მსგავსმა „ვიდეოდიეტამ“ შესაძლოა გაზარდოს აგრესიული ქცევისაკენ მათი მიდრეკილება, რაც უფრო იზრდება „*კერანის ბავშვების*“ რაოდენობა, მით უფრო ამკარაა მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

უკანასკნელ პერიოდში შშობლები და პედაგოგები ხშირად უჩივიან ბავშვებში *მეტყველების განვითარების შეფერხებას*. ისინი დაგვიანებით იწყებენ ლაპარაკს, აქვთ ხანმოკლე და დამახინჯებული საუბარი. მათი მეტყველება შწირი და პრიმიტიულია. სპეციალური ლოგოპედიური დახმარება ესაჭიროება საბავშვო ბაღის პრაქტიკულად ყველა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვს. ამგვარი სურათი დამახასიათებელია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის რეალობისათვის, ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის მთელ მსოფლიოში.

შეიძლება დაგვებადოს კითხვები: მეტისმეტად ხომ არ ვაშუქებთ სიტუაციას? ტელევიზორი ხომ ინფორმაციისა და შთაბეჭდილებების მიღების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა და მისდამი ამგვარი ფრთხილი დამოკიდებულებით ხომ არ ვცდილობთ მისი შემეცნებითი და გამოყენებითი ღირებულების დაკნინებას? ტელევიზორთან მჯდომი ბავშვი ხომ სისტემატურად

ისმენს საუბარს. ნუთუ ეს ხელს არ უწყობს მის მეტყველები-  
განვითარებას? რა განსხვავებაა, ვინ საუბრობს ბავშვთან – უფროსი-  
მულტფილმის გმირი თუ ტელეგადაცემის ნებისმიერი პერსონაჟი?

ამასთან დაკავშირებით, კატეგორიულად უნდა გავუსვათ ხაზი  
იმ გარემოებას, რომ ადრეულ ასაკში მეტყველების დაუფლება  
ხდება მხოლოდ ცოცხალი ურთიერთობით, უფროსებთან უშუა-  
ლო კონტაქტით. როდესაც პატარა არამართო ისმენს ცოცხალ  
სიტყვას, არამედ დიალოგშიც ერთვება უფროსთან, იგი არა მხო-  
ლოდ სმენით და არტიკულაციით ამყარებს მასთან კონტაქტს,  
არამედ აზროვნებით, გრძნობით და მთელი მოქმედებით. მეტყველები-  
თი ბგერები, რომლებიც პირადად პატარასკენ არ არის მიმართული  
და რომელიც მისგან პასუხის გაცემას არ მოითხოვს, რჩება  
„ცარიელ ბგერებად“. ეკრანზე მოცემული საუბარი წარმოადგენს  
ნაკლებად გააზრებულ უცხო სიტყვათა კრებულს და იგი არასო-  
დეს არ გაითავისებს მას. ბავშვები ამჯობინებენ ჩუმიდ ყოფნას  
და მხოლოდ შემახილებითა და ქესტიკულაციით გამოხატავენ  
ემოციებს.

პარალელურს თუ გავავლებთ, ცნობილი ლიტერატურული თუ  
რეალური პერსონაჟი მაუგლი, იმიტომაც ვერ ახერხებდა დანაწევ-  
რებული ბგერებით მეტყველებას, და მხოლოდ ცალკეული ბგერე-  
ბის გადმოცემით ცდილობდა თავისი დამოკიდებულებისა და ურთი-  
ერთობების გამოხატვას, რომ მას სამეტყველო და საარტიკულაციო  
აპარატის ჩამოყალიბების ყველაზე აქტიურ, (სენზიტიურ) ასაკში  
აკლდა, არ ჰქონდა ცოცხალი, უშუალო კონტაქტი ადამიანებთან...

მეტყველება კი მხოლოდ ურთიერთობის საშუალება როდია,  
მისი საშუალებით ყალიბდება აზროვნება, წარმოსახვა და, საერთოდ,  
მოქმედებისა და საკუთარი თავის ფლობის, წარმოჩენის უნარი.

ბოლო წლებში პედაგოგები და ფსიქოლოგები სულ უფრო  
ხშირად აღნიშნავენ ბავშვებში მეცადინეობის მიმართ კონცენ-  
ტრაციის ნაკლებობას, საქმისადმი უინტერესობას, მოცემული

სიმპტომი განზოგადებულია, როგორც ახალი დაავადება - „კონცენტრაციის დეფიციტი“.

ეს დაავადება განსაკუთრებით ნათლად ვლინდება სწავლების პროცესში და ხასიათდება, როგორც ჰიპერაქტიური და სიტუაციური მოქმედება — გაძლიერებული გაფანტულობა. ბავშვები, ერთი მხრივ, გამალებით ისწრაფიან შთაბეჭდილებებისაკენ, მათი მრავალრიცხოვნობის გამო ზედაპირულად იღებენ მას, ყოველგვარი ანალიზისა და, უმეტესწილად, კრიტიკული შეფასების გარეშე. მათგან ბევრი ძნელად აღიქვამს სმენით ინფორმაციას, არ შეუძლია ნათქვამი ფრაზის მეხსიერებაში შენახვა და წინადადების ჩამოყალიბება. მოსმენილი საუბარი მათში არ იწვევს რაიმე შთაბეჭდილებას, ყოველივე ამის გამო, მომავალში მათთვის უინტერესო და მოსაწყენი ხდება ყველაზე საინტერესო წიგნის კითხვაც კი, რადგან მათ არ ძალუძთ მეხსიერებაში შეინახონ ცალკეული სიტყვები და წინადადებები, ვერ იგებენ ტექსტს მთლიანობაში.

პატარა ბავშვის ეკრანული მოქმედების (სიუჟეტის) აღქმის თავისებურება ისიცაა, რომ იგი არ უკვირდება ეკრანზე მიმდინარე შინაარსსა თუ სიუჟეტს, არ ესმის გმირების მოქმედება და მათ შორის დამოკიდებულებები. იგი აღიქვამს მხოლოდ ნათელ, მოძრავ ლაქას, რომელიც მაგნიტივით იზიდავს მის ყურადღებას. ტელევიზორთან ჯდომით ბავშვს უჩნდება მოთხოვნილება მის მიმართ და ყველგან ეძებს მას. მისთვის სულერთი ხდება, რას უყუროს, ოღონდ ციმციმებდეს, ხმაურობდეს, მოძრაობდეს. ბგერითი და მხედველობითი შთაბეჭდილებების სიუხვე ბავშვს უსუსტებს ნერვიულ სისტემას.

თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება ბავშვის უფლებების დაცვაზე. მიიჩნევენ, რომ პატარა ბავშვს უნდა მოეპყრან ისე, როგორც მოზრდილ ადამიანს. ბავშვის მთავარი უფლებაა — ჰქონდეს ბავშვობის, ყველა ასაკობრივი პერიოდის სრულფასოვნად გავლის უფლება. ბავშვის ტელევიზორის

ეკრანთან სისტემატური დამაგრებით, უფროსები არღვევენ მათ უფლებას, მისი ფსიქიკის განვითარების ძირითად კანონს, რომლიც არსიც ბავშვის შინაგანი სამყაროს მოწესკებაა მათი უფროსებთან თანაცხოვრების პირობებში.

ბავშვის ყველა ფსიკური ფუნქცია – განცდა, შთაბეჭდილებები, ინტერესი, წარმოდგენები – დასაწყისშივე არსებობს არამის შიგნით, არამედ ახლობელი ადამიანების მის მიმართ დამოკიდებულებაში. უფროსი არ უნდა ახვევდეს ბავშვს თავის წარმოდგენებს და ფასეულობებს, არამედ მასთან ერთად უნდა ამუშავდეს მის სულიერ სამყაროს. აცნობდეს სინამდვილის ახალ საზღვრებს, რომლებიც თავისთავად შეიძლება შეუქმნეველი დარჩეს მათთვის.

ადრეულ ბავშვობის პერიოდში ირგვლივ მყოფი საგნები შეიძლება არანაირ რეაგირებას არ იწვევდნენ მათში. ისინი შეიძლება უყურებდნენ შინაურ ცხოველებს, მაგრამ ვერ აცნობიერებდნენ, რომ ისინი ცოცხლები არიან, მათ შეიძლება ეტკინოთ, სციოდუო და ა.შ. უყურებდნენ ბუნებას, ხეებს, ყვავილებს, მაგრამ ვერ აღიქვამდნენ, რომ ისინი ლამაზები არიან. ჰქონდეთ ასაწყობი კუბიკები, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რომ მისგან შესაძლებელია კომპებისა და სახლების ამუშება. საგნებისა და მოვლენების შინაგან ბუნებას, მის არსს ბავშვები უფროსებთან ცოცხალი ურთიერთობებით იგებენ. მათთან დიალოგის საშუალებით ხსნიან სამყაროს საიდუმლოებას, უფროსის მიერ აპრობირებული ცოდნა-წარმოდგენები, განცდები შედის ბავშვის ფსიქიკურ ცხოვრებაში და ხდება მათი ორგანული, ძალდაუტანებელი განვითარება.

ბავშვის სრულფასოვანი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ახლობელ ადამიანებთან მისი ინტენსიური და უწყვეტი ურთიერთობით. ვერანაირი ტექნიკური საშუალება ვერ შეძლებს ცოცხალი ადამიანის შეცვლას და მათთვის გასაგებ ენაზე გარე სამყაროს საიდუმლოებათა გაგებინებას.

თუ ბავშვი ადრეულ ასაკში მოკლებულია უფროსებთან სრულფასოვან ურთიერთობას, ყველანაირი ადამიანური კულტურის ფასეულობები მისთვის დაფარული, უცხო და ამოუცნობი ხდება,

შედეგად კი ბავშვის სულიერი სამყარო ცარიელდება. ეს ნაცნობი ჭეშმარიტება მრავალჯერ იქნა დამტკიცებული არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებით, არამედ ცხოვრებისეული ფაქტებითაც.

ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ წარმოადგენს მოწოდებას, რომ ბავშვის ცხოვრებიდან სავსებით გამოვრიცხოთ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, მათ შორის, ტელევიზორი. ბავშვები ამგვარ ტექნიკასთან ურთიერთობაში უნდა ჩავრთოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მზად იქნებიან ადეკვატურად აღიქვან მათ მხედველობაზე, ცნობიერებაზე მოქმედი ინფორმაცია, გამოსახულებანი და რომლებიც არ მოახდენენ ნეგატიურ გავლენას მათ ჯანმრთელობაზე, სულიერ და ემოციურ მდგომარეობაზე. ყოველივე ესება არა მხოლოდ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, იგი მთლიანად ვრცელდება დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებზეც. ამავე დროს თავი არ უნდა დავიშვებოთ, რომ ასაკის მომატებასთან ერთად, ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები „*ეურადდებას მრავლებენ*“ მოზარდებს.

პრობლემა უფრო გლობალურია და ეხება ჩვენი პატარების, მომავალი თაობის მიერ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების რაციონალურ გამოყენებას ისე, რომ რაიმე ზიანი არ მოუვიდეს მათ ჯანმრთელობას და განვითარებას, შესძლონ მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ამ ტექნიკასთან ურთიერთობით. უფროსი თაობის წარმომადგენლების ვალია დაეხმარონ მათ ამაში, რათა ტექნიკამ არ „ჩაინაცვლოს“ მათი „აღმზარდელის“ ფუნქციები და გახდეს მათი სულების მბრძანებელი...

მეცნიერმა გუშმა დაასაბუთა, რომ სკოლამდელი ასაკის აგრესიულ ბავშვებს, განსხვავებით არააგრესიულებისაგან, მთელი ძალით იზიდავს აგრესიის სტიმულირების მასალა (აგრესიული ელემენტების შემცველი თოჯინების შოუ, მულტფილმები), ეს სტიმულები ბავშვის ყურადღებას იპყრობს, მთლიანად იმორჩილებს მას და მისი სხვა რაიმეთი გართობა გაძნელებულია.

ამერიკის შვერთებული შტატების სატელევიზიო გადაცემების 82% შეიცავს ძალადობის ელემენტებს. ტელევიზიით საშუალოდ ერთ საათში 32 ძალადობრივი ქმედების დემონსტრირება ხდება, რაც ძირითადად მულტფილმებშია წარმოდგენილი. მოძალადე გმირის თითქმის 70% დაუსჯელია. ბავშვები იჯერებენ, რომ ძალადობა აუცილებლად მოწონებული იქნება და თვითონაც მიმართავენ ამგვარ ქმედებას, რათა ნებისმიერი საწადელი აისრულოს.

მასობრივი ინფორმაციების საშუალებებისა და აგრესიული ქცევის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მეცნიერებმა სამი ძირითადი ფაზა გამოყვეს. თითოეული მათგანი გამოირჩევა საკუთარი მეთოდოლოგიური სპეციფიკით.

პირველი ფაზა. კინომატოგრაფიის საშუალებით დემონსტრირებულ ძალადობასა და ადამიანის ქცევაზე მისი გავლენის შესახებ კვლევა ჩაატარეს ბანდურამ და მისმა კოლეგებმა. აღნიშნულ ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები. ისინი უყურებდნენ მოკლემეტრაჟიან ფილმებს, რომლებშიც უფროსები უჩვეულო მეთოდებით ეპყრობოდნენ დიდ, გასაბერ თოჯინა ბობოს. მაგ., ერთ-ერთ ფილმში მსახიობი ზურგზე აჯდებოდა თოჯინას, ცხვირში და თავში ჩაქურს ურტყამდა და ყვიროდა: „აი შენ, აი შენ!“ მსგავსი სცენების ყურების შემდეგ, ბავშვები სხვა ოთახში გადიოდნენ და 20 წუთის განმავლობაში თამაშობდნენ იმ სათამაშოებით, რომლებსაც მათთვის დემონსტრირებულ ფილმებში იყენებდნენ მსახიობები. ბავშვებზე დაკვირვებისას გაირკვა, რომ ისინი ხშირად ახდენდნენ მსახიობის ქცევის კოპირებას. ბანდურას აზრით, ეს იყო მტკიცებულება იმისა, რომ ეკრანიდან დემონსტრირებული ძალადობის აქტები, პირდაპირ ბავშვთა ქცევაზე არეკლება. თუმცა იგი ასევე აღნიშნავდა, რომ, მართალია, ბავშვები იბენენ აგრესიული რეაგირების ჩვევებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ მოწმობს იმას, რომ ისინი ამ ჩვევებს ყოველთვის გამოიყენებენ პრაქტიკაში (Bandura, 1965).

აღნიშნული კვლევა მეცნიერ-სოციოლოგებისა და ტელეინ-დუსტრიის წარმომადგენელთა მხრიდან მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა. მათ ეჭვქვეშ დააყენეს ექსპერიმენტის მიზანმიმართულობა და ინტერპრეტაციის დამაჯერებლობა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მოცემულ ექსპერიმენტში ცდის პირები აგრესიულად იქცეოდნენ სპეციალური დანიშნულების მქონე გასაბერი თოჯინისა და არა ერთმანეთის მიმართ. ამ შემთხვევაში რეალური ზიანის მიყენება არ ხდებოდა. ისინი ამტკიცებდნენ ასევე, რომ ექსპერიმენტის ორგანიზატორების მიერ დემონსტრირებული მასალა სხვადასხვა პარამეტრებით განსხვავდებოდა ნამდვილი კინო და ტელე-პროდუქციისაგან. კერძოდ: არასრულყოფილი სიუჟეტი, განმარტებები მოქმედი პირების საქციელზე და სხვა. ისინი საკითხს ამგვარად სვამდნენ: რამდენი ბავშვი უყურებს ფილმებს ომსა და მაფიოზ ბანდიტებზე, თვითონ მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მსგავს ქმედებებში? ამ და სხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო ბანდურას მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებმა ვერ მიიღეს მტკიცებულება იმაზე, რომ ტელე და კინოფილმებიდან დემონსტრირებული ძალადობის სცენები, აგრესიული ქცევების ურთიერთობაში გადატანის კარგი საშუალებაა. თუმცა მოგვიანებით ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ბავშვების მიერ ტელევიზიის საშუალებით ძალადობის ხშირი ყურება, მომავალში მათ უფრო „სქელკანიანს“ ხდის. ისინი მშვიდ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ სხვების მიერ ურთიერთობაში გამოხატული ძალადობის მიმართ. მაგ., ტელეკრანიდან ხშირი ძალადობის სცენებს მიჩვეული ახალგაზრდა აღმზრდელი ორი სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჩხუბისას მათ აძლევს „ორთქლის გამოშვების“ საშუალებას იმიტომ, რომ კონფლიქტის ამგვარი ხერხით გადაწყვეტა მისთვის მისაღებია, აცხადებენ მეცნიერები.

მეორე ფაზა: *ლაბორატორიული ექსპერიმენტი*. პირველი ფაზის კრიტიკის შემდეგ, მეცნიერებმა განიზრახეს სამი მთავარი

მიზნის გათვალისწინებით ჩაეტარებინათ ექსპერიმენტული მუშაობა. ესენი იყო: პირველი - პირობის მოდელირება, რეალობასთან მიახლოება, კერძოდ, სხვა ბავშვისაკენ და არა პლასტმასის თოჯინისაკენ მიმართული აგრესია. მეორე, ცდის პირთათვის ძალადობის რეალური სცენების ან დოკუმენტური კადრების ჩვენება. მესამე, ცდის პირების მიერ აგრესიული ქცევების გამოვლენისათვის საჭირო განსხვავებული გარემო - პირობების შექმნა. აღნიშნულ ექსპერიმენტში მრავალი მეცნიერი მონაწილეობდა. მათი კვლევების შედეგებმა ასევე დაადასტურეს, რომ კინოსა და ტელევიზიის საშუალებით ძალადობის სცენების დემონსტრირება მაყურებელზე აგრესიული ქცევის პროვოცირებას ახდენს. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მეცნიერებმა ლიბერტმა და ბერონმა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებთან (5-6 და 8-9 წლის) ჩატარეს ექსპერიმენტული მუშაობა. პირველი ჯგუფის ბავშვებს სამნახევარი წუთის განმავლობაში 60-იანი წლების ამერიკის პოპულარული დეტექტიური ჟანრის ფილმის ნაწყვეტს უჩვენებდნენ. მოცემულ კინოსიუჟეტში წარმოდგენილი იყო დევნის, ჩხუბის, სროლისა და დანის გამოყენების ეპიზოდები.

მეორე ჯგუფის ბავშვები, იგივე ხანგრძლივობით, უყურებდნენ ნაწყვეტს სპორტული გადაცემიდან, კერძოდ, სირბილს ბარიერზე გადახტომით. ორივე ეპიზოდს ბავშვები დიდი ინტერესით უყურებდნენ.

ფილმების დემონსტრირების შემდეგ, ბავშვები გადიოდნენ სხვა ოთახში და სხდებოდნენ პულტებთან, რომლებსაც ორი ლილაკი და ერთი ნათურა ჰქონდათ წარწერებით: მწვანე - „დახმარება“, წითელი - „ზიანის მიყენება“ და თეთრი ნათურა - „მზადყოფნა“. ცდის პირს აცნობდნენ ინსტრუქციას. კერძოდ, ეუბნებოდნენ, რომ მეზობელ ოთახში მათი თანატოლი ბავშვი ვარჯიშობდა ტრენაჟორზე და ცდილობდა პრიზის მიღებას. თეთრი სიგნალის ანთების შემთხვევაში, ისინი უნდა დახმარებოდნენ მას მიზნის მიღწევაში და ლილაკზე - „დახმარება“ დაეჭირათ თითი.

დახმარების სურვილის არქონის შემთხვევაში, ზიანის მიყენების მიზნით, უნდა დაეჭირათ ღილაკზე - „ზიანის მიყენება.“ ცდის პირებს უხსნიდნენ აგრეთვე, რომ როდესაც ის თითს აჭერდა წითელ ღილაკს, მეზობელ ოთახში, ტრენაჟორის სახელური, რაზედაც ბავშვი ვარჯიშობდა, საგრძნობლად ცხელდებოდა და მას ხელები ეწვოდა. ზემოთ აღწერილი ექსპერიმენტებისაგან განსხვავებით, სადაც ცდის პირები აგრესიას გამოხატავდნენ თოჯინებთან მიმართებაში, მოცემულ ექსპერიმენტში ბავშვები ეხმარებოდნენ ან ზიანს აყენებდნენ წარმოსახულ ადამიანს.

საექსპერიმენტო ოთახში ბავშვი მარტო რჩებოდა. თეთრი სიგნალი - „მზადება“ 20-ჯერ ინთებოდა. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ ცდის პირები, რომლებიც უყურებდნენ აგრესიული სცენების პროგრამას, თავიანთ წარმოსახვით მსხვერპლს შესაძინევად დიდ ზიანს აყენებდნენ (რაც იზომებოდა ღილაკზე - „ზიანის მიყენება“ თითის დაჭერის რაოდენობის მიხედვით), ვიდრე ის ბავშვები, რომლებმაც სპორტულ შეჯიბრს უყურეს. განსხვავება სქესსა და ასაკში არ შეიმჩნეოდა.

აღნიშნული ექსპერიმენტის შედეგები მოწმობს, რომ ტელევიზიონოდებში დემონსტრირებული ძალადობა, მომავალში ბავშვთა აგრესიულ ქცევაში აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ „მეორე თაობის“ ექსპერიმენტატორები შეეცადნენ გამოესწორებინათ ძველი თაობის „თოჯინა ბობოს“ ექსპერიმენტის ნაკლოვანებები, მაინც მეცნიერების კრიტიკის ქარ-ცეცხლში აღმოჩნდნენ. ისინი მიუთითებდნენ აღნიშნული ექსპერიმენტის ნაკლოვანებებზე, კერძოდ, 1. მათი აზრით, ღილაკზე თითის დაჭერით ზიანის მიყენება „არარეალური“ იყო, ვინაიდან აღნიშნული აქტი და ადამიანებს შორის აგრესიული დამოკიდებულება განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ასევე, ექსპერიმენტით შექმნილი სიტუაცია სამაგიეროს გადახდის შესაძლებლობას არ იძლეოდა. 2. ცდის პირებს შეეძლოთ ჩაეთვალიათ, რომ ექსპერი-

მენტატორი აგრესორს სწყალობს, რადგან ისინი მიწვეულები იყვნენ აგრესიული სცენების სანახავად. 3. ნაჩვენები იყო პროგრამიდან ამოგლეჯილი სიუჟეტები.

ეს და სხვა მსგავსი სახის შენიშვნები ექსპერიმენტის ნაკლებ მიუთითებდა. აღნიშნული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ, მეცნიერთა მიერ ამ პრობლემის ირგვლივ ჩატარდა რიგი ექსპერიმენტული სამუშაოებისა, რომელთაც დაერქვა „მესამე“ თაობის ექსპერიმენტები.

მესამე ფაზა: *ექსპერიმენტი ბუნებრივ და საველე პირობებში*. მეცნიერებმა ლაინსმა, კამინომ ფარკემ და ბერკოვიცმა, შეისწავლეს ტელევიზიით გადმოცემული ძალადობის კადრებისა და სცენების გავლენა აგრესიული ქცევის ფორმირებაზე მცირე და ხანგრძლივი დროის, ათეული წლების განმავლობაში. თავდაპირველად ისინი აკვირდებოდნენ ბელგიის კრძო სკოლა-ინტერნატის ბავშვთა აგრესიულ და არააგრესიულ ქცევებს. ერთკვირიანი დაკვირვების შემდეგ ბავშვები ორ ჯგუფად დაყვეს და ხუთი დღის განმავლობაში ხუთი ფილმი უჩვენეს (დლე-ლამეში ერთი ფილმი). პირველი ჯგუფის ბავშვებს უჩვენებდნენ ფილმებს ძალადობის აქტებით, მეორე ჯგუფის ბავშვებს - მის გარეშე. ფილმები, ძალადობის ეპიზოდების რაოდენობის მიხედვით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მეცნიერებს აინტერესებდათ ჰიპოთეზის შემოწმება, ძალადობრივი ხასიათის ფილმების ყურება მოქმედებდა თუ არა თანატოლებისა და უფროსებისაგან მიმართული აგრესიის დონის ზრდაზე. ფილმების დემონსტრირების პერიოდში, შემდგომ მეცადინეობაზე ხდებოდა ბავშვების ქცევაზე დაკვირება. კვლევის შედეგებმა ნაწილობრივ დაადასტურა ჰიპოთეზის სისწორე; ცდის პირები, რომლებიც ძალადობის სცენებს უყურებდნენ, განსხვავებით იმ ცდის პირებისაგან, რომლებიც ამგვარ ფილმებს არ უყურებდნენ, აგრესიული ქცევების დემონსტრირებას ახდენდნენ ურთიერთობებში (თუმცა არა ყველა ფორმის).

აღნიშნული ექსპერიმენტებისაგან განსხვავებით, მეცნიერები იგივე პრობლემებზე საველე პირობებში ჩატარებული ექსპერიმენ-

ტებით ასაბუთებდნენ, რომ ბიჭები, რომლებიც ექვსი კვირის განმავლობაში აგრესიული ტელეფილმების „მკაცრ დიეტაზე“ იყვნენ, გარშემომყოფთა მიმართ ავლენდნენ ნაკლებ აგრესიულობას, ვიდრე ის ბიჭები, რომლებიც ამ დროის განმავლობაში არააგრესიულ პროგრამებს უყურებდნენ. აღნიშნული ექსპერიმენტის ანალოგიურად მეცნიერებმა მილგრამმა და შოტლანდმა დაასაბუთეს, რომ ტელევიზიის საშუალებით ანტისოციალურ ქცევებზე (ქურდობა, ძალადობრივი აქტები და სხვა), დაკვირვება ან არდაკვირვება არ იწვევს მსგავსი ქმედებების მომატებას ან შემცირებას. თუმცა სავსე ექსპერიმენტით მიღებული კვლევების შედეგები მოწმობს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ძალადობაზე ხშირი დაკვირვება, მათი შემდგომი აგრესიის პროვოცირებას ახდენს. მოცემული ექსპერიმენტების ინტერპრეტაციამ მეცნიერებში სხვადასხვაგვარი გამოხმაურება გამოიწვია. მათ დაასაბუთეს, რომ ექსპერიმენტის პირობებში დემონსტრირებული ძალადობის სცენები, ცდის პირზე გაცილებით სუსტად მოქმედებს, ვიდრე ანალოგიური, მაგრამ ტელევიზიით ნახანი არაექსპერიმენტული სცენები.

მკვლევარებმა ჩაატარეს ორი სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტი - მათ სახოვეს სამი-ოთხი წლის ბავშვების მშობლებს დაეწერათ როგორი ფილმების ყურებით იყვნენ დაინტერესებული მათი შვილები და დაკვირვებოდნენ თანატოლებთან მათ სათამაშო სიტუაციებს. მეცნიერები აცხადებდნენ, რომ ბავშვები, რომლებიც სისტემატურად უყურებდნენ ტელეგადაცემებს და განსაკუთრებით მძაფრსიუჟეტთან ფილმებსა და მულტფილმებს, ასევე უფროსებისათვის განკუთვნილ გადაცემებს, იყვნენ გაუგონრები, თამაშის პერიოდში ავლენდნენ მოჭარბებულ აგრესიას და გაღიზიანებას. მეცნიერები ამ ფაქტს სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ. კერძოდ, ბავშვების დაბალი სოციალურ-ეკონომიური სტატუსით, ინტელექტის დაბალი IQ კოეფიციენტი და სხვა ფაქტორებით.

მეცნიერებმა ფრიდმანმა კვლევების შედეგების კორელაცია ჩაატარა და აღნიშნა, რომ „თუმცა შედეგები არცთუ ისე მყარია,

მაგრამ მაინც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ბავშვები მოზარდები, რომლებიც ხშირად უყურებენ ან უპირატესობა ანიჭებენ ძალადობის სცენებს, უფრო აგრესიულები არიან.“

მეცნიერებმა ჰიუსმანმა, ერონმა, ლეფკოვიცმა და უოლდერმა ჩატარეს კორელაცია 22 წლის განმავლობაში მათ მიერ ტელევიზორების ყურებასა და აგრესიულობაზე და დაადგინეს, რომ 8 წლის ასაკიდან აგრესიული ფილმების ყურების ჩვევა 30 წლის ასაკში მძიმე დანაშაულის ჩადენასთან მაღალ კორელაციურ კავშირშია. 30 წლის ასაკში მათ ძალიან ფართომასშტაბიანი კრიმინალური დოსიე ჰქონდათ. აღნიშნული ეხებოდა ორივე სქესის წარმომადგენლებს, თუმცა კრიმინალური აქტიურობის საერთო დონე ქალებში ოდნავ დაბალი იყო.

აღნიშნული ექსპერიმენტებიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მძაფრსიუფეტიანი ტელეგადაცემების ყურება ბავშვებში მართლაც იწვევს მოჭარბებულ აგრესიას. ბავშვები, რომლებიც რეგულარულად აკვირდებიან ძალადობას ტელეეკრანიდან, თვითონაც სწაღიან ძალადობას სხვების მიმართ, რაც მომავალში შესაძლოა მათთვის სავალალო შედეგით დამთავრდეს. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა სარეჟიმო ცხოვრებაში აუცილებლად უნდა შედიოდეს შთაბეჭდილებათა დოზირება. როგორც კუჭის გადატვირთვა არ შეიძლება ზედმეტი საკვებით, ისე ბავშვის ნერვიული სისტემა არ უნდა გადაიტვირთოს ზედმეტი შთაბეჭდილებებით.

დღესდღეობით ასევე სერიოზული განსჯის საგანი ხდება მოზარდების მასობრივი, მეტისმეტი გატაცება კომპიუტერული თამაშებით, ინტერნეტითა და ამასთან დაკავშირებული თანმდევი ნეგატიური ფსიქოლოგიური და სოციალური მოვლენებით. ამერიკულ ბავშვებში ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო კვლევის შედეგების მიხედვით, გოგონების 2/3 და თითქმის 90 % ბიჭებისა დღეში 2-3 საათის განმავლობაში თამაშობს კომპიუტერზე. მრავალპოპულარულ თამაშებში მოთამაშეები პერსონაჟს უჩვეულო და

მეტისმეტად საშინელი მეთოდებით ზოცავენ. ტელევიზიით ნანახი ძალადობის ანალოგიურად, იგივე ხარისხით ახდენს აგრესიის პროვოცირებას ვიდეო ფილმებით გატაცებაც. თანამედროვე პირობებში ტელევიზორი და კომპიუტერი სულ უფრო მეტად ასრულებს გამაშუალებელ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციას ბავშვების ერთმანეთთან და უფროსებთან (პირველ რიგში, მშობლებთან) ურთიერთობებში. სამყაროს, საზოგადოების შეცნობა ტელეეკრანისა და კომპიუტერის მეშვეობით, მიუხედავად ამ უკანასკნელის უდიდესი სოციალური ღირებულებისა, უმეტესწილად მაინც ხელოვნური და სუროგატული პროცესია და ვერ ცვლის ამ შეცნობისათვის საჭირო უშუალო და ბუნებრივ ადამიანურ, საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამასთან, ტელეეკრანი და კომპიუტერული თამაშობები ბავშვებს სთავაზობს პროგრამებსა და ფილმებს ადამიანური დამოკიდებულებების მარგინალური, ექსტრემალური სტერეოტიპებით, გაჯერებულს აგრესიისა და ძალადობის ელემენტებით. სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში მშობულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნული გარემოების საფრთხეს ვერ აცნობიერებს და ნებაყოფლობით გადასცემს მშობლისათვის იმანენტურად დამახასიათებელ აღმზრდელობით-დიდაქტიკურ ფუნქციებს ტელე და კომპიუტერულ ეკრანს.

პრობლემა უფრო გლობალურია და ეხება ჩვენი პატარების, მომავალი თაობის მიერ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების რაციონალურ გამოყენებას ისე, რომ რაიმე ზიანი არ მოუვიდეს მათ ჯანმრთელობასა და განვითარებას, პირიქით, შეძლონ მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ამ ტექნიკასთან ურთიერთობით. ტელეგადაცემებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკადი — ბავშვთა აგრესიულობის ჩამოყალიბების ერთადერთი მიზეზი არ არის, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## თავი IV. პიროვნების საკვლევ ტესტები აგრესიის დაძლევის საკორექციო საშუალებები

### ბავშვთა აგრესიის კვლევის მეთოდები

აგრესიული ქცევის შესახებ ინფორმაციის ძირითადი საშუალებაა: დაკვირვება და გამოკითხვა.

დაკვირვება	<p>ჩვეულებრივი დაკვირვება          საველე ექსპერიმენტი          ლაბორატორიული ექსპერიმენტი          მეთოდი – „მასწავლებელი-მოსწავლე“          მეთოდი – ნარკვევის შეფასება          მეთოდი – კონკურენციის რეაქციის ხანგრძლივობის ბოზის მეთოდი</p>
გამოკითხვა	<p>მოქმედების თვითანგარიში          შეფასება თანატოლების გარემომცველების          არქივის ჩანაწერები          პიროვნებისული სკალა          პროექცია</p>

დაკვირვების მეთოდი აიოლებს აგრესიული ქცევის ფიქსირებას იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მიმდინარეობა ჩვეულებრივ, ყოფით კონტექსტში. მაგ., დაკვირვება საბავშვო დაწესებულებებში, ბავშვთა კოლექტივზე, სათამაშო კუთხეში, ან ხელოვნურად შექმნილ ლაბორატორიულ გარემოში. ჩვეულებრივ პირობებში აგრესიაზე დაკვირვება გამოირჩევა გარკვეული უპირატესობებით – მიმდინარე ქმედების შესახებ ვიღებთ უშუალო ინფორმაციას, ვინაიდან დასაკვირვებელმა ობიექტმა საკუთარი ქცევის რეგისტრირების შესახებ არაფერი იცის.

აგრესიული ქცევა სოციალურად არასასურველად არის მიჩნეული და განსაკუთრებული ღირებულება აქვს ამ საშუალებით მის შესწავლას. რაც გამორიცხავს რაიმე შესაძლო პრობლემას დაკვირვების მომენტში.

ჩვეულებრივი დაკვირვება – დაკვირვების ეს ფორმა საშუალებას იძლევა ჩვეულებრივ პირობებში შივილთ ინფორმაცია აგრესიის სხვადასხვა ფორმებისა და მისი გამოვლენის სიხშირის შესახებ. მაგ., ჰამპერტმა და დანმა, გამოიკვლიეს აგრესიულობის ასპექტები სკოლის გაკვეთილებზე, სპეციალურად დამუშავებული კოდირების სისტემით. იგი შეიცავდა ათი კატეგორიის აგრესიულ ქცევას (კერძოდ, თანაკლასელთა შუქარა, მანტაჟი, ნივთების წაღლევა, დარტყმა და ა.შ.).

მოცემული მეთოდის მიხედვით აგრესიული კვლევის რეგისტრირება თავდაპირველად მიმდინარეობდა ჩვეულებრივი დაკვირვების საშუალებით. მომავალში, მიღებული ინფორმაცია იშლებოდა ანალიზის მცირე ერთეულებად და ბოლოს, ხდებოდა მისი განაწილება წინასწარ განსაზღვრულ კატეგორიაში. აღნიშნული მეთოდ-ოლოგიური დაკვირვების მოვარი პირობა იყო გარემოებისა და დროის განსაზღვრა, საბაზო ერთეულების ანალიზი, ასევე, ობიექტების სწორად დაყოფა კატეგორიებად.

საველე ექსპერიმენტი – წარმოადგენს კვლევის განსხვავებულ მიმართულებას, რომლის დროსაც დაკვირვება ხდება ჩვეულებრივ პირობებში. მოცემული მეთოდით კვლევა განიხილება სხვადასხვა ზემოქმედებით (მაგ., ფრუსტრაციის სიძლიერით) გამოწვეული ქცევის ცვლილებები (მაგ., აგრესიული რეაქციის ინტენსიურობის). ამგვარი სახით მიღებული კვლევები აკმაყოფილებენ ექსპერიმენტის კრიტერიუმებს. სეცნიერების (Leyens, Camino, Farke, Berkowitz, 1975), მიერ ექსპერიმენტის ერთ-ერთ ფაზაში საველე პირობებში შეისწავლეს მოკლე და ხანგრძლივი დროის, ათეული წლების განმავლობაში ტელევიზიით გადმოცემული ძალადობის გავლენა აგრესიული ქცევის ფორმირებაზე.

ლაბორატორიული ექსპერიმენტი — მოცემულ შემთხვევაში მკვლევარი თვითონ ქმნის სიტუაციას, რომელიც სამ ძირითად კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) ცდის პირები ექცევიან ექსპერიმენტის გავლენაში, რადგან აგრესიული რეაქციის გამოვლენას თავისი მიზნობრივი მნიშვნელობა აქვს; ბ) შესაძლებელი ხდება ცდის პირი სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტულ პირობებში ჩაყენება; გ) ამგვარ პირობებში ნებისმიერი მანკიერი ზეგავლენა კონტროლირებადია.

ცნობილია დოლარდის, კუნის, ტეილორის, პიზანოს, კაპარას, პარკერისა და როჯერსის მიერ ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტები, ბავშვთა ფრუსტრაციით გამოწვეულ აგრესიასთან დაკავშირებით.

კამინგსისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი ფონური ჩხუბით გამოწვეულ ბავშვთა აგრესიულ რეაქციებზე.

ჯონესის მიერ ლაბორატორიულ პირობებში ჩატარდა ექსპერიმენტული დაკვირვება ბავშვთა აგრესიულობაზე, რომელშიც აკვირდებოდნენ 15, 21 და 39 თვის ბავშვთა ურთიერთობებს საკუთარ მშობლებთან და სხვებთან მიმართებაში.

ლაბორატორიულ პირობებში ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევა აგრესიულობის გადადების შესახებ.

ასევე ცნობილია მეცნიერების მიერ ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ბავშვთა შეჯიბრთან დაკავშირებული კვლევა.

კონკურენციის რეაქციის მეთოდი

ტეილორის მიერ შემუშავებულ ამ მეთოდში აგრესიის ხარისხის მაჩვენებლად გამოიყენებოდა *გლექტროიძულისები*, სადაც პარტნიორთან მიმართებაში (ექსპერიმენტატორის თანაშემწე) მთავარი სწრაფი რეაქცია იყო.

| «მასწავლებელი-მოსწავლის» მეთოდი — ერთ-ერთი პოპულარული მეთოდია, რომელიც შეიმუშავა ბასმა (Buss, 1961), რომლის არსი მდგომარეობდა შემდეგში: თითოეულ ცდის პირს

ეუბნებოდნენ, რომ ეფექტური სწავლების მიზნით, სხვასთან ერთად (ექსპერიმენტატორის თანაშემწესთან) მონაწილეობას მიიღებდნენ მოსწავლის დასჯაში — ამ შემთხვევაში იგი იქნებოდა მასწავლებელი, სხვა — მოსწავლე. მასწავლებლის მიზანია, მიაწოდოს მოსწავლეს სასწავლო მასალა, რომელსაც იგი სწრაფად უნდა დაეუფლოს. ექსპერიმენტის პერიოდში ბასი იყენებდა ნათურას მოსწავლის წახალისების მიზნით, არასწორი პასუხისას მოსწავლეს სჯიდა ელექტროდენით, რომლის ხარისხი იზრდებოდა 1-დან 10-მდე, შედარებით სუსტიდან თანდათან ძლიერით, ანუ დასჯა ხორციელდებოდა „აგრესიის მანქანად“ წოდებული დანადგარით.

მეთოდი „მასწავლებელი — მოსწავლე“ მკვლევარს აძლევდა ექსპერიმენტულ სქემას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდებოდა პიროვნებაში გამოწვეული ცვლილებების შესწავლა და დასჯის გავლენა აგრესიაზე. სიტუაციური ფაქტორების დადგენა, ფრუსტრაციის სხვადასხვა ხარისხი და ფსიქიკური აღგზნება (მოცემულმა პროცედურამ სხვათა კვლევებში რამდენადმე შეცვლილი სახე მიიღო. მაგ., დენის დარტყმა შეცვალეს სხვა არასასიამოვნო ზემოქმედებით; ძლიერი ხმაურით ან მაღალი ტემპერატურით...).

ნარკვევის შეფასების მეთოდი

ეს მეთოდი ასევე ფართოდ გამოიყენება აგრესიის კვლევისას. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტში მონაწილეებს სთხოვენ გარკვეული პრობლემის ირგვლივ დავალების წერილობით შესრულებას. შედეგების შეფასება ხდება ელექტრონული იმპულსის ინტენსივობის ხარისხის სიხშირით, რომელსაც ახორციელებს შემფასებელი მონაწილე. ერთი სიგნალი აღნიშნავს ძალიან კარგს, ათი — ყველაზე ცუდს.

ფართოდაა ცნობილი აგრესიის შესწავლა თამაშის ფორმით. კერძოდ, „თოჯინა ბობოს“ მეთოდი. აღნიშნული ექსპერიმენტი პირველად განახორციელა ბანდურამ თავის კოლეგებთან ერთად.

აღნიშნულ კვლევაში თოჯინა ბობოზე ადამიანის თავდასხმის დემონსტრირების შემდეგ ცდის პირი ბავშვები გადიოდნენ სხვა ოთახში, სადაც დიდი რაოდენობის სხვადასხვა სათამაშოები ელაგა. მათ შორის ზოგიერთი მათგანი აგრესიის ობიექტის მსგავსი იყო, რომელსაც ისინი ცოტა ხნის წინ აკვირდებოდნენ. ბავშვებს შეეძლოთ, 10-20 წუთის განმავლობაში თავისფლად ეთამაშად ამ სათამაშოებით და იმედროულად ყურადღებით აკვირდებოდნენ მათ ქცევას. ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ცდის პირები ზუსტად ახდენდნენ მოდელის ქცევის კოპირებას.

### სხვების მიერი შეფასება

ეს მეთოდი ძირითადად ეყრდნობა ვერბალურ ინფორმაციას და ხშირად გამოიყენება აგრესიის კვლევისას. ამ შემთხვევაში ბავშვების შეფასებას ახდენენ მშობლები, მეგობრები, თანატოლები, სიბისები. ამგვარი შეფასების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ გარემომყოფები შეიძლება უფრო ობიექტურები იყვნენ. ვიდრე ცდის პირები. მაგალითად, „უინტერესო“ ინდივიდი ნაკლებად ექვემდებარება სოციალური გარემოსათვის მიღებულ ნორმებს. მათი პასუხები არ შეიცავს საკუთარი თავის მიმართ არასასურველ შეფასებას. შეფასებები დამოკიდებულია ცდის პირის მიერ გარემოს აღქმაზე, რომელიც შესაძლოა დამახინჯებულად წარმოადგინოს.

### პროექციის მეთოდები, ტესტები:

ცნობილი პროექციის მეთოდებია: თემატური აპერცეპციისა (TAT) და რორშახის „მელნის ლაქა“. ეს მეთოდები გამოიყენება როგორც კვლევებისას, ასევე კლინიკურ კონტექსტში.

რორშახის ტესტის ნაკრები შედგება 10 სხვადასხვა ფერის გაურკვეველი ფორმის სიმეტრიული ლაქისაგან.

ცდის პირს სთხოვენ, გულდასმით დაათვალიეროს და უამბოს ექსპერიმენტატორს — თუ რა არის მისი აზრით ეს გამოსახულება ან რას მოაგონებს მას.

ცნობილია როზენტცევიგის (P-F study), (Rosentzweig, 1981), თემატური აპერცეპტული ტესტი, რომელიც შედგება სურათების სერიისაგან (22 პრობლემური სიტუაციის ამსახველი სურათი, რომელიც იწვევს პიროვნების ფრუსტრაციასა და სტრესს). ცდის პირებს უწვევენ სურათებს, რომლებშიც ერთ-ერთი ფრუსტრირებული პერსონაჟი რაღაცას წარმოსთქვამს, ცდის პირს ეძლევა დავალება ფრუსტრირებული პერსონაჟის პირიდან გამოსულ ღრუბლის გამოსახულებაში ჩაწეროს მისი საეარაუდო გამოხატულება.

როზენტცევიგის მეთოდის სტრუქტურაში შედის: სტიმულირების მასალა, თეორიული განმარტება, მეთოდის შინაარსის ახსნა, ორი ინტერპრეტაციული სქემა, რეგისტრაციის ბლანკი.

ცნობილია გ. მიურეის მიერ შემუშავებული სტიმულირების მასალა PAT-თემატური აპერცეპტული ტესტის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ სიუჟეტურ სურათებს, მათზე სქემატურად არის გამოსახული ადამიანების ფიგურები.

მიურეის ორიგინალური ტესტი წარმოადგენს შავ-თეთრ სქემატურ სურათების სერიას, რომელშიც შედის 10 ქალის (განკუთვნილი ქალებისათვის) 10 კაცის (განკუთვნილი კაცებისათვის) და 10 ზოგადი შინაარსის სურათს. თითოეულ კომპლექტში 20 სურათია. გარდა ამისა, მასში შედის სურათების სერია ბავშვებისათვის (ტესტი KAT), რომელშიც შედის 10 სურათი; ნაწილი უფროსებისათვის განკუთვნილ მეთოდის ვარიანტშიც არის წარმოდგენილი.

PAT (ნახატების აპერცეპტული ტესტი), კარგი საშუალებაა მოზარდთა პიროვნული პრობლემების შესასწავლად. პროექციისა და იდენტიფიკაციის მექანიზმის მიხედვით გამოვლინდება სიღრმისეული, კონტროლს დაუქვემდებარებელი განცდები, შიდა კონ-

ფლიქტები, პიროვნებათა შორისო დამოკიდებულებები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოზარდთა ქცევასა და სასწავლო პროცესებზე.

მიურეის ტესტის მეთოდის სტიმულირების მასალა წარმოდგენილია 8 კონტურული სახის ნახატით, რომელზედაც გამოსახულია 2, იშვიათად 3 ადამიანი. თითოეული პერსონაჟი პირობით მდგომარეობაშია, გაურკვეველია მისი სქესი, ასაკი და სოციალური სტატუსი. იმავდროულად პოზის, ეესტიკულაციის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს, რომ თითოეულ სურათზე მოცემულ ორ პერსონაჟს შორის წამოჭრილია კონფლიქტური სიტუაცია. ზოგიერთ ნახატზე გამოსახული მესამე პერსონაჟის პოზიცია შესაძლოა იყოს ინდიფერენტული, აქტიური ან შეწუხებული.

აპერცეპტული ტესტი თავისი ლაკონურობითა და უბრალოებით გამოიყენება პრობლემურ, რთულ მოსწავლეებთან. არ არის რეკომენდირებული აღნიშნული მეთოდის გამოყენება 12-წლამდე ასაკის ბავშვებთან მუშაობისას.

## რენე ჟილიეს ტესტი

რენე ჟილიეს მეთოდიკა ბავშვის პიროვნული ურთიერთობისა და შიდაოჯახური დამოკიდებულების აღქმას გამოხატავს. მეთოდის მიზანია ბავშვის სოციალური შეგუებისა და გარშემომყოფებთან მისი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა-შესწავლა.

მეთოდიკა წარმოადგენს ვიზუალურ-ვერბალურ მასალას, შედგება ბავშვებთან და უფროსებით და ცალკე ბავშვებით გამოხატული 42 სურათისაგან. მასში ასევე მოცემულია ტექსტური დავალებები. ძირითადი მიმართულებაა სხვა ადამიანებთან ურთიერ-

თობებში ქცევასა და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში თავისებურებების გამოვლენა.

მუშაობის დაწყებამდე ბავშვს ვეუბნებით, რომ მოცემული სურათების შესახებ მისგან პასუხს ელით. ბავშვი ათვალისწინებს შეთავაზებულ სურათებს, ისმენს შეკითხვებს ან თავად კითხულობს და პასუხობს.

ბავშვმა ადამიანების გამოსახულ სურათზე ერთერთ პერსონაჟთან იდენტიფიკაცია უნდა მოახდინოს ან მათ შორის საკუთარი ადგილი აირჩიოს.

ტექსტურ დავალებებში ბავშვს ქცევის ტიპური ფორმის არჩევანის საშუალება აქვს. ზოგიერთი დავალება სოციოძეგნით და ინფორმაციული ხასიათისაა. იგი ცდის პირს საშუალებას აძლევს, უარი თქვას გარემომყოფ გარკვეულ ადამიანებსა (ოჯახური გარემოდან) და მოვლენებზე. რ. ჟილიეს მეთოდის უბრალოება და სქემატურობა განასხვავებს მას სხვა პროექციული ტექსტებისაგან. ყოველივე ეს ცდის პირ ბავშვს უადვილებს აღქმასა და ინტერპრეტაციას, ასევე შესაძლებლობას აძლევს, შედარებით დიდი ფორმალიზაციისა და კვანტიფიკაციისაგან.

საბავშვო პროექციული მეთოდიკა *ცვლადებისა და რაოდენობის* მიხედვით ფსიქოლოგიური კვლევის შედეგების წარმოჩენის საშუალებას იძლევა. ბავშვის პიროვნული ურთიერთობის სისტემის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური მასალა ორ დიდ ცვლად ჯგუფად იყოფა:

1. ცვლადები, რომლებიც ახასიათებენ ბავშვის კონკრეტულ-პიროვნულ ურთიერთობებს: *ოჯახურ გარემოსთან დამოკიდებულება* (დედა, მამა, ბებია, და და სხვ.), *დამოკიდებულება მეგობრისადმი*, *ავტორიტეტულ უფროსთან* და სხვ.
2. ცვლადები, რომლებიც ახასიათებენ უშუალოდ ბავშვს

სხვადასხვა დამოკიდებულებაში: ურთიერთობა, გამოჯენა, დომინირებისაკენ სწრაფვა, სოციალური ადეკვატურობა ქცევაში. მეთოდის ადაპტირების ყველა ავტორი 12 თვისებას გამოყოფს:


- დამოკიდებულება დედის მიმართ,
- დამოკიდებულება მამის მიმართ,
- დამოკიდებულება დედ-მამისადმი, როგორც შშობლებისადმი,
- დამოკიდებულება და-ძმის მიმართ,
- დამოკიდებულება ბებია-ბაბუის მიმართ,
- დამოკიდებულება მეგობრის მიმართ,
- დამოკიდებულება მასწავლებლის მიმართ,
- ცნობისმოყვარეობა,
- დომინირებისაკენ სწრაფვა,
- ურთიერთობა,
- გამოჯენა,
- ადეკვატურობა.

განსაზღვრული პირის მიმართ დამოკიდებულება გამოიხატება დავალებათა იმ რაოდენობით, რომლებიც ბავშვს წაუყენება.


რ. ჟილიეს მეთოდის მხოლოდ პროექციული ტესტების რიცხვს არ მიეკუთვნება, იგი ანკეტასა და პროექციულ ტესტს შორის თავისებური გარდამავალი ფორმაა, ამაშია მისი დიდი უპირატესობა. იგი პიროვნების სიღრმისეული შესწავლისა და კვლევების სტატისტიკური დაშუშავებისას გამოიყენება.

რენე უილიეს მეთოდის სტიმულირების მასალა


1. აი, მაგიდა რომლის გარშემოც სხედან სხვადასხვა ადამიანები. ჯვრით აღნიშნე ადგილი, სად ზიხარ შენ.




2. აღნიშნე ჯვრით, სად ზიხარ შენ.




3. აღნიშნე ჯვრით, სად ზიხარ შენ.



4. ახლა, ამ მაგიდის გარშემო რამდენიმე ადამიანი და შენი თავი განლაგე. აღნიშნე მათი ნათესაური კავშირი (დედა, მამა, ძმა, და, ან (ამხანაგი, მეგობარი, თანაკლასელი).



5. აი, მაგიდა, რომლის თავშიც ზის ადამიანი, რომელსაც შენ კარგად იცნობ. სად დაჯდებოდი შენ? ვინ არის ეს ადამიანი?



6. შენ ოჯახთან ერთად არდადეგები უნდა გაატარო სახლში, რომლის პატრონსაც დიდი სახლი აქვს. შენი ოჯახის წევრებმა ამ სახლში უკვე დაიკავეს რამდენიმე ოთახი. შეარჩიე შენთვის ოთახი.

ძმა				მამა და დედა
და				

7. შენ ნაცნობებთან ხარ სტუმრად დიდი ხნით. აღნიშნე ჯვრით ოთახი, რომელიც შენ შეარჩიე.

მამა და დედა				
ბებია და ბაბუა და				

8. კიდევ ერთხელ ნაცნობებთან. აღნიშნე სხვა ადამიანებისა და შენი ოთახი.


9. გადაწყვეტილია, რომ ერთ ადამიანს სიურპრიზი მოუმზადონ., შენ გინდა ეს?  
 ვინ გინდა რომ ეს ადამიანი იყოს?  
 იქნებ შენთვის სულერთია?  
 დაწერე ქვემოთ.

10. შენ გაქვს შესაძლებლობა რამდენიმე დღით წახვიდე დასასვენებლად. მაგრამ იქ, სადაც შენ მიდიხარ, მხოლოდ ორი თავისუფალი ადგილია: ერთი შენთვის, მეორე სხვა ადამიანისთვის. ვის წაიყვანდი შენთან ერთად?

დაწერე ქვემოთ.

11. შენ რაღაც დაკარგე, რომელიც ძალიან ძვირი ღირს. ვის გაუჩვენებ ამ უსიამოვნებას პირველად?

დაწერე ქვემოთ.

12. შენ კბილი გტკივა, კბილის ექიმთან უნდა წახვიდე და ასიდი.

მარტო წახვალ?

თუ ვინმესთან ერთად?

ვინმესთან ერთად თუ წახვალ, ვინ იქნება ეს ადამიანი?


დაწერე.

13. შენ ჩააბარე გამოცდა.

პირველად ვის აცნობებ ამის შესახებ?

დაწერე ქვემოთ.

14. შენ ქალაქგარეთ გასართობად წახვედი.  
აღნიშნე ჯვრით, სად იმყოფები შენ?



15. შუბლევი გასეირნება. აღნიშნე, სად იმყოფები შენ ამჯერად?



16. ამ შემთხვევაში, სად იმყოფები შენ?



17. ახლა ამ სურათზე განათავსე რამდენიმე ადამიანი და საკუთარი თავი.

ჩაბატე ან აღნიშნე ჯვრით.

შიაწერე, ვინ არიან ეს ადამიანები.



18. შენ და სხვებს დაურიგეს საჩუქრები.  
რომელიღაცამ სხვებთან შედარებით გაცილებით უკეთესი  
საჩუქარი მიიღო.

ვინ გინდა, რომ იყოს ის?  
დაწერე ქვემოთ.

19. შენ შორეული მგზავრობისთვის ემზადები, შენი ახლობლებ-  
ისაგან შორს მიდიხარ.

ვინ მოგენატრებოდა ყველაზე ძალიან?  
დაწერე ქვემოთ.

20. შენი ამხანაგები სასეირნოდ მიდიან. აღნიშნე ჯვრით, სად  
იმყოფები შენ.



21. ვისთან გიყვარს თამაში?

შენი ასაკის ამხანაგებთან, შენზე უმცროსებთან თუ  
უფროსებთან?

გაბაზე ერთერთი შესაძლო პასუხი.

22. ეს სათამაშო მოედანია. აღნიშნე, სად იმყოფები შენ.



23. ესენი შენი ამხანაგები არიან. ისინი შენთვის უცნობი მაზეზის გამო კამათობენ. აღნიშნე ჯვრით, სად იქნები შენ.



24. ესენი შენი ამხანაგები არიან, რომლებიც თამაშის წესების გამო კამათობენ. აღნიშნე, სად იმყოფები შენ.



25. ამხანაგმა განგებ ხელი გკრა და წაგაქცია.  
რას იზამ:

იტირებ?

მასწავლებელთან დააბეზლებ?

დაარტყამ?

შენიშვნას მისცემ?

არაფერს არ უტყვი?

განსაზე ერთერთი პასუხი.

26. ეს არის შენთვის კარგად ნაცნობი ადამიანი. იგი სკამებზე მსხდომ ადამიანებს რაღაცას ეუბნება. მათ შორის შენც ხარ. აღნიშნე ჯვრით, სად ხარ შენ.



27. დედას ბევრს ეხმარები?

ცოტას?

იშვიათად?

გახაზე ერთ-ერთი პასუხი.

28. ეს ადამიანები დგანან მაგიდის გარშემო, ერთ-ერთი მათგანი რაღაცას ხსნის. შენ მსმენელთა შორის ხარ. აღნიშნე, სად ხარ შენ.




29. შენ და შენი ამხანაგები სასეირნოდ ხართ, ერთი ქალი თქვენ რაღაცას გიხსნით. აღნიშნე ჯვრით, სად იმყოფები შენ.



30. გასეირნებისას ყველა ბალახზე მოთავსდა. აღნიშნე, სად იმყოფები შენ.



31. ეს ადამიანები უყურებენ საინტერესო სპექტაკლს. აღნიშნე ჯვრით, სად იმყოფები შენ.



32. ეს არის ცხრილის ჩვენება. აღნიშნე ჯვრით, სად იმყოფები შენ.



33. ერთ-ერთი შენი ამხანაგი დაგცინის.

როგორ მოიქცევი:

იტირებ?

მხრებს აიჩეჩავ?

შენ თვითონ დასცინებ მას?

დატუქსავ? სცემ?

გახაზე ერთ-ერთი პასუხი.

34. ერთერთი შენი ამხანაგი დასცინის შენ მეგობარს.

რას იზამ:

ტირილს დაიწყებ?

მხრებს აიჩეჩავ?

შენ თვითონ დასცინებ მას?

დატუქსავ?

სცემ?

გახაზე ერთ-ერთი პასუხი.

35. ამხანაგმა შენი პასტა დაუკითხავად  
აიღო. როგორ მოიქცევი?  
იტირებ?  
დაიჩვილებ?  
შეეცდები წაართვა?  
უყვირებ?  
სცემ?  
გახაზე ერთ-ერთი პასუხი.

36. შენ თამაშობ ლოტოს (მაშს, ან სხვა სათამაშოს), რომელიც  
ზედიზედ ორჯერ წააგე. შენ უკმაყოფილო ხარ.  
რას გააკეთებ?  
იტირებ?  
ისევ გააგრძელებ თამაშს?  
გაბრაზდები?  
გახაზე ერთ-ერთი პასუხი.

37. მამა არ გიშვებს სათამაშოდ.  
რას გააკეთებ?  
არაფერს არ ეტყვი?  
გაიბუტები?  
იტირებ?  
გააპროტესტებ?  
შეეცდები აკრძალვის წინააღმდეგ წახვიდე?  
გახაზე ერთ-ერთი პასუხი.

38. დედა არ გიშვებს სათამაშოდ.

რას გააკეთებ:

არაფერს არ ეტყვი?

გაიბუტები?

იტირებ?

გააპროტესტებ?

შეეცდები აკრძალვის წინააღმდეგ წახვიდე?

გახაზე ერთერთი პასუხი.

39. მასწავლებელი კლასიდან გამოვიდა და შენ კლასზე მეთვალყურეობა დაგავალა.


შესძლებ დავალების შესრულებას?

დაწერე ქვემოთ.


40. შენ ოჯახთან ერთად წახვედი კონოში. კინოთეატრში ბევრი თავისუფალი ადგილია.

შენ სად დაჯდები?


სად დასხდებიან ისინი, შერთან ერთად რომ არიან?



41. კინოთეატრში ბევრი ცარიელი ადგილია. შენმა ნათესავებმა უკვე დაიკავეს ადგილები., შენ სადაც დაჯდები, აღნიშნე ჯვრით.



42. ისევ კინოთეატრში ხარ. სად დაჯდები შენ?



იხილე ტესტის გასაღები 231-ე გვერდზე

## ტესტი „არარსებული ცხოველი“

პროექციული ტესტი „არარსებული ცხოველი,“ აღწერილობითი ფორმის გამო, შედეგების სტატისტიკური შემოწმებისა და სტანდარტიზაციის ანალიზის საშუალებას იძლევა. მოცემული ტესტი შედგენილობით *ორიენტაციული ხასიათისა* და ექსპერიმენტულ კვლევაში სხვა მეთოდებთან გაერთიანებას საჭიროებს. ბავშვის პიროვნების საკვლევად მიმართული ტესტი გამოიყენება ხუთი წლიდან უფროსი ასაკის ბავშვებთან სამუშაოდ.

ინსტრუქცია: „*დახატე არარსებული ცხოველი, რომელიც რეალურ ცხოვრებაში არ გვხვდება.*“

ტესტის ჩატარების წესი: ბავშვებს ვთავაზობთ ქაღალდის ფურცელსა და უბრალო ფანქარს. უმცროსი ასაკის ბავშვებს (5-7წლის) შეიძლება ფერადი ფანქრები და ფლომასტერები შეეთავაზოთ. მათ უფრო დეტალურად ვუხსნით ცნებას „არარსებული ცხოველი.“ კერძოდ, დახატოს ისეთი ცხოველი, რომელიც ბუნებაში არ არსებობს და მხოლოდ ზღაპრებში გვხვდება. მუშაობის დაწყების შემდეგ უფროსი, როგორც სხვა პიროვნულ ტესტებში, მისი მიმდინარეობის პროცესში არ ერევა. ბავშვს ხატვის დამთავრებისას ვთხოვთ, უპასუხოს რამდენიმე შეკითხვას: „რა ჰქვია ამ ცხოველს?“ „ვისთან ცხოვრობს?“ „ვისთან მეგობრობს?“ „რითი იკვებება?“ ბავშვების პასუხებს ვაფიქსირებთ.

შედეგების ანალიზი. პირველ რიგში, ყურადღება ექცევა დახატული ცხოველის ფიგურის ზომას და მისი ქაღალდის ფურცელზე განთავსებას. ფიგურის ზომა უკავშირდება ბავშვის თვითშეფასებას (რაც უფრო დიდი ზომის ფიგურაა, მით უფრო მაღალია თვითშეფასება). *ფიგურის ქაღალდის ფურცელზე განთავსება უკავშირდება მისი მოთხოვნილების დონეს.* ქაღალდის ზედა მესამედში განთავსება მოწმობს მაღალ მოთხოვნილებას, ქაღალდის შუაში – საშუალოს, ქვედა მესამედში – დაბალ მოთხოვნილე-

ბას. დიდი მნიშვნელობა აქვს ფიგურის ზომის მისი ქალაქზე განთავსების შეფარდებას. ყველაზე ადეკვატურად ითვლება საკმარისად დიდი ნახატი, რომელიც განთავსებულია ქალაქის შუა ნაწილში. ასეთი განთავსება მოწმობს ბავშვის თავდაჯერებულობას, მაგრამ არა იდეალიზაციას, მისი საკუთარი თავის გამოვლენისაკენ სწრაფვას, მიიღოს წახალისება, მაღალი შეფასება, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად.

ცხოველის განთავსება ქალაქის ზღვა ნაწილში მეტყველებს ბავშვის მაღალ თვითშეფასებაზე და მის ყველაზე მაღალი შეფასებისკენ, ლიდერობის მოთხოვნილებას, თუმცა ეს მოთხოვნილება ყოველთვის არ მართლდება. თუ ნახატი მორთულია (ცხოველი მორთულია ყვავილებით, ორნამენტებით და სხვ.), შეიძლება ვივარაუდოთ მოცემული ბავშვის დემონსტრაციულობაზე, იგი მიისწრაფვის ნებისმიერ ფასად მიიპყროს ყურადღება. თუ ასეთი ბავშვები დადებითი შეფასების მიღებას ვერ ახერხებენ, ჯგუფში ლიდერებად არ ითვლებიან, ისინი ხდებიან დეზორგანიზატორები, ყურადღების მისაპყრობად ნებისმიერი წესების დამრღვევები. დასჯა მხოლოდ აძლიერებს ნეგატივიზმს და ამ ბავშვების კონფლიქტურობას, რადგან ბავშვის სურვილია ნებისმიერი ხერხით მიიპყროს გარშემომყოფების ყურადღება, რასაც ისინი ამ შემთხვევაში აღწევენ. ამისათვის უკეთესი იქნება, შეეცადოთ, ყურადღება არ მიაქციოთ მათ ქმედებებს (თუ რა თქმა უნდა, ისინი არ წარმოადგენენ საშიშროებას გარშემომყოფთათვის და თვით ბავშვითვის), მათი კარგი საქციელი კი ყოველთვის წახალისეთ. ნებისმიერი ქმედებისას ხელი შეუწყეთ წარმატებების მიღწევაში. ნახატები, რომელზედაც ცხოველის კატარა ფიგურა ქალაქის სულ ქვედა ნაწილშია განთავსებული, მის არასრულფასოვნების კომპლექსზე, თავდაჯერებლობასა და შფოთვიანობაზე მეტყველებს. ასეთ ბავშვებს აკლიათ უფროსების წახალისება, თუ ისინი არ არიან წარმატებულნი სწავლაში, ან სპორტულ ვარჯიშებში კარგი იქნება მათი სხვა წარმატებების შესახებ დანარჩენი ბავშვების

ყურადღების მიპყრობა (მაგ., ამ ბავშვმა რა კარგად დახატა ან დააწება), მსგავსი წახალისება საჭიროა იმისათვის, რომ ბავშვი საკუთარ ძალებში დარწმუნდეს, გაიგოს, რომ მას აქვს ბევრი დადებითი თვისება და ის სხვა ბავშვებზე ნაკლები არ არის. ასეთი მუშაობა განსაკუთრებით ავტორიტარული ოჯახის ბავშვებთანაა აუცილებელი, მათგან ითხოვენ ყველა სახის საქმიანობაში მაღალ მოსწრებას, დაჯერებას, სისტემატურ აკრძალვებს. ხშირ შემთხვევაში, ბავშვები ამას ვერ ან ძალიან დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებენ.

შიდაპიროვნული კონფლიქტების სიხშირის შესახებ საუბარია იმ შემთხვევაში, თუ თვითშეფასებისა და მოთხოვნილების დონე ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთი ბავშვები ნახატის *კატარა ფიგურას* ქალაქის ფურცლის ყველაზე *ძალა ათავსებენ*, ან პირიქით, *დიდ ფიგურას ყველაზე დაბლა ხატავენ*. ამ ბავშვების ნერვიული დაძაბულობა, შფოთვა და აგრესია უკავშირდება იმას, რომ მათ საკუთარი თავის შეფასება არ შეუძლიათ, ვერ გარკვეულან საკუთარ თავში, შესაძლებლობებში. სისტემატურად იცვლიან წარმოდგენას საკუთარ თავზე, ამიტომაც ცვალებადია მათი ქცევა, მათი ურთიერთობები. ამიტომ ბავშვები, რომლებიც *კატარა ფიგურას ზევით ათავსებენ*, ხშირად ფარავენ თავის თავდაუჯერებლობას, შფოთვას, მძაფრ აგრესიულ ქცევას, კონფლიქტურობას (ხშირად გაუცნობიერებლად). ამ სახის აგრესიას „*შფოთვისგან გამოწვეული აგრესია*“ ჰქვია და ფართოდ გავრცელებულია როგორც ბავშვებში, ასევე უფროსებშიც მათი უუნარობის, არაკომპეტენტურობისა და თავდაუჯერებლობის დასამალად. ამგვარ ქცევას შეესაბამება ანდაზა: „*თავდაცვის საუკეთესო მეთოდი – თავდასხმა*“. ამ ტიპის გადახრა, ხშირად ვლინდება ბავშვებში, რომლებიც ვერ იღებენ, ან აკლიათ სიყვარული და თავს დაუცველად აღიქვამენ. მათ ეშინიათ, რომ თუ ისინი რაღაცას ისე ვერ გააკეთებენ, მაღალ ნიშნებს არ მიიღებენ, ღელას ან მამას არ ეყვარებათ, აქედან

გამომდინარეობს შეფასებისადმი მათი დემონსტრაციული მოთხოვნილება, რაც თავდაუჯერებულობას ერწყმის.

ბავშვები, რომლებიც დიდ ფიგურას ბატაკენ ქვეშით, პირიქით, თავდაჯერებულები და საკუთარ ძალებში დარწმუნებულები არიან.

მაგრამ ეშინიათ ან არ უნდათ ამის ჩვენება. ეს ბავშვები, როგორც წესი, არცთუ ისე „დალხენილი“ ოჯახებიდან არიან, რომლებიც არ არიან დაკავებულები მათი პრობლემებით, მათ მიმართ სიყვარულს არ ამჟღავნებენ და ხშირად სჯიან.

ნახატის ანალიზისას ყურადღება ფიგურის სივრცობრივ განთავსებას უნდა მიექცეს. თუ ფიგურა გაწეულია მარცხენა მხარეს (იყურება მარცხნიდან), შეიძლება ვისაუბროთ ბავშვის ინფანტილობაზე, მის წინადროინდელ ბავშვობაში დაბრუნებისაკენ მისწრაფებაზე. ეს შესაძლებელია ბავშვების მიმართ წაყენებულ მეტისმეტ მოთხოვნებს, ან დაძმის მიმართ ეჭვიანობას უკავშირდებოდეს, რომელიც ადრე არ შეიმჩნეოდა. თუ ფიგურა გაწეულია მარჯვენა მხარეს (იყურება მარჯვნიდან), მოწმობს მათ მომავლისაკენ სწრაფვას, სურვილს, გახდნენ დიდები. თუმცა ეს ნახატები იშის მანვენიებელია, რომ ბავშვები უკმაყოფილონი არიან ამჟამინდელი მდგომარეობით და მომავლისაკენ სწრაფვას ანიჭებენ უპირატესობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს დახატულ სურათში ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს. ჭარბი ჰორიზონტალური ხაზები მეტყველებს თავდაუჯერებლობაზე, შფოთვაზე, ვერტიკალური ხაზების სიჭარბე, პირიქით - თავდაჯერებულობაზე, აგრესიულობაზე, ლიდერობისაკენ სწრაფვაზე.

აგრესიულობაზე მეტყველებს დახატული კბილები, ბრჭყალები, მუშტები და სხვ. ასევე ბავშვების პასუხები, რომელშიც ნათქვამია, რომ ცხოველები იწყვენ სხვა ცხოველებზე, ადამიანებზე, უში ხორცისკენ და ა.შ. ამგვარი პასუხები დამახასიათებელია ნებისმიერი სახის აგრესიისათვის - ღია (სწრაფვა უპირატე-

სობისაკენ, ლიდერობისაკენ) და თავდაცვითი აგრესია (შფოთვის შედეგად გამოვლენილი). ამისათვის მთავარია ნახატები მთლიანად გაანალიზდეს, სხვადასხვა პარამეტრებით მიღებული და გაანალიზებული მონაცემები უნდა შეგროვდეს. ყურადღება უნდა გამახვილდეს ნახატის დაშტრიხვაზე. ძლიერი დაწოლითი პირდაპირი დაშტრიხვა უკავშირდება ბავშვის შინაგან დაძაბულობას, მაღალი შეფასებისაკენ სწრაფვას, ლიდერობას. ირიბი დაშტრიხვა, ძლიერი დაწოლით და ხშირად კონტურის საზღვრებიდან გასვლა მეტყველებს როგორც ბავშვის ნერვიულ დაძაბულობაზე, ასევე თავდაუფერებლობაზე, გაბუტვისაკენ მიდრეკილებაზე. წრეებით დაშტრიხვა უკავშირდება ინფანტილიზმს, ბავშვის თავდაცვის, სიყვარულისა და მოფერებისაკენ სწრაფვას, რის ნაკლებობასაც განიცდის.

ფასდება ასევე სურათის შინაარსი. ცხოველის ნახატი, რომელსაც *ჯაეშნი აქეს*, გამოხატავს ბავშვის დამალვის სურვილს, გავიდეს ურთიერთობისაგან; ასეთი ნახატები დამახასიათებელია შფოთვიანი და ჩაკეტილი ბავშვებისათვის. ბარიერები და ზღუდე, როგორც წრეული, ასევე სწორკუთხოვანი ხაზები, რომელიც ფიგურას გარს ერტყმის, მოწმობს თვით ბავშვის ჩაკეტილობას, ურთიერთობის სურვილის არქონას, სხვა ადამიანების მიმართ უინტერესობას. ასეთი ნახატი ასევე მოწმობს ბავშვებში ემოციურობის უკმარისობას. ჩიტების, პეპლების ან ცხოველების ნახატი, რომლებსაც ფრთები აქვთ, ხშირად უკავშირდება ბავშვის სურვილს, გაექცეს უსიამოვნო სიტუაციას, რომელიც კავშირშია ოჯახთან, ან თანატოლთა კოლექტივთან. ამისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ფიგურის ქალაქის ფურცელზე მდებარეობას, რომელიც გვიჩვენებს ბავშვის წარსულში თუ მომავალში გადაადგილებისაკენ მისწრაფებას. ანტენების, მავთულების, ჭოგრითებისა და ა.შ. დახატვა ხშირად ბავშვის გარშემომყოფებისა და სხვა ადამიანების მიმართ ინტერესს უკავშირდება, რითაც გამოხატულია მათთან კავშირის დამყარებისაკენ სწრაფვა.



განახლება

როზენცვეიგის ტესტის მოდიფიცირებული ვარიანტი.  
სტიმულირების მასალა

როზენცვეიგის თემატურ აპერცეპტულ ტესტზე დაყრდნობით ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა აგრესიის გამოვლენის პროექციის მეთოდოლოგია, კერძოდ სტიმულირების მასალა 5-6 და 7-8, წლის ასაკის ბავშვებისათვის, იგი შეიძლება ჩაითვალოს „მიმართულ პროექციად“. მასალა შედგება 10 კონფლიქტური სიუჟეტის ამსახველი სურათისაგან, რომელიც დაყოფილია ურთიერთობების მიხედვით, კერძოდ, ხუთი სურათის სიუჟეტი ასახავს თანატოლთან ბავშვის ურთიერთობის კონფლიქტურ ვარიანტს, დანარჩენი ხუთი - ასევე მის კონფლიქტურ დამოკიდებულებას უფროსთან.

მოცემული მეთოდოლოგიით მუშაობის მიზანია ბავშვთა აგრესიულობის გამოვლენა.

სურათების სიუჟეტებში მოცემული ფიგურების სახეები კონტურს წარმოადგენს და, ბუნებრივია, მათი მიმიკური გამოხატულებები ბავშვებისათვის უცნობია.

ცდის პირს სიუჟეტური სურათების შეთავაზებამდე ეუწევნებთ ცალკე ფურცელზე ნათლად გამოსახულ ბავშვისა და უფროსი ადამიანის ემოციების გამომხატველ სახეებს (ბრაზი, სიხარული, წყენა) და ბავშვთან ერთად ვაზუსტებთ მის მიერ აღქმული ემოციების სისწორეს.

ცალკეა გამოჭრილი სურათების სიუჟეტში მოცემული ფიგურების თავის შესაბამისი ზომის, ასევე ემოციების გამომხატველი სახეები (ბრაზი, სიხარული, წყენა).

ეს ხერხი პირველად გამოყენებულ იქნა შფოთვის განსაზღვრულ ემენ და ღორკის მიერ (მითითებული გვაქვს ნ. იმედაძის ნაშრომის მიხედვით 1966.).

ცდის პირს ვთხოვთ, თანამიმდევრულად, ნუმერაციის მიხედვით დაათვალიეროს თითოეული სურათი და გვიამბოს მასში ასახული სიუჟეტი. ცდისპირმა თავისი არჩევანის შესაბამისად, შეარჩიოს და თავზე დააფაროს გამოჭრილი სახეების ემოციების გამომხატველი ვარიანტები და ვთავაზობთ შემდეგ კითხვებს:

1. რა ხდება სურათზე?
2. შენი აზრით, როგორი სახეები ექნება თითოეულ მათგანს?
3. რატომ არის გაბრაზებული, გახარებული, მოწყენილი?
4. ამ ბავშვებიდან (ვუთითებთ სურათზე) რომელი იქნებოდი შენ?
5. რატომ იქნებოდი ეს ბავშვი?
6. შენ რომ დაგინგრიონ, წაგართვან, ძალით დაგაძინონ და ა.შ. როგორ მოიქცეოდი?

## სტიმულირების მასალა

სურათი №1-

მასში მოცემულია ბავშვების დამოკიდებულება ცხოველებთან მიმართებაში. რა დამოკიდებულება აქვთ მათ უმწეო არსებებთან. აგრესიის სუბიექტი ძაღლს ფეხს ურტყამს. იქვე დგას მეორე ბავშვი, რომელიც სიტუაციის პასიური მონაწილეა. ცდის პირის მიერ შერჩეული ემოციების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს იგი სიუჟეტის სიტუაციურ ასახვას ახდენს, თუ სიღრმისეულს.



## სურათი №2.

ამ სურათის საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს ბავშვისა და მშობლის დამოკიდებულება ოჯახში.

სურათის სიუჟეტი ასახავს ბავშვის ცხოვრების ერთერთ სარეუიშო მომენტს, კერძოდ, ბავშვი ზის გაშლილ მაგიდასთან, თავჩაღუნული, მას ერთი ხელი თვალთან აქვს მიტანილი, დედა იქვე დგას და დაჰყურებს შვილს.




### სურათი №3

იგი ასახავს უფროსსა და ბავშვს შორის განვითარებულ პრობლემურ სიტუაციას. კერძოდ, ბავშვმა გატეხა ლარნაკი, იგი თავჩაღუნული დგას უფროსის წინაშე, რომელიც თითოთ მიუთითებს მას გატეხილზე.

მოცემული ტესტით შესაძლებელია გამოვლინდეს, როგორია ბავშვის

დამოკიდებულება საკუთარი საქციელისადმი და როგორია ბავშვის თვალით დანახული უფროსის ემოცია დამნაშავეს (ბავშვის) მიმართ.




## სურათი №4

ასახავს მუსიკალური მეცადინეობის პროცესში უფროსისა და ბავშვის დამოკიდებულებას. ბავშვი თავჩალუნული ზის, ინსტრუმენტთან მჯდომი უფროსი რაღაცას ეუბნება მას. სურათის მიხედვით შესაძლებელია გავიგოთ ბავშვის დამოკიდებულება სასწავლო მეცადინეობისა და მასწავლებლის მიმართ.



## სურათი №5

ასახავს უფროსისა და ბავშვის კონფლიქტურ ურთიერთობას. უფროსი ყურს უწევს ბავშვს. საგულისხმოა ცდის პირის დამოკიდებულება მოცემული სიტუაციისადმი.



## სურათი №6

მოცემულია ორი თანატოლი ბავშვის კონფლიქტური სიტუაცია. ერთი ბავშვი ბურთს ართმევს მეორეს (სასურველი ნივთის ხელში ჩაგდების ლტოლვა).

ამ შემთხვევაში საინტერესოა ცდის პირის ემოციის პროექცია სიუჟეტის სუბიექტთან, რაც კარგ შესაძლებლობას ქმნის აგრესიისკენ მიდრეკილების მქონე ბავშვის გამოვლენისათვის.



მასში მოცემულია თანატოლების დამოკიდებულება ზატვის პროცესში. მათ შორის ერთერთი მათგანი უკეთესად ზატავს, მეორე ბავშვს არ შეუძლია მასავით ზატვა, რის გამოც განიცდის ფრუსტრაციას და ერთი ხელით საღებავით უთხუპნის ნახატს, მეორე ხელით არ აძლევს მას დახატვის საშუალებას (კონკურენცია).

ამ სურათით შესაძლებელია ფრუსტრაციით და შურით გამოწვეული ბავშვის აგრესიის დადგენა პროექციებისას.



## სურათი №8

გადმოგვცემს ბავშვების როგორც პირველი ადგილისათვის ბრძოლას, სათამაშოს წართმევის მიზნით თმების მოქაჩვას და რიგიდან გამოყვანას.



მოცემულია ბავშვის მიერ კუბიკებით აშენებული სახლის დანგრევა თანატოლის მიერ, რომელიც შესაძლებელია გამოწვეულ იქნეს თანატოლთა ყურადღების მიპყრობის მიზნით.



## სურათი №10

ასევე გამოხატავს ფრუსტრირებულ სიტუაციას მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის პროცესში. დედას სურს ბავშვი წაიყვანოს დასაძინებლად. ბავშვი წინააღმდეგობას უწევს მას.



უფროსისა და ბავშვის მხიარული, ბრაზისა და  
მონწყენილის მიმიკური გამოხატულება



## ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვების ვერბალური პასუხები

როზენცვეიგის მიხედვით რეაქციები განსხვავდებიან ტიპების მიხედვით. იგი გამოყოფს სამი ტიპის რეაქციას. ერთ-ერთი ტიპის რეაქციისას, რომელსაც იგი „თავდაცვაზე ფიქსაციას“ უწოდებს, მისი აზრით ცდის პირის პასუხებში მთავარ როლს ასრულებს საკუთარი თავის, მე-ს დაცვა. სუბიექტი ან კიცხავს ვინმეს, ან აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა ფრუსტრაციაზე ეკისრება ობიექტს, ან არავის.

სურათი №1, რომელიც ასახავს ბავშვების დამოკიდებულებას ცხოველების მიმართ, ექსპერიმენტში მონაწილე ცდის პირი ბავშვები, რომლებიც აგრესიის სუბიექტს „მხიარულ“ სახეს ურჩევდნენ, ვერბალურ პასუხებში დაახლოებით ერთნაირი შინაარსის აზრს გამოხატავდნენ: „ამ ბავშვს უხარია ძაღლს რომ სცემს, მეც მიხარია, როდესაც ძაღლს ვაწვალე, ხანდახან ჯოხს ვურტყამ და ვაბრაზებ, იმიტომ, რომ მსიამოვნებს“. „ეს ბავშვი გახარებულია, აგდებს ძაღლს და ფეხს ურტყამს, მე მიყვარს ძაღლების ცემა, ფეხებით დაკიდება, აბა, იმან უნდა შემაშინოს, თუ კაია მე შევაშინებ.“

როზენცვეიგი შემდეგი ტიპის რეაქციას „საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ფიქსაციას“ უწოდებს. ცდის პირის პასუხები, მისი აზრით მიმართულია პრობლემის გადაჭრაზე; სუბიექტი თვითონ იწყებს სიტუაციის გადაჭრას.

სურათი №2, რომელშიც ბავშვი ბურთს ართმევს მეორეს. ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვი, როდესაც აგრესიის სუბიექტისათვის „მხიარულ“ მიმიკას ირჩევს, და ჩვენ ვეკითხებით: თუ რატომ იქნებოდა ეს ბავშვი, იგი გვპასუხობს – იმიტომ, რომ მეც მიხარია, როცა ბავშვს ვართმევ სათამაშოს და ვამწარებ, ერთი არ მომცეს, „წიხლებით გავებურავ“. „მე ვიცი, რომ მაინც წავართმევ და იმიტომაც მიხარია, მამაჩემიც ერევა ღელაჩემს და სცემს

ხოლმე.“ „ეს ბავშვი მე ვერ მოშერევა, ხელებში ამოვკრავ ფეხს, ბურთს გავაგდებინებ და ჩემი იქნება. რომ ეტკინოს სულაც არ მენაღვლება, იტიროს, მერე რა, ბავშვების ტირილიც მიხარია.“ „ერთი არ მოეცა, ზურგზე დაეახტებოდი და ხელიდან გავაგდებინებდი...“

როგორც ბავშვების პასუხებიდან ირკვევა, ისინი ყველანაირი ფორმით ცდილობენ გადაჭრან პრობლემა, ჩამოიშორონ მოწინააღდევე და მიაღწიონ სასურველ მიზანს.

სურათი №7-ში ერთი ბავშვი მეორეს დახატვის საშვალუბას არ აძლევს და უთხუპნის ნახატს. აგრესიის სუბიექტად „მსი-არული“ სახის არჩევისას ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვები ამბობენ: „ეს ბავშვი გახარებულა, მაინც სომ დაგითხუპნეო, ვერე გინდა შენო, მეორე ბავშვი გაბრაზებულა, რატომ მიშლი ხელსო.“

მეც ვუფუჭებ ხოლმე ჩემს დას ნახატებს.“ „პირველი ბავშვი გახარებულა, უხარია საღებავი რომ დაუსხა ნახატზე, მეც, როცა ჩხუბი მინდა ასე ვაკეთებ, მე რომ დამისხან საღებავი ვეჩხუბები, ავიყვან და მიწაზე დავანარცხებ.“ „ეს ბავშვი იმიტომ არის გახ-არებული, რომ გამარჯვებულა. მეც ესე ვიმარჯვებ ხოლმე.“ „მეც ვუთხუპნი ხოლმე, გვანცა ხატავდა სახლს და მე დავუთხუპნე, მე ვერ დავსატე ლამაზი სახლი და იმიტომ.“ „ამ ბავშვმა დაუთხუპნა ნახატები, შენი ნახატები არ მომწონსო და ეხლა გახარებულა. მეორე ბავშვი გაბრაზებულა, რატომ იციინო.“

იგივე სიტუაციის ამსახველ სურათში, როდესაც ბავშვები აგრესიის სუბიექტად ბრაზს ირჩევენ, ბავშვების ვერბალური პასუხები განსხვავებულია: „პირველს უნდა, რომ მარტო იმან დახატოს, მეორე ბავშვი კარგად ხატავს პირველ ბავშვს არ მოსწონს ეს და გაბრაზებულა. მეც ვბრაზობ, როცა სხვა მჯობნის.“ „ორივე გაბრაზებულა, პირველი ბავშვი იმიტომ არის გაბრაზებული, რომ არ უნდა რომ კარგად დახატოს იმ ბავშვმა, მეორე ბავშვი გაბრა-ზებულა, ხელი რომ შეუშალა.“ „ეს ბავშვი ბრაზობს, მე ცუდი ნახატი მაქვს და შენ კარგიო.“

მოცემულ სიტუაციაში მთავარია ის, რომ სუბიექტი კონკურენტს ხედავს ობიექტში და ნებისმიერი ხერხით ცდილობს მის ჩამოცილებას, იმარჯვებს მასთან დამოკიდებულებაში და ამიტომაცაა გახარებული.

სურათი №8, რომელშიც სათამაშოს წართმევის მიზნით ბავშვი თმებს ქაჩავს მეორეს. გადმოცემულია ბავშვების რიგში პირველი ადგილისათვის ბრძოლა. აგრესიის სუბიექტად „მხიარული“ სახის არჩევსას ბავშვების ვერბალური პასუხები ასეთნაირია: „ძალიან კარგია ყურს რომ უწევს, მეც ეს ბავშვი ვიქნებოდი. ეგრე უნდა, როგორ მიხარია, იმიტომ რომ მეც მინდოდა პირველი ამელო ეს სათამაშო, ვუპწკენდი მაგრად და ხელიდან სისხლს გამოვადენდი. ეტკინოს რა, მე ხომ არ მეტკინება, დავტაკებდი სათამაშოს ხელს და რაც უნდა ის ექნა.“ „როდესაც ჩემი ძმა რაიმეს მართმევს, ვურტყამ რაც შეიძლება მაგრად ფეხებში, თავში. ოპ, როგორ მიხარია იმისი ტირილის ხმა. ასე ვექცევი ჩემს ძაღლსაც. ვცემ და ვაწკმუტუნებ ხოლმე.“ „ერთი არ მოეცა, ცხვირში მუშტს ამოვარტყამ და სისხლს გამოვადენ.“ „მე მოვერევი მაინც და ძალით წავართმეე.“

იგივე სურათში წარმოდგენილი სიუჟეტის ინტერპრეტირებისას ბავშვების მიერ აგრესიის სუბიექტად „ბრაზის“ არჩევის შემთხვევაში მათი პასუხები ამგვარია: „სათამაშო არ მისცა და ეჩხუბება.“ „ბრაზობს, თვითონ უნდოდა სათამაშოსთან მისვლა.“ „გაბრაზებულია, იმან რომ დაასწრო და აიღო ის სათამაშო“...

როგორც ბავშვების ვერბალური პასუხებიდან ირკვევა, მათ ამ ასაკში პირველობისაკენ სწრაფვა და ნებისმიერი ხერხით ამის მიღწევა საკმაოდ ძლიერად აქვთ განვითარებული. სუბიექტი ამჯერადაც გამარჯვებული და ძირითად შემთხვევაში გახარებულია.

როზენცვიგის მიხედვით, შემდეგი ტიპის რეაქციაა „დაბრკოლებებზე ფიქსაცია.“ მისი აზრით, ცდის პირის პასუხებში ფრუსტრაციის გამოძწვევი წინააღდეგობა მათ მიერ აღიწერება, როგორც დაბრკოლება, რომელსაც არ გააჩნია რაიმე სერიოზული მნიშვნელობა.

სურათი №9, რომელშიც თანატოლთა ყურადღების მიპყრობის მიზნით ერთი ბავშვი უნგრევს ნაგებობას მეორეს, ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვების პასუხები, რომლებიც აგრესიის სუბიექტად „მხიარულ“ სახეს ირჩევენ ასეთია: „მე ეს გახარებული ბიჭი ვიქნებოდი, მიყვარს დანგრევები.“ „ამ ბიჭს თამაში უნდა და ეს გოგო არ უშვებს, ბიჭს უხარია, რომ უნგრევს, იმიტომ რომ მოიგო. მე როცა არ მათამაშებენ ვუნგრევ ხოლმე, ან ქვას ავიღებ და ვურტყამ.“ „ბიჭი უნგრევს, ნუ აშენებ, არ ავიშენებია ლამაზადო. ბიჭი გახარებულია, გოგო გაბრაზებული, მე რომ დამინგრიოს ვცემდი, სახეში სილებს ვურტყამდი.“ „ბიჭი გახარებულია, რომ დაუნგრია იმიტომ უხარია, მე ეს ბიჭი ვიქნებოდი. მე რომ დამინგრიონ თოფს ვესროდი და მოვკლავდი.“

ცდის პირი ბავშვებისაგან მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ სუბიექტს მოსწონს და უხარია ამგვარი ქმედება, მაგრამ ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩენის შემთხვევაში იგი მოწინააღმდეგეს არ აპატიებდა ამგვარ ქმედებას. ის, რაც მისთვის მოსაწონია, საპირისპირო შემთხვევაში — მიუღებელია.

სურათების სერიაში უფროსი-ბავშვი მიმართების სიუჟეტებში ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვების პასუხები შემდეგნაირია:

სურათი №2, რომელშიც ბავშვსა და უფროსს შორის ასახული კონფლიქტი კვების პროცესს უკავშირდება, ბავშვები, რომლებიც აგრესიის სუბიექტად „მხიარულ“ სახეს ირჩევენ, ასე პასუხობენ: „დედა იცინის, იმიტომ რომ მაინც აჭმევს ბავშვს, ბავშვი გაბრაზებულია დედაზე.“ „დედა იმიტომ არის გახარებული, რომ ბავშვი ტირის, ბავშვი გაბრაზებულია.“ „შვილი დედას უბრაზდება, დედა გახარებულია.“ „შვილი დედას უბრაზდება რატომ გააკეთე ეგ საჭმელიო, დედა გახარებულია, იმიტომ რომ თვითონ არ ჭამს.“ „დედა გახარებულია, შვილი გაბრაზებული. დედას უხარია საჭმელს რომ არ ჭამს, მე მეუბნება დედა, არ ჭამო, მე მაინც ვჭამ.“

იგივე სურათში ბავშვების მიერ „ბრაზის“ გამოხატულების არჩევისას მათი ვერბალური პასუხები ასეთია: „დედაც გაბრაზებულია და ბავშვიც, მეც მცემს ზოლმე დედა, ლოყაზე მირტყამს.“ „ორივე გაბრაზებულები არიან, დედა ბრაზობს იმიტომ, რომ უნდა, რომ მალე დავამთავრო ჭამა“...

მოცემულ შემთხვევაში ცდის პირი ბავშვების პასუხებიდან ირკვევა, რომ უფროსი ძლიერია, მას შეუძლია ძალადობით მიაღწიოს საწადელს, კერძოდ, ამ შემთხვევაში მაინც აჭამოს ბავშვს და ამიტომაც, როგორც მათი პასუხებიდან ირკვევა, იგი გამარჯვებული და გახარებულია.

სურათი №3, რომელშიც თავჩალუნული ბავშვი დაჰყურებს გატეხილ ლარნაკს და დარცხვენილი დგას უფროსის წინაშე, ცდის პირი ბავშვებისაგან მიღებული ვერბალური პასუხები ასეთია: „დედა გახარებულია ბავშვმა რომ დაამტვრია ვაზა, ბავშვი გაბრაზებულია.“ „ბიჭი გაბრაზებულია, დედა გახარებული. ბიჭი დედას უბრაზდება, მე მინდა, რომ დედაჩემსაც ესე გაუბრაზდე.“ „დედა გახარებულია, იმიტომ, რომ ბავშვი სცემა. ბავშვი გაბრაზებულია დედაზე.“ „შვილი უბრაზდება დედას, რომ დაუვარდა და გაუტყდა, ეშინია და გაბრაზებულია. მე რომ გავტეხო დედა მცემს.“

მოცემულ შემთხვევაშიც ბავშვის პასუხებიდან ირკვევა, რომ უფროსი გახარებულია თუ გაბრაზებული ის ძლიერია, მას შეუძლია ბავშვის დასჯა, ბავშვისათვის ეს შეუძლებელია. თუმცა მას არანაკლები სურვილი აქვს გაუბრაზდეს უფროსს.

სურათი №4, რომელშიც ინსტრუმენტან მჯდომი უფროსისა და თავჩალუნული ბავშვის ურთიერთობაა ასახული, ასეთია ბავშვების ვერბალური პასუხები: „ბავშვი ბრაზობს მასწავლებელი რომ უკრავს, მასწავლებელიც გაბრაზებულია, იმიტომ, რომ ბავშვი ბრაზობს. ეს ბავშვი ძალით აკეტინებს პიანინოს.“ „ორივე გაბრაზებულები არიან, იმიტომ რომ შვილმა პიანინო გააფუჭა.“ „მასწავლებელი გახარებულია, ბავშვი გაბრაზებულია, იმიტომ რომ

ბავშვს არ უნდა მუსიკის სწავლა, მასწავლებელი იმიტომ არის გახარებული, რომ ერევა ბავშვს.“

მოცემულ შემთხვევაშიც ბავშვების ანალოგიური დასკვნაა მოცემული, რომ უფროსი ძლიერია და ერევა სუსტს, ამიტომ ძირითად შემთხვევაში ბავშვი გაბრაზებულია.

სურათი №5-ში უფროსი ყურს უწევს ბავშვს. ქსპერიმენტში მონაწილე ბავშვების ვერბალური პასუხები ამ სურათის შესახებ ამგვარია: „ბავშვი გაბრაზებულია დედა ყურს რომ უწევს, სტკივა და იმიტომ. დედა გახარებულია, ეჩხუბება, რატომ დააშავო.“ „დედა გახარებულია, შვილი გაბრაზებული, დედას უბრაზდება, ყური რატომ ამიწიო.“ „ბავშვს სტკივა და იმიტომ უბრაზდება დედას, დედას უხარია, ძალიან რომ ატკინა, დედაჩემმა ამიკრძალა მაიპუნის ლოგინში ჩაწვენა და მცემა.“ „დედას უხარია შვილი რომ სცემა, შვილი ბრაზობს დედაზე.“ „მასწავლებელს ყურის აწვევა რომ უნდა ხოლმე, ვიძალები.“ „მასწავლებელმა ყური იმიტომ აუწია, რომ ამ ბავშვმა გოგოს თმები მოქაჩა, მერე რა, სულაც არ მტკივა მეც რომ მიწვევენ ყურს, მაგრამ ძალიან ვბრაზდები.“

მოცემულ სიუჟეტში ბავშვების დასკვნა ემყარება შემდეგ მოსაზრებას: უფროსი გახარებულია, იმიტომ, რომ ის მოერია პატარას, ბავშვი უბრაზდება უფროსს, იმიტომ, რომ უფროსი გახარებულია.

სურათი №10-ში გადმოცემულია დედის სურვილი, ძალით წაიფანოს ბავშვი დასაძინებლად. ბავშვების ვერბალური პასუხები ასეთია: „დედა გახარებულია, გოგო ბრაზობს, დედა მეჩხუბება ხოლმე და მცემს, მამას სამსახურში მივყავარ რომ არ მცემოს, მე დედასი მეშინია.“ „დედა გახარებულია, იმიტომ რომ აჯობა შვილს და მაინც წაიფანა ბავშვი დასაძინებლად.“ „დედას უნდა შვილი დააწვიინოს, კარი ჩაუკეტოს და შეაშინოს. დედამ ერთხელ შემაშინა, ლიფტში ვიყავით და დაიძახა: გავიჭედეთო და შემაშინა, მაგრამ არ გავჭედდილვართ, ჩემი შეშინება უნდოდა.“

„დედას უხარია, ბავშვის დაძინების დრო რომ არის. ბავშვს თამაში უნდა, შვილი დედას უბრაზდება, რატომ მაძინებო.“ „დედა შვილს ძალით აძინებს და უხარია“...

აღნიშნული სურათის ინტერპრეტირებისას ბავშვებისგან მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ მოძალადე უფროსი ყოველთვის გამარჯვებული და გახარებულია, ბავშვი კი დაჩაგრული და გაბრაზებული.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებში გენდერული ნიშნის მიხედვით განსხვავება არ აღინიშნებოდა.

სურათებში ბავშვების მიერ აგრესიის სუბიექტთან იდენტიფიკაცია ჩვენი აზრით, ბავშვების მიერ გამოხატულ პიროვნულ-სიღრმისეულ აგრესიას უნდა წარმოადგენდეს, რაც ჩვენი მონაცემების მიხედვით მათში ჭარბადაა (57%), ხოლო ბრაზი (43%), ჩვეულებრივ, სიტუაციურ აგრესიას.

ბავშვების პიროვნული მოსაზრებებია ასევე გადმოცემული დამოკიდებულებაში უფროსი-ბავშვი. ორივე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ვერბალური პასუხებიდან ირკვევა, რომ აგრესიის სუბიექტი უფროსი ხშირ შემთხვევაში გახარებულია იმიტომ, რომ მოერიდა ბავშვს და გამარჯვებულია, ბავშვი კი ხშირ შემთხვევაში გაბრაზებულია, რადგან ის უსუსურია და ბრაზობს უფროსს რომ უხარია.

## ბავშვთა აგრესიულობის გამოვლენა

სკოლამდელ ასაკში ბავშვთა ძალადობის გამოვლენის გარკვეული წინაპირობები არსებობს. უფროსების მხრიდან ამის იგნორირებამ და მასთან მიმართებაში გარკვეული საკორექციო მუშაობის არარსებობამ, შესაძლებელია სკოლის დაწყებით და მომდევნო საუბურებზე მისი უფრო გაღვივებისა და განვითარების ტენდენცია შექმნას. ბავშვები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ძალადობისაკენ, არსებითად განსხვავდებიან თავიანთი მშვიდობისმოყვარე თანატოლებისაგან, არა მხოლოდ გარეგნული ქმედებებით, არამედ ფსიქოლოგიური თავისებურებებითაც. იმისათვის, რომ გავიგოთ აგრესიის გამოვლენის პირობები და დროულად აღმოვფხვრათ საშიში ტენდენციები, საჭიროა ამ ასაკის აგრესიული ბავშვების თავისებურებების ცოდნა.

რითი განსხვავდებიან აგრესიული ბავშვები ჩვეულებრივისაგან? ამის დადგენა შესაძლებელია იმ ბავშვებთან შედარებით, რომელთაც მიდრეკილება არა აქვთ აგრესიისადმი.

როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ფსიქოლოგიაში ცნობილია ვერბალური (სიტყვიერი) და ფიზიკური აგრესია. თითოეულ მათგანს აქვს პირდაპირი და ირიბი ფორმა.

პირდაპირი ვერბალური აგრესია წარმოადგენს ვერბალური ფორმით სხვის შეურაცხყოფასა და დამცირებას. ვერბალური აგრესიის გამოხატულების ტრადიციულ „საბავშვო“ ფორმას ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენს სხვისი გაღიზიანება - შეურაცხყოფა დამამცირებელი გამოხატულებებით („მაიმუნო“, „მშიშარა“, „ტუჩა“, „მახინჯო“, „გაბერილო“, „შტერო“), რომელსაც ბავშვები ხმარობენ როგორც ურთიერთობისას, ასევე თამაშის პროცესში.

ირიბი ვერბალური აგრესია მიმართულია თანატოლის მიმართ მუქარისა და უხეში სიტყვიერი მოპყრობისაკენ. მას გამოხატულების სხვადასხვა ფორმა აქვს, კერძოდ: ხშირია ჩივი-

ლის ფორმით გამოთქმული აგრესია, როგორცაა („ვიორგემ ხელი მკრა“, „ნიკამ კალამი არ მომცა“ და სხვა), დემონსტრაციული კივილის, რომელიც მიმართულია თანატოლის ჩამოშორებისაკენ („წადი აქედან, გული გამიწყალე“! „ნუ მიშლი ხელს!“ „მომწყვდი აქედან!“ „გაეთრიე“!); აგრესიული ფანტაზიის გამოვლენა („თუ არ დამიჯერებ, პოლიციელი მოვა და, დაგაპატიმრებს“, „ჩაგაჯენ თვითმფრინავში, გაგაფრენ ამერიკაში,“ მამაჩემი მოვა, გესვრის პისტოლეტს და მოგკლავს“, „დედაჩემი ხეზე ჩამოგკიდებს“).

ორივე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებში შეინიშნებოდა პირდაპირი და ირიბი ვერბალური აგრესია, მუქართა და აგრესიული ფანტაზიით დაწყებული („დაეუძახებ ბანდიტებს, ისინი გცემენ, დაგაბამენ“), პირდაპირი სიტყვიერი შეურაცხყოფით დამთავრებული („ჩერჩეტო“, „დონდლო“, „დებილო“ და ა.შ.).

*პირდაპირი ფიზიკური აგრესია* გამოიხატება თანატოლზე უშუალო თავდასხმით, მისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენებისა და დამცირების მიზნით. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია აგრესიის ორი ფორმა: სიმბოლური და რეალური. სიმბოლური აგრესიის გამოხატულებაა: მუქარა, მოწინააღმდეგის შეშინება (ბავშვი მუშტს უღერებს ამხანაგს და აშინებს).

*უშუალო ფიზიკური თავდასხმა* - ბავშვები ჩხუბის დროს კბენენ, კაწრავენ, თმებს ქაჩავენ, წიწკნიან, იყენებენ იარაღს (ჯოხი, კუბიკები, სათამაშო).

ასევე აღსანიშნავია, რომ ამ ასაკის ბავშვების უმრავლესობა ფიზიკურ აგრესიას გამოხატავს როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი ფორმით.

ბავშვთა აგრესიულობა მხოლოდ მისი გარეგნული გამოხატულებით არ შეიძლება შეფასდეს. აუცილებლად მივიჩნიეთ მოტივაციისა და მისი თანმდევი განცდების დადგენა, რაც ჩვენი აზრით აუცილებელი პირობაა როგორც დიაგნოსტიკის, ასევე საკორექციო პროგრამის შემუშავებისათვის.

ჩვეულებრივ, თითოეული აგრესიული აქტის ჩადენა განპირობებულია გარკვეული საბაბით და ვლინდება კონკრეტულ პირობებში. სიტუაციების განხილვისას შესაძლებელია განვსაზღვროთ აგრესიული ქმედების მიმართულება, მისი მიზანი და გამოშვებული მიზეზები, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მისი მოტივაცია. სიტუაციური ფაქტორის გარდა, აგრესიულობის პროვოცირებას ჩვენი აზრით, ხელს უწყობს შემდეგი ქმედებები:

ბავშვის ძლიერი სურვილი – რამენაირად მიიპყროს თანატოლის ყურადღება (ბიჭი გოგონას ართმევს სათამაშოს, ძირს აგდებს და ყვეს ძალღივით ყურადღების მიპყრობის მიზნით, ხელიდან სტაცებს სასწავლო ნივთს და ხმამაღლა ხარხარებს).

თანატოლის ღირსების შელახვა, თავისი უპირატესობის წარმოჩენისათვის (შენიშნავს, რომ მისი პარტნიორი განაწყენდა იმის გამო, რომ დეტალები დააკლდა, ბავშვს უხარია და ყვირის: „ჰა, ჰა, ჰა, ეგრე გინდა, ველარ გააკეთებ, იმიტომ, რომ დონდლო ხარ,“ ბავშვს ბოლომდე ვერ ააშენა ნაგებობა და დაენგრა, თანატოლი სიხარულით შესძახებს: „ლენჩი ხარ შენ, ამას როგორ ააშენებ“).

შერისხიება და სწრაფი რეაქცია თავდაცვისათვის (სათამაშოს ძალით წართმევისას აგრესიის მკვეთრი გამოვლენა ხდება). („ის სათამაშო ჩემია, მე ვერ მომერეოდა, ერთი არ მოეცა, სისხლს გამოვადენდი ხელიდან, დავკაწრავედი“).

ლიდერობისკენ სწრაფვა (ნებისმიერ შემთხვევაში პირველი ადგილი დაიკავოს თანატოლებს შორის. ხელს ჰკრავს მის გვერდით მდგომს, თმებში სწვდება და ცდილობს თავი მიართქმეკინოს კედელზე).

სასურველი ნივთის ხელში ჩაგდებისაკენ ლტოლვა (თანატოლზე პირდაპირი ძალადობა). „რომ არ მომცეს სათამაშო, თავში წიხლს ჩავარტყამ, დანას ამოვიღებ და თავს წავაკჭრი.“ „რომ არ მოეცა, სახეში მუშტს ჩავარტყამდი, ფეხს ამოვარტყამდი მუცელში.“

ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვები აგრესიულ ქმედებებს ახორციელებენ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისა და უპირატესობის წარმოჩენისათვის. ისინი აღნიშნულ ქმედებას მიმართავენ გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებისათვის. ბავშვი მაქსიმალურად კმაყოფილდება თუკი სასურველ მიზანს მიაღწევს.

რატომ ხდება, რომ მსგავს სიტუაციაში ცალკეულ ბავშვებს მიდრეკილება აქვთ, ზიანი მიაყენონ თანატოლებს, სხვები კი პოულობენ პოზიტიურ, მშვიდობიან და კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებს. აგრესიულობისაკენ მიდრეკილების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური თავისებურებებია: არასაკმარისი კომუნიკატორული ჩვევები, ერთობლივი თამაშობითი მოქმედების დაქვეითება, ხშირი უთანხმოება თანატოლებთან დამოკიდებულებაში.

მნელია კონკრეტულად გამოვყოთ ამ თავისებურებებიდან განსაკუთრებით რომელი ახდენს აგრესიის პროვოცირებას. აგრესიული და არააგრესიული სკოლამდელი და დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვების შედარებითი ანალიზის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგიერთ მათგანს შეიძლება ნორმაზე უფრო მაღალი სოციალური ჩვევებიც ჰქონდეს, ისინი ძალის გამოყენებით იოლად ახერხებენ რთული სიტუაციებიდან თავის დაღწევას.

ზოგიერთი აგრესიული ბავშვი გამოირჩევა თამაშობითი მოქმედების განუვითარებელი ჩვევებით. ჩვეულებრივ ბავშვებს შორისაც შეიძლება გამოვყოთ ისეთები, რომელთაც თანატოლებთან თამაში არ შეუძლიათ. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აგრესიულ ბავშვებს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც საინტერესო თამაშის ორგანიზება შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, თამაშობითი მოქმედების განვითარების დონე არ უნდა მივიჩნიოთ მათი სოციალური ჩვევების გამსაზღვრელად.

აგრესიული ბავშვები უფრო მძაფრად და მტკივნეულად განიცდიან „შეუფასებლობას“, თანატოლების მხრიდან მათი ღირსების

იგნორირებას. ეს განცდები, როგორც წესი, არ შეესაბამება მათ რეალურ გამოხატულებას. საკმაოდ მძაფრად განიცდიან ბავშვები, როდესაც ჯგუფში თანატოლებს შორის ვერ იკავებენ რეალურ ადგილს. ბავშვს ჰგონია, რომ ვერ ხედავენ მის ღირსებებს და სათანადოდ არ ხდება მისი შეფასება. მაგ., როდესაც ბავშვი სათამაშოს ან სასწავლო ნივთს ართმევს თანატოლს, უნგრევს მშენებლობას ან უმტკრევს სათამაშოს და ვეკითხებით, თუ როგორ მოიქცეოდი დაჩაგრული ბავშვის ადგილას, თითქმის ყველა აგრესიული ბავშვი პასუხობდა: „მუცელში ფეხს ჩავარტყამ“, „მოკლავ“, „მუშტებს დავარტყამ“, „თოკით ვათრევ“ და ა.შ. მათგან განსხვავებით, ჩვეულებრივი ბავშვები უფრო კონსტრუქციულ და მშვიდობიან გამოსავალს პოულობენ: „შევაკეთებ“, „ახალს ავაშენებ“, „სხვა თამაშს ვითამაშებ“, „ვიტირებ და დედას ვეტყვი“.

აგრესიული ბავშვები, სურათების სიუჟეტების ინტერპრეტირებისას, მასზე გამოსახულ პერსონაჟებში ხედავენ მტრულ, მავნე ზრახვებს („ძალით გატეხა“, „მოიპარა“, „ცემით მოკლავს“). მათი ამხანაგები იგივე სიუჟეტებში ხედავენ შემთხვევითობას („დაუნგრია სახლი? ერთად ააშენებენ“, „ის, ალბათ, დააბრუნებს“, „შერიგდებიან და ისევ ერთად ითამაშებენ“).

აგრესიულ და ჩვეულებრივ ბავშვებს შორის არსებითი განსხვავებები ვლინდება *სასწავლო-აღმზრდელობით პროცესშიც*. მაგ., პედაგოგი რამოდენიმე ბავშვს სთავაზობს ერთობლივად სურათების გაფერადებას, ან მოზაიკის შევსებას, ამ შემთხვევაში აგრესიული ბავშვები ინდიფერენტულები არიან პარტნიორის მიმართ. მათზე ყურადღება შეიძლება მხოლოდ უარყოფითი მოტივაციით გაამახვილონ: გამოგლიჯონ ნახატი, დაარტყან, არ დაუთმონ რაიმე ნივთი (ფანქარი, სასწავლო ნივთი, მოზაიკის დეტალები). აღნიშნული მონაცემები საფუძველს იძლევა აიხსნას თანატოლებისადმი აგრესიული ბავშვების დამოკიდებულება. მისთვის სხვა ბავშვი მოწინააღმდეგე, კონკურენტი და რაღაც ხერხებით ცდილობს მის ჩამოცილებას.

ზოგიერთი აგრესიული ბავშვი თანატოლებთან ურთიერთობისას ავლენს არაჩვეულებრივ გამოშვონებლობას, რათა ზიანი მიყენოს თანატოლებს. მათი აღქმაც სპეციფიურობით გამოირჩევა. ისინი მოწინააღმდეგეს აღიქვამენ, როგორც მტერს („აგიყვან და მიწაზე დაგანარცხებ“, „ცომივით გაგაბრტყელებ“, „ცხვირს ბუშტივით გაგიხდი“).

ირიბ ფიზიკურ აგრესიას ბავშვები გამოხატავენ სხვების მიმართ არაუშუალო ფიზიკური ზიანის მიყენებით, მაგ., თანატოლის ნამოღვაწარის განადგურება, დანგრევა. ბავშვი ანგრევს სხვის მიერ კუბიკებისაგან აშენებულ ნაგებობას, ან საღებავით თხუპნის სხვის ნახატს; ანადგურებს და აფუჭებს სხვის ნივთებს, ბავშვი მთელი ძალით აგდებს იატაკზე სხვა ბავშვის სათამაშო მანქანას და კმაყოფილი იერით აკვირდება მისი მფლობელის განაწყენებას, უხარია მისი ცრემლები.

### ბავშვთა აგრესიულობის გამოხატულების ინდივიდუალური ფორმები

აგრესიული ბავშვები შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად.

*პირველ ჯგუფს* მიეკუთვნებიან ბავშვები, რომლებიც აგრესიას იყენებენ, როგორც თანატოლების ყურადღების მიპყრობის საშუალებას.

ისინი, ჩვეულებრივ, მკვეთრად გამოხატავენ ემოციებს: ხმაძალა ყვირიან, ჩხუბობენ, ისვრიან საგნებს. მათი ქცევა დესტრუქციული ხასიითისაა და მიმართულია მოწინააღმდეგისაგან ემოციური გამოძახილის მიღებისათვის. როგორც წესი, ისინი აქტიურად ისწრაფვიან თანატოლებთან კონტაქტისაკენ, მაგრამ სასურველი შედეგის მიღწევისთანავე წყნარდებიან და წყვეტენ მძაფრად გამოხატულ რეაქციებს. აგრესიული აქტები მყისიერი და სიტუაციურია და განსაკუთრებული სიმკაცრით არ გამოირჩევა. საწყის

ეტაზე ვლინდება უფრო მძაფრი ემოცია, რომელიც ასევე სწრაფად ქრება.

ხშირ შემთხვევაში ბავშვები, ყურადღების მიპყრობის მიზნით, იყენებენ პირდაპირი ან ირიბი ფორმით მიმართულ ფიზიკურ აგრესიას, რომელიც, აგრეთვე, უშუალო, იმპულსური ხასიათისაა.

ამგვარი ბავშვების მიერ გამოხატული მტრული საქციელი სწრაფად იცვლება თანატოლების მიმართ გამოხატული მეგობრული, მშვიდობიანი თანამშრომლობით.

ამ ჯგუფის ბავშვები თანატოლთა კოლექტივში არ გამოირჩევიან მალალი სტატუსით, მათ თითქოს ვერ ამჩნევენ და სერიოზულად არ აღიქვამენ ან შეიძლება გაურბოდნენ კიდევ. ისინი არ უსმენენ თანატოლებს და „ამტვრევენ ყველაფერს“, ხელს უშლიან თამაშში, არ უსმენენ არავის.

ამ კატეგორიის ბავშვებს უჭირთ თამაშში ჩართვა, ცდილობენ ყურადღების მიპყრობას, ამისათვის მიმართავენ დესტრუქციულ ქმედებებს და სხვებს ხელს უშლიან თამაშში.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამ კატეგორიის ბავშვთა საერთო ფსიქოლოგიური განვითარების შემაფერხებელია თანატოლთა მხრიდან უყურადღებობა და თამაშობით მოქმედებაში საკუთარი გამოცდილების რეალიზება.

ბავშვის ამგვარ აგრესიულ ქმედებებს შეიძლება დავარქვათ იმპულსურ-დემონსტრაციული, რამდენადაც მის მთავარ მიზანს წარმოადგენს საკუთარი თავის დემონსტრირება ყურადღების მიპყრობის მიზნით.

მეორე ჯგუფში შედიან ის ბავშვები, რომლებიც თანატოლებთან ურთიერთობისას აგრესიას იყენებენ როგორც ქცევის დადგენილ ნორმას. მათი აგრესიული ქმედება წარმოადგენს საშუალებას კონკრეტული მიზნის – გამარჯვების მისაღწევად. „ბურთი რომ არ მომცეს, ძალით გავაგდებინებ ხელიდან და მაინც წავართმევ“, „ჩემ ძმას ჯოხს ვართყამ ხელებში და თავში და მაინც ვართმევ“.

ასეთი ბავშვები დადებით ემოციას განიცდიან არა შედეგის მიღწევისას, არამედ თვით აგრესიული მოქმედების პროცესში. მათი ნებისმიერი მოქმედება გამოირჩევა მიზანმიმართულებით და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით, რათა ნებისმიერ შემთხვევაში დაიკავონ ლიდერის პოზიცია, მორჩილებასა და დაქვემდებარებაში ჰყავდეთ სხვები („მიზარია, როცა ბავშვებს ვუნგრევ ამენებულს. მე რომ დამინგრიოს, პისტოლეტს ვესვრი და მოვკლავ“). პირველი ჯგუფის ბავშვებისაგან განსხვავებით, მეორე ჯგუფის ბავშვები არ ცდილობენ თანატოლთა ყურადღების მიპყრობას.

როგორც წესი, ბავშვებს მოსწონთ, როდესაც თანატოლთა კოლექტივში პოპულარობით გამოირჩევიან. მათ უნდათ თავი დაიმკვიდრონ როგორც *ლიდერებმა*. ისინი ხშირად მიმართავენ ფიზიკურ აგრესიას. ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის შემთხვევაში ბავშვს სურვილი უჩნდება, მთავარი მოქმედი პირის მდგომარეობა მოიპოვოს, მართოს თანატოლი, ერთობლივი მოქმედებისას თავს მოახვიოს თავისი მოდელი. კონფლიქტს თან სდევს ნათლად გამოხატული ემოციური გამოვლინებები და განცდები, ცდილობენ თავისი პოზიციის დაფიქსირებას და ყველანაირი ხერხით აღწევენ მათთვის მომგებიან დასასრულს.

მათი ძირითადი თვისებებია: ორგანიზატორული ნიჭი, თამაშის ორგანიზების უნარი; თანატოლებს შორის მაღალი სოციალური სტატუსი. ამ კატეგორიის ბავშვები კარგად ერკვევიან ქცევის წესებსა და ნორმებში, მაგრამ მას იყენებენ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, სიტყვიერად თავის მართლებისას, ამხანაგის დადანაშაულებისათვის („იმან პირველმა დამარტყა“, „პირველმა იმან ამომარტყა წიხლი, მე არა ვარ დამანაშავე“), მათთვის მთავარია თვითშეფასებაში, უკანასკნელი შეფასება იყოს დადებითი, ისინი თითქოს ვერ ამჩნევენ საკუთარ აგრესიულობას.

სათამაშო კუთხიდან ამხანაგის გაძევებისას ან სკოლაში გაკვეთილის პროცესში გვერდით მჯდომი თანაკლასელის

შეიწროვებისას შეიძლება განაცხადოს: „ის კიდევ მიშლის, რა უნდა შექნა? მეც ხომ მინდოდა თამაში.“ „ის არ მაწერინებს, იმის ბრალია, მე რა შუაში ვარ.“ აგრესიულობის მოცემულ ფორმას შეიძლება დაკარქვით *ნორმატიულ-ინსტრუმენტული*.

*მესამე ჯგუფში* შედიან ბავშვები, რომელთათვისაც სხვისთვის ზიანის მიყენების სურვილი *თვითმიზანია*. მათ აგრესიულ ქმედებას არა აქვს რაიმე ნათელი მიზანი – არც გარშემოყოფათათვის, არც მათთვის კონკრეტულად. ისინი კმაყოფილებას განიცდიან, როდესაც ტკივილს აყენებენ და ამცირებენ თანატოლს. *მესამე ჯგუფის* ბავშვებში ძირითადად შეინიშნება *პირდაპირი ფიზიკური აგრესია*. მათი ქცევა გამოირჩევა განსაკუთრებული სიმკაცრითა და ცივი დამოკიდებულებით, მაგ., ამ კატეგორიის ბავშვმა შეიძლება უშიზეზოდ თმები მოქაჩოს სხვას, კედელზე თავი მიარტყმევინოს, შეშლეგ კი, წყნარად და ღიმილით მიაღვენოს თვალი, თუ როგორ ფჯარის და ტირის მსხვერპლი („მიზარია, როცა თმებს ვწიწკნი პატარა ბავშვებს,” „მიყვარს ბავშვებისათვის წიხლის ამორტყმა, მიზარია, როცა ტირიან“).

აგრესიული მოქმედებისათვის ჩვეულებრივ ირჩევენ ერთ ან ორ სისტემატურ მსხვერპლს, თავისზე უფრო სუსტებს და პატარას. ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ ანალოგიური რეაქციით უპასუხონ მათ. ამ ჯგუფის ბავშვები ვერბალურად არ აღიარებენ დანაშაულსა და არ ნანობენ ჩადენილი საქციელის გამო. ისინი არ არიან დაუფლებულნი ქცევის წესებსა და ნორმებს. მაგ., ბავშვი თვალში თითოს ან სხვა საშიშ საგანს ატაკებს თანატოლს, ამგვარი ქმედების სოციალური საშიშროებიდან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, ამ ბავშვის პიროვნებაში პათოლოგიური აგრესიის ფორმირების შესახებ. უფროსების განსჯის შემთხვევაში მათი პასუხები ამგვარია: „მერე რა!“, „ეტიკინოს რა“, „რასაც მინდა, იმას გავაკეთებ“. „ის ტირის, მე ვიცინი, იმისი ტირილის ხმა ძალიან მიყვარს.“ უფროსების მხრიდან ქცევის უარყოფითი შეფასებები მათთვის მიუღებელია.

ამ კატეგორიის ბავშვებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია *შურისძიების გრძობა*, მათ მეხსიერებაში დიდხანს რჩებათ წვრილმანი წყენაც კი და სანამ მოწინააღმდეგეს სამაგიეროს არ გადაუხდიან, სხვა მოქმედებაზე გადართვა უჭირთ.

ამ კატეგორიის ბავშვებისათვის ძირითადად დამახასიათებელია დაბალი სოციალური სტატუსი თანატოლთა ჯგუფში: მათი ემინათ, გაურბიან;

მათი თამაში ძირითადად აგრესიული შინაარსის მატარებელია, რომლის პროცესშიც იგი სისტემატურად კინკლაობს, აწვალებს ჩხუბობს ან „კლავს“ სხვას. აგრესიულობის ამ სახეს შეიძლება დავარქვათ *მიზანმიმართული მტრობა*.

როგორც ირკვევა, ბავშვები ქცევის მოტივით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ჯგუფების მიხედვით. ეს ქცევა ვლინდება აგრესიის ფორმაში, მოტივაციაში.

ყოველივე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვთა აგრესიულობის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა მოტივაცია: პირველ შემთხვევაში – *საკუთარი თავის დემონსტრირება*, მეორე – *პრაქტიკული მიზნის მიღწევისათვის სწრაფვა*, მესამე – *ნებისმიერ სიტუაციაში თანატოლის დამცირება, წვალება, თავდასხმა*.

მიუხედავად მოცემული სხვაობებისა, ყველა ჯგუფის ბავშვს ერთის მხრივ აერთიანებს ერთი საერთო თვისება – თანატოლის გაგებისა და მოსმენის უნარის არქონა, მის მიმართ გამოხატული უყურადღებობა, გულცივობა, არქონა უნარისა, გაუგონ და ესმოდეთ თანატოლის (ემპათია), თანამშრომლობის, დახმარების სურვილის არ ქონა, პარტნიორის წარმატებების შემთხვევაში მათი რეაქცია არაადექვატურია, წარუმატებლობის შემთხვევაში პროტესტს გამოხატავენ გაცეცხლებითა და გამწარებით.

აგრესიული ბავშვების სოციალური ურთიერთობის საფუძველია ორიენტაცია საკუთარ თავზე, მისი შინაგანი იზოლაცია გარშემო-

*მყოფთავან.* ისინი სამყაროში და იმ ადამიანებს შორის, ვისთანაც მათ უწევს ყოფნა, პირველ რიგში ხელავენ საკუთარ თავს და დამოკიდებულებას საკუთარი მეს მიმართ. მათთვის ადამიანები ცხოვრებისეულ გარემოებას წარმოადგენენ, რომლებიც მათ თითქოს ხელს უშლიან ყველაფერში, ამ ადამიანებს არ ესმით მათი, ითხოვენ მეტ ყურადღებას მათგან და ყველანაირად ცდილობენ, რაიმე ზიანი მათყუნონ მათ. ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, გარშემომყოფთა მხრიდან მუდმივი მტრობის მოლოდინში ვერ ამჩნევენ მოწინააღმდეგის განწყობას; მათთვის უცხოა *ემსათია, მშვიდობიანი, კეთილი თანამშრომლობა*. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება ასეთი ბავშვების პიროვნებაზე. ისინი განიცდიან სულიერ მარტოობას, ხლებიან მტრული, აგრესიული, ცდილობენ სხვებისაგან განცალკევებას.

აგრესიულ ბავშვებს ხშირ შემთხვევაში აკლიათ უფროსების თანადგომა და გაგება. მათთან მუშაობის საწყის ეტაპზე მთავარი ამოცანა პირველ რიგში „სწორი“ დიაგნოზის დასმაა.

როგორც წესი, უფროსებისათვის შეიძლება სირთულეს არ წარმოადგენდეს იმის გარკვევა, მათი ბავშვის აგრესიულობის დონე მაღალია თუ არა, მაგრამ სადავო შემთხვევაში, შესაძლებელია აგრესიულობის კრიტერიუმებით სარგებლობა, რომელიც ამერიკელმა ფსიქოლოგებმა მ. ალვორდმა და პ. ბეიკერმა შეიმუშავეს და მისი საშუალებით დაადგინეს ამ ბავშვების აგრესიულობის დონე.

აგრესიულობის კრიტერიუმები  
( ბავშვებზე დაკვირვების სქემა )

1. ხშირად კარგავს საკუთარი თავის კონტროლს;
2. ხშირად კამათობს, ჩხუბობს უფროსებთან;
3. ხშირად არ ემორჩილება წესებს;
4. ხშირად სპეციალურად აღიზიანებს ადამიანებს;
5. ხშირად ადანაშაულებს სხვებს საკუთარი შეცდომების გამო;
6. ხშირად განაწყენებულია და უარს აცხადებს რაიმეს კეთებაზე;
7. ხშირად ამჟღავნებს შურს, შურისმაძიებელია;
8. მგრძობიარეა, ხშირად რეაგირებს გარშემომყოფების მოქმედებაზე (ბავშვების უფროსების), რომლებიც ხშირად აღიზიანებენ მას.

ბავშვის აგრესიულობა შესაძლებელია ვივარაუდოთ იმ შემთხვევაში, თუ არანაკლებ ექვსი თვის განმავლობაში მის ქცევაში რვა ჩამოთვლილი თვისებიდან გამოჩნდა, სულ მცირე, ოთხი მაინც.

თუ ბავშვის ქცევაში დაკვირვების შედეგად გამოვლინდა დიდი რაოდენობის აგრესიული თვისებები, აუცილებელია სპეციალისტების დახმარება, კერძოდ, ფსიქოლოგის ან ექიმის.

გარდა ამისა, ბავშვთა აგრესიულობის გამოვლენის მიზნით სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებებში შესაძლებელია სპეციალური კითხვარის გამოყენება, რომელიც შეიმუშავეს პედაგოგებისათვის (ლავრენტევა, გ. ტიტარენკო. 1992).

ბავშვთა აგრესიულობის კრიტერიუმი  
(კითხვარი)

1. ზოგჯერ გვკონია, რომ მასში მავნე სული ჩასახლებულა;
2. მას არ შეუძლია განუშეშა, როდესაც რაღაცით უკმაყოფილოა;
3. როდესაც მას ზიანს აყენებენ, იგი აუცილებლად სამაგიეროს უხდის;
4. ზოგჯერ იგი უშიშეზოდ ჩხუბობს;
5. არის შემთხვევები, როდესაც იგი სიამოვნებით ამტრეკს სათამაშოს ან ნივთებს ტეხავს, ფუტკნის;
6. ზოგჯერ ისე ჯიუტობს, რომ გარშემომყოფებს მოთმინებას აკარგვინებს;
7. უყვარს ცხოველების წვალება;
8. მასთან როულია კამათში გამარჯვება;
9. ძალიან ბრაზობს, როდესაც ვიღაც ეხუმრება;
10. ზოგჯერ მასში იფეთქებს სხვისთვის რაიმე ცუდის გაკეთების სურვილი, რაც გარშემომყოფთათვის შოკისმომგვრელია;
11. წესების არ ემორჩილება და ცდილობს მათ საწინააღმდეგოდ მოიქცეს;
12. ასაკის შეუფერებლად წუწუნებს, ბუზღუნებს;
13. თავს აღიქვავს, როგორც დამოუკიდებელი და გაბედული;
14. უყვარს პირველობა, მბრძანებლობა, მორჩილებაში იყოლიოს სხვა;
15. მასში წარუმატებლობა იწვევს ძლიერ გაღიზიანებას და ამასშიც სხვას ადამნაშაულებს;
16. ადვილად ჩხუბობს. შედის კინკლაობაში;
17. ცდილობს ურთიერთობა პქონდეს პატარებთან და მათზე ფიზიკურად ბევრად სუსტებთან;
18. მისთვის იშვიათი არ არის შეტევითი, წერტილოვანი გაღიზიანებები;
19. არასოდეს არ არის დამსომობი თანატოლებთან მიმართებაში;
20. დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ დავალებას საუკეთესოდ ახრულებს.

ყოველ შემოთავაზებულ კითხვაზე დადებითი პასუხი ფასდება 1 ქულით.

მაღალი დონის აგრესიულობა - 15-20 ქულა  
საშუალო დონის აგრესიულობა - 7-14 ქულა  
დაბალი დონის აგრესიულობა - 1-6 ქულა

### აგრესიის დაძლევის საკორექციო საშუალებები

აგრესიულ ბავშვებთან ფსიქოკორექციული ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალებაა თამაშით - თერაპია.

ბავშვებთან მუშაობაში ფსიქოთერაპია პირველმა ზ. ფროიდმა (Freud, 1909), გამოიყენა ბავშვთა ფობიური შიშების მოსახსნელად, მისი უშუალო კონსულტაციით შშობლები ატარებდნენ სეანსებს<sup>1</sup> ბავშვებთან. კერძოდ, ცნობილია „პატარა ჰანსთან“ მისი მეთოდით ჩატარებული მკურნალობის კურსი.

თამაშის მეთოდი ბავშვის თერაპიაში ასევე ერთ-ერთმა პირველმა ჰუგ-ჰელმუტმა (Hug-Hellmuth, 1919) გამოიყენა. მისი აზრით, იგი საბავშვო ფსიქოანალიზის საუკეთესო საშუალება იყო.

მოგვიანებით ანა ფროიდს და მელანი კლაინმა „ფსიქოდინამიურ თერაპიაში“ მრავალი თეორიული მოდელის მოდიფიკაციის გაერთიანებით შექმნეს თამაშის მოდელი. მათი მიზანი იყო ბავშვის პრობლემებისა და ტრავმების გაცნობიერებაზე მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი თამაშს მკურნალობის ძირითად ნაწილად თვლიდნენ, ისინი იყენებდნენ მის სხვადასხვა სერიულ ვარიანტებს. ანა ფროიდს ესმოდა, რომ თერაპიული ტექნიკა, თავისუფალი ასოციაცია და სიზმრების ანალიზი ბავშვებისათვის

უცხო იყო. მისი აზრით, პატარა პაციენტების თერაპევტთან აღიანსში შესასვლელად თამაშის გამოყენება კარგი საშუალება იქნებოდა. იგი, ამჯერდროს ბავშვებს უჩვენებდა ფოკუსებს. ფსიქოთერაპიული მუშაობისას, ყველაზე ჭირვეულ ბავშვებთანაც კი, ფოკუსების გამოყენებას მრავალი თერაპევტი ანიჭებდა უპირატესობას. დიანა ფრეი და გილროი თერაპევტთან ურთიერთობის გაიოლების მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევდნენ ფოკუსების გამოყენებას.

მელანი კლაინმა, თამაშში გამოიყენა ბავშვებთან ვერბალური ურთიერთობისას. იგი ქცევის ამ ფორმას განიხილავდა, როგორც ბავშვის თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალებას. მისი აზრით, ბავშვს ვერბალური ჩვევა ჯერ კიდევ საკმარისად არა აქვს განვითარებული იმისათვის, რომ განცდილი და გადატანილი აფექტების აზრობრივად გამოხატვა შეძლოს. თერაპევტი მასთან თამაშისას ასდენდა მისი ქცევის ინტერპრეტირებას.

ლევიმ სპეციფიკური ტრავმირებული ბავშვების მკურნალობისათვის შეიმუშავა „გამათავისუფლებელი თერაპიის“ ტექნიკა (Release therapy). იგი ტრავმირებულ ბავშვებს სათამაშოებისა და მასალების დახმარებით უქმნიდა შესაბამის ნაცნობ სათამაშო სიტუაციას და მასში მათ ძალდაუტანებლად ჩართვას ახერხებდა.

სოლომონმა იმპულსურ და ფეთქებად ბავშვებთან სამუშაოდ შექმნა „აქტიური თამაშით თერაპია“. მისი თამაშები ესმარებოდა ბავშვებს ბრაზისა და შიშის გადმოცემაში. ამ შემთხვევაში ბავშვს შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი ემოცია ისე შექცევინა, რომ შედეგის არ შექმნებოდა. თერაპევტის დახმარებით ბავშვი სწავლობდა საკუთარი ემოციის მიმართულების შეცვლას.

ჰემბრიჯი, ლევის მსგავსად, ბავშვებთან ატარებდა იანსობათა სერიას. იგი ბავშვებს სპეციალურ მასალებს ურიგებდა ტრავმირებული სიტუაციების გონებაში აღდგენისათვის და უშუალოდ თამაშის პროცესში ქმნიდა ტრავმირებულ სიტუაციას. კერძოდ,

ბრაზის გამომწვევ ცხოვრებისეულ სიტუაციას, რითაც ბავშვს ეხმარებოდა მის მოგერიებაში. ჰემბრიჯი დარწმუნებული იყო, რომ ბავშვს საკმარისი ძალა გააჩნდა, რათა თავი გაერთმია პირდაპირი და თავსმოხვეული პროცედურისათვის.

აღლერი, ფროიდის ერთ-ერთი მოსწავლე და კოლეგა პირველი აღუდგა ორთოდოქსალურ ფსიქოანალიტიკურ კონცეფციას. მას მიბაძეს ფსიქოდინამიური თეორიის წარმომადგენლებმა: კარენ ჰორნმა, ერიხ ფრომმა და გარი სტაკ სალივანმა. ოთხივე ამ თეორეტიკოსს ხშირად ერთად განიხილავდნენ (The self). სოციალური დინამიკის, პიროვნების განვითარებისა და ფსიქოპათოლოგიაში „მე-ს“ განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის აღიარებისათვის. თუმცა თითოეული მათგანის თეორია ერთმანეთისაგან გამოირჩეოდა სხვადასხვა ასპექტით. კერძოდ: პიროვნული (Adler, Horny). ინდივიდის როლით, საზოგადოებასა და კულტურაში (Fromm) ურთიერთობის დინამიკით. ისინი აქცენტს აკეთებდნენ არა წარსულ, არამედ ახლანდელ სიტუაციებზე და მათ ინტერპრეტაციაზე. მათი თეორია შეიქმნა ტრადიციულ ფსიქოანალიზზე დაყრდნობით, მოდიფიცირებული თეორიული დებულებათა და პრაქტიკული მეთოდებით. 30-იან წლებში შეიქმნა მთელი რიგი თამაშობითი თერაპიის ტექნიკა, რომელიც განზოგადდა, როგორც „ურთიერთობის თერაპია“. იგი ფილოსოფიურ სათავეს იღებს ოტტო რანკის მოღვაწეობიდან (Rank, 1936), მის თეორიაში მნიშვნელოვანია დაბადების ტრავმის როლი პიროვნების განვითარებაში. იგი აღნიშნავდა, რომ ბავშვის დაბადებისას მიღებული სტრესი მასში იწვევს განცალკევების შიშს (ინდივიდუაცია), რადგან ისინი მიჩვეულნი არიან წარსულ მდგომარეობას.

ტაფტი (Taft, 1933), ალენი (Allen, 1942) და მუსტაკასი (Moustakas, 1959) ბავშვებთან თამაშის თერაპიის გამოყენებისას რანკის იდეის ადაპტირებას ახდენენ. ეს თეორეტიკოსები საუბრობდნენ, ბავშვის სიღრმისეული შესაძლებლობების ფორმირე-

ბაში დაბადებისას მიღებული ტრავმის გავლენაზე. რაც სავარაუდოდ პირვანდელ მზრუნველ ობიექტთან დაშორებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

კარლ როჯერსმა შეიმუშავა დიდების თერაპია; ექსლანმა (1947) მიახდინა მისი მოდიფიცირება თამაშის თერაპიის სახით. მისი მოძღვრების მიხედვით, ბავშვებს აქვთ ზრდის ბუნებრივი მოთხოვნილება, ემოციური დარღვევების მქონე ბავშვებს დაქვეითებული აქვთ ეს ბუნებრივი განზრახვა. თამაშის თერაპიის მიზანი მდგომარეობდა ბავშვსა და გარემოს შორის ბალანსის აღდგენა.

შშ-ობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობის განმტკიცებაში „კვებური თამაშის თერაპიის“ მნიშვნელობის შესახებ მიუთითებდა ბარუხი. აღნიშნული თერაპია ტარდებოდა ოჯახის პირობებში.

გერნიმ (Guernsey, 1964). შემოიღო ტერმინი „შვილობილი თერაპია“, რომელიც აქტიურად გამოიყენება ბოლო ათი წლის განმავლობაში.

თამაშის თერაპიის მშობლების უშუალო ჩართვის გამო, დაერქვა „განვითარების თამაშის თერაპია“; აღნიშნული ტექნიკა რამდენიმე სტრუქტურული სერიისაგან შედგებოდა და ორიენტირებული იყო ფიზიკურ კონტაქტზე.

სხვადასხვა ავტორების თეორიების გათვალისწინებით. შეიმუშავეს ერთ-ერთი ლაკონური თეორიული და პრაქტიკული მოდელი, რომელიც ორიენტირებული იყო „განვითარების თამაშობით თერაპიაზე.“ ეს ტექნიკა დაფუძნებული იყო შემდეგ იდეაზე, კერძოდ: მეცნიერების აზრით, ბავშვის ცხოვრების საწყის ეტაპზე მშობელთან ნორმალური ურთიერთობა მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძველი და სამომავლო გამაჯანსაღებელი ეფექტის შექმნის საშუალება იყო. თითოეული ამ ეფექტთაგანი მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რომ იგი უზრუნველყოფდა ბავშვის ცხოვრებაში მშობლების ჩართვას, თერაპევტსა და ბავშვს შორის ურთიერთზემოქმედების მაღალი დონის მიღწევას.

კლევის შედეგებიდან გამომდინარე, ყველაფერი მუქ ფერებში არ უნდა წარმოვიდგინოთ. სკოლამდელ და დაწყებით სასკოლო ასაკში ჯერ კიდევ შესაძლებელია მრავალი უარყოფითი თვისების აღმოფხვრა, თუმცა ბავშვთა აგრესიულობა ყოველთვის არ ატარებს ნეგატიურ ხასიათს. მათი გამოხატულების ფორმა შესაძლებელია იყოს როგორც *გაუგონარობა* და *მტრობა*, ასევე *მოხერხებულობა* და *აქტიურობა*. შემთხვევითი არ არის, რომ ფსიქოლოგები მას *სტენიურ*, *აქტიურ-თავდაცვით* რეაქციაზე დაფუძნებულ ემოციას მიაკუთვნებენ. სწორედ ამიტომ, აგრესიულობის მთლიანად აღმოფხვრა არც არის საჭირო, საკითხი დგება მისი გამოვლენისა და უცილობელი გაკონტროლების შესახებ. სოციალურად საშიში ფსიქიკური დარღვევები განისაზღვრება როგორც მისი გამოვლენის სიხშირის, ასევე „ხარისხის“ მიხედვით. ექსპერიმენტის შედეგები და მოყვანილი მაგალითები აგრესიულ ბავშვებთან კორექციული მუშაობის ორიენტირს გვაძლევს, რომლებიც შინაგანი იზოლაციისაგან მიისწრაფიან. შესაძლებელია მათი უნარ-ჩვევების ფორმირება ოჯახში, სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულების პირობებში. სისტემატური ტრადიციული ზემოქმედება – დარწმუნება, ახსნა, კარგ მაგალითზე მითითება, მოწოდება – არ გაანაწყენონ სხვა – ნაკლებფექტურია. ასევე ნაკლებად წარმატებული იქნება თამაშის დროს შეჯიბრების მომენტები, კონკურსები, თამაში-შეჯიბრებები. ამ დროს ბავშვების ყურადღება მიმართულია მხოლოდ საკუთარი წამატებისაგან, რომელიც კიდევ უფრო უღვივებს მათ კონკურენტობისა და წინააღმდეგობის ორიენტაციას სხვების მიმართ. ამ კატეგორიის ბავშვებთან სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკით მუშაობის ძირითადი ამოცანა, მისი შინაარსი უნდა ეფუძნებოდეს ერთიანობის პრინციპს. მშობელს, ფსიქოლოგს და პედაგოგს უნდა მიეცეს საშუალება, ამ მეთოდიკის დახმარებით ჩამოუყალიბოს ბავშვებს სოციალური ურთიერთობის ჩვევები, ბავშვს ეს-

მოდეს და უგებდეს თანატოლს, მასში დაინახოს არა მოწინააღმდეგე ან კონკურენტი, არამედ საინტერესო და ფასეული ადამიანი. ისევე შეხედოს მას, როგორც კეთილ პარტნიორს ურთიერთობისა და ერთობლივი მოქმედებისას.

აღნიშნული კატეგორიის ბავშვებთან მუშაობისას აგრესიის დაძლევის ეფექტური საშუალებებია: ფსიქოთერაპიული თამაშობები, სოციალური დასწავლის ტრენინგი, რელაქსაციური ვარჯიშები, მოდელირება, როლებით თამაში და სხვ.

აგრესიულ ბავშვებთან მუშაობის ფსიქოპროფილაქტიკური ღონისძიებები მეცნიერებმა ერთ სისტემაში - „ფსიქოვარჯი“-ში გააერთიანეს. იგი რამდენიმე ბლოკისაგან შედგება: ესენია,

1. მოძრავ-მოდუნებითი (რელაქსაციური) მოქმედება;
2. მოძრავ-მარგანიზებელი (რეგულაციური) მოქმედება;
3. იმიტაციურ-გამომსატყულობითი (იდეტიფიკაციური) მოქმედება.

თითოეული ბლოკი ერთმანეთისაგან განსხვავდება სპეციფიური შინაარსისა და საშუალებების ფსიქოპროფილაქტიკური ზემოქმედების მიხედვით.

აგრესიული ბავშვებისათვის ხშირად დამახასიათებელია კუნთური დაჭიმულობა, განსაკუთრებით - პირისა და ხელის თითების მიდამოებში. ამიტომ მოცემული კატეგორიის ბავშვებისათვის, სასარგებლოა რელაქსაციური სავარჯიშოები, კერძოდ, თვითმოდუნება (აუტორელაქსაცია), მიმართული ფსიქომოცოური დაძაბულობის მოხსნისა და ფსიქომოტორული ფუნქციის ვარჯიშისაკენ. რელაქსაციურ კომპლექსში შესაძლებელია შევიდეს, როგორც კუნთების მოდუნება - სუნთქვაზე ფიქსაცია, ასევე ცალკეული სავარჯიშოები ერთი ჯგუფის კუნთის დაძაბულობის მოხსნის ან სხვადასხვა კუნთების - ხელის, ფეხის, წელის, კისრის, სახის კუნთების მოდუნებისათვის.

ფსიქოპროფილაქტიკური ზემოქმედების შემდეგი ბლოკის შინაარსი შეიცავს ფსიქომოტორიკის ორგანიზაციას და ძირითადად აერთიანებს მოძრავ თამაშობებს.

ფსიქოპროფილაქტიკური ზემოქმედების შესამე ბლოკი მიმართულია ბავშვის სოციალურ-პიროვნული კომპეტენციის გამოვლენაზე და მასში გაერთიანებულია თვითგამოხატვის საშუალებები, კერძოდ: გამოშსატველობითი ეტიუდები, იმიტაციური და როლებით თამაში, სიტუაციის მოდელირება.

მოდელირების დროს ხდება ბაზისური სოციალური ურთიერთობის ცოდნის მიწოდება, ადეკვატური ქცევის მაგალითების ჩვენება. დასახული მიზნის მიღწევამდე ტრენინგის მონაწილეებს საშუალებას აძლევენ დააკვირდნენ საკუთარი ქცევის გაუმჯობესების პროცესს.

ბაზისური ცოდნის რეალიზაციის საუკეთესო საშუალებაა როლებით თამაში, მოდელირებისას ნასწავლი ქცევის მოდელის პრაქტიკაში გამოყენება. ამ შემთხვევაში ხდება ბავშვის წახალისება, შექება. უკუშედეგის შემთხვევაში, თუ იგი კვლავ ქცევის ძველ, მიუღებელ მოდელს დაუბრუნდება, არ ხდება მისი მოწონება.

ტრენინგის ძირითადი ამოცანაა რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების სოციალური სწავლების ჩვევების რეალურ ცხოვრებასეულ გარემოში გადატანა-გამოყენება. მოცემული მეთოდის პრაქტიკაში დანერგვა ხდება 6-12 პიროვნებისაგან შემდგარ სოციალური ღონით მკვირი განსხვავების არმქონე ჯგუფში. სწავლება გრძელდება მანამ, ვიდრე მისი ყველა წევრი შესაძინე წარმატებას არ მიაღწევს. სოციალური ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, გამოუშუშავდება ადეკვატური რეაგირების უნარი და იოლად გაუმკლავდებიან სტრესს. სოციალური დასწავლის ტრენინგი შემუშავებულია ინდივიდთა მრავალფეროვანი ჯგუფებისათვის – მაღალაგრესიული ბავშვებიდან დაწყებული, მკაცრი მშობლებით დამთავრებული, რომლებიც ცუდად ეპყრობიან საკუთარ შვილებს.

მეცნიერებმა ჩაატარეს აგრესიული ბავშვების სოციალურ ურთიერთობაში ჩართვაზე ექსპერიმენტული მუშაობა მასში მონაწი-

ლებდნენ 7-14 წლის ასაკის სოციალურ ქცევებში დარღვევების მქონე ბიჭები და გოგონები, რომლებმაც გაიარეს სოციალური დასწავლის ტრენინგი. ექსპერიმენტის მიზანი იყო მაღალი აგრესიულობის დონის დაქვეითება. ბავშვებს თორმეტი კვირის განმავლობაში უტარდებოდათ 30-40 წუთიანი მეცადინეობები, რომლის განმავლობაშიც ისინი ასრულებდნენ სხვადასხვა სიტუაციურ სავარჯიშოებს, კერძოდ, ფრუსტრირების სიტუაციების არააგრესიულად მოგერიებას. ტრენინგის დამთავრების შემდეგ, მკვლევარები აკვირდებოდნენ მონაწილეთა ქცევებს დასვენებისა და თამაშის პერიოდში, რომლის დროსაც ფიქსირდებოდა მათი აგრესიული დონის მკვეთრი დაქვეითება და ერთობლივი თამაშის მოთხოვნილება. ამ და სხვა ანალოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დასკვნა, რომ სოციალური სწავლების დანერგვა სასარგებლოა აღნიშნული კატეგორიის პიროვნებების სახიფათო შეტაკებების თავიდან აცილებისათვის.

### ბრაზის გამოხატვა სწავლების ფორმით

აგრესიული ბავშვების ქცევა, ხშირ შემთხვევაში, ლესტრუქციული ხასიათისაა და ბავშვის სწავლება ბრაზის გამოხატვის მიღებული ფორმით ერთ-ერთი მწვავე და ძირითადი პრობლემაა.

*ბრაზი* - ეს არის ძლიერი აღშფოთება, რომელსაც თან ახლავს საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა. ბრაზის შემთხვევაში სიტუაციაში ქცევის ოთხი ძირითადი ფორმა არსებობს. ეს ფორმებია:

1. *პირდაპირი* (ვერბალური-არავერბალური) განცხადება საკუთარ გრძნობებზე, უარყოფითი ემოციის გამოხატვის საშუალებით (თამაშობითი ფორმის დახმარებით).

2. ირიბი გამოხატულება, ბრაზის ამოფრქვევა ადამიანზე ან საგანზე, მისი აუცილებლობიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ბრაზის გადატანა ხდება არასაშიშ ობიექტზე: კერძოდ, რეზინის სათამაშოებზე, კაუნუკის ბურთებზე, სათამაშო ჩაქუჩი, „ჭიქა ან ტომარა ყვირილისათვის“ და სხვა. ყველა ეს საგანი საჭიროა ბრაზის უსულო საგანზე გადატანისათვის.

3. ბრაზის შეკავება. ამ შემთხვევაში დროთა განმავლობაში დაგროვილი უარყოფითი ემოციები გავლენას ახდენს სტრესის გამოწვევაზე. ბრაზის სისტემატურად ამოფრქვევის შემთხვევაში პიროვნებას ნაკლებად აქვს ფსიქოსომატური დარღვევების რისკი. მეცნიერების აზრით, გამოუსატყვი ბრაზი შესაძლოა გახდეს ფსიქოსომატური დარღვევების პირობა და ისეთი დაავადების მიზეზი, როგორცაა: რევმატული ართრიტი, ჭინჭრის ციება, ფსორიოზი, კუჭის წყლული, ჰიპერტონია, შაკიკი და სხვა. ამ შემთხვევაში გამოიყენება უარყოფითი ემოციებისაგან გასათავისუფლებელი რელაქსაციური ვარჯიშები.

4. ბრაზის გარკვევა და ჩამოშორება. ბავშვებთან მუშაობის ეს ფორმა ნაკლებად მიღებულია, ვინაიდან მათ არ შესწევთ სიტუაციის დამოუკიდებლად გაანალიზების უნარი. ამ შემთხვევაში კარგი საშუალებაა საუბრები ბავშვებთან კონფლიქტური სიტუაციების შესახებ, ასევე მწვავე აგრესიული რეაქციის გამოვლენის შემთხვევაში უფროსებმა შესძლონ ბავშვების ყურადღების სწრაფი გადატანა მოქმედებით პლანში. კერძოდ, მათთვის ახალ. უჩვეულო სიტუაციაზე. ანუ. შეცვალონ მათი რეაქცია მდგომარეობა (მაგ., ძლიერი ტაშის შემოკვრით, ჩაცუცქებით. ყურში შებერვით, მისი ხელის მტკვნის დაბერტყვით და სხვა.)

სოციალური სფეროს მოწესრიგებისათვის ეფექტურია არტთერაპიის გამოყენება. ჯერ კიდევ კ.გ. ოუნგი ამტკიცებდა, რომ სახვითი ხელოვნება ითვლება ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად. ცნობილი არტ-თერაპევტი მ. ნაუმბურგი აღნიშნავდა, რომ

ხატვა ადამიანის აზრებისა და განცდების უპირველესი, საუკეთესო გადმოცემის საშუალებაა.

ღია აგრესიასთან და ბრაზთან ბრძოლის კარგი საშუალებაა იუმორი და სიცილი, რომელთა გამოსაწვევად ბავშვებს სტიმულირების მასალის სახით შესაძლებელია წავეუკითხოთ არამტრული დამოკიდებულების ამსახველი კომიქსური სიუჟეტები, რომლებშიც წარმოდგენილი გმირების სულელური და მოუქნელი საქციელი მსმენელში სიცილს გამოიწვევს. იუმორისტულ მასალაში მტრობის მომენტების არ არსებობის გამო, ერთობლივი მოქმედებებისას მათში აგრესიის დონე და ძალადობა მცირდება.

ბავშვთა აგრესიის მოხსნის კარგი საშუალებაა მეტი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და ნაკლები ტელევიზორთან და კომპიუტერთან. ზღაპრის თურაპიის, ნახატი ფილმების გამოყენება-გათამაშება. მაგალითად, ბავშვებმა შეიძლება გაითამაშონ „ტომი და ჯერის“ ისტორიები მულტფილმიდან „ტომი და ჯერი“. ეს მულტსერიალი ყველა ბავშვისათვის საყვარელი და საინტერესოა. მისი პერსონაჟები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ ერთმანეთს. ყოველივე კი რითაც მთავრდება, ყველასათვის ცნობილია. აგრესიულობის იუმორისტული ფორმით გადმოცემა საშუალებას აძლევს ბავშვს დაინახოს (შესაძლოა უფროსების დახმარებით), რომ სიბრაზისა და მრისხანების გამოვლენამ შეიძლება სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდოს. ასევე ვუჩვენოთ რაც შეიძლება მეტი ფილმები სიყვარულზე, სიკეთეზე, თანაგრძნობაზე...

იმ შემთხვევაში, თუ აგრესიული ქმედების სათავე შიშია, აუცილებელია მისი მიზეზების დადგენა და მათთან შემდგომი მუშაობის დაგეგმვა.

## ემპათიის უნარის ფორმირება

აგრესიულ ბავშვებს, როგორც წესი, ძალიან დაბალი ემპათიის გრძნობა აქვთ.

ემპათია-ეს არის უნარი, იგრძნო სხვა ადამიანის მდგომარეობა, ჩაღვე მის პოზიციაში. აგრესიულ ბავშვებს ხშირად არ ანაღვლებთ გარშემომყოფთა წუხილი. მათ ვერ წარმოუღვენიათ, რომ სხვა ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ უსიაშოვნო განცდები. ზემოთ აღნიშნული მეთოდებით: როლებით თამაში, საუბრები, მოღვლირება და ა.შ., შესაძლებელია აგრესიულ ბავშვებში ამ გრძნობის გამომუშავება.

მშობელსა და ბავშვს შორის დამოკიდებულების შესახებ, ბავშვებზე შესაძლო ძალადობის პროგნოზის განსაზღვრისათვის სტანდარტიზებული მეთოდები შეიმუშავეს ბლაუმ, დალმა და ანდერსონმა. მიღწერმა და უიძებრლმა. შექმნეს ბავშვებზე პოტენციური ძალადობის გამოვლენის სკალა (Child Abuse potential Inventory. CAPI). მისი დახმარებით შესაძლებელი გახდა მშობელთან დაკავშირებული რისკის სამი ფაქტორის გაზომვა, კერძოდ: სიმკაცრე, უკმაყოფილება და ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემები. იგი აგრეთვე იძლევა ბავშვებზე ძალადობის განსაზღვრის შესაძლებლობას, რაც ასევე კარგი საშუალებაა შემდგომი საკორექციო მუშაობის გაგრძელებისათვის.

თეორიული და ჩვენს მიერ უშუალოდ მოპოვებული ემპირიული მასალების შეჯერებით დადასტურებულ იქნა, რომ ბავშვთა სოციალიზაციის გაძლიერება, მათი ჩართვა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებების სასწავლო-აღმზრდელიობით პროცესში ახდენს მათში აგრესიის გამოვლენის წაბაჭა-გადაღების სტიმულირებას. აღმზრდელ-პედაგოგთა დამოკიდებულება ბავშვებისადმი აღნიშნულ დაწესებულებებში ვერ ხსნის აღნიშნულ პრობლემას, იგი მხოლოდ აჩქარებს, აწვლებს ან გადაყავს ლატენტურ ფორმაში ბავშვთა აგრესიის გამოვლინებები. ბავშვთა აგრესიის დაძლევაში

ყველაზე მაღალი სოციალური ეფექტი მიიღწევა ბავშვებთან უფროსების (როგორც სკოლამდელ დაწესებულებასა და სკოლაში, ისე ოჯახში) დამოკიდებულებაში ურთიერთობის დემოკრატიული ფორმის - პირადი მაგალითის, მათი შეხედულებებისა და პიროვნების ღირსების პატივისცემის უზრუნველყოფის შემთხვევაში.

პრობლემის შესწავლისა და კვლევის პერიოდმა ასევე დაადასტურა, რომ მაღალი აგრესიულობის მქონე ბავშვები საფრთხეს უქმნიან გარშემომყოფთაც და საკუთარ თავსაც. მაღალი დონის აგრესიის დაძლევა, მისი გამოვლენის სიხშირის შემცირება შესაძლებელია, მისი მთავარი მიზეზის აღმოფხვრის, კერძოდ, საზოგადოებისათვის მიღებული ელემენტარული სოციალური ურთიერთობის ჩვევების დაუფლებით. იგი შეიძლება წარმატებით განხორციელდეს ოჯახში, სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში ფსიქოლოგების მიერ სპეციალურად შემუშავებული პროგრამების მიხედვით (თამაშის თერაპია, როლებით თამაში, მოდელირება, სოციალური დასწავლის ტრენინგი, ემპათიის განვითარება) და ამ მიმართულებით მათი გადამზადებით.

ყოველივე აქედან შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ზემოთ აღნიშნული ტრენინგების ჩატარება შესაძინევე წინსვლას გამოიწვევს აგრესიულ ბავშვთა ქცევაში. მათი აგრესიულობის დონის დაწევაში. მაღალი დონის აგრესიის დაძლევისათვის მეცნიერებმა საკმარისი ცოდნა და გამოცდილება დააგროვეს, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ აგრესიის მოგერიება და მისი გამოვლენის სიხშირის შემცირება შესაძლებელია მისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზის აღმოფხვრის, კერძოდ, საზოგადოებისათვის მიღებული, ელემენტარული სოციალური ურთიერთობის ჩვევების დაუფლების შემთხვევაში, რომელიც წარმატებით განხორციელდება მხოლოდ მშობლების, ფსიქოლოგისა და პედაგოგის ერთობლივი მუშაობის შედეგად.

## თავი V. სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებისა და მშობლების როლი ბავშვთა პიროვნებად ფორმირებაში

### პრობლემური ბავშვები

როგორ დაიცვას ბავშვის ინტერესები სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულების ფსიქოლოგმა და რას წარმოადგენს ბავშვისათვის კომფორტული გარემო? ამის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, აპრიორი იგულისხმება, რომ ფსიქოლოგი ხელმძღვანელობს და თავის საქმიანობას აგებს საზოგადოებაში პროგრესიულად მიჩნეულ მორალურ-ეთიკურ ნორმებზე.

იმის გამო, რომ ბავშვს არ შესწევს უნარი თავად დაიცვას თავისი უფლებები, მშობელი ვალდებულია, იზრუნოს მასზე ფსიქოლოგის თანადგომით. კერძოდ: ინფორმაცია, რომელსაც ფლობს სკოლამდელი თუ სასკოლო დაწესებულების ფსიქოლოგი, თითოეული ბავშვის შესახებ, მგრძნობიარე ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნება და, შესაბამისად, დაცული და მიუწვდომელი უნდა იყოს გარეშე პირთათვის. ბავშვის პიროვნების შესახებ არსებული ზოგიერთი მონაცემის გამჟღავნება შეიძლება არასასურველი იყოს მისთვის (სამედიცინო დიაგნოზი, ოჯახური პრობლემები და ა.შ.), ფსიქოლოგი ვალდებულია არ გაუშხილოს იგი კოლექტივს და არ ასახოს ფსიქოლოგიურ დასკვნაში.

პედაგოგიურ კოლექტივს შეიძლება გაეცნოს მხოლოდ კარგად გააზრებული ფსიქოლოგიური დასკვნა, რომელიც შეიცავს მონაცემებსა და ფსიქოლოგიურ შეხედულებებს თითოეული ბავშვის კოლექტივში ადაპტირების უნარისა და აქტიურობის შესახებ და არავითარ შემთხვევაში – მათი ინდივიდუალური, სპეციფიური ნიშან-თვისებები, რომლებიც მგრძნობიარე ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნება. ბავშვის შესახებ ამგვარი მონაცემების

დაზუსტება მხოლოდ მშობლის თანდასწრებით უნდა ხდებოდეს. პედაგოგს, ბებია-ბაბუას და სხვა ნათესავებს ინფორმაციის მიღება შეუძლით მხოლოდ დედ-მამის თანხმობით. მკაცრი წესების დაცვა საჭიროა იმისათვის, რომ უფროსები ყოველთვის არ უწევან ანგარიშს იმას, რომ ზოგჯერ ბავშვის შესახებ რაიმე ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა იმოქმედოს მის მიმართ თანატოლების დამოკიდებულებასა და სხვა უხერხული სიტუაციების შექმნაზე. ფსიქოლოგი, პედაგოგი და მშობელი ასევე ვალდებული არიან დაიცვან ბავშვი არა მხოლოდ სტრესული სიტუაციისაგან, არამედ უხეირო აღზრდა-განათლებისგანაც.

განვიხილოთ ის ძირითადი პრობლემები, რის შესახებაც კონსულტაციისთვის პედაგოგები და მშობლები მიმართავენ ფსიქოლოგს. იგი მეტ-ნაკლებად უკავშირდება ბავშვის განვითარების სამ ძირითად სფეროს. ესენია: ინტელექტუალური, პიროვნული, და სოციალური. როგორც წესი, მშობელი ფსიქოლოგთან რჩევისათვის მიდის იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი სირთულეებს აწყდება ცოდნის დაუფლების პროცესში, უჭირს ლექსის დასწავლა, არ შეუძლია მარტივი კონსტრუქციების აწყობა, ცოტას ლაპარაკობს, არ ინტერესდება, უინიციატივოა და ა.შ. ამ მხრივ სირთულეთა მიზეზები შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს და გამოძინარეობდეს ფსიქო-სომატური პრობლემებიდან (გადატანილი ავადმყოფობები და სხვა ამგვარი ფაქტორები), რომლებმაც, გარკვეულწილად, გავლენა იქონიეს ტვინის სტრუქტურის ფუნქციონალურ დარღვევებზე. ბავშვის ტვინი იმდენად პლასტიურია, რომ მისი ფუნქციონალური დარღვევის აღმოფხვრა, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება სპეციალური განმავითარებელი მუშაობითა და სწორი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. შესაძლოა, აღნიშნული დარღვევები პროვოცირდებოდეს არასწორი სწავლა-განათლებითაც. ასეთ შემთხვევაში ბავშვები უარყოფითად ეკიდებიან ნებისმიერ ინტელექტუალურ ქმედებას, უჭირთ მასალის შეთვისება, ად-

ვილად იღლებიან და ა.შ. ამგვარი ბავშვის საერთო მდგომარეობას უკავშირებენ ან ბავშვის უნარების განვითარების დაბალ დონეს, ან პედაგოგის მიერ მის ამოჩემებას. სინამდვილეში ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ უფროსები ნაკლებად ითვალისწინებენ სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ბავშვთა თავისებურებებს, ზედმეტად ტვირთავენ მათ, თავს ახვევენ ამ ასაკისათვის შეუფერებელ სასწავლო საქმიანობას, ერთდროულად ასწავლიან რამდენიმე უცხო ენას, კითხვას, წერას, ანგარიშს, და სხვ; ბავშვები ვერ უძლებენ ამგვარ ინტერსიურ დატვირთვას, არ ესმით რთული შინაარსის სასწავლო მასალები, უარს აცხადებენ ამ პროცესში მონაწილეობაზე და ერთი რამ უტრიალებთ თავში — გაექცნენ არასასიამოვნო სიტუაციას და ითამაშონ.

რთული ბავშვის კატეგორიაში შესაძლოა მოხვდეს ნიჭიერი ბავშვიც, რომელიც მუდმივ კონფლიქტში შედის თანატოლებთან და უფროსებთან, იგი ნაკლებად უსმენს პედაგოგსა და მშობელს, იღებს თანატოლებისაგან განსხვავებულ არაორდინალურ გადაწყვეტილებებს, განსხვავებულია მისი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. ამგვარ ბავშვთან ურთიერთობისას პედაგოგს სჭირდება სპეციფიური მიდგომა, რათა დააინტერესოს ჩვეული საქმიანობით. სხვა მხრივ, ნიჭიერი ბავშვები ადვილად ართმევენ თავს ნებისმიერ ამოცანას, შესწევთ უნარი, იოლად დაიმახსოვრონ და გადაამუშაონ დიდი მოცულობის ინფორმაცია, გამოირჩევიან აქტიური შემეცნებით, რითაც მკვეთრად განსხვავდებიან იმ ბავშვებისაგან, რომელთაც სწავლებაში სირთულეები აქვთ.

ფსიქოლოგის რჩევა ბავშვის შემეცნებით პოტენციალსა და ინტელექტუალურ განვითარებაზე, მისი ობიექტური შეფასებები დაეხმარება მშობელს არა მხოლოდ სირთულეების დაძლევაში, არამედ სამომავლო პროგნოზის შემუშავებაშიც.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის პიროვნული განვითარების დარღვევები: ჰიპერაქტიურობა, აუტიზმი, შფოთვიანობა, აგ-

რესიულობა, საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა და ა.შ. მშობლები ხშირად უჩივიან ბავშვის მოჭარბებულ მგრძობი-  
არობასა და ჩაკეტილობას. მათ უკვირთ, რომ სრულყოფილ, კეთილ-  
განწყობილ და მოსიყვარულე ოჯახებში აღზრდილი ბავშვები  
გამოირჩევიან უარყოფითი პიროვნული თვისებებით. ოჯახის  
თოთოეული წევრის შეურვეობამ ბავშვზე, საკუთარი შეხედულე-  
ბების თავსმომხვევამ, მასში შესაძლოა გამოიწვიოს როგორც ბაზა-  
ლური ემოცია (მარტოობის განცდა), ასევე ამბივალენტობა (შერეუ-  
ლი გრძობა): მორჩილება, ეჭვიანობა, დაბნეულობა და ა.შ. ამ  
შემთხვევაში, ბავშვის პიროვნებისათვის რთული ხდება საკუთარი  
„მე-ს“ ადეკვატური სახის შექმნა, რადგან უფროსებისაგან ეკრძა-  
ლება გადაწყვეტილების მიღება. ბავშვი დარწმუნებული არ არის  
საკუთარ შესაძლებლობებში და ამიტომ თანდათან უნიციატივო  
ხდება. ამგვარ სიტუაციებში გარკვევა არცთუ ისე ადვილია.  
ფქოლოგმა უნდა გამოიყენოს სპეციალური მეთოდოლოგია, ანკეტები,  
საუბრები მშობლებთან, ბავშვებთან და ა. შ. მთავარია, დადგ-  
ინდეს სირთულეების წარმოშობის მიზეზები და მშობლებთან  
ერთად მოინახოს გამოსავალი.

პრობლემებია ბავშვის სოციალური განვითარების თვალ-  
საზრისითაც. ამ მხრივ დარღვევები შეიძლება უკავშირდებოდეს  
გარემომომყოფებთან ურთიერთობას. ბავშვს არ ესმის, როგორ  
დააღწიოს თავი კონფლიქტურ სიტუაციებს, ერიდება სოციალ-  
ურ კონტაქტებს და თავს გრძობს გარიყულად, ეჭვიანობს და-  
ძმაზე, მშობლების მხრიდან განიცდის ძალადობას (ფიზიკურ,  
ვერბალური) და ა.შ. ამგვარი ქცევის საბაბი ინდივიდუალურია,  
მაგრამ ყველა მათგანი დაკავშირებულია ბავშვის პიროვნულ თავისე-  
ბურებებთან და ვლინდება მის სულიერ მდგომარეობაში (უნარ-  
ჩვევების განვითარების დონე, ინტერესები და სხვა). ფსიქოლო-  
გის მიერ გაკეთებულმა ანალიზმა შეიძლება, გამოავლინოს ამის  
გამომწვევი მიზეზები.

დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალური პრობლემა სკოლისათვის ბავშვთა მოშავდება, სკოლასთან ადაპტაცია. თანამედროვე პირობებში ბავშვის სკოლაში შესვლა განისაზღვრება ექვსი წლის ასაკით. პრაქტიკა კი მოწმობს, რომ მშობელთა უმრავლესობა ვერ გარკვეულა, რა არის სკოლისათვის ფსიქოლოგიური მზაობა. ისინი მიუთითებენ მხოლოდ ბავშვთა გონებრივ მზაობაზე, ხოლო ფიზიკური, პიროვნული და სოციალური კომპონენტები ყურადღების მიღმა რჩებათ. ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ ხუთი წლის შვილის სკოლაში მიღებას. ერთ-ერთი არგუმენტი, რომლითაც მშობელი თავის საქციელს ამართლებს ისაა, რომ მისი და ან ძმა შუდის სკოლაში და, ამ მხრივ, ისიც არანაკლებადაა მზად. ხუთი წლის ასაკის ბავშვს ჯერ კიდევ არ აქვს სათანადოდ განვითარებული პიროვნული და ფსიქიკური ფუნქციები: აქტიური ყურადღება, ნებისყოფა, მოტორული და სივრცითი ორიენტაციის უნარი, მხედველობით-სივრცითი აღქმა და სქენითი-მოტორული კოორდინაცია, რაც აუცილებელი კომპონენტებია სკოლაში წარმატებით სწავლებისათვის.

ბ. აშვის გონების პროგრამირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ მასზე მანიპულირება მშობელს შეიძლება ძვირად დაუჯდეს. ფსიქოლოგიის პრაქტიკაში ცნობილია ფაქტი, როდესაც ამერიკაში სპეციალური პროგრამის მიხედვით ერთიდან ოთხ წლამდე ასაკში ბავშვების ჯგუფს, რომელთაც შემდგომში „სათბურის ბავშვები“ უწოდეს, მშობლების დიდი ენთუზიაზმით საფუძვლიანად შეასწავლეს: უცხოური ენა, კითხვა, ანგარიში და ვიოლინოზე დაკრა. ოთხი წლის ასაკში ეს ბავშვები კითხულობდნენ და ვიოლინოზე უკრავდნენ მეორე-მესამე კლასის ბავშვის დონეზე. მაგრამ, მოგვიანებით, მათგან მიიღეს ნევროზით, აგრესიითა და სხვა ფსიქიკური დარღვევებით დაავადებული ბავშვები და არა „კუნდერკინდები“.

ყველა ბავშვს აქვს განვითარების უნიკალური გზა და პერიოდები. არავის არ აქვს უფლება, მათ შორის მშობელსაც კი, მოუსპოს მას შესაძლებლობა, განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი სრულყოფილად დაასრულოს სკოლამდელ დაწესებულებაში და სკოლაში შევიდეს ფიზიკურად, ფსიქიკურად, ფიზიოლოგიურად ჯანმრთელი და შესაბამისად მომზადებული. ექვსი-შვიდი წლის ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების შესწავლისას ფსიქოლოგებსა დაადგინეს, რომ ამ პერიოდში ძირეული გარდატეხა ხდება მათ ფსიქიკაში, რაც უკავშირდება შვიდი წლის ასაკის ბავშვის კრიზისს. ამ ასაკში ბავშვი შედის განვითარების ახალ სოციალურ გარემოში. აღნიშნულ პერიოდს ყველა ბავშვი თავისებურად განიცდის. ზოგიერთი მათგანი, ექვსი წლის ასაკში (და არამც და არამც ხუთი წლის!) პიროვნული და სოციალური სფეროს განვითარებით მზად არის სკოლაში შესასვლელად. სხვებისათვის ეს პერიოდი შესაძლოა დადგეს შვიდი წლის ასაკში და ამაში არაფერი შემაშფოთებელი არ არის. ბავშვის ნორმალური ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სკოლაში წარმატებით სწავლებისათვის აუცილებელია სკოლამდელი დაწესებულების ფსიქოლოგის დასკვნა და მშობლის სწორი გადაწყვეტილება ბავშვის სკოლაში შეყვანის თუ შეჩერების შესახებ, ექვსი-შვიდი წლის ასაკის ბავშვი, როგორც ფიზიკურად, ასევე ინტელექტუალური თვალსაზრისით. მზად არის სკოლაში სწავლისათვის. მას გონებაში უკვე აქვს ჩამოყალიბებული ასაკის შესაფერისი გარკვეული სისტემები და ინტელექტუალური სქემები, რომელთა დახმარებითაც არ გაუჭირდება სწავლების უცხო მეთოდებზე გადასვლა და, შესაბამისად, ახალ სოციალურ გარემოსთან ადაპტირება. ფსიქოლოგის ვალია, დაეხმაროს ბავშვს, პედაგოგსა და მშობელს მათ ირგვლივ წარმოქმნილ პრობლემებში გარკვევასა და მოგვარებაში.

## აუტისტი ბავშვები



აუტიზმი (ბერძნულიდან – „თვითონ“) ნიშნავს სამყაროსთან კონტაქტის მოშლის უკიდურეს ფორმას, რეალობიდან მოწყვეტას. იგი ფსიქიკური და ქცევითი კომპლექსის მოშლის ერთიანი ფორმაა. აღნიშნული ტერმინი პირველად შვეიცარელმა ფსიქოლოგმა ე. ბლეილერმა გამოიყენა. აუტიზმის გამოვლენის სამ ძირითად ფორმას გამოყოფენ: *მეტყველება და კომუნიკაცია; სოციალური ურთიერთობა, წარმოსახვა-ემოციური სფერო.*

აუტიზმის ძირითადი სიმპტომებია: *ურთიერთობაში და სოციალიზაციაში სირთულეები, ემოციური კავშირის უუნარობა, მეტყველების დარღვევა.* ზოგიერთ შემთხვევაში აუტიზმისათვის დამახასიათებელია ფსიქიკის ნებისმიერი სფეროს ანომალური განვითარება: *ინტელექტუალური და ემოციური სფერო, აღქმა, მოტორიკა, ყურადღება, მეხსიერება, მეტყველება.* ფსიქიკის სფეროს საერთო დარღვევის მიუხედავად, აუტიზმი სხვადასხვა ფორმით ვლინდება:

1. გარშემო მყოფების სრული უარყოფა. აუტიზმის ამ ფორმის შემთხვევაში ბავშვებში ადრეული ასაკიდან შეინიშნება აქტიურობის დარღვევები და გარემოსთან დისკომფორტი. ისინი კატეგორიულ უარს აცხადებენ გარე სამყაროსთან აქტიურ კონტაქტზე. ამგვარი ბავშვები თხოვნაზე არ რეაგირებენ და თვითონაც არაფერს ითხოვენ. მათში ფორმირებული არაა მიზანმიმართული ქცევა. ისინი არ იყენებენ მეტყველებას, მიმიკას, ქესტს. ეს აუტიზმის შედარებით სიღრმისეული ფორმაა, რომელიც მათ ირგვლივ ყველაფრის მიმართ კატეგორიულ უარყოფაში ვლინდება.

2. აქტიური უარყოფა. ამ ჯგუფის ბავშვები შედარებით აქტიურები არიან და ნაკლებ მტკივნეულად განიცდიან გარემოსთან კონტაქტს, თუმცა, ერთის მხრივ, მათთვისაც დამახასიათებელია სამყაროს დიდი ნაწილის მიუღებლობა. ამგვარი ბავშვებისათვის მთავარია ცხოვრებისეული სტერეოტიპების, ცალკეული რიტუალების მკაცრი დაცვა; ისინი ჩვეულ გარემოში უნდა ცხოვრობდნენ; ასაკის მომატების და ოჯახური ცხოვრების საზღვრებიდან გასვლის აუცილებლობისას, მკვეთრი პრობლემები აქვთ, რადგან უჭირთ ახალ ადამიანებთან და გარემოსთან ურთიერთობა; ახასიათებთ ხშირი მოძრაობითი სტერეოტიპები. ისინი შეიძლება მეტყველებდნენ, თუმცა მათი სამეტყველო განვითარება სპეციფიურია: მხოლოდ ცალკეულ სამეტყველო შტამპებს ითვისებენ, რომელიც კონკრეტულ სიტუაციასთან აკავშირებთ, დამახასიათებელია მეტყველების დანაწევრებული, ტელეგრაფული სტილი.

3. არტისტიკული ინტერესებით შეპყრობა. ამ ჯგუფის ბავშვები კონფლიქტურობით, სხვისი ინტერესების გათვალისწინების უუნარობით, ერთი და იგივე მოქმედებებით და ინტერესებით შემოიფარგლებიან. არიან მეტისმეტად „მეტყველები“, დიდი ოდენობით სიტყვათა მარაგს ფლობენ, საუბრობენ რთული, „წიგნიერი“ ფრაზებით, მათი მეტყველება უჩვეულოა და გარშემომყოფთ დიდი ადამიანის შთაბეჭდილებას უქმნის. მიუხედავად ინტელექტუალური

ნიჭიერებისა, მათ დარღვეული აქვთ აზროვნება და ვერ აცნობი-  
ერებენ ქვეტექსტების შინაარსს, მათთვის რთულია ერთდროულად  
ამბის რამდენიმე აზრობრივი ხაზის აღქმა.

4. მეტისმეტი სირთულეები ურთიერთობისა და ზემო-  
ქმედების ორგანიზაციაში.

ამ ვაკუუმის ბავშვების მთავარი პრობლემა სხვა ადამიანებთან  
ორგანიზაციისა და ზემოქმედების უუნარობაა. ამ ბავშვებისათვის  
დამახასიათებელია მოძრაობითი ჩვევების დაუფლების სირთულე-  
ები. მათი მეტყველება ღარიბი და გრამატიკულად გაუმართავია,  
ისინი შეიძლება იზნეოდნენ მარტივ სოციალურ სიტუაციებში. ეს  
არის აუტიზმის შედარებით იოლი ფორმა. სტატისტიკის მიხედვით,  
აუტიზმის ღრმა ფორმა, გვხვდება ათასიდან ერთ ბავშვში. ბიჭებს  
შორის აუტიზმი 4-5-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე გოგონებში.

თანამედროვე პირობებში აუტიზმის წარმოშობის მიზეზები  
ბოლომდე გამოკვლეული არაა. ავტორთა უმრავლესობა აუტიზმს  
შიდასაშოსეულ განვითარებასა და ადრეულ ასაკში ბავშვების  
დამაძაბუნებელ ავადმყოფობას უკავშირებს. აუტისტ ბავშვებში  
ასევე ხშირია ტვინის დისფუნქცია, ბიოქიმიური გაცვლის მოშ-  
ლა. ზოგიერთ შემთხვევაში აუტიზმი სხვა ფსიქიკურ მოშლი-  
ლობას ერწყმის.

## აუტისტის ბავშვის პორტრეტი

აუტისტი ბავშვები გულგრილები არიან გარემოს მიმართ,  
ისინი ხშირად გაურბიან პირდაპირ ყურებას. ასეთი ბავშვები  
ისწრაფვიან მათ გარშემო მყოფ ადამიანთა კონტაქტიდან გასვლას.  
გავრცელებული შეხედულებით, მათში ურთიერთობის სურვი-  
ლის უკმარისობაა. შფოთვიანი ბავშვებისაგან განსხვავებით,  
რომლებიც კონტაქტისაკენ ისწრაფვიან, მაგრამ გარკვეული მეზე-

ზების გამო ურთიერთობების ემინიათ, აუტისტი ბავშვები უარს აცხადებენ კოლექტიურ თამაშებზე და უპირატესობას ინდივიდუალურ თამაშებს და განმარტობას ანიჭებენ; მათ შეუძლიათ მთელი წლის განმავლობაში იგივე თამაში ითამაშონ, დახატონ იგივე სურათი. ზოგიერთი ბავშვს საერთოდ უჭირს თამაში და ბოლომდე საგნებით ელემენტარული მანიპულაციის სტადიაშია.

აუტისტი ბავშვებისათვის სტერეოტიპული, მექანიკური მოძრაობები და ქცევაა დამახასიათებელი. ბავშვმა მთელი გაკვეთილის მანძილზე შეიძლება გადაშალოს და დახუროს რვეული, არ უსმინოს მასწავლებლის ახსნილს და არ შეასრულოს დავალება.

ბავშვებს, რომლებსაც ურთიერთობაში აქვთ დარღვევები, განსაზღვრული რიტუალებით არიან დაკავებულნი და მათზე სარეჟიმო ცვლილებებმა შეიძლება ტრავმირებულად იმოქმედოს. ამ ცვლილების შედეგი შეიძლება აღმოჩნდეს „საკუთარი თავისგან გასვლა“, აგრესიის ამოფრქვევა ახლობლების, თანატოლების, ცხოველებისადმი. ისინი გარშემო ყველაფრის გაფუჭებისა და განადგურებისაკენ ისწრაფვიან. ხშირად, უჩინო მწველი წარუმატებლობისას, თვითაგრესიას მიმართავენ. უფროსებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ბავშვებთან კონტაქტი უწევთ, ხშირად არ ესმით ბავშვის „აფეთქების“ მიზეზი და ნაკლებ-მნიშვნელობას ანიჭებენ მათ ამგვარ უჩვეულო საქცეველს. აუტისტი ბავშვებს მსგავსი რეაქციები შესაძლებელია გაუჩნდეთ ახალ ტანსაცმელზე, რომელიც დედას აცვია, ავეჯის მდებარეობის შეცვლაზე, უცნობი ადამიანის მოსვლაზე, ტელევიზორის ხმაზე, უცნობ მულო-ღიაზე, მტკვრისასრუტის ხმაზე...

საუბრის ან ტელევიზორის ყურებისას იგი მოქმედი პერსონაჟის პირზე ახდენს ფოკუსირებას და მისი მოქმედება მხედველობის მიღმა რჩება. ამგვარ ბავშვებს ამერიკაში „სხვენის“ ბავშვებს უწოდებენ. ამ კატეგორიის ბავშვები საგნებს უფრო იოლად იმახსოვრებენ, ვიდრე ძველ ნაცნობებს, ადამიანებს.

აუტიზმის შემთხვევაში ყოველთვის არ აღინიშნება ინტელექტუალური ჩამორჩენა. ინტელექტი პრაქტიკულად შეიძლება სა-

შუალოზე მაღალიც კი იყოს. ამგვარი ბავშვები ხშირად წარმატებით მუშაობენ თავსატეხებით, მოზაიკებით. ეს მიდრეკილება აუცილებლად უნდა გამოიყენოთ მათთან კონტაქტისათვის. ზოგჯერ მათ სიამოვნებას ანიჭებს სხვადასხვა სახის კოლექციების შეგროვება (ჩხირები, ქაღალდები, კენჭები...), აუტისტიები შეიძლება ერთ სფეროში ავლენდნენ ნიჭიერებას: ფლობდნენ აბსოლუტურ მუსიკალურ სმენას, ბრწყინვალედ თამაშობდნენ ჭადრაკს, ხატავდნენ, ანგარიშობდნენ, თავიდანვე ჰქონდეთ მიდრეკილება გამოძგონებლობისადმი...

ზოგიერთ შემთხვევაში, აუტისტი ბავშვისათვის დამახასიათებელია მეტყველებაში ჩამორჩენა. მათი მეტყველება ხშირად მონოლოგების სერიაა; თუ აუტისტი ბავშვი ფრაზოლოგიურ მეტყველებას ფლობს, იგი ჩვეულებრივ არ იყენებს ნაცვალსახელ „მე“-ს. ცნება „მე“, უცხოა ამ ბავშვებისათვის. ისინი საკუთარ თავზე მეორე ან შესამე პირში საუბრობენ, როგორც მათთან გარშემომყოფი ადამიანები ურთიერთობენ. მათი მეტყველებისათვის დამახასიათებელია ფოტოგრაფიულობა, გაუაზრებულობა, მათ კარგად აქვთ განვითარებული მექანიკური აზროვნება და იოლად იმახსოვრებენ ცალკეულ, ზოგჯერ ძალიან ჭკვიანურ გამონათქვამებს, რაც მათი ასაკისა და განვითარების დონისთვის შეუფერებელია. დაუფიქრებლად აფრქვევენ აზრებს, ავტომატურად იმეორებენ მოწონებულ ფრაზებს, რასაც მშობლები და გარშემომყოფები აღფრთოვანებამდე მიყავთ. ისინი დარწმუნებულები არიან საკუთარი შვილის ნიჭიერებაში. აუტისტი ბავშვები, როგორც წესი, პირდაპირი შეკითხვით არავის მიმართავენ და ურთიერთობისას, ორჭოფობენ პირდაპირ პასუხებზე. მათ შეიძლება დარღვეული ჰქონდეთ ინტონაცია, მეტყველების რიტმი, სიტყვებზე უადგილო აქცენტირებას ახდენენ; მათთვის რთულია გამართული მეტყველების სწავლება, რადგან მის აუცილებლობას ვერ აცნობიერებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ისინი საკუთარ „მე“-ს ვერ აღიქვამენ და უჭირთ საკუთარი სხეულის საზღვრების დანახვა, ამიტომ

გარკვეული სირთულეები აქვთ თვითმომსახურების ჩვევების თვალსაზრისით. ისინი სხვა ბავშვებთან შედარებით მოგვიანებით სწავლობენ ჩაცმა-გახდას, მომსახურების სხვა ჩვევებს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხშირი განმეორებაც ზოგჯერ ვერ იძლევა სასურველ შედეგს.

## როგორ გამოვავლინოთ აუტისტი ბავშვი

აუტიზმი სამედიცინო დიაგნოზია და მხოლოდ ექიმს აქვს მისი დასმის უფლება. იგი ბავშვებში ვლიდება დაახლოებით ორწლიანხვრის ასაკამდე.

ხშირად აუტისტ ბავშვს ახასიათებს ქცევითი თავისებურებების მთელი კომპლექსი. თავდაპირველი ამოცანაა განისაზღვროს, კონკრეტულ შემთხვევაში როგორი დარღვევაა წამყვანი. ყველა დარღვევის კორექციის ერთდროული ჩატარება არ შეიძლება. ჩვენში ჯერჯერობით, ნაკლებადაა ამგვარი მუშაობის გამოცდილება. ჩვეულებრივ პრაქტიკაში გვხვდებიან ბავშვები, რომლებსაც აუტიზმის ცალკეულ ნიშნები აქვთ. მიუხედავად ყოველგვარი სირთულეებისა, მთავარია სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში ამგვარი ბავშვების გამოვლენა. საბოლოო დიაგნოზი ექიმის საქმეა, პედაგოგის ამოცანაა - ასეთი ბავშვის გამოვლენა, დახმარება საბავშვო კოლექტივთან ადაპტირებასა და სპეციალისტთან გაგზავნაში. აუტისტ ბავშვთან საკორექციო მუშაობა გაცილებით წარმატებული იქნება, თუ იგი კომპლექსურად ჩატარდება სპეციალისტების ჯგუფის: ფსიქიატრის, ნევროპათოლოგის, ფსიქოლოგის, ლოგოპედის, მუსიკალური მუშაკის და მშობლების მიერ. მშობლებისა და სპეციალისტების მუშაობა ეფექტური იქნება, თუ იგი ერთი პროგრამით განხორციელდება.

ფსიქოლოგიაში ცნობილია *ასპერჯერის (დარღვევა) სინდრომი*, რომელსაც აუტიზმის ზოგიერთი ისეთი ნიშანი გააჩნია, როგორიცაა სოციალური ურთიერთობების დარღვევა, მოსაწყენი, სტე-

რეოტიპული ინტერესები და მოქმედებები, სამეტყველო და კოგნიტური (შეხვედრების) უნარების განვითარებაში ჩამორჩენის ან შეფერხების გარეშე. როგორც ამას ჭეშმარიტი აუტისმისას აქვს ადგილი. თუმცა, ზოგიერთა სპეციალისტი ეჭვს გამოთქვამს ასეთი სინდრომის გამოყოფისა და მისი აუტიზმის მსუბუქი ფორმებისაგან დიფერენციაციის შესახებ.

## როგორ დავეხმაროთ აუტისტ ბავშვებს

ბავშვა დროის მნიშვნელოვან ნაწილს პედაგოგებთან, სასწავლო-სააღმწერდლო დაწესებულებაში ატარებს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი როლი აუტისტი ბავშვის უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობის წვევის ფორმირებაში. ნამდვილად დაეხმარებათ ბავშვს თუ ირწმუნებით, რომ უიმედო საქმეს არ ასრულებთ. დიაგნოზის მოხსნა გაჭირდება, მაგრამ მათთან მუშაობისას ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი, კერძოდ: გაუგებ ბავშვს, მიიღეთ იგი ისეთი, როგორიც არის. მისი თავისებურებების გათვალისწინებით, დაეხმარეთ გარემოსთან ადაპტირებაში.

პედაგოგები და ფსიქოლოგები მიზანს ერთობლივი ძალისხმევით მიაღწევენ, თუ ისინი ერთობლივად შეიმუშავენ ბავშვის სასწავლო-აღმწერდლობითი განვითარების ინდივიდუალურ პროგრამას. ფსიქოლოგი, აუტისტი ბავშვის განვითარების საერთო კანონზომიერებიდან გამომდინარე, პედაგოგს ეხმარება გარკვეული პრობლემების დაძლევაში, კერძოდ: როგორ დაეხმაროს ბავშვს მისთვის განსაკუთრებულ გარემოში, რა რეაგირება მოახდინოს აგრესიისა და აუტოაგრესიის ამოფრქვევის შემთხვევაში და სხვა; პედაგოგის მთავარი ამოცანა ბავშვის ინდივიდუალურ და ერთობლივ მოქმედებაში ჩართვა, ამ მიზნით მათთან რაც შეიძლება მრავალფეროვანი ზემოქმედების ფორმის გამოყენება, მისი ემოციური და ინტე-

ლექტურული გამოცდილების გამდიდრება. საკორქციო მუშაობის დაწყების გასარკვევად აუცილებელია წამყვანი მიმართულების განსაზღვრა, კროზად: შეტყვევების განვითარება. სოციალური ზეპოქმედების ჩვევება. წარმოსახვა. მიმართულების შერჩევა, კონკრეტული ბავშვის მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს.

პირველი რივის ამოცანაა თვითმომსახურების ჩვევის სწავლება, შემდეგ - შეყოფის დონის შექცობა. შანის მოხსნა. პირველი რივის კონტაქტის მოწესრიგება. დადებითი ემოციური კლასიკისა და მეტადინფორმაციის კომპორტული ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა. მათთან მუშაობის პირველ ეტაპზე, პედაგოგისათვის მთავარია სწავლის სურვილის ფორმირება, ვიდრე სასწავლო მასალის ათვისების მცდელობა.

აუტისტი ბავშვისათვის რთულია ნებისმიერი ახალი სახის მოქმედების დაუფლება, მაგრამ ისინი ყოველთვის ყველაფრის კარგად შესრულებისკენ ისწრაფვიან. მუშაობის პირველ ეტაპზე უნდა შერჩეს მათთვის ადვილად დასაძლევი დავალება. დასმარება და შექება განუმტკიცებს თავდაჯერებულობისა და წარმატების რწმენას. აუტისტი ბავშვებს ახასიათებთ სწრაფი ფსიქიკური და ფიზიკური გამოფიტვა, ამისათვის მათთვის აუცილებელია მუშაობის ინდივიდუალური რიტმი, ერთი სახის მოქმედებიდან მეორეზე ხშირი გადართვა. დაწყებითი კლასის ბავშვებთან ეს შეიძლება ვრძელდებოდეს 10-15 წუთი, თვისკა, ესეც ინდივიდუალურია.

აუტისტი ბავშვებს ახასიათებს უმსხრო, მონოტონური მოძრაობა, ქანაობა. მათი სტერეოტიპული რიტმისაგან გამოთიშვა ემოციურად დატვირთული რიტმული თამაშებისა და საცეკვაო მოძრაობების დახმარებითაა შესაძლებელი. ამ სახის რეგულარული მკვადინება დაეხმარება მათ მოძრაობითი დარღვევების შექცობაში.

თუ ბავშვი შეთავაზებულ ინსტრუქციას და წესებს არ იღებს, მათი ძალდატანებით შექმნივევა უშედეგოა. უკეთესია დააკვირდეთ, რა და როგორ უნდა, რომ ვააკეთოს, დაკავდეს იმით, რაც მისთვის საინტერესოა.

ფსიქოლოგების რეკომენდაციით ამგვარი ბავშვებისათვის უცხო ენების შესწავლა სასარგებლოა, რადგან ხშირ შემთხვევაში ეს მათ აინტერესებთ და უადვილდებათ; შესაძლოა იმის გამოც, რომ მათთან მუშაობისას პედაგოგები იყენებენ სქემებს და აღგორითმებს, რაც მათ მოსწონთ და უადვილებთ სასწავლო მასალის შეთვისებას. უცხო ენების ცოდნა ბავშვს, როგორც წარმატებულ პიროვნებას, გარშემომყოფებთან თვითდამკვიდრებაში ეხმარება.

აუტისტი ბავშვებისათვის აუცილებელია ფიზიკულტურული ვარჯიშები, ამგვარი მეცადინეობები მათ ეხმარება საკუთარი სხეულის უკეთ შეგრძნებაში, მოძრაობის კოორდინაციის გაუმჯობესებაში.


მათთან მუშაობის ეფექტური საშუალებაა ხატვა (ფანქრით, საღებავებით, შტამპით და განსაკუთრებით თითებით), იგი ბავშვის კუნთური დაჭიმულობის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა. ამ მიზნით მათთან მუშაობისას ასევე სასარგებლოა ქვიშის, თიხის, წყლის, პლასტილინის გამოყენება.

## აუტისტი ბავშვების მშობლებთან მუშაობა

აუტისტი ბავშვის მშობლები სპეციალისტებს დახმარებისათვის მიმართავენ მაშინ, როდესაც მათ განვითარებასა და ქცევაში გადარები ყველასათვის ნათელია. საბოლოო დიაგნოზის დასმა ზოგჯერ რამდენიმე წელი გრძელდება. ისინი შეძრწუნებულები და შეშფოთებულები არიან უცნობი, დამორგუნველი დასკვნით. თავს ვერაფრით იმშვიდებენ, რადგან პასუხს ვერ იღებენ მათთვის ყველაზე აქტუალურ კითხვებზე. ზოგიერთი ავტორი აუტიზმს ბავშვის ნიჭიერებასთან, სხვები – შიზოფრენიასთან აიგივებს. ზოგიერთების აზრით, აუტისტი ბავშვები ინტელექტუალური მშობლებისა და მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახებში იბადებიან.

მსგავსი მოსაზრებები სპეციალისტებმა საკმაოდ ადრე უარყვეს. მშობლებს, აუტიზმის წარმოშობის მიზეზების ამგვარი სახის დებულებების შემთხვევით გაცნობისას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბავშვისა და საზოგადოების წინაში დანაშაულის გრძნობა აქვთ. დიგნოზის მოსმენისთანავე მრავალი მშობელი უძლურებასა და უიმედობას განიცდის, რადგან არ იცის, თუ როგორ დაეხმაროს ბავშვს. მშობელი უნდა გაერკვეს საერთოდ აუტიზტი ბავშვების და, კერძოდ, მისი ბავშვის განვითარების თავისებურებებში, რითი განსხვავდება იგი თანატოლებისაგან, დაინახოს მისი „ძლიერი“ და „სუსტი“ მხარეები; ფსიქოლოგთან და პედაგოგთან ერთად განსაზღვროს მოთხოვნის დონე, შეარჩიოს მასთან მუშაობის ფორმის ძირითადი მიმართულება.

### ჩხობის ქმნაჩე



„დროის მდინარე“ - ასეთი სახელი დაარქვა ბავშვმა მის მიერ შესრულებულ ნახატს. იგი ყვება, რომ მდინარიდან დიდ რეზერვუარში ჩაედინება წყალი. წყალთან ერთად თვითონაც ქოტურად მოძრაობს და ახლანდელი დროიდან წარსულში მოგზაურობს. თავდაპირველად იგი დიდია, შემდეგ შიგნით ტრიალ-

ტრიალში თანდათანობით პატარავდება, ბრუნდება წარსულში, შედის ვარსკვლავში და იქ ქრება.

ეს ნახატი ბავშვის სულიერი სამყაროსა და გარშემომყოფების მიმართ მისი დისკომფორტის განცდის წარმოჩენის კარგი მაგალითია. მასში გადმოცემულია ბავშვის ამქვეყნიური ცხოვრებით უკმაყოფილება, ადრეულ ბავშვობაში დაბრუნების ძლიერი სურვილი. იგი გამოხატავს სწრაფვას თავისუფალი ცხოვრებისაკენ, რომელიც ამჟამინდელ ბავშვობაში ვერ მოიპოვა და, მისი აზრით, შეუძლებელიცაა, რადგან გარშემომყოფები მას აკრძალვებით, შეზღუდვებით, გაუთავებელი შენიშვნებით აბრკოლებენ. მას უნდა „დროის მდინარის“ მეშვეობით გაეცქერს ყოველივე ამას და შევიდეს ვარსკვლავში, მშვიდ, წყნარ გარემოში, სადაც არავინ და არაფერი შეაწუხებს. დროის მდინარის გარშემო მიმოფანტულ სიმბოლოებს ბავშვმა თავისი სახელები დაარქვა. რომელსაც, ჩვენი აზრით, შეიძლება შემდეგი ახსნა მოვუძებნოთ:

1. ცილინდრი – მის გარშემო მყოფი ადამიანები;
2. საზამთრო – მხიარულება, ტკობა, რაც ახლანდელ ბავშვობაში ჰქონდა;
3. ხახვი- უსიამოვნებები, განცდები, ცრემლები, რაც მას შეხვედრია;
4. ორი თვალი - დიდი და პატარა ბავშვში ჩაბუდებული შიშები, რომლებსაც ის ამ ცხოვრებაში განიცდის;
5. სკამი - დროდადრო შესვენებები ამ ცხოვრებაში;
6. ეშმაკი - საფრთხე, რომელსაც ეშმაკის სახე აქვს;
7. ხე - სიცოცხლე, ცხოვრებისეული ენერგია, რომელიც ასევე რჩება ახლანდელ ბავშვობაში;
8. ვარსკვლავი – მისთვის სიმშვიდისა და თავისუფლების სიმბოლოა.

მშობელმა უნდა გააცნობიეროს, თუ რამდენად რთულია ბავშვისათვის ამ სამყაროში ცხოვრება, მოთმინებით დააკვირდეს და გაითვალისწინოს მისი ყოველი გამონათქვამი და უესტი, ყურად-

ღებით დააკვირდეს მის მიერ შესრულებულ ნახატებს.. ეს ბავშვის ეხმარება გაიფართოვოს შინაგანი სამყარო, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, გრძნობები, ემოცია. მშობელმა უნდა გაიგოს, რომ მის შვილს უჭირს, უფროსის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი სიტყვა შეიძლება მიზეზი გახდეს „ემოციური ქარიშხლის“. მშობელი ფრთხილი და დელეკატური უნდა იყოს ბავშვთან ურთიერთობისას.

ხშირად აუტისტი ბავშვის მის გარშემო მყოფ ადამიანებზე რეაქცია არაა აქვს, ისე იქცევა, თითქოს მარტო, ან უკიდურეს შემთხვევაში, ბავშვებისა და უფროსების „ირგვლივია“ და არა მათთან. ასეთი ბავშვი, შინგან სამყაროში არავის უშვებს, ზოგჯერ მხიჯოდ შემთხვევით წამოსროლილი ფრაზებით, ან გაუთავებელი მოძრაობებითაა შესაძლებელი მათი განცდების, სურვილების, შიშების გარკვევა.

პედაგოგისა და მშობლის კონტაქტის განმტკიცებისა და ბავშვისათვის სასურველია, მისი ახლობლები რაც შეიძლება ხშირად აკახავდნენ საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში. სადაც ბავშვი დადის. აუტისტი ბავშვისათვის ტიპურია გარემოს შეცვლის შიში, ახლობლებისაგან მოწყვეტა, სასურველია, რომ სწავლების დასაწყისში სკოლაში დედა, მამა, ბებია, ბაბუა შესვენებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, გაკვეთილებზეც ბავშვის გვერდით იყვნენ. მშობლებს შეილებთან მუშაობისას შეუძლიათ პედაგოგებისათვის რეკომენდირებული ინდივიდუალური თამაშობების გამოყენება.

მშობლებსა და პედაგოგებს ფსიქოლოგთან კონსულტაციებით ერთობლივი ძალებით შეუძლიათ განავითარონ მათი წარმოსახვა, ეფექტური ხერხებით ასწავლონ თანატოლებთან ურთიერთობა, ყოველივე ნიშნავს, მოხდეს გარე სამყაროსთან ბავშვის ადაპტირება.

## აუტისტ ბავშვებთან მუშაობის წესები:

1. მიიღეთ ბავშვი ისეთი, როგორიც არის;
2. გაითვალისწინეთ ბავშვის ინტერესები;
3. მკაცრად დაიცავით ბავშვის ცხოვრების რეჟიმი და რიტმი;
4. დაიცავით ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფი ყოველდღიური რიტუალი;
5. არ გამოგჩნეთ ბავშვის დისკომფორტზე მიმანიშნებელი მცირე ვერბალური და არავერბალური სიგნალებიც კი;
6. ხშირად დაესწარით ჯგუფში ან კლასში ბავშვის მეცადინეობის პროცესს;
7. რაც შეიძლება ხშირად ესაუბრეთ ბავშვს;
8. უზრუნველყავით კომფორტული გარემო ურთიერთობისა და სწავლებისათვის;
9. მოთმინებით აუხსენით ბავშვს მისი მოქმედების აზრი, გამოიყენეთ მკვეთრი თვალსაჩინო ინფორმაცია (სქემა, რუკა და ა.შ.);
10. არ გადატვირთოთ ბავშვი.

## ჰიპერაქტიური ბავშვები



„ჰიპერ...“ (ბერძნულიდან „ზევით“, „ზემოდან“) ნიშნავს ნორმის ზევით. სიტყვა „აქტიური“ ლათინურიდან ნიშნავს „მოქმედი, ქმედითი“. მისი გარეგნული გამოვლინებაა უყურადღებობა, ყურადღების გაფანტვა, იმპულსურობა, გაძლიერებული მოძრაობითი აქტივობა. ხშირად ჰიპერაქტიურ ბავშვს გარემოსთან ურთიერთობის, სწავლაში სირთულეების, დაბალი თვითშეფასების პრობლემები აქვს. ინტელექტუალური განვითარების დონე ჰიპერაქტიურობის ხარისხზე არ არის დამოკიდებული და მისი მაჩვენებელი შეიძლება ასაკობრივ ნორმას უსწრებდეს. ჰიპერაქტიურობის პირველი გამოვლენა ხდება 7-წლის ასაკამდე და ბიჭებში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე გოგონებში.

ჰიპერაქტიურობის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი არსებობს: იგი შეიძლება იყოს გენეტიკური, თავის ტვინის განსაკუთრებული აგებულება და ფუნქციონალობა, მშობიარობის ტრავმები, სიცოცხლის პირველ თვეებში გადატანილი ინფექციური დაავადებები და სხვ; როგორც წესი, ჰიპერაქტიურობის სინდრომის საფუძველია ტვინის დისფუნქცია, მის ხარისხს სპეციალური დიაგნოსტიკის ჩატარების შემდეგ განსაზღვრავს ექიმი-ნევროპათოლოგი. აუცილებლობის შემთხვევაში ინიშნება მედიკამენტოზური მკურნალობა.

ჰიპერაქტიური ბავშვის მკურნალობა და მისი კოლექტივთან ადაპტაცია კომპლექსურად ტარდება. სპეციალისტები აღნიშ-

ნავენ რომ „ვერც ერთი აბი ვერ ასწავლის ადამიანს, როგორ მოიქცეს. ბავშვობისას გამოვლენილი არაადექვატური ქცევა, ფიქსირდება და ჩვევაში იზრდება...“ პედაგოგი, რომელიც ჰიპერაქტიურ ბავშვთან მუშაობს, დიდი შრომა და უსიამოვნება ელის მასთან ურთიერთობისას, მაგრამ უნდა დაიჯეროს, რომ, პირველ რიგში, ბავშვი იტანჯება. მას, როგორც უფროსები ითხოვენ, ისე მოქცევა უბრალოდ არ შეუძლია... არა იმიტომ, რომ არ უნდა, არამედ მისი ფიზიოლოგიური შესაძლებლობა ამის შესაძლებლობას არ აძლევს. ასეთი ბავშვისათვის რთულია დიდხანს გაუნძრევლად ჯდომა და ჩუმად ყოფნა. სისტემატური ყვირილი, შენიშვნები, დასჯის მუქარა მის ქცევაზე დადებითად არ აისახება და შეიძლება ახალი კონფლიქტის წყაროც გახდეს. გარდა ამისა, ზემოქმედების ამგვარმა ფორმამ ბავშვებში შეიძლება ხასიათის უარყოფითი თვისებები წარმოშვას და შედეგად ყველა დააზარალოს: ბავშვი, უფროსი და ბავშვები, რომლებთანაც მას აქვს ურთიერთობა.

### ჰიპერაქტიური ბავშვის პორტრეტი

სკოლაში და საბავშვო ბაღის ჯგუფებში გვხვდებიან ბავშვები, რომლებსაც დიდხანს ერთ ადგილზე ჯდომა, ჩუმად ყოფნა და ინსტრუქციისადმი მორჩილება უჭირთ. ისინი დამატებით სირთულეებს უქმნიან აღმზრდელებსა და პედაგოგებს, რადგან მეტად მოძრაენი, მოუსვენარნი არიან; ხშირად ფუტკნიან და ტეხავენ სხვადასხვა საგნებს, ხელს კრავენ თანატოლებს, ქმნიან კონფლიქტურ სიტუაციებს. ხშირად სწყინთ და იბუტებიან, თუმცა მალევე ივიწყებენ. ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი ვ. ოკლენდერი ასე ახასიათებს ამგვარ ბავშვებს: „ჰიპერაქტიური ბავშვისათვის რთულია ჯდომა, იგი მოუთმენელია, ბევრს მოძრაობს,

ადგილზე ტრიალებს. ზოგჯერ მეტიხმეტად მოლაპარაკეა, ხშირად ცუდი კოორდინაცია ან არასაკმარისი აზროვნებითი კონტროლი აქვს, იგი უხეშია და აფუჭებს და ამტვრევს ნივთებს, აქცევს რძეს. ასეთი ბავშვისათვის რთულია ყურადღების კონცენტრაცია, აქვს გაფანტულობა, ხშირად მრავალრიცხოვან შეკითხვებს სვამს, მაგრამ პასუხს იშვიათად ელის.“

ჰიპერაქტიურობის ძირითადი გამოვლინებები შეიძლება დავეყნოთ სამ ბლოკად: აქტიური ყურადღების დეფიციტი, მოჭარბებული აქტივობა, იმპულსურობა.

ამერიკელი ფსიქოლოგი პ. ბეიკერი და მ. ალვორდი გეთავაზობენ ბავშვებში ჰიპერაქტიურობის გამოვლენის შემდეგ კრიტერიუმებს:

### ჰიპერაქტიურობის კრიტერიუმი (ბავშვზე დაკვირვების სქემა)

აქტიური ყურადღების დეფიციტი

1. არათანმიმდევრულია, მას უჭირს დიდი ხნით ყურადღების კონცენტრირება;
2. არ უსმენს, როდესაც მას მიმართავენ;
3. დიდი ენთუზიაზმით ეკიდება დავალებას, მაგრამ ბოლომდე ვერ მიყავს;
4. სირთულეები აქვს საკუთარი თავის ორგანიზებაში;
5. ხშირად კარგავს ნივთებს;
6. გაურბის მოსაწყენ და გონების დამძაბავ, რთულ დავალებებს;
7. ხშირად გულმავიწყია;

მოჭარბებული აქტივობა

1. ხშირად ადგილზე წრიალებს;
2. ავლენს ფორიაქის ნიშნებს (თითებით აბრაზუნებს, სავარძელში მოძრაობს, დარბის, უაზროდ გარბის);

3. ჩვილობის ასაკიდან დაწყებული, სხვა ბავშვებზე ცოტა სძინავს;
4. მეტისმეტად მოლაპარაკეა;

#### იმპულსურობა

1. კითხვის ბოლომდე მოსმენამდე პასუხობს;
2. არა აქვს რიგში დგომის უნარი, ხშირად სხვების საქმეში ერევა და ხელს უშლის;
3. უჭირს ყურადღების მობილიზება;
4. არ შეუძლია ჯილდოს ლოდინი (თუ მოქმედებასა და ჯილდოს შორის შესვენებაა);
5. არ შეუძლია საკუთარი მოქმედების რეგულირება და კონტროლი, ნაკლებად ემორჩილება ქცევის წესებს;
6. დავალების შესრულებას არაერთგვაროვნად უდგება და სხვადასხვა შედეგები აქვს. (ზოგიერთ მეცადინეობაზე ბავშვი წყნარადაა, ზოგზე - არა; ზოგიერთ გაკვეთილებზე წარმატებულია, სხვებზე - არა).

თუ 7 წლამდე ჩამოთვლილი ნიშნებიდან გამოვლინდა 6, ბავშვი, რომელსაც პედაგოგი ან მშობელი აკვირდება, (მაგრამ დიაგნოზის დასმის გარეშე!) ჰიპერაქტიურია.

პედაგოგი გარკვეული ტაქტიით მშობელს რეკომენდაციას აძლევს, კონსულტაციისათვის სპეციალისტს (ფსიქოლოგს ან ნევროპათოლოგს) მიმართოს: დიაგნოზის დასმის პასუხისმგებლობა ექიმს ეკისრება. მშობელი უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვი სპეციალისტის დახმარებას საჭიროებს.

ხშირად, იმის საფუძველზე რომ იგი მოძრავი და მოუსვენარია, უფროსები თვლიან, რომ ბავშვი ჰიპერაქტიურია. ეს მცდარი შეხედულებაა, რადგან ჰიპერაქტიურობის სხვა გამოვლინებები (აქტიური ყურადღების დეფიციტი, იმპულსურობა) ამ

შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება. ხშირად მშობელი და პედ-  
აგოგი საჭირო ყურადღებას არ აქცევენ იმპულსურობას. „იმპულ-  
სურობა – ადამიანის ქცევის თავისებურებაა (მყარ ფორმებში –  
ხასიათის თვისება), რომლის არსია გარე ემოციების ზეგავლენით  
მყისიერი მოქმედებებისადმი მიდრეკილება. იმპულსური ადამიანი  
არ ფიქრობს თავის საქციელზე, იგი სწრაფად და უშუალოდ  
რეაგირებს და არცთუ იშვიათად ინანიებს თავის საქციელს.“

### იმპულსურობის ნიშნების ანკეტა

იმპულსური ბავშვი:

1. ყოველთვის სწრაფად პოულობს პასუხს, როდესაც რამეს  
გკითხებიან (შეიძლება, არასწორს);
2. ხშირად ეცვლება ხასიათი;
3. მას ბავრი რამ აღიზიანებს, მდგომარეობიდან გამოყავს;
4. მოსწონს სამუშაო, რომელსაც სწრაფად ასრულებს;
5. ბუტიაა, მაგრამ უბოროტო;
6. ხშირად იგრძნობა, რომ მას ყველაფერი მოებზრდა.
7. სწრაფად ყოყმანის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას;
8. შეუძლია მკვეთრი უარი თქვას საკვებზე, რომელიც არ უყვარს;
9. მეცადინეობებზე ხშირად ეფანტება ყურადღება;
10. როდესაც უყვირიან, საპასუხოდ ისიც ყვირის;
11. ყოველთვის დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ დავალებას  
შეასრულებს;
12. უხეშია მშობლის, პედაგოგის მიმართ;
13. დროდადრო გკგონია, რომ მას უსაზღვრო ენერგია აქვს.
14. მოქმედების ადამიანია, განსჯა არ შეუძლია და არ უყვარს;

15. ითხოვს ყურადღებას, მოუთმენელია;
16. თამაშისას საერთო წესებს არ ემორჩილება;
17. საუბრისას ცხარდება, ხშირად ხმას იმაღლებს;
18. იოლად ივიწყებს უფროსების დავალებას, ერთობა თამაშით;
19. უყვარს ორგანიზება და წინამძღოლობა;
20. შექება და გაკიცხვა მასზე უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე სხვებზე.

ობიექტური მონაცემების მიღებისათვის საჭიროა, რომ 2-3 უფროსმა ადამიანმა, რომლებიც კარგად იცნობენ ბავშვს, მოცემული ანკეტის მიხედვით შეაფასონ მისი იმპულსურობის დონე. შემდეგ უნდა შეჯამდეს ყველა კვლევის ქულა და გამოყვანილ იქნას საშუალო.

15-20 ქულა მოწმობს მაღალ იმპულსურობას;

7-14 ქულა - საშუალო;

1-6 ქულა - დაბალი.

### როგორ დავეხმაროთ ჰიპერაქტიურ ბავშვს

ჰიპერაქტიური ბავშვი სკოლაში და საბავშვო ბაღში ართულებს კოლექტივის მუშაობას. იგი ხელს უშლის გაკვეთილის ჩატარებას, ყვირის, აწყვეტინებს პედაგოგს, წამოიძახებს უდროო დროს, პედაგოგებს მოთმინებას აკარგვინებს.

ჰიპერაქტიურ ბავშვებთან აუცილებელია კონკრეტული სიტუაციის გაანალიზება, რომელიც დამახასიათებელია კერძო შემთხვევისათვის. ამის შემდეგ მასზე დაყრდნობით შესაძლებელია მუშაობის ინდივიდუალური ხაზის გატარება. თუ არას-

წორი სტრატეგია შეირჩა, ბავშვის მდგომარეობა სახლში და საბავშვო კოლექტივში შეიძლება გაუარესდეს. აუცილებელია პედაგოგის, ფსიქოლოგის, მშობლის ერთობლივი მუშაობა.

ჰიპერაქტიური ბავშვისათვის მუშაობა დღის საათებში უფრო იოლია, ვიდრე საღამოთი, გაკვეთილების დასაწყისში, ვიდრე ბოლოს. საყურადღებოა, რომ იგი უფროსთან ინდივიდუალური მუშაობისას არ ავლენს ჰიპერაქტიურობის ნიშნებს და უფრო წარმატებულად ართმევს თავს სამუშაოს.

ბავშვის დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს მის შესაძლებლობას. ჩვეულებრივი ბავშვები საბავშვო ბაღში ნებისმიერი სახის მოქმედებით უნდა დაკავდნენ 20 წუთი, მაშინ, როდესაც ჰიპერაქტიური ბავშვი პროდუქტიულად მუშაობს 10 წუთი, არ უნდა დააძალოთ მას მეცადინეობის გაგრძელება. ეს შედეგს არ გამოიღებს. გონივრული იქნება, გადართოთ იგი სხვა სახის მოქმედებაზე, სთხოვეთ ყვავილების მორწყვა, მაგიდის გაშლა... თუ შემდგომში მონიღომებს მეცადინეობის გაგრძელებას, დართეთ ნება.

სკოლის გაკვეთილები გრძელდება 40-45 წუთი, ნებისმიერი ბავშვისათვის სავალდებულოა რეჟიმის დაცვა, ჰიპერაქტიური ბავშვისათვის ამ მონაკვეთის მანძილზე რთულია შეინარჩუნოს აქტიური ყურადღება. მისთვის იოლი იქნება, თუ გაკვეთილს დაყოფთ მცირე მონაკვეთებად. 2-3 დავალების შემდეგ ათამამეთ, გამოიყენეთ ფიზწუთი, ვარჯიში თითებისათვის.

ჰიპერაქტიური ბავშვებისათვის ხშირად რთულია იმ დავალების შესრულება, რასაც უფროსები ითხოვთ. ბავშვი, სასურველია, საბავშვო ბაღიდან მიაჩვიოთ წესების დაცვას და ინსტრუქციისათვის თვალყურს.

ამისათვის შესაძლოა გამოიყენოთ შემდეგი ხერხები: როდესაც პედაგოგი ახალ დავალებას სთავაზობს, მას შეუძლია ჰიპერაქტიურ ბავშვს დაავალოს, „გაახმოვანოს“ ამ დავალების შესრულების წესები. უთხრას თანატოლებს, რა და როგორ უნდა იქნას

შესრულებული. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ინსტრუქცია იყოს კონკრეტული და ათ სიტყვაზე მეტს არ შეიცავდეს, სხვა შემთხვევაში ბავშვი არ გაიგებს, არ დაიმახსოვრებს ინსტრუქციას და არც შეასრულებს მას. პედაგოგმა ასევე განუმარტოს ბავშვს, რომ თუ ის უნებურად რომელიმე წესს დაარღვევს, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დაკარგულია, მას შეუძლია გამოასწოროს შეცდომა, აუცილებლად ყველაფერი გამოუვა, და რომ თქვენ გჯერათ ამის.

წახალისება და დასჯა უნდა იყოს მოქნილი და აუცილებლად თანმიმდევრული. გაითვალისწინეთ, ჰიპერაქტიურობის თავისებურებები. მას დიდხანს ლოდინი არ შეუძლება და ამიტომ წახალისებას უნდა ჰქონდეს მომენტალური ხასიათი და შეორღებოდეს 15-20 წუთის შემდეგ. წახალისების ერთერთი ვარიანტია – შეტონების მიცემა, რომელიც დღის განმავლობაში შეიძლება ჯილდოთი შეიცვალოს.

ჰიპერაქტიური ბავშვები იმპულსურები არიან. მათი მოულოდნელი, ზოგჯერ პროვოკაციული ხასიათის ქმედებები, უფროსებში დიდ ემოციურ რეაქციას იწვევს. უფროსს ნებისმიერ სიტუაციაში მართებს სიმშვიდე, გახსოვდეთ: არა ბარ მშვიდი – ვერ მიიღწევ წარმატებას! ვიდრე უსიამოვნო სიტუაციაზე რეაგირებას მიმართავთ, რამდენიმე წამით შეჩერდით და (მაგალითად, ათამდე დაითვალით). განდევნეთ ემოციური აფეთქება, ამით თქვენი სისუსტის გამოვლენის დანაშაულის გრძნობას მოიშორებთ. შესძლებთ უკეთ გაუგოთ ბავშვს, რომელიც ასე საჭიროებს თანადგომას.

## ჰიპერაქტიური ბავშვის მშობლებთან მუშაობა

ჰიპერაქტიურ ბავშვს სჭირდება სისტემატური ფსიქოლოგიური თანადგომა. როგორც ყველა ბავშვს, მას უნდა წარმატებული იყოს თავის საქმიანობებში, რასაც ხშირად ვერ ახერხებს. ამისათვის საჭიროა მშობელმა შეურჩიოს დავალება.

დაიმახსოვრეთ: *ბავშვი მხოლოდ იმას გააკეთებს, რაც მისთვის საინტერესოა და ამ საქმით იქნება დაკავებული, ვიდრე არ მოსწყინდება.* მოწყენის შემთხვევაში გადართეთ სხვა სახის მოქმედებაზე.

აუცილებელია, იზრუნოთ ბავშვის სამუშაო ადგილზე. იგი უნდა იყოს წყნარი და მყუდრო – ტელევიზორისგან და ხშირი მიმოსვლისაგან შორს. სადაც ბავშვი იმეცადინებს თავისუფლად, ხელის შემშლელი პირობების გარეშე. საშინაო დავალების შესრულებისას მშობელი სასურველია ბავშვის გვერდით იყოს და აუცილებლობის შემთხვევაში დაეხმაროს.

თუ ბავშვი რაღაც არასწორს ამბობს, მშობელი არ უნდა უკითხავდეს ნოტაციას, რადგან იგი გრძელ მონოლოგს ბოლომდე არ მოუსმენს და არ გააცნობიერებს.

არ არის საჭირო ბავშვი აიძულოთ, ბოდიში მოიხადოს და კარგად მოქცევის პირობა დადოს. მოელაპარაკეთ კონკრეტული მოთხოვნის შესრულებაზე, მაგ., მიაღაგოს საკუთარი სათამაშო თუ სამეცადინო კუთხე... კონკრეტული მოთხოვნის შესრულებას შეიძლება დიდი დრო (ოთხი კვირა, ან მეტი) დასჭირდეს. ვიდრე ერთ პუნქტს არ გამოასწორებს, არ გადახვიდეთ შემდეგზე. იყავით მომთმენი და შეეცადეთ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას მიაჩვიოთ.

ბავშვთან ერთად მუზეუმში, თეატრში ან სტუმრად წასვლისას, წინასწარ აუხსენით ქცევის წესები. შეპირდით, რომ თუ

წესებს დაიცავს, ჟეტონს დაიმსახურებს. სანიმუშო ქცევისათვის განსაზღვრული რაოდენობის ჟეტონი შეცვალეთ ჯილდოთი (კანფეტი, სათამაშო და ა.შ.). თუ ბავშვი ცდილობს, მაგრამ შემთხვევით რაღაც ისე არ გამოხდის, აპატიეთ, რათა თავი წარმატებულად იგრძნოს.

### პიპერაქტიურ ბავშვებთან მუშაობის წესები

1. ბავშვებთან იმუშავეთ დღის პირველ ნახევარში, არა საღამოს;
2. შეამცირეთ ბავშვის სამუშაო დატვირთვა;
3. გაყავით სამუშაო შედეგებით მცირე მონაკვეთებად, გამოიყენეთ ფიზსწუთები;
4. იყავით დრამატული, ექსპრესიული პედაგოგი;
5. მუშაობის დასაწყისში შეამცირეთ მოთხოვნა იყვნენ აკურატულები, რათა ჩამოუყალიბდეთ წარმატების გრძნობა;
6. მეტადინეობისას იყავით მის გვერდით;
7. გამოიყენეთ ტაქტილური კონტაქტი (მასაჟის ელემენტები, შესხება, მოფერება);
8. ამა თუ იმ მოქმედების შესახებ შეუთანხმდით წინასწარ;
9. მიეცით მოკლე, მკაფიო, კონკრეტული ინსტრუქცია;
10. გამოიყენეთ წახალისებისა და დასჯის მოქნილი სისტემა;
11. დროულად შეაქეთ ბავშვი, არ გადადოთ სამომავლოდ;
12. მიეცით ბავშვს არჩევანის საშუალება;
13. განტვირთეთ ბავშვი ჭარბი ენერჯისაგან, ამის კარგი საშუალებაა: ცურვა, ცეკვა, ფეხბურთი, კალათბურთი...
14. არა ხარ მშვიდი – ვერ მიაღწევ წარმატებას!

## შეოთვიანი ბავშვები



შეოთვიანობა ინდივიდის ფსიქოლოგიური თავისებურება არ არის. იგი პიროვნებაში ცხოვრებისეული სიტუაციების შედეგად მოჭარბებული მღელვარებისას წარმოიშობა, თუნდაც ამის საბაზი არ არსებობდეს.

შეოთვიანობა არაადაქტური სინდრომის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია, იგი გულისხმობს პიროვნებაში დომინირებულ მოჭარბებულ შიშებს და ამით გამოწვეულ ფსიქიურ, კერძოდ, „პანიკურ“, „ფობიურ“ მოშლილობასა და „პოსტრავმატულ სტრესს“. რაც შეოთვის სახით ვლინდება. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება იღვლეოს ზეიმზე გამოსვლის ან დაფასთან პასუხისას, მაგრამ შეიძლება ამ მდგომარეობას არ ჰქონდეს სასტესტური ხასიათი. მღელვარების მიჯობად სისტემატური გამოვლენა ითვლება მყარ შეოთვიანობად.

პიროვნებას შეიძლება ნებისმიერ ასაკში განუვითარდეს შიში. ერთიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვებში ხშირია ღამის შიში, 2 წლიდან კი - შიშები უცნობი ხმის, მარტოდ დარჩენის, ტკივილის (მედიცინის მუშაკებთან დაკავშირებული) მოლოდინში. 3-5 წლის ბავშვისათვის დამახასიათებელია შიში მარტობის, სიბნელის, ჩაკეტილი სივრცის. 5-7 წლის ბავშვებს აქვთ სიკვდი-

ლის შიში; 7-11 წლიანებში – გარემოში დამკვიდრების მოთხოვნილებასთან დაკავშირებული შიში (სურვილი უჩნდებათ ეპყრობოდნენ პატივისცემით, აფასებდნენ და ესმოდეთ მათი).

ნებისმიერ ბავშვს მეტ-ნაკლებად აქვს შიშების განსაზღვრული ოდენობა, მაგრამ თუ იგი მოჭარბებულად ვლინდება, საქმე გჭაქვს შფოთვიანობასთან.

თანამედროვე მეცნიერები შფოთვიანობის წარმოშობის მიზეზებად მიიჩნევენ მშობლისა და ბავშვის ურთიერთდამოკიდებულებაში არსებულ შეუსაბამობებს, რაც გამოიხატება ბავშვის მიმართ მშობლების არაადეკვატურ, ხშირ შემთხვევაში, ბავშვის დამორგუნველ მოთხოვნებში. ეს გარკვეულწილად საბავშვო ბაღსა და სკოლას უკავშირდება. მაგალითად, მშობლის გაუთავებელი წუხილი, რომ მისი შვილი იყოს ლიდერი ნებისმიერ პირობებში, სწავლობდეს აუცილებლად ფრიადზე, ითვლებოდეს სანიმუშო ბავშვად და სხვა.

სკოლაშდელ და უმცროს სასკოლო ასაკში უფრო შფოთვიანები არიან ბიჭუნები, ხოლო თორმეტი წლის შემდეგ – გოგონები. მათ აშინებთ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობა. რაიმე „არასასურველი“ ქმედების ჩადენისას გოგონები შიშობენ, რომ მშობლები ან პედაგოგები მათზე ცუდად იფიქრებენ, მიატოვებენ მეგობრები და ა.შ. იგივე სიტუაციაში ბიჭებს აშინებთ უფროსების მხრიდან დასჯის, თანატოლების მხრიდან კი - გალაზვის ალბათობა.

სასწავლო წლის დაწყებიდან ექვსი კვირის შემდეგ მოწავლევებს შორის შფოთვიანობა მატულობს, რის გამოც მცირე ხნით შესვენების მოთხოვნილება უჩნდებათ.

ბავშვთა შფოთვიანობის დონე გარშემო მყოფი ადამიანების სულიერ მდგომარეობაზეცაა დამოკიდებული. *პედაგოგის ან მშობლის მომეტებული შფოთვიანობა შესაბამისად აისახება ბავშვებზე.*

*ოჯახებში, სადაც მის წევრებს შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაა, ბავშვები ნაკლებად შფოთვიანები არიან, ვიდრე იქ, სადაც გაუთავებელია კონფლიქტები.*

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მშობლების დაშორების შემთხვევაში, როცა ოჯახში თითქოსდა დამთავრდა სკანდალები და მისგან გამოწვეული სტრესები, ბავშვთა შფოთვიანობა არ იკლებს და პირიქით, მატულობს კიდევ. ფსიქოლოგებმა დაადგინეს ზოგადი კანონზომიერება, რომ ბავშვთა შფოთვიანობა მატულობს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები უკმაყოფილონი არიან სამსახურებრივი სტატუსით, ცხოვრების პირობებით, მატერიალური მდგომარეობით. დღევანდელ პირობებში სწორედ ამიტომაც საგრძნობლად იმატა შფოთვიანი ბავშვების რაოდენობამ, ასევე ოჯახსა და სკოლაში აღზრდის ავტორიტარული სტილი ბავშვთა სულიერი სიმშვიდის დარღვევის პირობაა. არსებობს მოსაზრება, რომ სწავლის მიმართ შფოთვიანობა ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ყალიბდება. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც პედაგოგის მუშაობის სტილით, ისე ბავშვის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნებით.

არსებობს ოჯახები, სადაც ბავშვის სკოლაში მიყვანის მონახლებასთან ერთად მისი თანდასწრებით ხდება გაუთავებელი მსჯელობა „პრესტიჟული“ სკოლის შერჩევაზე, „პერსპექტიული“ მასწავლებლის მონახვაზე. მშობლის მღელვარება გააძლიერებს ბავშვზე. ასეთი მშობლები ან სპეციალურად ქირაობენ მასწავლებელს თავისი შვილისათვის, რომელიც მასთან ერთად საათობით ზის და მეცადინეობს, ან თვითონ მშობელი კისრულობს ამ მოვალეობას. ბავშვის ჯერ კიდევ სუსტი და მოუმზადებელი ორგანიზმი ვერ უძლებს გადატვირთვას, იგი შესაძლოა დაავადდეს, ან სრულიად გაუქრეს სწავლის ინტერესი.

შფოთვიანობას ასევე შეიძლება დაერთოს ნეროზი და სხვა ფსიქური დარღვევები. ამ შემთხვევაში აუცილებელია სამედიცინო ჩარევა.

შფოთვიანი ბავშვის პორტრეტი. საბავშვო ბაღის ჯგუფში (ან კლასში) შემოდის ბავშვი. იგი დამაბული უყურებს ყველას და ყველაფერს, რაც მისი მხედველობის არეშია. შეწუხებული

გამომეტყველებით ვდება უახლოეს სკამზე (მერხზე) და უსიამოვნობის მოლოდინშია. დღესდღეობით საბავშვო ბაღსა და სკოლაში ამგვარი ბავშვების რაოდენობა არაა მცირე და ამიტომაც მათთან მუშაობა უფრო გართულებულია, ვიდრე სხვა „კატეგორიის პრობლემურ“ ბავშვებთან. ჰიპერაქტიური და აგრესიული ბავშვები „დღის სინათლეზე“ არიან, შფოთვიანები კი ცდილობენ არ გაამჟღავნონ თავისი პრობლემები, ისინი გამოირჩევიან სისტემატური წუხილით და მღელვარებით, შიში აქვთ არა მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის მიმართ, არამედ საკუთარი წინათგრძნობისადმიც კი. ამგვარი ბავშვები ყოველთვის რაღაცის მოლოდინში არიან, თავს დაუცველად გრძობენ და ამინებთ რაიმე ახალი მოქმედების წამოწყება, თუნდაც თამაშისა, გამოირჩევიან საკუთარი თავისადმი დიდი მოთხოვნელობით, არიან ზომაზე მეტად თვითკრიტიკულები. დაბალია მათი თვითშეფასების დონე, არა აქვთ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენა და მუდმივად ერთი ფიქრი უტრიალებთ თავში - სხვებთან შედარებით ცუდები, ულამაზოები, უნიჭოები და მოუჭნელები არიან, ისინი უფროსების მხრიდან ყველა საქმეში წახალისებას და შექებას ელიან.

შფოთვიანი ბავშვებისათვის დამახასიათებელი სომატური პრობლემებია: მუცლის ტკივილი, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, გაძლიერებული გულისცემა, სისუსტე ფეხებში და სხვა.

## როგორ გამოვავლინოთ შფოთვიანი ბავშვი

გამოცდილი პედაგოგი ბავშვების გაცნობის პირველსავე დღეებში მიხვდება, რომელი მათგანი გამოირჩევა მოჭარბებული შფოთვიანობით. საბოლოო დასკვნის გამოტანამდე საჭიროა მათზე დაკვირვება და შფოთვიანობის მიზეზის დადგენა.

იმისათვის, რომ პედაგოგმა შეიცნოს ბავშვი, დააზუსტოს, უფრო მეტად რისი ექსპანია, შეიძლება მშობლებისათვის სპეციალური კონსვარის მომხადება, რაც დაესმარება მას თითოეული ბავშვის ოჯახური ისტორიების ვაგებაში, ბავშვთა ქცევაზე დაკვირება კი დაადასტურებს ან უარყოფს პედაგოგის მისაზრებებს.

### შფოთვიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები:

1. სისტემატური წესილი და მღელვარება;
2. სართულუკები ნებისმიერ ქმდებაზე კონცენტრაციისას;
3. ენთიური დაჭიმულობა (მაგალითად, თვალის, კისრის მოდაძობში);
4. ადვ ზნებულობა;
5. ცუდი ძილი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვი შფოთვიანია, თუ ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმთაგან რომელიმე სისტემატურად ვლინდება მის ქცევაში.

### შფოთვიანი ბავშვის თვისებები:

1. არ შეუძლიათ დიდსანს შეუსვენებლად მუშაობა;
2. არ შეუძლიათ დიდი ხნით რაიმეზე კონცენტრაცია;
3. ყოველი ახალი დავალება მასში იწვევს ზედმეტ წესილს;
4. დავალების შესრულების მომენტში დაძაბული და დაძნეულია;
5. სხვებზე მეტად მოუსვენარია;
6. ხშირად საუბრობს დაძაბულ სიტუაციებზე;

7. უცნობ გარემოში წითლება;
8. ჩივის, რომ ნახულობს საშინელ სიზმრებს;
9. მისი ხელები ცივი და ტენიანია;
10. არცთუ იშვიათად დარღვეული აქვს კუჭის მოქმედება;
11. ნერვიულობისას ახასიათებს მოჭარბებული ოფლიანობა;
12. გამოირჩევა უმადობით;
13. უჭირს დაძინება; ძილში ფორიაქობს;
14. ყველაფერი აშინებს, ხშირად წუხს;
15. ადვილად ღიზიანდება;
16. ხშირად ვერ იკავებს ტირილს;
17. არ უყვარს ლოდინი;
18. თავს არიდებს ახალი საქმის წამოწყებას;
19. არაა დარწმუნებული საკუთარ ძალებში;
20. თავს არიდებს სირთულეებს.

შეაჯამეთ „პლიუსების“ რაოდენობა, რათა მიიღოთ შფოთვიანობის გამოვლენის საერთო ქულა;  
 მაღალი შფოთვიანობა - 15 -20 ქულა;  
 საშუალო - 7-14 ქულა;  
 დაბალი - 1-6 ქულა.

საბავშვო ბაღში ბავშვები ხშირად განიცდიან მშობლებთან განშორების შიშს და აქვთ მძაფრი რეაქციები.

2-3 წლის ასაკის ბავშვებში ამგვარი განწყობილების გამოხატვა დასაშვებია და გასაგებია, მაგრამ თუ უფროსი სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ბავშვი სისტემატურად ტირის მშობელთან დაშორებისას, ფანჯრიდან თვალს არ აშორებს და ყოველ წამს ელოდება მის გამოჩენას, ამგვარი ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობას.

დაშორების შიშების სიხშირე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი კრიტერიუმებით:

## დაშორების შიშების განსაზღვრის კრიტერიუმები:

1. სისტემატური მეტისმეტი წუხილი დაშორებისას;
2. მუდმივი გაუთავებელი ფორიაქი, რომ უფროსი ცუდად განხდება;
3. სისტემატური წუხილი, რომ რაიმე მდგომარეობა მას  
ოჯახთან დააცილებს;
4. სისტემატური უარი საბავშვო ბაღში ან სკოლაში წასვლაზე;
5. მარტო დარჩენის მუდმივი შიში;
6. მუდმივი შიში მარტო ძილის;
7. ხშირი ლამის კომპარები, რომელშიც ბავშვი ვინმეს შორდება;
8. მუდმივი ჩივილი შეუძლოდ ყოფნაზე: თავის, მუცლის ტკივილი  
და სხვ., (ბავშვები, რომლებიც განიცდიან დაშორების შიშს, შეი-  
ძლება დაავადდნენ, თუ ბევრს იფიქრებენ იმაზე, რაც აშფოთებთ).

თუ ბავშვის ქცევაში სამი-ოთხი ნიშანი გამოვლინდა,  
მაშინ მას ნამდვილად აქვს ამ სახის შიში.

## როგორ დავეხმაროთ შფოთვიან ბავშვს

მათთან მუშაობა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებუ-  
ლი და დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს. აღსანიშნავია სამი  
მიმართულება, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს მუშაობა,  
ესაა: თვითშეფასების დონის ამაღლება, რათა ბავშვმა შეძლოს  
შედარებით დაძაბულ სიტუაციაში საკუთარი თავის მართვა და  
დაძაბულობის მოხსნა.

თვითშეფასების დონის ამაღლება მცირე დროში პრაქტიკუ-  
ლად შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა ყოველდღიური მიზნო-

ბრივი მუშაობა. მიმართეთ ბავშვს სახელით, შეაქეთ იგი თანატოლების თანდასწრებით უმნიშვნელო წარმატების შემთხვევაშიც კი. შექება უნდა იყოს დამაჯერებელი, რადგან ბავშვები განსაკუთრებით მძაფრად რეაგირებენ სიყალბეზე. აუხსენით, რისთვის შეაქეთ იგი. ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება მოინახოს საბაბი შექებისათვის.

სასურველია, შფოთვიანი ბავშვები ჩართოთ ემოციური გარემოს განმავითარებელ თამაშ-სავარჯიშოებში, რომელიც დაეხმარებათ მათ ემოციებისა და გრძნობების თავისუფლად გამოვლენასა და შიშების უკუგდებაში.

იმისათვის, რომ საბავშვო ბაღის ჯგუფში ან კლასში თითოეული აღსაზრდელის ან მოსწავლის წარმატებების შესახებ გარშემომყოფებმაც შეიტყონ, შესაძლებელია სპეციალური სტენდის მოწყობა სათაურით „*ვიჩივრის გარსკვლავი*“, რომელზეც კონკრეტული ბავშვის წარმატებებს კვირაში ერთხელ მიეძღვნება გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამგვარად, თითოეულ ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა გარკვეული დროის მანძილზე იყოს ყურადღების ცენტრში.

სტენდზე ასახული რუბრიკების შინაარსი და განწყობილება ბავშვებისა და უფროსების მსჯელობის საგანი გახდება. მშობელს შეიძლება მიაწოდოთ ინფორმაცია ბავშვის ყოველდღიური მიღწევების შესახებ (მაგალითად, სტენდი სათაურით: „*ჩემი დღევანდელი წარმატებები*“). ამგვარი ინფორმაციები მშობელს შესაძლებლობას მისცემს მეტად დაინტერესდეს თავისი შვილით. ამ მიზნით როგორც სტენდზე, ისე ბავშვის კარადაზე შეიძლება დამაგრდეს შვიდფერი ყვავილი, ცენტრში მოთავსებული ბავშვის ფოტოთი. ფურცლებზე დაწერება კვირის დღეები და აღინუსხება ბავშვის წარმატებები, რითაც იგი თავს მოიწონებს და იამაყებს. მუშაობის ამგვარი ფორმის გამოძებნა საუკეთესო საშუალებაა მშობლებთან ურთიერთობისათვის. სტენდის მოწყობა პედაგოგს დაეხმარება ერთდროულად რამდენიმე პედაგოგიური ამოცა-

ნის გადაწყვეტაში. კერძოდ, შფოთვიანი ბავშვის თვითშეფასების დონის ამღლებაში. როგორც წესი, შფოთვიანი ბავშვები თავიანთ პრობლემებზე ღიად არ საუბრობენ და ხშირად მალავენ კიდევ. თუ ბავშვი აცხადებს, რომ მას არაფრის ეშინია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ნათქვამი სინამდვილეს შეეფერება. სწორედ ეს არის შფოთვიანობის გამოვლენა. ბავშვს ან რცხვჩნია და მას ვერ გაამხელს, ან ერიდება გარეშემყოფთაგან დაცინვას. სასურველია, მიაჩვიოთ ბავშვი პრობლემების ირგვლივ ერთობლივ მსჯელობას საბავშვო ბაღსა და სკოლაში, ბავშვებს ცხოვრებისეული სიტუაციებიდან გამომდინარე, ესაუბრეთ საკუთარ გრძობებსა და განცდებზე. სკოლაში, ლიტერატურის გმირის მაგალითზე, გაამახვილეთ ყურადღება, რომ *გულადი ის კი არ არის*, ვისაც არაფრის ან არავისი ეშინია, არამედ ის, ვისაც შიშის დაძლევა შეუძლია. სასურველია, რომ თითოეულმა ბავშვმა, თანატოლების თანდასწრებით, გულახდილად ილაპარაკოს თავისი შიშების შესახებ, ასევე შესთავაზეთ მათ *დაჩატონ თავიანთი შიშები*, შემდეგ გამოფინონ ნახატები და ისაუბრონ მათ შესახებ. მსგავსი საუბრები შფოთვიან ბავშვებს დაეხმარებათ გაიგონ, რომ მსგავსი პრობლემები სხვებსაც აქვთ. ამ გზით ისინი თავს დააღწევენ მუდმივ დისკომფორტს.

იმისათვის, რომ ბავშვს ასწავლოთ მათთვის დაძაბულ სიტუაციაში საკუთარი თავის მართვა, აუცილებელია მათთან ყოველდღიური მუშაობა. შფოთვიან ბავშვებთან მუშაობის საუკეთესო საშუალებაა როლებით თამაში. ნაცნობი სიტუაციების გათამაშება, რომლებიც ბავშვების განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევს (მაგალითად, „შეშინია მასწავლებლის, ექიმის...“), ბავშვს საშუალება ეძლევა პედაგოგის სიმბოლიზებული ფიგურით (თოჯინით) გაითამაშოს როლი.

კუნთური დაძაბულობის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა რელაქსაცია, სუნთქვითი ვარჯიშები, აგრეთვე იმპროვიზებული მასკარადის, შოუს, თეატრალიზებული თამაშობის მოწყობა. მათ-

თვის სპეციალური ნიღბებისა და კოსტუმების მომზადება და სპექტაკლებში ჩართვა. ეს მათ განტვირთავს ფიზიკური და სულიერი დაძაბულობისაგან.

## შფოთვიანი ბავშვების მშობლებთან მუშაობა

არც ერთ მშობელს არ უნდა, რომ მისი შვილი შფოთვიანი იყოს, მაგრამ ზოგჯერ თვით მშობლები სცოდავენ. ხშირად მათი ქცევა ახდენს გავლენას ბავშვის ამ თვისების ჩამოყალიბებაზე.

არცთუ იშვიათად, მშობლები ბავშვებს ისეთ მოთხოვნებს უყენებენ, რაც მათ ძალებს აღემატება. ბავშვი შეწუხებულია, ვერ გაუგია, რანაირად შეიძლება მშობლის გულის მოგება, მისი სიყვარულისა და აღერისის მოპოვება; მისი მცდელობა უშედეგოა, ერთ წარუმატებლობას მეორე მოსდევს და მას ჰგონია, რომ ველარასოდეს შეძლებს იმ სურვილების შესრულებას, რასაც მისგან ელიან მშობლები. იგი თავს არასრულფასოვნად მიიჩნევს, არაა დარწმუნებული საკუთარ ძალებში, მუდმივად აწუხებს დანაშაულის გრძნობა და იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს უფროსების გახშირებული საყვედურები, გაუთავებლად იხდის ბოდიშს. იგი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მობილიზებულია შინაგანი ენერჯის შეკავებისათვის. ცვლილებები ხდება მის სუნთქვაში, მიმიკაში, განწყობის გარეგნულ გამოხატვაში. ასეთ დროს იგი ცდილობს იყოს ფრთხილი, ყველასათვის შეუმჩნეველი... ეს კი გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, მის პიროვნებად ფორმირებაზე, შემოქმედებითი შესაძლებლობების რეალიზაციაზე; აბრკოლებს თანატოლებთან და უფროსებთან მის ურთიერთობას. შფოთვიანი ბავშვის მშობელი მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს თავის შვილს, საჭიროა სისტემატური მუშაობა, რათა

დაარწმუნოს იგი სიყვარულში. წარუმატებლობის შემთხვევაში კი დაამშვიდოს. ოჯახის სხვა წევრების თანდასწრებით ყოველდღიურად აღნიშნეთ მისი მცირედი წარმატებაც კი (მაგალითად, საერთო სადილობისას, საღამოთი, ერთობლივი დასვენებისას და ა.შ.), გარდა ამისა, არ გამოიყენოთ ბავშვის პიროვნების დამამცირებელი სიტყვები („სულელი“, „შტერი“, „ბრიყვი“ და სხვ.) მაშინაც კი, როცა ძალიან განაწყენებული და გაბრაზებული ხართ. ეცადეთ, არ დასაჯოთ იგი შეუფერებელი საქციელისათვის, უმჯობესია, თვითონ ბავშვმა ახსნას, რატომ მოიქცა ასე და ამის შემდეგ მიეცით საქციელს სათანადო შეფასება, ნუ მოსთხოვთ ბავშვს დაჟინებით ბოდიშის მოხდას, ამან შეიძლება უფრო გააღიაზიანოს და მონანიების ნაცვლად საპირისპირო რეაქცია გამოიწვიოს, უმჯობესია, თუ თავს შეიკავებთ შენიშვნებისაგან. აღნუსხეთ ბავშვის მიმართ დღის განმავლობაში გამოთქმული შენიშვნები და საღამოს გადაიკითხეთ იგი. თქვენ მიხვდებით, რომ შენიშვნების უმრავლესობა შეიძლებოდა არც მიგეცათ. იგი ორივე მხარისათვის გამაღიზიანებელი და, ამდენად, საზიანოც კი არის. ნუ შეეცდებით დაეშუქროთ ბავშვს შეუსრულებადი, ჰიპერბოლური დატვირთვის მატარებელი დასჯით („გაჩერდი, თორემ პირს აგიკრავ“, „გადი აქედან, თორემ მოგკლავ“ და ა.შ.), მათ ხომ ისედაც ყველაფრის ეშინიათ.

მშობლების ყურადღებიანი და ალერსიანი მოპყრობა დაეხმარება შფოთვიან ბავშვს შეიქმნას დადებითი განწყობა, დაიცავს შიშის, დაცინვისა და შურაცხყოფისაგან. შფოთვიანი ბავშვის მშობლებმა მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი ბავშვის თანდასწრებით საქციელის ურთიერთგამომრიცხავი შეფასებისაგან, რადგან ეს ხელს შეუწყობს მასში თანდათანობით შენიშვნებისადმი აგდებული დამოკიდებულების ფორმირებას ან სულაც გაურკვეველი შეიქნას მაგალითად, რა რეაქცია ექნება დედას თუფშის გატეხვისას, რის გამოც იგი შიშისაგან ცახცახს იწყებს და მიდის სტრესის მდგომარეობამდე.

შფოთვიანი ბავშვის მშობლები ხშირად თვითონ განიცდიან კუნთურ დაძაბულობას, ამიტომ კუნთური რელაქსაცია მათთვისაც სასარგებლოა. სამწუხაროდ, მშობლებს ყოველთვის არ ესმით ან არ იღებენ რჩევას, რათა პირველ რიგში ყურადღება მიაქციონ საკუთარ სოციალურ მდგომარეობას და ნაკლებად მომთხოვნები იყვნენ შვილების მიმართ. მშობლებს ვურჩევთ, შეილს დაძაბულობისა და აგზნებულობის მოხსნისათვის ჩაუტარონ კუნთების მოღუნების ვარჯიშები; მისი სწორად შესრულებისათვის სასარგებლო იქნება ვარჯიშების ბავშვთან ერთად შესრულება. ამ რეკომენდაციის გათვალისწინების შემდეგ იგრძნობთ სხეულის სიმსუბუქეს და ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გამოკეთებას. მსგავსი რეკომენდაციების შესრულება სასარგებლოა პედაგოგებისთვისაც. საიდუმლო არ არის, რომ მშობლის ემოცია და განწყობა გადადის ბავშვზე, პედაგოგისა - მოსწავლეზე. ვიდრე ეცდებით დაეხმაროთ ბავშვს, იზრუნეთ საკუთარ თავზე.

ყოველთვის გაითვალისწინეთ ბავშვის შესაძლებლობები. ნუ მოსთხოვთ მას ისეთი რამის შესრულებას, რაც თქვენს ძალებს აღემატება. თუ ბავშვს რაიმე სასწავლო დავალების შესრულება უჭირს, დაეხმარეთ, რომ იგრძნოს თქვენი თანადგომა, მცირედი წარმატების შემთხვევაშიც კი არ დაგავიწყდეთ მისი შექება. აგრძნობინეთ ბავშვს, რომ ენდობით, იყავით სამართლიანი და მიიღეთ ისინი ისეთები, როგორიც არიან.

თუ მშობელი არ არის კმაყოფილი თავისი ბავშვის ქცევით და წარმატებებით, ეს როდი ნიშნავს, რომ უარი თქვით მის სიყვარულსა და თანადგომაზე. ბავშვი უნდა იზრდებოდეს ნდობის, თბილ ატმოსფეროში. მხოლოდ ეს შექმნის ბავშვის არსებაში მიჩქმალული ურიცხვი ტალანტის გამოვლენის საუკეთესო პირობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შვილი, შესაძლოა, ნევროზით დაავადდეს ან თქვენ მიერ გამოვლენილი აგრესიის მსხვერპლი შეიქნას.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. იმედაძე ნ. ემოციური აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები. საზოგადოება „ცოდნა“, თბ., 1973.
2. იმედაძე ნ. სკოლაშდელი ასაკის ბავშვთა ემოციური განვითარება. ბავშვის ფსიქოლოგია. – თბ., „ცოდნა“, 1964.
3. კოტეტიშვილი ი. სიმბოლური ფუნქციის განვითარებისათვის სკოლაშდელ ასაკში. ბავშვის ფსიქოლოგია. – „ცოდნა“, თბილისი, 1964.
4. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. თბ., 2001.
5. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1975.
6. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბ., 2003.
7. ყოლბაია მ. ბავშვის ფსიქოლოგია. თბ., 1998.
8. Аргайл М. Психология счастья. 2-е издание. – «Питер». – М., 2003.
9. Берковец Л. Агрессия: причины, последствия и контроль. Санкт-Петербург-Москва, «Олма Пресс», 2002.
10. Бэрн Р., Ричардсон Д. Агрессия, Секреты причин насилия. «Олма пресс». Москва, 2002.
11. Браун Дж. Кристенсен. Теория и практика семейной психотерапии. Изд. «Питер». – Санкт-Петербург, 2001.
12. Выгодский Л.С. Диагностика развития и педагогическая клиника трудного детства. Собр. соч., т.5.- Москва: «Педагогика», 1983.
13. Гаврилова Т.П. О типичных ошибках родителей в воспитании детей. – «Вопросы психологии», 1984, №1, сс. 58-66.
14. Гришина Н.В. Психология конфликта. – Санкт-Петербург-Москва, 2001.

15. Дети социального риска и их воспитание. Под ред. Л.М.Шиницыной. Санкт-Петербург, 2003.
16. Детская и подростковая психология. Под ред. Лейна Д., Миллера Э. Санкт-Петербург-Москва, 2001.
17. Детская практическая психология. под ред. Марцинковской. – М., 2004
18. Елисеев О.П. Практикум по психологии личности. «Питер», Санкт-Петербург-Москва, 2001.
19. Изард К. Э. Психология эмоций. Санкт-Петербург-Москва: 2000.
20. Захаров А.И. Как предупредить отклонения в поведении ребенка. «Просвещение», Москва., 1986.
21. Имедадзе Н. Тревожность как фактор учения в дошкольном возрасте: - Психология исследования. Под ред. А.Прангишвили, Тбилиси, 1966
22. Кайл Р. Тайны психики ребенка. Психологическая энциклопедия. Санкт-петербург-Москва: «Олма-Пресс», 2002.
23. Кевин Дж., Коннор О. Теория и практика игровой психотерапии. 2-е изд., Санкт-Петербург-Москва:, 2003.
24. Коломинский Я.Л., Панко Е.А., Игумнов С.А. Психическое развитие детей в норме и патологии. – Москва-Санкт-Петербург, 2004.
25. Крехи Б. Социальная психология агрессии. Санкт-Петербург-Москва: М., 2003.
26. Крайг Г. Психология развития. Санкт-Петербург-Москва, 2002.
27. Леви В. Нестандартный ребенок. Луганск, «Глобус», 2001.
28. Лютова Е., Моина Г. Щнаргалка для взрослых. – Санкт-Петербург-Москва: 2002.

29. Майерс Д. -- Психология. Минск, 2001.
30. Миллер С. Психология игры. Санкт-Петербург-Москва, 1999.
31. Мухина В.С. Возрастная психология. – М., 2002
32. Ньюкомб Н. Развитие личности ребенка. Санкт-Петербург, 2002.
33. Отношения между сверстниками в группе детского сада. Под ред. Т.Резиной. -- М., 1978
34. Пезешкиан Н. Позитивная психотерапия: Семья как терапевт. -- М., 1982.
35. Психология эмоции. Автор-составитель Витис Вилонас. Москва-Санкт-Петербург, 2004.
36. Психология детей с нарушениями и отклонениями психического развития. Составители Астанов В.М., Микадзе Ю.В. Санкт-Петербург-Москва, 2002.
37. Психологические тесты в двух томах. Под редакцией А.Карелина. -- М., 2003.
38. Пьяже Ж., Инхельдер Б. Психология ребенка. 18-е издание. М., 2003.
39. Развитие общения у дошкольников. Под ред. А.В. Запорожца и М.И. Лисиной. – М.: «Педагогика», 1974.
40. Райгородский Д. Психология семейных отношений родителей и детей. Хрестоматия.. Изд. дом «Бахрах», - М., 2003.
41. Реана А. Психология детства. Учебник «Олма-пресс». -- М., 2003.
42. Ребер Л. Большой толковый психологический словарь. т.1-2. М., 2001.
43. Романов А. Игротерапия как агрессивность у детей. М., 2003.
44. Свияш Л., Свияш Ю. Улыбнись, пока не поздно. -- М., 2003. Романов А. Игротерапия как агрессивность у детей. -- М., 2003

45. Фрейд А. Детский психоанализ. Санкт-Петербург-Москва, 2003.
46. Фрейд А. Лекции по детскому психоанализу. Москва, 2002.
47. Хоментausкас Г.Т. Семья глазами ребенка. Дети и психологические проблемы в семье. – Москва, 2003.
48. Хорни К. Невротическая личность нашего времени. – М., 1993.
49. Хулаева О. Внутрличностный конфликт, «Школьный психолог», № 40, 2001.
50. Хьелл Л., Зиглер Д. Теории личности. 3-е международное издание. Санкт-Петербург-Москва, 2002..
51. Эда Ле шен. Когда ваш ребенок сводит вас с ума. Санкт-Петербург-Москва, «Олма-ПРЕСС», 2004.
52. Юнг К. Конфликты детской души. – М., 1995.
53. Goldstein N.E., Arnold D.H., Rosenbergg S.L, Stowe R.M., Ortiz C. Contagion of aggression in day care classrooms as a function of peer and teacher responses// Journal of educational psychology. 2001. v.93. N4., p. 708-719.
54. Crick N., Dodge K.A. Review and reformulation of social information-processing mechanism in children`s social adjustment /Psychological Bulletin. 1994. – N115, p.74-101.
55. Kalliopuska M. Relation of ineffective communication of emotion and children`s recognition of emotional expressions/Percept and Mot. skills. – Vol.61, N3, pt.2, p. 1175-1178.
56. Lazerle R.E. Moderate spanking: Model or deterrent of children`s aggression in the family? (J. of Family Violence. – 1986. Vol.5. p.449-463.
57. Simons R.L., Johnson C., Conger R.D. Harsh corporal punishment versus quality of parental involvement as an explanation of adolescent maladjustment /J of marriage and Family. – 1994, Vol.56, p. 591-607.

## რენე ჟილიეს ტესტის გასაღები

№	შკალის დახმარება	№ დეკლები	დეკლების საერთო რაოდენობა
1	დამოკიდებულება დედისადმი	1-4, 8-15, 17-19, 27, 38, 40-42	20
2	დამოკიდებულება მამისადმი	1-5, 8-15, 17-19, 37, 40-42	20
3	დამოკიდებულება დედ-მამისადმი	1-4, 6-8, 14, 17, 19	10
4	დამოკიდებულება და-მამისადმი	1,2,4,5,6,8-19,30,40,42	20
5	დამოკიდებულება ბებისადმი და ბაბუისადმი	1,4,7,13,17-19,30,40,41	15
6	დამოკიდებულება მეგობრადმი	1,18-19,25,30,33-35,40	20
7	დამოკიდებულება ავტორიტეტულ პირადმი	1,4,5,9,11,13, 17,19,26,28-30,32,40	15
8	ქმის მისჯობა	5,22-24,26,28-32	10
9	დასვენება	20,22,39	4
10	ქორწინება	16,22,24	4
11	ჩვეულების გამოცემა	9,10, 14-16,17,19,22-24,29,30,40-42	15
12	შეცდომის სოციალური აღქმა	9,25,28,32-38	10

The topics presented in this book refer to such psychological issues, which are actual and less studied until today. These are – children's aggression and behavior, psychical disorder, analyze of those risk – factors that are connected with exposition of children's personal peculiarity (autism, hyperactivity, disturbance). Here are given all the modern methods and means, which will cope with the abovementioned problems.

This work is useful for the students of children and medical psychology, also for school psychologists, teachers, scientists, and generally for the society who is interested in psychological problems of child rising.

В книге рассмотрены актуальные и недостаточно исследованные по сегодняшний день вопросы детской агрессии, а также анализ психических нарушений детей (аутизм, гиперактивность, тревожность). Приведены современные методы и средства их преодоления.

Работа предназначена для студентов, обучающихся по специальностям детской и медицинской психологии, школьных психологов, педагогов, ученых, а также для лиц, интересующихся проблемами психологического воспитания детей.



**ლია ქვიციანი**, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროა ბავშვთა ფსიქოლოგიური განვითარების კანონზომიერებანი და თავისებურებები. ავტორია მონოგრაფიის „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უმოციები. მათი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური შეფასება“ (2003) და შრომებისა ბავშვთა პიროვნებად ფორმირების, აგრესიული ქცევებისა და შფოთვისანობის, ბავშვებზე ძალადობის ფორმებისა და მათი დაძლევა-პროფილაქტიკის ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ. კითხულობს ლექციებს კურსს პიროვნების, სამედიცინო და ბავშვთა ფსიქოლოგიაში.

